

ფს

ISSN 0132-5900  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემი

# გნებობის



# 7

---

1984



# ენათოცეი

ქართული  
ენათმეცნიერება

ქართველთა შორის ლიტერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურუნალი

წილი 60

№ 7

ივლისი, 1984 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

### პროზა, პოეზია

ირაკლი აბაშიძე — ლექსები	3
პაჩილ სულაპაური — თემური ცხენი, რომანი, დასასრული	5
დავით კვიციანიძე — ლექსები	69
გივი ქნულაძე — ლექსები	74
თანგიზ გოგოლაძე — მოთხრობები	78
ლევლა ხარაზიანი — მარიაში, მოთხრობა	86
მარია ოთარაშვილი — ლექსები	124
უნგრული პოეზია — ლექსები, უნგრულიდან თარგმნი მანანა ხალაძემ	130

### კრიტიკა, უზღვევისტიკა

არნოლდ ჩიქობავა — პროფესორი იოსებ ურუშიძე და თბილისის უნივერსიტეტი	131
ზაზა გოგია — განუყოფელი გულსტაქვილი	134
ალექსი ზინბარაული — ერთხელ კიდევ ქართული ხალხური პოეზიის გამოცემის გამო, დასასრული	142
მანანა ხალაძე — ქართული ენის ისტორიიდან	152

### მეცნიერება

ვახტანგ გორგაძე — როგორი მკვლევარია „ვახტანგ გორგაძის ცხოვრების“ აბაშიძე?	157
--	-----

### საზღვარგარეთის ლიტერატურა

გოგია — უფინ და შიმდგომ, ფრანგულიდან თარგმნი ვია ლოლაძემ	162
--	-----

### წიგნების მიმოხილვა

უკრაინა საზღვარგარეთ — ხანძები ტექსტების ახალი გამოცემის გამო	174
---	-----

ქ. მარტის ს.ბ. ს.ბ. ს.ბ.  
თბილისი

---

შთავარი რედაქტორის არჩილ სულაბაური

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე ზ ი ა :

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუაძე (შთ. რედაქტორის შთადგოლი),  
მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დონანაშვილი, კ. კალაძე,  
მ. ლასური, მ. ლეხანიძე, ე. მალაქაძე, ლ. მრულაშვილი, გ. ნატრო-  
შვილი, რ. პატარაძე, ო. პაპორია (პ/მგ. მდივანი), ჯ. ჩარაპიანი, ნ. წა-  
ლდისკერი, ო. ზილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

---

ირაკლი აბაშიძე

სავდიანი იუმორისკა

დღეს ჩემს ასაკში აღესრულა დიდი აკაკი...  
 ო, მართლაც როგორ შეიცვალა  
 კაცის ასაკი —  
 დადიხარ ახლა უყავარჯნოდ  
 და უგამყოლოდ  
 შენ წუთისოფლად დარჩენილი უთანატოლოდ.  
 დადიხარ ახლა წელგამულილად,  
 უწვერულვამოდ,  
 შენ, მექარავნე უქარავნოდ.  
 გმირი ულაშქროდ.  
 დადიხარ ისევ ათას კითხვით  
 ათას პასუხით;  
 დადიხარ ისევ მოდურ ქუდით,  
 ფერად ჰალსტუხით;  
 ეძებ რბოლაში, ეძებ ბურთში  
 ვინ სად იომებს;  
 თვალს არ აშორებ მაღალ რინგებს,  
 დიდ სტადიონებს;  
 დასდევ ზეიმებს, არ აკლდები  
 მაღალ თათბირებს;  
 გულიც, წვეულიც,  
 თითქოს ტრფობას  
 ახლაც აპირებს;  
 სულიც ესწრაფვის ქვეყნის მოვლას  
 ახალ საგზურით;  
 გიხმობს, გეძახის ლხინის სუფრა ახალგაზრდული  
 და არ გაწუხებს,  
 თვით აკაკიც აღარ გახსოვდეს;  
 — სასაცილოა ბერი კაცი ახალგაზრდობდეს!

## დაგვტოვეთ მარტო

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

დაგვტოვეთ მარტო...  
მე დღეს ხმაც და სიმიც დამაცვდა,  
იმ საზღვრის ხაზთან,  
იმ დიდ ხაზთან  
დღეს მეც შევჩერდი...  
დაგვტოვეთ მარტო  
ერთი სიტყვაც მაქვს ქვეყანასთან,  
დაგვტოვეთ მარტო  
ახლა მე და ეს მზისქვეშეთი.

მე ცამდე სავსე ათას ღრამით,  
ათას ქარიშხლით,  
ყველა ქარიშხლის, ყველა ღრამის  
სუნთქვით მცნობელი;  
ერთი რამ სიტყვაც,  
ერთიც დამრჩა მე ანგარიში —  
დაგვტოვეთ მარტო  
მე და ჩვენი წუთისოფელი.

მე ღვიძლი მისი,  
სისხლი მისი და მისიანი;  
მე ხმა შენდობის,  
ხმა იმედის,  
ხმა დამშვიდების;  
ქება-ღიღებით მე ვავსებდი  
ამ დიდ მზიანეთს,  
სხვა რამ არ მითქვამს მისთვის  
გარდა ქება-ღიღების;

ახლა დაგვეცოთ,  
ახლა დაედოთ,  
ახლა დაეხუროთ,  
რაც რამ დამთავრდა,  
რაც რამ გაჰქრა,  
რაც რამ დანაცრდა —  
უშუამავლოდ, უმსაჯულოდ, უმეთვალყუროდ  
დამტოვეთ მარტო  
მე ამ დღესთან, ამ ქვეყანასთან.



# თეთრი ცხენი

## რომანი

თბილისში ივლისის თხუთმეტს ჩამოვედით და რამდენიმე დღე ვალაგებდით ანგრეულსა და მტვრიან ბინას. საქმეს თავი ვერ დავადგით და ჩვენი უმწეობითა და უგერგილობით შეწუხებულმა მეზობლებმა დახმარება შემოგვთავაზეს. მამას უარი არ უთქვამს.

ცხელოდა, ქალაქს ბული ასდიოდა. ოთხი წლის მანძილზე სოფლის პაერით ვალაგებულსა და განებივრებულს სუნთქვა მიჭირდა. სიცხისაგან გასაავთებული მტკვარზე ჩაეირბენდი, გავვრჩიდებოდი და სველი, წყალი წურწურით რომ დამდიოდა, ისევე ჩვენს აივანზე ამოვირბენდი. დაუსრულებლად ჩამქონდა და ჩამქონდა ეზოში ნაგავი. როდის დაგროვდა ამდენი? ჩვენს აქ არ ყოფნისას ვერ დაგროვდებოდა და ნუთუ მანამდე ამ ნაგავში ვცხოვრობდით? რამდენი გამოუსადეგარი ძველმანი იყო შეჩურთული განჩინება და კარადებში, ტაბტსა და ზანდუქში, საწოლების ქვეშ. ბნელ კუნძულებში! საკვირველია, რატომ ვერ ელევა ამ ნაგავს ადამიანი? შინიდან რაც გავგვქონდა, ნახევარი არ

იყო იმ ძველმანებისა, რასაც ვიტყვებდით. ეს შეიძლება გამოგადგეთო, — საქმის კარგ მცოდნესავით იტყოდა ვინმე მეზობელთაგანი და რაღაც ძველ ქლანს — თავგების დაღრღნილ ფეხსაცმელს ან ჩვრადქცეულ შარვალს დაბერტყავდა და გვერდზე გადასდებდა. მამაჩემი რატომღაც ყველას უსიტყვოდ ეთანხმებოდა და ემორჩილებოდა, მე გუნებაში წინააღმდეგობას ვუწევდი მეზობლებს, ერთგვარი პროტესტის გრანობა მეუფლებოდა, ზოგჯერ მეციანებოდა, — კიდევ ერთი მსოფლიო ომი ხომ არ არის საჭირო, რომ ამ ძველმანების გამოსადეგრობაში დავრწმუნდეთ-მეთქი.

მამაჩემისთვის, მგონი, უკვე სულერი იყო, რას დატოვებდნენ და რას გადაყრიდნენ, ყველაფერზე თავს იქნევდა განურჩევლად, რალაცხარად შეფიჭრიანებული მეჩვენებოდა. თავის თავს არ ჰგავდა, ხმას აღარ იღებდა და მთელ ამ საქმიანობას, რასაც სახლის დალაგება და დასუფთავება ერქვა, აღარ ხელმძღვანელობდა. რამდენი კაცი გვეხმარებოდა, სათვალავი ამერიკა, ვინ შედიოდა, ვინ გადიოდა, ვის რა გაჰქონდა, ვის რა შეჰქონდა, ველარ ვარჩევდი. მამაჩემი ოთახიდან ოთახში

უაზროდ გადი-გამოდიოდა და პაპი-როსს აბოლებდა.

მერმე უცებ უანგარო დახმარებისათვის ყველა მეზობელს მადლობა გამოუცხადა, — მალარიჩი ჩემზე იყო სო, ამ პატივისცემას, სანამ ცოცხალი ვარ, არ დაგივიწყებთო და კიდევ რალაც-რალაცები უთხრა, სიტყვა არ დაუშურებია. მე მგონი, დროულად თქვა მადლობა, რადგან მეზობლების (ძირითადად ქალების) მოჩვენებითი საქმიანობა უკვე ცნობისმოყვარეობაში გადაზრდილიყო. უდიდესი ინტერესით ათვალიერებდნენ შინ რა მოგვექვევებოდა. ნივთებს ყოველი მხრივ ამოწმებდნენ, აფასებდნენ კიდევ, — საბურთალოს ბაზარზე ამდენად და ამდენად გაიყიდებო. ერთმა მეზობლის ქალმა კარადიდან დედაჩემის კაბაც კი გადმოიღო, ზურგზე მიაზომა მეორეს, რომელიც ამ დროს ფაიფურის მოგრობო ჭურჭლით, როგორც ჭოგრიტით, ღია ფანჯრიდან ცას უჭერტდა.

— იცი, რამდენი საქმეა გასაკეთებელი, — მითხრა მამაჩემმა, როცა მარტონი დაერჩით, — მაგრამ არა უშავს, ყველაფერს მოეცლება.

სარბენი და საზრუნავი, მართლაც, არ გამოლევიდა, სამხედრო კომისარიატში უკვე გამოცხადდა, რალაც საბუთო წარადგინა, რითაც ომში მონაწილეობა და დემობილიზაცია დაუდასტურა. იქიდან გახალისებულნი დაბრუნდა, დიდი პატივით მიუღია თვით კომისარს, მთელი საათი მელაპარაკაო, — მითხრა, — ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხაო, სად იბრძოდი, რომელ ფრონტზეო. რვა მაისმა სად მოგისწროო... მერმე ორი დღე პურისა და სასურსათო ბარათებისათვის ირბინა, არც იმ ბარათების აღება უნდა გასჭირვებოდა, რადგან ჭერ კიდევ სამხედრო ფორმა ეცვა და ყველგან თავისუფლად შედიოდა. მთავარი მაინც ბარათების მოპოვება იყო. ამის შემდეგ უკვე შეგვეძლო თბილისში ცხოვრება, არსებობის საშუალება ხელთა გვექონდა.

— აუპ, ეს რა შემოსევა ვნახე, ეს

რა... იყო, კაცო!... ასე ჩვენ არ შევსევითვართ ბერლინს! — ხელზები უწყოვად გაშალა მამაჩემმა, — ამას რა დაალაგებს... თუმცა უმადური არ უნდა იყო, ბევრი ნაგავი გაგვატანინეს... ვერ დავემდურებთ, კარგი ხალხია...

ორივენი უმწურონი დავდიოდით ანგრეულ, აყრილ-დაყრილ ბინაში და არ ვიცოდით, ლაგება საიდან დაგვეწყყო, მაგრამ ნელ-ნელა, თანდათან ყველა ნივთს თავისი ადგილი მივეჩინეთ და ჩვენმა ორმა ოთახმა და შუშაბანდმა თავისი ძველი, დედაჩემისდროინდელი იერი დაიბრუნა. მამა დროდადრო თითო-ოროლა სიტყვას იმეტებდა ჩემთვის, შემპირდა, — კვირას საბურთალოს ბაზარში წაგიყვან და წესიერ ტანსაცმელს გიყიდო. აბა, ინსტიტუტში ამ დამოკლებული შარვლით და ძირგავარდნილი ფეხსაცმელებით ხომ ვერ ივლიო. ამას ბუნებრივად მოჰყვა საუბარი სწავლის გავრძელებაზე, — სად აპირებ შესვლას და რა გინდა გამოხვიდეო. ჩემგან გარკვეული პასუხი რომ ვერ მიიღო, თვითონვე შემომთავაზა, — ინლუსტრირი (ახლანდელ პოლიტექნიკურ) ინსტიტუტში შედიო, რამე კარგ სპეციალობას დაუფლებო, ხომ იცი, ტექნიკის საუკუნეა და ჩვენც საუკუნეს ფეხდაფეხ უნდა მივყვეთო. პირადად მე ომში ძალზე გამომადგა ტექნიკური განათლებაო.

ხმა არ ამოიღია, ვაჩუმებული ვუვდებდი ყურს, რადგან წარმოდგენა არ მქონდა, რა მეპასუხა, რა მეთქვა. გულწრფელად რომ ვლიარო, ტექნიკური განათლების დაუფლებებისაკენ გული მაინც აღამაინც არ მიმიწვედა. თუმცა სკოლაში მათემატიკურ საგნებს ადვილად ვითვისებდი და ჩემი პედაგოგებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ სწორედ ამ განხრით გავავარძლებდი უმაღლესში სწავლას. მამაჩემის რჩევა-დარიგებას გულისყურით მოუესმინე და მისი ნათქვამი ერთგვარად ჭკუაში დამიჭდა.

იმ საღამოსაც ანანოს სანოვავით ვივანშმეთ, ნახევარი ტომარა სიმინდის

ფეკლი, ლობიო და კვერცხები გამოვ-  
ვატანა. მოხარულ დედალს მატარებე-  
ლშივე მოვუღეთ ბოლო, ძალიან ცხე-  
ლა, გაგვიფუჭდებო, — თქვა მამამ და  
წუთით არ დაგვიყოვნებია, მრგვლად  
მოხარული დედალი უშალვე გადავი-  
არჩინეთ გაფუჭებას.

მამაჩემის დაბრუნებამდე ძალიან  
ბევრს ვფიქრობდი და ფიქრში საკმა-  
ოდ ნორმალურ ურთიერთობასაც ვამ-  
ყარებდი მამასთან. ამას სულ ადვილად  
ვახერხებდი, რადგან მეხსიერებაში ჩა-  
ბეჭდილ სახეს ჩემი ფანტაზიის წყა-  
ლობით, როგორც მსურდა ყოფილი-  
ყო, სწორედ ისეთად წარმოვიდგენდი  
ხოლმე.

სოფელში ათ ივლისს ჩამოვიდა,  
ოფიცრის ფორმა ეცვა, უკვე დემობი-  
ლიზებული იყო, მაგრამ კაპიტნის სამ-  
ხრეებს მაინც ატარებდა. დაბრუნდა  
სიცოცხლით სავსე, მხნე, ჯანიანი, ლა-  
პარაკსა და მზიარულებას მონატრებუ-  
ლი და დახარბებული. მამა პირველი  
მერცხალი არ ყოფილა, მანამდე სამ-  
ნი ჩამოვიდნენ, სხვადასხვა ფრონტი-  
დან წამოსულები თელავის სადგურში  
შემთხვევით შეხვედრიან ერთმანეთს  
და სოფელსაც ამიტომ ერთ დღეს გა-  
მოეცხადნენ. სოფელიც, რა თქმა უნ-  
და, ზარ-ზეიმით შეეგება გამარჯვებით  
დაბრუნებულებს. დაბრუნებულთაგან  
ერთს კონტუზია ჰქონდა მიღებული,  
მეორეს — მარცხენა ხელი მაჯაში წა-  
წყვეტილი, მესამე კი, როგორც სოფე-  
ლში ამბობდნენ, სალსალამათი იყო.  
ისინი ორჯერ ვნახე და ორჯერვე ჩა-  
ფიქრებულები და გულჩათხრობილები  
მომეჩვენენ, ცოტას ლაპარაკობდნენ და  
შეკითხვებზეც ძუნწად იძლეოდნენ პა-  
სუხს.

მამა ქაბჯახის მაგვარი სიცილით შე-  
მოვიდა ეზოში, ჩემოდანი გვერდზე მო-  
ისროლა, ანანოს ორივე ხელი წელზე  
შემოხვია, აიტაცა და ციბრუტივით და-  
ტრიალდა. მერმე მე შემომხედა და  
ერთხანს დაეინებით მიცქერდა, მიცნო  
და ახლა მე დამეძგერა, ანანოზე უარე-  
სი დღე დამაყენა: ამიტაცა, დამაბზრია-

ლა, დამგრიხა, დამკმულუნა, მერმე ისევ  
გამასწორა და გამოუთოვდა თან სულ  
იმას ამბობდა, — რამოდენა ხარ, ბი-  
ჭო, გზაზე რომ შემხვედროდი, ვერ გი-  
ცნობდიო.

დალაპარაკება ვერ მოვასწარი, ერ-  
თმანეთს სიტყვა ვერ ვუთხარი, ეზო  
ხალხით გაიჭედა, მოდიოდნენ და მო-  
დიოდნენ, თან მოსაკითხი მოჰქონ-  
დათ, — ვის ქათამი, ვის — ყველი, ვის  
— დედას პური თუ ღვინო... ანანომ  
ყველას განუცხადა, — სანდროს ჩა-  
მოსვლისათვის ცხვარი უნდა დავგლო.  
ეს ცხვარი გაზაფხულზევე იყიდა თუ-  
ში მწყემსებისგან. დღეს — ნო! —  
უთხრეს მეზობლებმა, — დღეს რაცა  
გვაქვს, იმით გავიდეთ იოლადო, ცხვა-  
რი ხვალ იყოსო... იოლად კი არა, ეზო-  
ში ისეთი სუფრა გაიშალა, ავ თვალს  
არ დაენახებოდა.

სულ ვცდილობდი მამაჩემის ახლო-  
მახლო მეტრიალა, მაგრამ ვინ მიგიშვა,  
ვინ მიგაკარა?! შეესივნენ დედაკაციები  
და ამოსუნთქვის საშუალება აღარ მის-  
ცეს, ვინ ქმარს კითხულობდა, ვინ —  
შვილს, ვინ — ძმას... მამა კარგ გუნე-  
ბაზე დამდგარი ჩანდა და ყველას იმე-  
დიან სიტყვას უბრუნებდა, — ეგენიც  
ჩამოვლენო, დღეს თუ არა, ხვალ უსა-  
თუოდ აქ იქნებიანო. იმათაც სხვა რა  
უნდოდათ, ბენდიერები ლოცავდნენ და  
ადიდებდნენ მამაჩემს.

მერმე ამ ლოცვა-დიდებას სუფრაზე  
გადაინაცვლა.

სუფრას ათიოდე ხანდაზმული მამა-  
კაცი უჭდა, დანარჩენი ქალები იყვნენ,  
ოცდახუთზე მეტი დაეთვალე, რა თქმა  
უნდა, ყველას დედაბრები ჰვარობდ-  
ნენ. მამაჩემს ქალთა სიმრავლე თვალ-  
თახედვიდან არ გამოპარვია, ხმამაღლა  
განუცხადა სტუმრებს, — სოფელი ქა-  
ლებს აგილიათ და ეგ არისო, ბოლოს  
კოლმეურნეობის თავმჯდომარე ფილო  
კვლიაშვილი მოვიდა და თამალობაც  
იმას ებოძა. ეს კაცი რალცენაირად მე-  
სიმპატიურებოდა, სულ გარჯილს ვხე-  
დავდი. ერთთავად საჭმით გართულს,  
ომში წასულთა ოჯახების ქომავობასაც



და შეიძლებისდაგვარად ზრუნვასაც ახერხებდა. ერთხელ მეც გამომიგზავნა ახალი ფეხსაცმელები, რომლებსაც ძალზე პრაქტიკული და ჩემთვის ფრიად მნიშვნელოვანი თვისება აღმოაჩნდა: ფეხის გაზრდასთან ერთად რაღაც მანქანებით თვითონაც იწველებოდნენ და იზრდებოდნენ ისე, რომ სკოლაც კი დამამთავრებინეს.

ფილო კვალიაშვილი დინჯად, მამაპაპურად გაუძღვა სუფრას, კარგი ოქრობირიცი აღმოჩნდა.

მე ჩემი საფიქრალი მქონდა, მამას ერთი წუთითაც არ ვაშორებდი თვალს, მის ყოველ მოძრაობას, სახის გამომეტყველებას, წარმოთქმულ სიტყვას ვაკვირდებოდი, ვწონიდი, გუნებაში ვადარებდი იმ კაცს, რომელსაც ადრე, ბავშვობისას ვიცნობდი და ოთხი წლის წინათ ფრონტზე გავაცილე. ჰარბად აღტაცებული და აღტყინებული მომეჩვენა, თუმცა რატომ არ უნდა ყოფილიყო აღტაცებული, რა უშლიდა ხელს?! კიდევ კარგი, ეგრეა, თორემ სხვებივით გულჩათხრობილი და დამძიმებული რომ დაბრუნებულიყო, ის უკვე სხვა კაცი იქნებოდა-მეთქი.

სუფრა საღამო ხანს აიშალა. ხალხი, სირცხვილია, ეს ნაომაირი კაცი ცოტა მაინც მოვასვენოთ, ხვალაც ამ თვისააო! — სტუმრები ნელ-ნელა გაიკრიფნენ ეზოდან, ლაპარაკ-ლაპარაკით, ღიღინ-ღიღინით, სიმღერ-სიმღერით. მაგიდას მუზობლის ქალები დაუტრიალდნენ. ხელად ალაგეს, დაასუფთავეს იქაურთა, ხორაგი ცალკე გადააწყეს, ჯამ-ჭურჭელი დარეცხეს და დააკრივეს.

მამაჩემს ღვინო მოჰკიდებოდა, უკეთეს გუნებაზე დამდგარიყო და ქალებს ეხმარებოდა. ჯამ-ჭურჭლის რეცხვა რა მამაკაცის საქმეაო, — ეხუმრებოდნენ აქეთ-იქიდან, ის კი თავისას არ იშლიდა. ჯარში შემაჩვიესო, — იცინოდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც თავისი ძველი მეგობრის, მარო მასწავლებლისადმი იჩენდა. სულ კულში დასდევდა და რაღაცას ეჩურჩულებოდა,

აცილებდა და თვითონაც მხიარულად ჰაბუბებდა.

მამაჩემისა და ზიზის დედის ეს ჩურჩული, კისკისი და ჰაბუბები რაღაცნაირად არ მომწონდა და დადარაჯებული ვადევნებდი თვალყურს. შეიძლება იმან უფრო გამაღიზიანა, რომ პირველი მამაბებედრისა და სიხარულის შემდეგ მამამ ყურადღება აღარ მომამქცია, თითქოს დამკარგა და დაკარგვისთანავე მიმატოვა და დამივიწყა. მაგრამ მალე ყველაფერი ჩაწყნარდა. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, ბოლოსდაბოლოს მარტონი დავრჩით ანანო, მამა და მე.

მე და ანანო პირველ სართულზე, ლამპის შუქით მკრთალად განათებულ დიდ ოთახში მაგიდას ვუსხედით, მამა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ბოლთას სცემდა, ფეხი თუ შეეშლებოდა, მაშინვე აღიღვენდა წონასწორობას. ორივეს, ანანოსაც და მეც, წინ გვეწყო საჩუქრები, იმას — ჭრელი, ყვავილებით მოჩითული თავშალი, მე — პატარა, არაჩვეულებრივად ლამაზი ნიგელის ჰარმონკა, რომელსაც სულს ჩაბებრავდი და მშვენიერ ხმებს გამოსცემდა, ოღონდ უსათუოდ დავკრა უნდა გცოდნოდა. ასე მდუმარედ ვისხედით და გაურკვეველი, უცნობის მომლოდინე დუმილით შევეჭროდი მამას. დუმილი ანანომ დაარღვია, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ძლივს შეჰბედა ძმას:

— სანდრო, რაღაც გვითხარი... რას გაჩუმებულხარ, ხმა ამოიღე...

— დაწყით, დაწყით, — გვიბრძანა მამამ, — ხვალ ვილაპარაკოთ.

— შენ თვითონ რატომ არ წეები?

— მეც დავწეები, ძალიან დავიღალე.

— ზემოთ გაგიშალე ლოგინი, შენს ოთახში.

— კარგი გიქნია, ავალ და დავიძინებ.

დაწოლით მაინც არავინ დაწოლილა. მამა ისევ ბოლთას სცემდა, ჩვენ კი უაზროდ ვისხედით და ასევე უაზროდ შევეჭპროდი ნაბახუსევ კაცს, რომელიც თავის მთვრალ ფიქრებში დამირულოყო და ჩვენთვის ვერ იცლიდა. მერმე ანანომ თვალით მანიშნა, — წა-

დი და დაიძინეთ. დაეუჯერე, უსიტყვოდ წამოვდექი და ჩემს ოთახში გავიდი, კარი მივხურე. სიბნელეში ხელის ფათურით მივაგენი ჩემს საწოლს და ფრთხილად ჩამოვჯექი. ერთხანს ასე მჯდარი ყურს ვუგდებდი მამაჩემის არეულ ნაბიჯების ხმას. მერმე გავიგონე: აივნის კარი გაიღო და მიიხურა. ფეხის ხმა ახლა გარედან მომესმა. ისიც გავიგონე, მამამ ჭრიალით აიარა ხის კიბეები და ოთახში შეიკეტა.

მერმე სიჩუმე ღამის წვედიადში გაზავდა. სიბნელეს თვალი შევაჩვიე და ღია ფანჯრიდან გაცეკვროდი ჩალამებულ სოფელს, რომლის ზემოთ და მიღმა ვარსკვლავებით დაცხრილული ცა გამოიკვეთა. მერმე მომესმა შორეული, ჩემთვის ყოველთვის იღუმალეებით მოცული ხმა, რომელზეც ბევრჯერ უთქვამთ. — ტურები კვიანთ. მიუხედავად ამისა, ეს ხმები ჩემში ყოველთვის სხვა, არარეალურ, უცნაურ შეგრძნებას იწვევდა, უსიამოვნოსა და არასასურველს. როდის-როდის პირველმა მამლებმა იყვილეს. მე საწოლზე ვიჯექი საკანში გამომწყვდეული კაცივით, რომელმაც არ იცის, რატომ და რისთვის მიუსაჯეს საკანში ჯდომა. მერმე ტანსაცმელი ვაიხიადე და ლოვინში შევწექი, თან ცვდილობდი გამერკვია, რამ დამიმძიმა ასე გული, რა მანვალებდა, რა მიფრთხობდა ძილს. როცა ჩემზე ბედნიერი კაცი მთელ ქვეყანაზე არ მეგულებოდა, რამდენი შენატროდა ჩემს ბედს... როგორც ჩანს, მე თვითონ ვარ უქმური და უხასიათო, არ შემძლია ბედნიერება და სიხარული სიხარულითვე გამოვხატო-მეთქი, — ვფიქრობდი საწოლზე გამოტილი...

უცებარმა კვილმა დამიფრთხო ძილი, გაოგნებული საწოლზე წამოვჯექი, მეგონა, კომპარმა გამომალვიძა-მეთქი. ჯერ ისეც ბნელოდა. გარედან ვილაკვილაკების ჩოჩქოლი და ყაყანი მესმოდა. ამ ყაყანიდან უცებ მძაფრი კვილი მაშხალასავით ამოვარდებოდა და ყველა ხმას ფარავდა. მერმე ისიც ვიფიქრე, ვილაკამ ალბათ ნაკვიანევად მიი-

ლო დალუბვის ცნობა-მეთქი. ეფა ფანჯრიდან ეზოს გადაღმა გავხედე: ჩრდილებს, საიდანაც ხმაური მოდიოდა. არაფერი ჩანდა და არც სიტყვები ისმოდა გასაგებად.

ანანოს უკვე კაბის ჩაცმა და ღამის ანთება მოესწრო, ოთახში დაბნეული ფუსფუსებდა, თითქოს უსაგნოდ და უმიზეზოდ. მე რომ იქვე მდგარი დამინახა, შემკრთალმა რაღაც ჩაილაპარაკა და უფრო მეტად დაიბნა, მაგრამ მალევე მოთოკა და მოტიმა ეს დაბნეულობა, ერთი წამით დაფიქრდა, მერე დაიძაბა, ორივე ხელით თმა გაისწორა და სწრაფად გაიჭრა გარეთ. ღია კარიდან გავხედე სიბნელეს და აივანზე გავიდი. ანანო უკვე სიბნელეში გაუჩინარებულიყო:

ყაყანსა და გნისაში ნაცნობი ხმაც (ანანოსი) ამოტივტივდა და ისევ დაინთქა. კიბე ჩავიჩინე, ფრთხილად გავეშურე ეზოს შორეულ კუთხისაკენ, რომლის იქითაც ორღობეში გამოფენილი ხალხი მეგულებოდა. ღობესთან მისული გავყუჩდი და გავილურსე, ყველანი მარო მასწავლებლის სახლის წინ შექუჩულიყვნენ, რაც ცუდად მენიშნა. ყაყანს ყური მივეუგდე, ზოგი რამ გავარკვევ კიდევ: ცოტა ხნის წინ ვილაკ მამაკაცს მაროს ფანჯარაში გადაძრომა დაუპირებია, მაგრამ მაროსთან ღამის გასათევად დარჩენილ ქალებს განგაში აუტეხიათ. ქალები ერთხმად ადასტურებდნენ, რომ იმ კაცს სამხედრო ფორმა ეცვაო...

მე ღობის უკან ვიმალეობდი, მრცხვენოდა, თანაც მეშინოდა, არავინ დამინახოს-მეთქი.

ღმერთო, რა ქალია ანანო!

რა გააფთრებით იბრძოდა და უტევედა, ედავებოდა და აშოშინებდა ალელეებულ ქალებს, — ეგ ყველაფერი მოგჩვენათო. სწორედ რომ იმ ასაკიანი ხართ, მოჩვენებები რომ ეწყებათო. სანდროსთან — რა ხელი გაქვლ, მთვრალი და დაღლილი როგორც დაეგდო, ეგრევე გულის ძილით სძინავს, თავისთვის გღია და ზერინავსო. არც

თქვენი ყაყანი და ჩოჩქოლი გაუფგია და არც თქვენი წივილ-კვილი. ფეხიც არ გაუტოკებიაო. წამოღით და ნახეთ, მაგის ხვრინებისაგან ფანჯრებს ზრიალი გააქვსო... მეტი დამაჭერებლობისათვის რამდენჯერმე ვაიმეორა, — ხვრინავსო.

ისევ ჩუმად გავეცალე იქაურობას, როგორც მივუახლოვდი. უცნიდან კვლავ მესმოდა მოჩოჩქოლე ხმები, ოღონდ უკვე დამცხრალი და დაშოშმინებული. ანანომ, ეტუბა, თავისი გაიტანა, ექვსს მარცვალი ჩააგდო ხელში, ამ მარცვალს მაინცდამაინც პონიერი ნიადაგი არ დახვედრია, მაგრამ მარცვალი მაინც მარცვლია და, როგორც ჩანს, ბოლოს გალივდა.

ქვეყნად არავის დაუჭერებდი, მათ შორის ჩემს თავსაც, გინდაც დამენახა, რომ მამაჩემი შუალამით შენიღბიდან გაიპარა, მაროს ფანჯარას ქურდულად მიაღდა და გადაირომა დააპირა. ჯერ ერთი, ღრმად ვიყავი დარწმუნებული, მამა ამას არ ჩაიდენდა, მეორეც, მისი ასაკის ადამიანები ასეთი ვნებებისათვის უკვე ხანდაზმულად მეჩვენებოდნენ...

ამასობაში გათენდა კიდეც, ჯერ ცა გაბაცდა, გაფერმკრთალდა, მერმე კი სინათლემ იმძლავრა. მე კიბეზე ვიჭექი და ანანოს დაბრუნებას ველოდებოდი.

უცებ ზემოდან მამამ დამიძახა:

— ოზო!

წამოვხტი, მეორე სართულის აივანს ავხედე. მამა დონიჭშემორტყმული იდგა და ღიმილით ჩამომკვიროდა.

— ერთი გამაგებინე, რა ერიამულია მანდ?!

შემკრთალმა ხელები უმწეოდ გავშალე, ვითომ არ ვიცი-მეთქი.

ჩემგან რომ ვერაფერი შეიტყო, ეზოს გადასტეკა და იქით, ორღობეში გააგონა მეზობლებს:

— რა ყოფაში ხართ მანდა, რა იყო, რა დაგესიზმრათ?! ხალხს თქვენგან ძილი და მოსვენება აღარა აქვს!

ხალხი მამაჩემის ხმის გაგონებისთანავე უხმოდ დაიშალა, თავისი გზით

წავიდ-წამოვიდა. მე ისევ კიბეზე ჩამოვჯექი. ყველაფერი თითქოს ნათელი და გასაგები იყო, ქალებს რალაც მოეჩვენათ და წიოკობაც ამიტომ ატეხეს, თუ არ მოეჩვენათ, მაშინ მისამართი შეშლიათ, არეუ-დარევიათ-მეთქი. ძალზე ადვილად დავიმშვიდე თავი, თითქმის დავწყნარდი კიდეც, მალე ანანომ შემოაღო ჭიშკარი, გაბრაზებული ჩანდა, სახეზე ადამიანის ფერი აღარ ედო. სწრაფად გამოიარა ეზო და კიბეები აირბინა, მერმე მამაჩემთან ერთად შეიკეტა ოთახში და ორივენი კარგახანს აღარ გამოჩენილან.

საუხუმე მშვიდად ჩაიარა, მამა მშვენიერ გუნებაზე დადგა, განსაკუთრებით სამი სახარების შემდეგ. იქვე გადაწყდა: ცხვარსაც დაჰკლავდნენ და ხალხსაც დაჰპატიყდებდნენ, რათა სახეიმიოდ აღენიშნათ სანდრო ბოდაველის მშვიდობიანად დაბრუნება. მართალია, ვილაც-ვილაკებმა მიონდომეს, გამარჯვებით დაბრუნებულისათვის სახელი გაეტეხათ, მაგრამ არ გამოუყოფდათ, როგორც იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაუჯარდათ. ცხვარი დაიკლა და გატყავდა, ცხვარს ქათმებიც მიყყოლეს და ქვევრსაც მოხადეს თავი. პირველად ერთმა ნაფრონტალმა შემოაღო ჭიშკარი, აი იმან, საღსალამათი რომ ჩამოვიდა. პირქუში და დაღვრემილი გამოცხადდა, მოსვლისთანავე მაგიდას მიუჯდა და ჯიბიდან თუნუქის კოლოფი ამოიღო, თამბაქო გაზეთის ქალაღლში გაახვია და ცეცხლი მოუქიდა. სანდრო, ომი რომელ ქვეყანაში დაამთავრეთ, — პირველადვე ეს იკითხა და პასუხსაც დაელოდა. ფირან, დრო ღვთის წყალობით ბევრი გვექნება, მერმე ვილაპარაკოთო, — დიალოგი განუსაზღვრელი დროით გადაუვდა მამამ და ფირანაც უდრტივინველად დეთანხმა, — კარგი ეგრე იყოსო. ფირანას შემდეგ ორნი მოვიდნენ პურ-ღვინოზე დაგეშოლები, საქვეყნოდ აღიარებული მსმელ-მკამელები, სულ იმაზე წუხდნენ, გუშინდელი ღღე როგორ გამოგვატოვებინეთო. ერთი სიტყვით, დიდი სუფრა

გაიშალა ჩვენს ეზოში და სოფელში გვირიანდაც მოიღონა, მხოლოდ მართო მასწავლებელი არ მოსულა, იმ დღეს საერთოდ არ გამოჩენილა.

ზიზი სოფელში არ იყო, წუხანდელ აყალმაყალსა და აურზაურს ასცდა... ალბათ ძალზე უხერხული იქნებოდა ქალიშვილისათვის, ასეთ უსიამოვნო შემთხვევას რომ დასწრებოდა. უცებ წარმოვიდგინე, რა დღეში ჩაეარდებოდა და ცუდ გუნებაზე დავდექი, თუმცა მანადღეც უქმყოფილო და აფორიაქებული ვიყავი, მთელი დღე მაწუხებდა უქმარისობის გრძნობა, თითქოს რაღაც საგნები ისე არ უნდა აგვეწყო და დავგველაგებინა, როგორც ავაწყეთ და დავაღაგეთ; შინაგანად ვერ მოვწესრიგდი და ისიც მეჩვენებოდა, ყველანი თავს თითქოს ვიტყუებდით მხოლოდ იმის გამო, რომ სულიერი წონასწორობა აღგვედგინა. ამ მოსაჩვენებელ სიმშვიდესა და გუნებეიერებას ანანოსაც ვატყობდი. თუმცა შენიღბვას ყოველნაირად ცდილობდა... უთუოდ ჯობდა, მართო მასწავლებელი სამი-ოთხი დღით კიდევ დარჩენილიყო თბილისში, მით უმეტეს, რომ კმაყოფილი ჩამოვიდა ქალაქიდან, ზიზი კარგად მოვაწყე და დავაბინავე.

მოკლა არა მქონდა, მერიქიფრობა დამაკისრეს, დაცლილი ხელაღები მომქონდა, ლეინით ვავსებდი და ისევ მაგიდაზე ვდგამდი.

ცხელოდა, დილა თითქოს ღრუბლიან ამინდს გვირდებოდა, მერმე ღრუბელი უკვალოდ გაქრა და ივლისის მზემ ლამის თავის ქალა აგვხადა. შზის მცხუნვარებას მესუფრენი მაინცდამაინც არ შეუწუხებია, კაცს არ მოუნაცკლებია ადგილი, მყარად ისხდნენ. გაოფლილებსა და ლეინით გაქლენთილებს ოხშივარი ასდიოდათ. მზე რომ ვალაიხარა და ჩვენს სახლს მიეფარა, ასე მეგონა, ეზომ შევებით ამოისუნთქა-მეთქი.

ამ დროს ვილაკამ წამოიძახა — კარიულები მოდიან!

მე ჰიშვართან ვიდექი და უნებურად ორობდეს გაეხედე: ოციოდე ნაბიჯზე

მართლაც დავინახე კარიულები, მოულოდნელი კი იყო მათი გამოჩენა, მაგრამ მე არ გამეკვირვებია, რატომღაც გამეღიმა და თითქოს გამიხარდა კიდევ. წინ უფროსი თაობა მოდიოდა: მამა-კარიაულს თუშური ქუდი ეხურა და შავი შარვალ-ბალათი ეცვა—სრული ფართხუნა; დიდ მუცელზე ბალთიანი წვრილი ქაშარი ჰქონდა მოჭერილი. დედა-კარიაული ჩიხტი-კოპით იყო გამოწყობილი, ფართო, ყვრიმილიან სახეზე აქეთ-იქიდან წაბლისფერი კულულები ნაზად ერხეოდა, ხელში გაშლილი, ძველებური შავი ქოლგა ეჭირა, გეგონებოდა, არკი მოდიოდა, რწვეა-რწვეით, სხეულის თანთალით ნელ-ნელა მოსრიალებდა. მამა-კარიაული მძიმედ მოაბიჯებდა, ეტყობოდა, მყარად, მაგრად იდგა ნიადაგზე.

მათ ზურგს უკან პირგაბადრული ქალიშვილები გამოჩნდნენ, წითურები, შზის მხურვალეებისაგან სახეაღწეილები, ჰრელ და შილიფკაბიანები, თეთრ ყელსა და მკლავებს მოაელვარებდნენ. კაბაში ვერღატეული დიდი ძუძუები წინ მოუძლოდათ. დევის ქალები ფეხზე მდგარნი არასოდეს მენახა, მაშინ მაგიდას უსხდნენ, არ წამომდგარან და რატომღაც უფრო ჩაგოდრებულენო, უფორმოები წარმომედგინა. თურმე სიღლისა და ზორკმრავლობის მიუხედავად, აღნაგები იყვნენ, ტანადები. კარიაულის ქვრივს თვალი ვერ მოვკარი და ამათ არ წამოპყოლია-მეთქი, — გავიფიქრე, მაგრამ ეზოს რომ მოუახლოვდნენ, დევებშორის მოქცეული თუ მომწყვდეული მოდიოდა, თავდახრილი და ხელებჩამოყრილი სულ დაპატარავებული, დალეული ჩანდა.

ეზოს კარი გაუღე, ანანო შეეგება, მობრძანდით, მობრძანდითო, — შემოიპატეა, მერმე მამჩინეს ვასძახა — სანდრო, სტუმრები გვეწვივნენო. ეზოში ჰერ უფროსი კარიაულები შემობრძანდნენ, შემდეგ — კარიაულის ქვრივი, ბოლოს დევის ქალები შემოზევდნენ და იქაურობა გაანათეს. ორივენი დამორცხვებულები და ოდნავ

დაბნეულებიც კი მომეჩვენენ, ვერ მივხვდი, ბუნებით იყვნენ მორცხვები, თუ თავს იტყუებდნენ.

ანანო მისალმება და ხელის ჩამოართმევა რომ მოათავა, ძმა წარუდგინა კარიაულებს და გააცნო. მამა ღიმილით მიეახლა სტუმრებს, დედა-კარიაულს ხელზეც კი ეამბორა. მე იქვე, გვერდით მდგარი გვეცქეროდი სტუმარ-მასპინძლობის ამ ცერემონიას და ყველაფერს კარგად ვხედავდი. სწორედ ერთი წამის წინ გავიფიქრე, — ეს დევის ქალები მამაჩემზე ნეტარა შთაბეჭდილებას მოახდენენ-მეთქი და უცებვე მოწმე გავხდი ამ შთაბეჭდილებისა: მამაჩემი ჯერ შეცბა, პირი ისე დაალო, თითქოს ვაოცების რომელიღაც შორისდებული ამოსცდა ყელიდან, მერმე გაშეშდა და გაშტერდა, კარიაულის ქვრივს ხელი ისე გაუწოდა, ზედაც არ შეუხედავს, ეტყობა, თვლი ვერ მოსწყვიტა იელის ბუჩქბივით ოქროსფრად აბღღვრიალებულ დევის ქალებს... მერმე ღიმილად დადნა, ორივეს გადაჭარბებული მოკრძალებით ჩამოართვა ხელი და რაღაცნაირად მოიქნა, ძალზე უჩვეულოდ, არაბუნებრივად მოძრაობდა. ხუთივე შავიდასთან მიაცილა, დასხა, მომსახურე ქალებს ხორავი დაახვავებინა. ახალ-მოსულებს თავისი ხელით დაუსხა ღვინო და მხოლოდ ამის შემდეგ დაჭდა, კარიაულებს დაუჭდა წინ და გულითადი საუბარი გაუმართა. მერმე საქმით გვერთე და კარიაულები გულიდან გადამვარდნენ. მაგრამ ამ საქმიან ფუს-ფუსში ერთხელ შევნიშნე, ჩვენი აივნის ბოძს მოფარებული ანანო გამჭოლი თვალებით უმზერდა მამას, რომელიც დევის ქალებს აცილებდა და თვითონაც გულიანად იცინოდა...

შემდეგ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც წინა დღეს. გვიან საღამოს წამოიშალნენ სტუმრები, ლაპარაკ-ლაპარაკით, ღიღინ-ღიღინით სათითაოდ გაიკრიფნენ ეზოდან. ერთი-ორმა სცადა დარჩენა და ქეიფის გაგრძელება, მაგრამ თანამზრახველები ვერ იპო-

ვეს. მეზობლებმა სუფრა სწრაფად აალაგეს და ჯამ-ჭურჭელიც დარცხეს, ოღონდ ჭურჭლის რეცხვაში მამაჩემს მონაწილეობა აღარ მიუღია, დევის ქალების წასვლისთანავე საშინლად მოიწყინა.

ბოლოს ისევ სამნი შევიყარებით ჩვენს ღიდ ოთახში. მე და ანანო მაგიდას ვუსხედით, მამა კვლავ ბოლოს სცემდა. გუშინდელთან შედარებით უფრო ფხიზლად და მხნედ გამოიყურებოდა. გუშინ ალბათ ნაგზაური იყო და იმიტომაც მოეკიდა ღვინო, დღეს ფეხი არ ეშლებოდა, არ ბარბაცებდა, ჯიბეებში ხელბეჩაწყობილი დადიოდა და ღიღინებდა. მერმე უცებ მე მომიბრუნდა:

— როდის გავემგზავროთ? — მკითხა.

მე მხრები ავიჩიჩე.

— რა გეჩქარებთ? თვის ბოლომდე რომ დარჩეთ, არაფერი გიშავთ, — უპასუხა ანანომ.

— არა, არა! — გადაწყვეტით თქვა მამამ, — თბილისში უამრავი საქმეა მოსაგვარებელი... აქ რომ დავრჩე, ღვინოში ჩამახრჩობენ... ხვალ კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან ვარ დაპატივებული, არ მომეშვა... რა გვარიანეგ თავმჯდომარე?

— ფილო კვალიაშვილი.

— ჰო, ფილო კვალიაშვილი... ზეგ კიდევ ვილაცა გამოჩნდება, მაზეგ კიდევ — ვილაცა... საშველი არ არის!

— შენც ნუ აპყეები, სოფლის ქვეყრებს შენ ხომ ვერ ამოცილი?!

— ეგრე არ არის, ანანო, არა! — მამამ პირდაპირ ლამპიდან მოუკიდა პაპიროსს ცეცხლი.

ზეგ, უსათუოდ ზეგ!

ასე გადაწყდა: სოფელში ერთ დღესაც დავრჩებოდით და შემდეგ თბილისს გავემგზავრებოდით, დაყოვნებას, შეიძლება, დამლუბველად ემოქმედა ჩვენს საშურო საქმეებზე. სხვას რომ თავი დავანებოთ, საბუთები ხომ უნდა შეგვეტანა რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში!

თბილისში დაბრუნება, რა თქმა უნდა, მიხაროდა, მაგრამ მიხაროდა თითქოს იმიტომ, რომ ეს სიხარული რამდენიმე წლის წინ მქონდა შინაგანად დაგეგმილი. მე ანანოს მივაჩერდი, მეგონა, მხოლოდ მას შეეძლო მამაჩემის გადაწყვეტილებათა შეცვლა ან გაუქმება. თვალბეჭეში შევხედე და უმალ დავრწმუნდი, ანანო უსიტყვოდ დემორჩილებოდა ძმის ყოველგვარ ნებასურვილს.

ვერ ვიტყვი, თითქოს თბილისში დაბრუნებაზე უარს ვამბობდი და სოფელში დარჩენა მინდოდა. ეს აშკარა ტყუილი იქნება. თბილისში დაბრუნებას ვოცნებობდი, თანაც დიდი ხანი ვოცნებობდი. მაგრამ ახლა, ცოდა გამხელილი სჯობია, იქ, თბილისში მამაჩემის პირისპირ ყოფნა გამიჭირდება მეთქი. — ვფიქრობდი. ასე მოკლე დროში ვერ მოვახერხებ შეგუება და ურთიერთობის დამყარება, იქნებ ამიტომაც მოვინდომე, კიდევ ცოტა ხანს დავრჩენილიყავით სოფელში, სადაც ანანო იყო. ანანო ჩვენს შორის ხიდოვით იღგა და ერთგვარად გვიადვილებდა, მამასაც და მეც, ურთიერთობას.

ანანოს დატოვებაც მიმძიმდა, ჭერ ერთი, შევეჩვიე და მერაუცი, მიმჩინდა, რომ ახლა ანანოს მე ვკვირდებოდი, მხოლოდ მე ვიცოდი მისი საფიქრალი და საწუხარი, მთელ სოფელში მე ვიყავი ერთადერთი ადამიანი, ვისაც ტკივილს უმვლავნებდა, ვისთანაც გულს იოხებდა. ჩვენი გამგზავრებისთანავე სრულიად მარტო რჩებოდა და ეს მარტო დარჩენა, მარტო ყოფნა რას უქადა, რას მოუტანდა, არავინ იცოდა. ბოლო დროს, როგორც წყალწაღებულ — ხავსს, ისე მეჭიდებოდა. მისი ერთხელ ნათქვამი თანდათან ღრმად ჩამებუჭდა მეხსიერებაში და მეგონა, თუ მივატოვებდი, ცოცხალს ვეღარ ვნახავდი. მაშინ რაც მითხრა, სისულელედ ჩავთვალე და გუნებაში გამეცინა კიდევ. მაგრამ მერმე, დროთა განმავლობაში, უფრო ზუსტად, დრო

და დრო დენივით დამკრავდა და შემარყევდა... „თუმცა შენ ერთხელ კიდევ ჩამოხვალ, ჩამოხვალ მამაშენთან ერთად, როცა მე ამ ქვეყნიდან აბარებულ ვიქნები... ჩემს დასამარხად ჩამობრძანდები, ოხო. ეგვეც საქმეა...“

მამას უკან აღარ დაუხევი, თქვა და მოათავა ამ საკითხზე ლაპარაკი. დავიძინოთ, დროაო, — მიტენარებით გვითხრა და დაგვეტოვა. თავის ოთახში ავიდა, მეორე სართულზე. ანანო მთელი დღის ჭაფით დალილი ჩანდა და დასვენება სჭირდებოდა. უხმოდ ავდექი და დასაძინებლად გავეშურე.

სხევანიარად აღბათ არც მქონდა წარმოდგენილი მამაჩემის დაბრუნება და ჩვენი დახვედრა. ორი დღე ვზეიმობდით, ჩვენს სახლში თითქმის მთელმა სოფელმა მოიყარა თავი, სიმღერა არ დაგვიკლია და ცეკვა-თამაში. მაგრამ გული მაინც რალაცნაირად მეთანდრებოდა, თითქოს ამ ორი დღის განმავლობაში რაც აქ ხდებოდა, იმის მიმართ არაგულწრფელი ვიყავი. მე კი არ შემიძლო ეს არაგულწრფელი დამოკიდებულება ჩემ სულში სასხვათაშორისოდ მიმეფუჩეჩებინა, იგი მაწუხებდა და სინდისივით მქენჯნიდა.

დაწოლისთანავე ჩამეძინა, ეტყობა, მთელი დღე მეც გვარიანად დავილაღე. არ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა. უცებ ცხენის ჰიხინმა გამაღვიძა, გვერდი ვიბრუნე და გამახსენდა, რომ უცნაური სიზმარი დამესიზმრა, თუმცა ყველა სიზმარი თავისთავად უცნაურია.

გამოღვიძებულმა სიზმრის აღდგენა და გააზრება ვერ მოვასწარი, კიბის ჰრიალი და ფრთხილი ფეხის ხმა გავიგონე. საწოლზე წამოვკეცი, მივაყურე. აშკარა იყო ჩვენი კიბეზე ვილაც ჩამოდიოდა. ან აღიოდა. უცებ გულმა რეჩხი მიყო, რატომღაც მამაჩემი წარმოვიდგინე, სწრაფად წამოვდექი და ღია ფანჯარას მივეკარდი.

მთვარე ჭერ არ იყო ჩასული და მამაჩემიც მაშინვე ვიცანი. ქვედა აფანი აღარ გაუვლია, პირდაპირ გადაველო მოაჯირს და ეზოში უხმაუროდ ჩახტა,

ერთხელ მოხედა სახლს და ჭიშკრისკენ გაეშარათა, მოზოშილ, ფრთხილ ნაბიჯებს აღგამდა, მერმე თუთების ჩრდილში დაემკარგა: ფანჯრიდან გადავძვერი და აივნის ბოძს მოფარებულნი ვუთვალთვალედი, მინდოდა გამეგო, სად მიდიოდა. ეზოში ვერ ჩავიდოდი, რადგან მთვართ იყო განათებული და მამა უსათუოდ დამინახავდა, აივნიდან კი უკვე არაფერი ჩანდა. არც ჩამიჩუმი ისმოდა, ნაბიჯების ხმით რომ მაინც მივმხვდარიყავი, საით გაეშურა, მარჯვნივ თუ მარცხნივ? თუ მარჯვნივ წავიდა, ეჭვი აღარ შემეპარებოდა, რომ მაროსთან მიდიოდა, რომ წუხანდელი აყალმაყალის მიზეზიც ეგ იყო... მაგრამ იმ აურზაურის, იმ ხმაურის შემდეგ წარმოუდგენლად მეჩვენებოდა მისვლა იმავე სახლში, საიდანაც გამოაძევეს.

მარჯვნივ, ჩვენი ღობის იქით, შესახვევში გავრთა ნაცნობი ლანდი და ისევე გაუჩინარდა. წუხელ სწორედ იქ იღვა მოყაყანე ქალების ჭგუფი და მამაჩემს უტევდა. ცოტა არ იყოს შევცბი და კარგახანს გაშტერებული ვიდექი, იმდენად აბსურდულად მომეჩვენა ეს ყველაფერი, რომ არ ვიცოდი, რა მექნა. სხვა რომ ვერაფერი მოვახერხებ, უაზროდ გამელიძმა. გარედან შემოვჭექქი ფანჯრის რაფაზე და გულგრილად ველოდებოდი წუხანდელზე უარეს ხმაურსა და აყალმაყალს.

ამ დროს ანანო გამოვიდა ოთახიდან, ფანჯარაზე შემომჭდარი დამინახა და ჩემთან მოვიდა. ანანოს დანახვისთანავე ისევე დავიძაბე.

— არც შენ გძინავს? — მკითხა.

— არ შეძინებდა.

— დაწევი და დაგვიძინებ... ვათენებამდე ჭერ კიდეც ადრეა.

— ცოტა ხანს ვიქნები.

— სხვანაირი ღამეა, არა?

ანანომ, როგორც ჩანს, სცადა ჩემი ყურადღება სხვა საგანზე გადაეტანა, თუმცა „სხვანაირში“ რა იგულისხმა, ვერ გავიგე. ფანჯრის რაფიდან ჩამოგხტი და ღამეს გავხედე. თითქოს მინ-

დოდა დავრწმუნებულიყავი, ანდა იქვე შემემოწმებინა ღამის სხვანაირობა. ეს კი ვიგრძენი, რომ ჰაერი მთვარის სხივებით იყო გაქლენილი, თანაც ათასი იღუმალი ხმა გავიგონე ღამის მწერებისა: კრულები კრულებდნენ, ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ და კიდეც სხვა ხმებიც ისმოდა. ისინი ღამის დიდ ცხოვრებას უცნაურად ამხელდნენ, მაგრამ მე ამჭერად მათთვის არ მეცალა. მთელი არსებით დადარაჯებული ვიყავი და წუთიწუთ ველოდებოდი საშინელ აფეთქებას, რომელიც ამ შვიდობიან, მყუდრო, ნირვანის მომგვრელ ღამეულ ხმებს ერთიანად დანთქამდა.

ანანოს შევხედე, — შემფოთებული თუ არის, მოახლოებულ საშიშროებას თუ გრძნობს-მეთქი. სახეს გარკვევით ვერ ვხედავდი, თუმცა აღვლევებული ან შემფოთებული რომ ყოფილიყო, უსათუოდ შევაცხოვდი.

— კიდეც ერთი დღეც და გუდა-ნაბადს აიკრავთ, წახვალთ, — მითხრა ანანომ, — თითქოს გუშინ ჩამოგიყვანა მამაშენმა პატარა, დაბნეული, შეშინებული... მამას ერთ ნაბიჯზე არ ტოვებდი. ჩემთან არ გინდოდა დარჩენა... ამ ოთახში შეხვედი და ტირილი...

ნუთუ არაფერი გაუგია? თუ არ გაუგია, ახლა გაიგებს-მეთქი. — ვფიქრობდი, მაგრამ გადიოდა დრო და სოფელში ჩამოწოლილი სიჩუმე არ ირღვეოდა.

— ახლა მგონია, რომ სწრაფად გავიდა დრო, ისე ვარ, თითქოს არც მიწვალა, არც მიღლევი...

რალაც ხმაური შემომესმა და შევკრთი, ალბათ სმენამ ან ნერვებმა მილაღატა, თორემ ღამეს ჩქამი არ გაუღია, მხოლოდ კრულები გვიტყვდნენ აქეთ-იქიდან.

— გახსოვს, გზიდან რომ მოგაბრუნე, — გაიცინა ანანომ, — რამდენი ვიზრბინე? შენც კარგად იყავი გასაფათებული, ფეხზე ვერ დგებოდი.

— ნახანებში ვიარე, თორემ ვერ დამეწყოლი.

— დაგწერდი! ეგ კი არადა, მატა-

რბელი დაძრულიც რომ ყოფილიყო, გაეაჩრებდი და ჩამოგვამდი... ახლა მშვიდად ხარ, გაგიუებული აღარ მიიწევ იქითკენ, თუმცა რალა დაგჩჩა, ერთ დღეს კიდევ გაუძლებ...

მთვარით განათებული ეზო განახევრდა. ეტყობა, მთვარე საკმაოდ გადაიხარა, ეზოს დიდ ნაწილს ჩვენი სახლის ჩრდილი ეცემოდა და სიბნელეში ხვევდა.

— ერთი დღე რა არის, თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებთ...

მე ვერძნობდი და ვიცოდი, ანანო სხვა რალაცას მიმანიშნებდა, სხვა რამ აწუხებდა და აწვალებდა, მაგრამ ახლა ამის გაგება არ შემიძლო. მთელი ყურადღება იქითკენ — ლამის წყველილისკენ მჭონდა მიპყრობილი.

სადღაც მამალმა იყვლა, მას სხვა მამლებიც აპყენენ. წინ და უკან, აღმადღამა, გარდი-გარდმო, ყოველი მხრიდან ჰკვეთდა ლამის სივრცეს ელვასავით ცივი და ბასრი ყივილი. მე მზად ვიყავი, ყოველგვარი, ყველანაირი ხმა გამეგონა, ოლონდ არა ის, რამაც წუხელ თავზარდაცემული წამომახტუნა... თითქმის ყველა ვადა გავიდა, მაგრამ კივილი, რომელსაც დაძაბული და წინასწარ შეძრწუნებული ველოდებოდი, აღარ გაისმა, არადა წელანვე, როგორც კი ანანომ ხმა ამოიღო, და დამელაბარაკა, უნდა მივმხვდარიყავი, რომ წუხანდელი ხმაური და წივილ-კივილი ამალამ არ განმეორდებოდა.

— გათენებადღე დიდი დროა, — თქვა ანანომ.

— ეს საქმეა, — ვუთხარი მე, — მხოლოდ ჩვენს ეზოში არ ყივის მამალი, შენი რომ ვიყო, ერთ მამალს მეც ავაყივლებდი.

— ღამეს ტყუილად ათევ, წადი, დაიძინე. — გამოიღმა და მხარზე დამისვა ხელი.

— შენა?

— მეც დაწვეები. აკი გითხარი, გათენებადღე დიდი დროა-მეთქი.

ისევ ფანჯრიდან გადაეძვეერი და საწოლზე მივეგდე. არ დამეძინა. ყურა-

დღება არ მიმიქცევია ან ვერ გავიგუნე, რა ჰქნა ანანომ, ოთახში შევიდა და დაწვა თუ იქვე, აივანზე დარჩა. მამაჩემი რომ დაბრუნდა, თენდებოდა, ჩიტები ახალი გაღვიძებულები იყვნენ და ერთი ქრიამული და ქიქვივი ჰჭონდათ ატეხილი.

ანანო დილიდანვე წავიდა კოლმეურნეობის კანტორაში, შინიდან გასვლისას მითხრა, — მამას ეძინოსო, ჩემს მოსვლამდე ალბათ არც გაეღვიძებო. მართლაც, არ გაღვიძებია სამხრობამდე, ყოველ შემთხვევაში, ოთახიდან ფეხი არ გამოუღვამს. ჭერ ვისაუბზე, ეზოში კარგა ხანს უაზროდ ვიწრიალე, მერმე გამახსენდა, რომ ანანოს ნაჩუქარი წიგნები და ჟურნალები თაროდან უნდა გადმომეღო და შემეკრა. ბევრი არ იყო. ყველა ერთად — წიგნიცა და ჟურნალიც ოცდაათი ან ცოტა მეტი იქნებოდა: ილიასი და აკაკის ლექსები და მოთხრობები, ვეას ლექსები და პოემები, აგრეთვე „შელის სუერის ნაამბობი“, რომელიც კარგად იყო ილუსტრირებული, ყაზბეგის „ხევისბერი ვოჩა“ და „ელგუჯა“, პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილი“, ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირი“, ტოლსტოის „ჰაჯი მურატი“ და „ბავშვობა, ყრმობა და სიჭაბუკე“, დიკენსის „დავიდ კოპერფილდი“, სერვანტესის „დონ კიხოტი“ და ვალტერ სკოტის „აივენგო“. ჟურნალები: „ქართული მწერლობა“, „მნათობი“, ორიოდ ნომერი „ჩვენი თაობისა“ და ერთიც „კავკასიონი“, სულ დაფურცლულ-დაფლმთილი. ეს იყო ანანოს ბიბლიოთეკა, ოთხი წლის მანძილზე ჩემი სულიერი საზრდო. საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, თბილისში წაქითხულ საბავშვო წიგნებს თუ არ ჩავთვლი, მხოლოდ აქ ჩამოთვლილი წიგნები და ჟურნალები მჭონდა წაქითხული. რა თქმა უნდა, ცოტაა, მაგრამ მაინც ბედის კმაყოფილი და მადლობელი ვიყავი. ხომ შეიძლებოდა, ანანოს სულაც არ



ჰქონოდა ასეთი წიგნები და ჟურნალები, დაემღერებოდი თუ რა?!

მეგონა, სწრაფად შევეკრავდი წიგნებს და საქმესაც ამით მოვთავაზებდი, მაგრამ ძველ ჟურნალებს რომ მივაღვექი, მათდამი უეცარი მოკრძალებით გავიშსქვალე, თითო-თითოდ გადმოშქონდა და დიდხანს ვფურცლავდი და ვთვალთვალავდი, ალაგ-ალაგ ვკითხულობდი და უნებურად მახსენდებოდა ზამთრის გრძელი, დაუსრულებელი ღამეების სიხარული, ამ წიგნებისა და ჟურნალების ფურცლისას, ყოველთვის ახალსა და მოულოდნელს რომ აღმოვაჩენდი ხოლმე, თითქოს პირველად მეჭირა, ხელში, თითქოს პირველად ვკითხულობდი. ახლა კი თან მიმჭონდა თბილისში და ვფიქრობდი, — ამით ალბათ ვერასოდეს შეველევვი, რადგან ჩემი ყოფნის უძნელეს წუთებში მხსენებლებით მომეველინენ-მეთქი.

ჟურნალების ფურცლით რომ ვიყავი გართული, მამაჩემი შემოვიდა, ხელები გაშალა და რატომღაც გაიცინა. გამოძინებული და კმაყოფილი ჩანდა, კაცო, რა დრო გასულაო, — თქვა და გატრიალდა. პირი სასწრაფოდ გაიპარსა და დაიბანა. გუშინ ფილო კვლია-შვილმა დამპატიყდა და იქ მივდივარო, — მითხრა, თავისი საპარადო ფორმა კობტად მოირგო, სარკის წინ ერთხელაც დაივარცხნა თმა და ორდენები და მეღლები შეათვალეირა.

როგორც იქნა დავიპარტოხელე, უკეთეს გარემოს ვერც ვინატრებდი. ბოლოსდაბოლოს გავუმხილე, რაც მაწუხებდა, ფრთხილად ვუთხარი, — თბილისში ანაოც ხომ არ წაგვეყვანა-მეთქი; დარწმუნებული ვიყავი, შემეკითხებოდა, — რატომ, რა მოსაზრებითო? მაგრამ მოსაზრების დასაბუთება არ მოუთხოვია, ეტყობა, ჩემი ნათქვამი, ბავშვის აკვიტებულ სურვილად, აჩემებად თუ კაპრიზად ჩათვალა და თვითონ სცადა დაესაბუთებინა, თუ რატომ იყო აუცილებელი ანაოს სოფელში დატოვება. რაც მითხრა, ის ანაოსაგან უკვე გავთნილი მქონდა და

ვიციოდი. რა სათქმელია, სოფლად ფუძის მოშლა, კერის ჩაქრობა უგუნურება იქნებოდა, მაგრამ მე ხომ ანაოს სამუდამოდ წაყვანას არ ვთხოვდი, მინდოდა ცოტა ხნით, თუნდაც ორი-სამი თვით წამოსულიყო, — სხვა გარემოში მოხვედრილმა იქნებ გული გადააყოლოს-მეთქი. ბოლო დროს რაღაცნაირად ვიგრძენი, რომ ანაოს მარტო დატოვება არ შეიძლებოდა. მარტოობა რას უქადა, ამის წინასწარ განჭკვრეტა მე არ შემეძლო, ოღონდ ეს კი იყო, ნათლად ვხედავდი და ვგრძნობდი: ახლა მე ვჭირდებოდი ანაოს. ეს მინდოდა მამაჩემისათვის მეთქვა და ვერ გავუბედე, თუმცა მომაჩერდა, დამაცადა, კიდევ რაიმე სათქმელი ხომ არა აქვსო. მე იდიოტივით გავჩუმდი და ხმა ვერ ამოვიღე. მამამ მიყურა, მიყურა, მერმე ჭული დაიხურა, გაღიმებულმა თითქოს ოდნავ მოზოდიშებით მითხრა, — კვლიაშვილებთან წავედიო და წავიდა.

თვალი გავაყოლე, გამართული, მხედრული ნაბიჯით მიდიოდა, მოძრაობაში ძალა და შეუპოვრობა იგრძნობოდა...

თითქმის შუალამემდე ველოდებოდი თუ და ანაო მამაჩემის დაბრუნებას. ბარგი უკვე სახვალიოდ ჩალაგებული გვექონდა და ანაო, ეტყობა, მაინც ნერვიულობდა. ერთხელ წამოსცდა, — ეს კაცი რა გვექნა, ხომ არ დააფიწყდა, ხეალ რომ მიემგზავრებითო?! მერმე თვითონვე დაიმშვიდა თავი, — რას იზამ, ეგრე ხდებოა, მთელი სოფელი კვლიაშვილებთან იქნებოდა შეყრილი და მაგას ვინ გამოუშვებდაო.

ღილით რომ გამეღვიძა, მამაჩემისა და ანაოს საუბარი შემომესმა. ჯერ, რამდენადაც მიეხვდი, წუხანდელი ღამე მამას შინ არ უნდა ჰქონოდა გათეული, მერმე, ლაპარაკი გახურდა და ადვილად დაერწმუნდი ჩემი ვარაუდის სისწორეში, მამა სულ ახალი მოსული იყო.

— წუხელაც მაროსთან მიხვედი, არა? — ჰკითხა ბოლოს ანაომ.

— არა, კაცო, იქ რა ობრობა მინდო-

და? — მაშინვე იუარა მამამ და გაიცინა.

— შე რას მატყუებ, შენი ციციხეიციცი და ჭამიცა.

— არა, არა-მეტქი! — იცინოდა მამა.

— ნუ იცინი, სანდრო!

— ვთქვათ, ვიყავი, მერმე რა, რა მოხდა ასეთი?!

— არ გეყო? იმ ღამეს ქალებმა ისე გლანძღეს, იმდენი ლაფი გასახეს, პური რომ გჳეროდა, ძალი არ გამოგართმევდა.

— ერთი მაგათი! ეისი რა საქმეა, მე სად დავდივარ?!

— ეგრე რად ლაპარაკობ?

— მამ, როგორ ვილაპარაკო? სახლში ძალით ხომ არ შეგუვარდი, ჰა! ყველაფერი ნებაყოფლობით მოხდა... როცა ასე ხდება ხოლმე, ანაო, არავინ არ უნდა ჩაპყოს იქ ცხვირი, გაიგე? ეგეც არ იყოს, მე კაცი გამამტყუნებს ახლა? იცი, საიდან დავბრუნდი, იცი, სად ვიყავი, რა ჭოჯობეთი გავიარე? მე რომ მომეყოლა, რა ციციხეს გავუძელი და რა ვადავიტანე, მაგათ თმა ყალუხზე დაუდგებოდათ და თვლები ბუღიდან გადმოუცვივდებოდათ. ვაი, დედასა, არ მაპატიეს, არა? ომიდან ჩამოსვლა ვერ მოასწრო, დედაკაცის შეურაცხყოფა მოინდომათ... ვითომ დაავიწყდათ, ომამდეც რომ მანდ დავდიოდით? იმ ადამიანს უნდათ ერთმანეთის შეხვედრა და ხვედებიან... არც იმასა ჰყავს ქმარი და არც მე მყავს ცოლი!

— ეგ რა გამართლებაა, სანდრო?!

— მთავარი რა არის, იცი, ანაო? მე და ის დედაკაცი ერთმანეთს არ ვატყუებთ, შიგნით მეც მართალი ვარ იმასთან და ისიც მართალია ჩემთან.

— ერთმანეთთან იქნებ მართალიც იყოთ, ჭანდაბას თქვენი თავი! მაგრამ ბალღთან თუ ხარ მართალი?

— აბა, ბალღი?

— დაგავიწყდა, შვილი რომ გყავს?

— ხოო.

— შენა გგონია, თვალები აკრული აქვს და ყურები კი — ბამბით გამოტენილი? არაფერს ხედავს და არაფე-

რი ესმის? იმ ღამეს ფეხაკრეფით რომ გაიპარე, გგონია, ვერ გაიგონა, გარეთ გამოვედი და ეგეც აივანზე დამხვდა...

— რაო, რა თქვა?

— რას იტყუოდა? ხმა არ ამოუღია, მაგრამ მე ხომ დავატყე...

— ოზო რაღა ბალღია, კაცია და კაციურად გამიგებს!

ანაო მ როგორც კი მახსენა, მამახეში ვატყადა, უცებ დაჰკარგა წედანდელი ავრესიულობა. თუმცა ერთი-ორჯერ კიდევ სცადა გაბრძოლება, მაგრამ ამჯერად თავს ისე უსუსურად იმართლებდა, რომ ფარ-ხმლის დაყრა ამჯობინა და საბოლოოდ უმცროს დას დაინება. რა კარგად ვიცნობდი ანანოს, წინასწარვე ვგრძნობდი, ამდგვარი რაღაც უსათუოდ მოხდებოდა. ეს საუბარი გასაფრთხილებლად ჩამოუგდო მამას, შეახსენა შვილი, რომელიც ძალაუნებურად თვალს ადევნებდა მამის ყოველ ვადადგმულ ნაბიჯს, მტკივნეულად განიცდიდა ყველაფერს, რასაც ხედავდა და ამჩნევდა. ანაო აპარებდა, რა თქმა უნდა, აპარებდა, მე შემამოვოთა იმ ღამით ატეხილმა აყაღმაყაღმა და მეშინოდა კიდევ არ ვანმეორებულყო, დანარჩენი ისე მტკივნეულად არ ვანმიციდა, როგორც ანაო ხატავდა, თუმცა გარკვეული კვალი დამიტოვა სულის სიღრმეში.

— კარგი, კარგი! — წამოიყვირა ბოლოს მამამ, — რაც მოხდა, მოხდა, ახლა ველარაფერს უშველი.

მათი ლაპარაკი აღბათ, ამით არ დამთავრდებოდა, მაგრამ ამ დროს ვილაკამ ვარულან დაუძახა ანანოს. ბევრჯერ ხმა ვარკვევით ვავიგონე და ღია ფანჯრიდან ეზოსაც ვავხედდე და ჭიშკარსაც. ხმა ისმოდა, ხმის პატრონი კი არ ჩანდა.

— დედა ანაო!

ანაო აივანზე გამოვიდა და ჭიშკარს გასძახა:

— კარი ღიაა, შემოდი!

კარი ჭრიალით გაიღო და ეზოში საშენი შემოლაგდნენ — ილოს ბაღლები, ჭერ გოგონები შემოვიდნენ, მერმე ბი-

გ. მარჯვის ს. ს. საქ.  
სახელმწიფო ბ. ს.

კმა შემოჰყო გაბურძნული თავი, რატომღაც ირგვლივ მიმოიხედა, ეზო გულდასმით მიმოათვალიერა და ისიც შემოვიდა, შუაში ჩაუდგა დებს.

— შეიძლება, დეიდა ანანო? — იკითხა უფროსმა.

ხმა ვიცანი, ეზოს გარედანაც ის ეძახდა ანანოს.

— აბა, ეგ რა საკითხავია?! მოდი, მოდი! — ანანომ კიბე ჩაირბინა და ბავშვებს მიეგება; შემდეგ უკნიდან მოუარა, სამივეს მხრებზე მოხვია ხელი და სახლისკენ წამოლალა.

კიბემდე მორჩილად მოჰყვნენ, კიბესთან რომ დადგნენ, ფეხი ვერ მოაცვლივინა ანანომ, აივანზე ამოსვლა არ მოიწადინეს, რაღაცას ამბობდნენ და ფანჯრიდან გამომზიარას არ მესმოდა.

ამ ბავშვების დანახვისას გაუგებარი, ჩემთვის აუხსნელი გრძობა მეუფლებოდა, თითქოს მეგობრებოდნენ და ამავე დროს რაღაცნაირად ვეკრძალებოდი კიდევ, მოულოდნელად ისეთი პატივისცემით ვიმსჯვალებოდი, თითქოს ჩემზე უფროსები იყვნენ.

ანანომ ბავშვებს ძვრა ვერ უყო, ახლავეო, — უთხრა, კიბე ამოირბინა და შინ შემოვიდა. მე სწრაფად ამოვიცვი შარვალი, ფანჯრიდან გადავძვერი და ბავშვებს მივეახლე. სამივენი თავდახრილები იდგნენ, ჩემთვის არ ამოუხედავთ, მე კი ისე დავტყუროდი, როგორც ბუდიდან ჩამოვარდნილ ბარტყებს, რომელთა გადარჩენა თითქოს მხოლოდ მე შემეძლო. სამივეს თავზე და მხრებზე ფრთხილად გადავუსვი ხელი, ვერ ვიტყვი, მაინცდამაინც სიამოვნება მოგვგარა-მეთქი ჩემმა მოფერებამ, უცნაურად შეიშუშნენ და აიჯაგრნენ, იქნებ დაიმორცხვეს ან მიუცხოეს კიდევ... შესაძლებელია, ჩემს გამომეტყველებაშიც და საკითელშიც გაეონა აშკარა სიბრაულე და იუკადრისეს. მე კი მთელი არსებით მიწოდდა დამახსოვრებოდი, დამახსოვრებოდათ ადამიანი, რომელიც კეთილად იყო მათდამი განწყობილი და თუ ცხოვრების გზაზე სადმე შეხედებოდნენ, მისი

იმედი უსათუოდ უნდა კჭონოდათ, რადგან ეს ადამიანი ყოველთვის გაუფხვდიდა დახმარების ხელს. ჩემი პათეთიკური თავაზი, რაც სახის გამომეტყველებითა და ხელების მოძრაობით უნდა ეგრძნოთ, ბავშვებმა არ მიიღეს, იხტიბარი მაინც არ გავიტეხე და კიდევ ერთხელ მოვეუთათუნე მხრებზე ხელი.

სახლის ღია კარიდან ანანო გამოვიდა და მამაჩემი გამოიყვანა, თან ეუბნებოდა, — ილოს ბალები არიან, შენი ნახვა უნდათო... ილო ხომ კარგად ვახსოვსო?... როგორ არა, ძალიან კარგად მახსოვსო, — ხელები ვაშალა მამამ და აივნიდან გადმოხედა ბავშვებს. სამთავემ დიდრონი წყლიანი თვალები მიაპყრეს სამხედრო ფორმაში გამოწყობილ მამაკაცს, რომელსაც მკერდზე ორდენები და მედლები უბრწყინავდა. იმედითა და სასოებით, ოდნავ შესამჩნევი, გოცებისა თუ ალტაცების ღიმილით შესცქეროდნენ, ისე იდგნენ, როგორც მხსნელის, როგორც ღმერთის, როგორც არამიწიერი არსების წინაშე.

— ძია სანდრო, — როდის-როდის გაბედა უფროსმა დამ, — დღეს მიემგზავრებით, არა?

— ჰო, შეილო, დღეს ვაპირებთ გამგზავრებას.

— ძია სანდრო... იქნებ...

— თქვი, შეილო, თქვი! ნუ გეხატრება, მითხარი! — გაამხნევა და შეაგულიანა მამამ.

— მამაჩემი ხომ არ შეგხვედრიათ... ფრონტზე... იქნებ შემთხვევით სადმე შეხვდით... ძია სანდრო...

მძიმე დუმილი ჩამოვარდა. ამ დუმილს ველარ გავუქელი, სწრაფად ავირბინე კიბე და შინ შევევარი. ჰბიებე-ში ხელებჩაწყობილი ნერვიულად ვწრიალებდი, გული ყელში მჭონდა მობჭენილი და კედლიდან კედელს ვაწყდებოდი. მამაჩემის დაბნეული ლაპარაკი მესმოდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა სიტყვებს, ბავშვებს რაღაცას უხსნიდა, განუმარტავდა... შესაძლოა, ანუგეშებდა კიდევ ისევე, როგორც

სხეები დაიძვრა, — დღეს თუ არა, ხვალ უსათუოდ ჩამოვარ. რა უნდა ეთქვა ბავშვებისათვის? ალბათ ეუბნებოდა იმას, რაც ახლა მათ ყველაზე მეტად სჭირდებოდათ.

უცბე ჭურჭლის კარადაზე შემოდებული ჩასაბერი პარმონიკა დავინახე და, მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემის ნაჩუქარი იყო, დაუფიქრებლად გადავწყვიტე ილოს ბიჭისათვის მიმეცა. პარმონიკას ხელი დავავლე და სასწრაფოდ გამოვედი გარეთ, — ბავშვებმა არ გამასწრონ-მეთქი, რა თქმა უნდა, იმისათვის უფრო უპირიანი იყო, ვიდრე ჩემთვის. მამაჩემს ბავშვებთან საუბარი უკვე მოეთავებინა და ახლა ანანო ტრიალებდა მათ შორის, შინ ებატყებოდა, — ერთად ვისაუბროთო, მაგრამ ბავშვები მაგარზე იდგნენ. მე ჩავიბრინე კიბე და ნიკელის პრილა ინსტრუმენტი ილოს ბიჭს გავუწოდე, — აჰა, გამომართვი-მეთქი. — ბიჭმა ხელები უკან წაიღო და ამომხედა. გამომართვი-მეთქი! — გავუმეროე. ბიჭმა თავი გააქნია, — არაო, თან დებს გადახედა.

— იცი, ეს რა არის? — ვკითხე.

— ვიცი! — მიპასუხა.

— გქონია ოდესმე?

— არა!

— მაშ, თუ არა გქონია, აილე!

ბიჭმა კიდეც ერთხელ გადახედა დებს და გამომართვა, როგორც ჩანს, ცოტუნებას ვერ გაუძლო, თანაც მე საკმაოდ კატეგორიულად ვუთხარი, — აილე-მეთქი! სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა დამორჩილებოდა ჩემს ნებას. უფროსმა დამ ყველას მადლობა გადაგვიხადა და სამივენი უხმოდ გატრიალდნენ, თითოთითოდ გაქვრნენ ოდნავ გამოღებულ ჭიშკარში.

— ამ ბავშვებს დედა არა ჰყავთ, — იკითხა მამაჩემმა, — რაღა ბავშვები გამოგზავნა ამბის ვასაგებალ? კონალამ მოვევლე კაცი!

— დავრდომილია, გარეთ არ გამოდის, — უპასუხა ანანომ.

მე ჭიშკართან მივედი და ორღობეში მიმაველ ბავშვებს გავეხდე. რატომღაც

მეგონა, პატარა ბიჭი უკან შრისხედავდა და კმაყოფილი გაიღიმებდა, შევედი, ბიჭს უკან მოხედვა არ უტღია. ისიც მეგონა, ეზოდან გასვლისთანავე პარმონიკას გამოართმევდნენ და ცნობისმოყვარეობით დაათვალიერებდნენ. აქაც მოვტყუედი. ბავშვები თავჩალუნულები მიიბიჯებდნენ, წინ — უფროსი, მერმე — შუათანა, სულ უკან ბიჭი მიჩანჩალებდა. თმაგაბურძნული, ბუილა. ჩემი პარმონიკა ისევე მარჯვენა ხელში ეჭირა, ხელს რომ მიიქნევდა, მზის სხივზე დროდადრო გაიღვებდა კრიალა ლითონი. გამიკვირდა და ცოტათი გულში კი დამწყვდა, ტუჩთან რომ არ მიიტანა და არ ჩაპბერა. ვეგო მანც, რა ხმას გამოსცემდა ეს მოელვარე, საოცრად ლამაზი საკრავი.

შუალღეს უკვე ვიღებოთ სოფლის ცენტრში, სადაც ჩვენი გასაცელებლად უამრავი ხალხი მოგროვდა, თითქმის მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. მამა, ანანოს შენიშვნების შემდეგ, ცოტა ვერ იყო გუნებაზე, ისე კი ცდილობდა, ეს უგუნებობა არ შემემჩნია, თავი მხნედ ეჭირა, იცინოდა, ხმაშალა ლაპარაკობდა, ვილა-ვილაცეებს ეხვეოდა და მხარზე ურტყამდა ხელს, მაგრამ ჩემდამი მოქცეული განსაკუთრებული ყურადღება, მზრუნველი გამოხედვა მაინც ამხელდა. სულ მეძებდა, მკითხულობდა, იქვე ახლო მდგარს რომ დამინახავდა, თითქოს მშვიდდებოდა. მამაჩემის ასეთი დაძაბულობა არ მსიამოვნებდა, ვწუხდი, — ნეტავი ანანო სულაც გაჩუმებულიყო, არაფერი ეთქვა, უკეთესი იქნებოდა-მეთქი. ამას ანანოც გრძობდა და ერთთავად ჩემს გარშემო ტრიალებდა, მეც მხოლოდ ანანოს ახლოს მიხდოდა ყოფნა. ახლა-ღა, გამგზავრების წინ შეეამჩნე, როგორღაც არაბუნებრივად გამხდარი იყო, დაღუული, თვალის უკეები და ტუჩები ჩაღურჩებოდა... მოულოდნელად მკრეხელურმა ფიქრმა გამიელვა და შემამარწუნა, — ვაითუ ანანოს უკანასკნელად ვხედავ-მეთქი და შემკრთალმა უნებურად თვალებში ჩავეხდე, ანანომ

გამილიმა და თავი დამიქნია, თითქოს ნაფიქრალი ვაიგონა და დასტური მომცა. უეცარმა ელდამ ოფლად გამოყოფა შეზღუდა, სახეზე, მთელ სხეულზე... ოფლი წურწურით დამდიოდა, ანანომ მკლავზე ხელი წამავლო და მკითხა:

— რა მოგივიდა, ოზო?

— არაფერი, — სწრაფად ვუპასუხე, — ცხელა.

— ძალიან ცხელა, — დამეთანხმა ანანო, — ჰაერიც დაიხუთა.

ოფლი რომ შემაშრა, ჩემი მკრეხელური გაფიქრების გამოსასწორებლად ანანოს გავუღიმიე და მოვეხვიე.

— ნეტავი შენც მოდიოდე, — ვუთხარი.

— ნუ გეშინია... ყველაფერი რიგზე იქნება! ოღონდ თქვენ მიხედეთ ერთმანეთს, შენ და სანდრომ.

— ცოტა ხნით მაინც წამოსულიყავი. ანანომ ორივე ხელი შემავლო სახეზე, ასე მიყურა, ერთ ხანს, მერმე თვალებში მაყოცა და „ლილიენკისაყენ“ წამიყვანა.

ჩვენი გამგზავრების დრო დამდგარიყო.

ხალხის ტევრში გავიკვლიე გზა და ამ ფუსფუსსა და ორომტრიალში, გზიდან ოდნავ მოშორებით, თავიანთ ძველ ადგილზე ილოს ბაღლებს მოვკარი თვალი, განმარტოებით იდგნენ და აკვირდებოდნენ ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდებოდა. ბიჭს ჩემი ნაჩუქარი ჰარმონიკა ისე, როგორც გამომართვა, მარჯვენა ხელში ეჭირა.

ჩვენ უკვე დაესხედით „ლილიენკაზე“, რომელზეც ხუთი მგზავრი ეტეოდა. ყველაზე „საპატიოდ“ კოფოზე, მეეტლის გვერდით ჭდომა ითვლებოდა. დანარჩენები ოთხთვალაზე წყვილ-წყვილად, ზურგმუქყევით, მარჯვნივ და მარცხნივ სხდებოდნენ. მამჩემს, რასაკვირველია, კოფო შესთავაზეს, უარი თქვა, — ჩემ შვილთან დაეჯდები, ასე მირჩევნიაო. მეეტლემ ცხენებს შეუძახა, „მე ანანოს გავუღიმიე, ხელი დაავუქნინე და ჩვენი „ეკიპაჟი“ თელავის რკინიგზის სადგურისაკენ ჩაქჩაქით დაიძრა.

ასე დავტოვე სოფელი *არჩილ სულაბაძე*  
უკან რჩებოდა კრამიტით დახურული ქვითიკრის სახლები, ორღობეები, ხილით დახუნძლული ბაღები, ლურჯი ზვრები, მწიფე ყანები, გალავან-მორღვეული თეთრი, პატარა ეკლესია და, რაც მთავარია, იქ რჩებოდა ანანო, რომლის მსგავსი არც მანამდე და არც შემდეგ, არავინ შემხვედრია. როგორც ჩანს, აღამიანები უმადურებდად გაგვაჩინა ღმერთმა, ანდა იმავე ღმერთმა მადლიერებას გარკვეულად დააკლო საფანელი... მე ოთხთვალაზე ვზივარ და მადლიერების გრძნობით გამსჭვალული ანანოზე ვფიქრობ, მებრალებმა და ვწუხვარ, რომ მარტოდმარტო დარჩა და ახლო-მახლო კაცი არა ჰყავს გამგები. ალბათ კარგია, მოყვასურია ეს ფიქრიც, ეს წუხილიც, მაგრამ მაინც ხომ ვერ შეედრება იგი იმ ზრუნვასა და სიყვარულის ენერგიას, რომელიც ანანომ ოთხი წლის მანძილზე ჩემთვის და ჩემს გამო დახარჯა?... თუმცა იქნებ არცაა საჭირო, ასე ცილა-ცილა და მისხალ-მისხალ გავზომოთ და ავწონოთ ქეშმარიტი გრძნობები, რადგან ქვეყანაზე სუფთა სახით არსებობს უმადურებაც — ცივი, უგულო, მშრალი, გამოფიტული, რომელსაც მესხიერება დაბინდული და გამოფიტული აქვს...

დამწიფებული ყანის გასწვრივ მიდიოდა ჩვენი ოთხთვალა, ეს სწორედ ის ადგილია, საიდანაც ანანომ ლტოლვილი მომბარტუნა. მაშინ აქ ნახნავეები იყო, მე დაუსრულებლად მივდიოდი ნახნავეებში და წინ ყვავების გუნდი ყრანტალით ამიფრინდა. უცებ შევკრთი, რადგან ყვავების ჩხავილი ცუდად მენიშნა, იმდენად ცუდად, რომ თავის თავსაც ვერ გავუხილე. ამ გზით დავბრუნდით მე და ანანო სოფელში, ის სამიოდე ნაბიჯით მიდიოდა წინ და მე თოვტამობმულ ხბოსავით უკან მივყვებოდი, ეს გზაც დაუსრულებელი მეჩვენებოდა.

ახლა გადავივლით ბორცვს და ალანის ველი გამოჩნდება, ვარდისფერ, გამჭვირვალე ნისლში დაძირული, ხო-

ლო იმ მითრთოლვარე ნისლის მიღმა, როგორც სიზმარში, მოულოდნელად გამოგვეცხადება კავკასიონის დათოვლილი მწვერვალები. ის არაფერს ნიშნავს, რომ იცი და წინასწარ ელოდები მათ გამოჩენას, მაინც მოულოდნელად გამოგვეცხადება.

— ოზო, — მხარი გამკრა მამაჩემმა. — ერთი რამ უნდა გითხრა და, თუ ღმერთი გწამს, კარვად გამოვიგ.

მივხედე და უსიტყვოდ ვანიშნე, — გისმენ-მეთქი.

— მაროს... მარო მასწავლებლის თხოვნა უნდა გადმოგვეც. ხომ იცი, ქალაქი მაინც ქალაქია, ის გოგო პირველად არის ქალაქში, თანაც მარტოა და შეიძლება გაუჭირდეს კიდევ. შეიძლება კი არა, ნამდვილად გაუჭირდება. ყურადღება მიმიქციეო, — ვთხოვა, მისამართი მომეცა, კიდევ რალაც-რალაცეები გამომატანა... ანანოსთვის არ მიიტქვამს. რალაცაზე გამიბრაზდა და... შენც იცი ქალების ამბავი...

— კი, ვიცი.

— ერთი სიტყვით მაროს... ჰო, მარო მასწავლებელს შენი დიდი იმედი აქვს, — ოთხი წელი ერთ მერსზე ისხდნენო, მეგობრობდნენო.

— მარო მასწავლებელს რომც არ დაებარებინა, მე მაინც მივხედავდი. —

— ჰო, ეგრე, ეგრე... ისე, ამბობენ, ნიჭიერი გოგაო.

— მე მგონი... კი, ნიჭიერია.

— ალბათ მოხვდება უმაღლესში.

— ეტყობა, მოხვდა, რახან სოფელში არ დაბრუნდა. თვითონ მითხრა, იმ ინსტიტუტში ერთი თვით აღრე იწყება გამოცდებით. ალბათ ჩააბარა.

— ჰო, ეგრე, ეგრე, შენი ჭირიმე!

ყველა გადაუღებელი საქმე მოგვარდა: ბინა დავასუფთავეთ და დავალაგეთ, პურისა და სურსათის ბარათები ავიღეთ და ინდუსტრიულ ინსტიტუტში საბუთები შევიტანეთ. მანამდე, რასაკვირველია, საბურთალოს ბაზარში ჩემთვის ერთი ხელი საზაფხულო ტანსაც-

მელი (შარვალი, პერანგი, ფეხსაცმელი) შევიძინეთ. მამას ათას კვანძს შესთავაზეს სამსახური, მთელი კვირა ორკოფობდა, ყოყმანობდა, ფიქრობდა, დიდი არჩევანი ჰქონდა და ალბათ საბოლოოდ ამიტომაც ვერ გადაწყვიტა, სად დაეწყო მუშაობა.

საბურთალოს ბაზარში ნაყიდი ტანსაცმლით რომ გამომაწყო, საკუჭნაოდან საკმაოდ მოზრდილი და მძიმე, ბიზგადაკრული კალათი გამოათრია და მითხრა, — ეს ზიზის მიუტანეო. ცოტა მეუხერხულა ამხელა კალათით ქუჩაში გასვლა და ფრთხილად შევაპარე, — ჩემოდანში ხომ არ გადაგვეწყო, სატარებლად ის უფრო მოსახერხებელია-მეთქი. თუ ღმერთი გწამს, სხვის კალათაში ფთურას ნუ დამაწყებინებო, მიპასუხა, — არა უშავს ჩინ-მედლებს არავინ ჩამოგართმევსო. ანანოს როგორ აუხვიე თვალები, ეს როგორ გამოაპარე-მეთქი? — ვკითხე. იცის ბიჭმაო, — თვალი ეშმაკურად ჩამიკრა. მეც გამეღიმა, ოღონდ მამაჩემის გულუბრყვილობაზე, დარწმუნებული იყო, — ამხელა კალათი სოფლიდან ისე წამოვიღე, ანანოს არათფერი გაუგიაო.

თბილისში დაბრუნება უფრო სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი, ვითომ ტყვეობიდან დახსნილის სიხარული უნდა განმეცადა. გამოიმგზავრებამდე რამდენიმე თვით აღრე უკვე სხვანაირად ვფიქრობდი, მაგრამ მაინც არ მეგონა, თუ აქ ჩამოსული ყოველდღიური, თითქმის ტყუილბრალო წვრილმანი ფუსფუსი ჩამითრევდა.

როგორ ვიფიქრებდი, ამდენი ხნის უნახავ სკოლის ამხანაგებს ვერ შევხვდებოდი. მეგონა, ალტაცებით შევეგებებოდი ერთმანეთს, თბილისის ქუჩებში აღმა-დაღმა ვივლიდი, სათქმელს ვიტყვოდი, შთაბეჭდილებებს ვაუზნიარებდი, დროს ვავატარებდი. დრო კი ისე გავიდა, ძველ ამხანაგთაგან არავინ მომიჩანებულა... არცერთის ასავალ-დასავალი არ ვიციოდი, როგორ ცხოვრობდნენ, როგორ დაამთავრეს სკოლა, სად აპირებდნენ სწავლის

გაგრძელებას. პირველ ხანებში სოფლიდან მოკლე-მოკლე წერილებს ვუგზავნიდი, პასუხი რომ ვერ მივიღე, მეც ხელი ჩავიჭინე, რვეულის სუფთა ფურცლებს ისედაც ვერ ვშოულობ-მეთქი. სამაგიეროდ თბილისში დაბრუნებისას მქონდა მათთან სასიხარულო შეხვედრების იმედი.

მძიმე კალათით „ხელდამშვენებული“ გავედი ეზოდან და გეზი პლატონის ქუჩისაკენ აღიღე, სადაც ზოზი დაქირავებულ ბინაში ცხოვრობდა თურმე. ეს ქუჩა კარგად მახსოვდა, ჩვენს უბანში იწყებოდა და კარლ მარქსის მოედანზე გადიოდა. ამაზე ვიწრო და მოკლე ქუჩა თბილისში ალბათ იშვიათად მოიძებნებოდა, კორიდორივით იყო და ხანდახან, როცა გზის შემოკლება გვინდოდა, უბნელი ბიჭები ამ ქუჩით დაედირდით ხოლმე.

სალამოს ჩრდილი ეფინა ჩვენი ქუჩის ორივე ტროტუარს, მზის სხივები მხოლოდ მეორე სართულის ფანჯრებს აელვარებდა, ისიც ზედა მიწებს. ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწვედი წინ, ათიოდე მეტრს გავივლოდი და შევისვენებდი, კალათმა მკლავები დამაწყვიტა. ხელისგულებზე ბებრეები გამიჩინა. მიინც რას უგზავნიდა ამისთანას, მხოლოდ ტრაქტორის ნაწილები შეიძლება ყოფილიყო ასეთი მძიმე.

ქუჩის კუთხეს მივადექი, შენობის ამ კუთხიდან ქუჩა ფართოვდებოდა, პატარა მოედნის შთაბეჭდილებას ჰქმნიდა. ომამდე აქეთ და იქით დუქნები და სახელოსნოები იყო ჩარიგებული, იმათგან მხოლოდ საპარიკმახერო დაიტოვა ცხოვრებამ. საპარიკმახეროს რომ გასცდებოდი, ქართული პური ცხვებოდა, მოპირდაპირე მხარეს ირანული ლავაში, იქვე — სამჭედლო, ცოტას გაივლიდი და — სამღებრო... პარშენას დუქანი ანუ სახარჩოე... ეკლესიის ეზოსთან, სარდაფში მოხუც მხატვარს სახელოსნო ჰქონდა გახსნილი, ამ მხატვრის გვარი გვიან შევიტყე, იგი ზაზი-აშვილი აღმოჩნდა, გიგო გაბაშვილის სკოლის მხატვარი, რომელიც ჩვენს

უბანში არ აქაჯანებდა ფიროსმანს, — ხატვა არ იციო, და თერთონ ხატავდა აბრებს, ჩვენი უბნის პატარა ეკლესიაც ალაგ-ალაგ მისი მოხატული იყო...

საპარიკმახეროს წინ ჯარისკაცების ჭკუფი დავინახე, ზოგი ტროტუარის კიდეზე იჭდა, ზოგი ფეხზე მდგარი საუბრობდა. ნელ-ნელა, სვენებს-სვენებით, მივეახლოვდი და, ცოტა არ იყოს, მათი ჩაცმულობა მეუცნაურა. ახლოს მისულმა გავარკვიე, თურმე ტყვეები ყოფილან. ტყვეებს პირველად ვხედავდი, კალათი მაშინვე ძირს დაედგი და მივაჩერდი. იქ სხვებიც დამხვდნენ ჩემსავით ცნობისმოყვარენი, იღვნენ და დიდი გულისყურით ათვალიერებდნენ უცხო ადამიანებს, ბუბოდნენ, კამათობდნენ, ათასგვარ ვარაუდს გამოთქვამდნენ. გამიკვირდა, ტყვეებს სუფთად და კობტად ეცვათ, თავიც ღირსეულად ეჭირათ, იმდენად ღირსეულად, რომ ზოგი ცნობისმოყვარე გაღიზიანებას დაუფარავად გამოხატავდა, — თუ ტყვეები არიან, ტყვეებს უნდა ჰგავდნენ, დაგაიწყდათ, ჩვენებს რა დღეს აყრიდნენო?! საწინააღმდეგო აზრს უფრო მეტი მომხრე გამოუჩნდა და საბოლოოდ დადგინდა, — ტყვეც ადამიანი და ადამიანურად უნდა მოვეყურათო. ასე იყო თუ ისე, ტყვეებს ქართული არ ესმოდათ და ალბათ არც აინტერესებდათ, თითო-თითოდ შედიოდნენ საპარიკმახეროში და იქიდან გაკრუპილები და გაპარსულები გამოდიოდნენ. ვილაცამ თქვა, ესენი გერმანელები არ უნდა იყვნენ, სხვა ენაზე ლაპარაკობენო, მეც ამის შემდეგ მივაცურე და სოფლის სკოლაში ნასწავლი გერმანულით მივხვდი, სხვა ენით მეტყველებდნენ, ამას ახლავე დაგიდგენო, — თქვა ერთ-ერთმა იმათგანმა, რომელიც ტყვეებისათვის განსაკუთრებულ რეჟიმს მოითხოვდა. ეტყობა, შეხედულება აქვე შეეცვალა, რადგან ტყვეებს გაღიმებული მიეხლა და პაპიროსიც კი შესთავაზა, რაზეც იმათ უარი არ უთქვამთ. თვითმარქვია პარლამენტორმა ენესტ-მიმიკის ენითა და სახელ-

დახელოდ მოგონილი ესპერანტოთი დაადგინა, რომ ტყვეები მაღიარები ანუ უნგრელები იყვნენ. ამ ცნობამ გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც ჩანს, გუშინდელ მტრებთან — გერმანელებთან ურთიერთობას რატომღაც ერიდებოდნენ და რახან ესენი უნგრელები აღმოჩნდნენ, თითქოს ტვირთი მოეხსნათ, გამხიარულდნენ და აყაყანდნენ, ერთმანეთში აირივნენ. მე ამიტაცა საერთო განწყობილებამ, მიხლოდა ჩაერეულიყავი, რაღაც მეთქვა, მაგრამ კალათზე ვიყავი გამობმული და აღარც მოვლენების შემდგომი განვითარებისათვის თვალის მიდევნება დამცალდა, რადგან ნაცნობი ხმა გავიგონე.

— ოხო! — ეს იყო გაკვირებისა და აღტაცების შექაჩილი, — მე კი შენთან მოვდიოდი!

ზიზი გადამეხვია და გადამოცნა, გახარებული შემომციცინებდა. მეც იმდენად გამიხარდა, ენა დამება და სიტყვის თქმა ვერ მოვახერხე. სულ ის მელაპარაკებოდა, — შორიდანვე გიცანი, მაგრამ თვალბს არ დაუჭყეციო... მამაშენის დაბრუნება დედამ შემატყობინა და დღე-დღეზე ველოდებოდი თბილისში თქვენს ჩამოსვლასო... უცებ იმდენი რამ დამაყარა, რომ მათი დამახსოვრება, თავმოყრა და დალაგება გამიჭირდებოდა, ამიტომ ვალიმებული ვუცქერდი და აღარ ვუსმენდი. ბოლოს მოვიფიქრე და ვუთხარი, — აქაურობას გავეცალათ-მეთქი. ცნობის-მოყვარეთა რიგები თანდათან შევსებულყო და უნგრელებსა და ქართველებს შორის ხელჩართული საუბარი იყო გაჩაღებული. ზიზიმ ახლალა შენიშნა ტყვეები და თქვა, — ესენი უნგრელები არიანო. აქამდე სად იყავი, — ვუთხარი ხელმოხანარევი გაკვირვებით, — ამათი ეროვნება ძლივს დავადგინეთ-მეთქი.

ორივემ შეთანხმებულებივით წავაველეთ კალათს აქეთ-იქიდან ხელი და პლატონის ქუჩისაკენ გავეშურეთ. ამ ორი თვის მანძილზე საკმაოდ გამოცვლილიყო. ჯერ ვერ მივხვდი ამ ცვლი-

ლების მიზეზს, მაგრამ გზაში მივაქციე: ყურადღება, რომ თმა მოკლედ შეგვჩაქა და ჩალისფრად გადაეღება, წარბები ამოეჭნა და თვალებს ზემოთ ახალ მთვარესავით მორკალული ორი წერტილი ზოლი დაეტოვებინა. ამასთანავე, გაფერმკრთალებული და გამხდარი მეჩვენა, შესაძლოა, ამ შთაბეჭდილებას სრული, მაღალმხრებიანი კაბა და ხის სქელ ლანჩიანი ფეხსაცმელი ქმნიდა. ერთადერთი, რაც შეენარჩუნებინა, ეს იყო შინდამზადებული ნელსაცხების მძაფრი სურნელი.

როგორც კი ზიზი დავინახე, რაღაც ნაირად მივხვდი, გამოცდები არ ჰქონდა ჩაბარებული...

ხელიხელჩაკიდებულებივით მივიდოდით, ტვირთი საგრძნობლად შემსუბუქდა, აღარც წვივებზე მეხახუნებოდა და თავისუფლად მივაბიჯებდი. ზიზისთან ლაპარაკით ვართულმა წინიდან მომავალი სკოლის ამხანაგი ვიცანი, დურმიშან წილოსანი, გამიხარდა, ვიფიქრე, — ისიც მიცნობს და მივესალმებით-მეთქი, მაგრამ ისე ჩამიარა, არც შემოუხედავს, ალბათ ვერ მიცნო, ან მიცნო და თვალი ამარიდა... თუმცა თვალი რატომ უნდა აერიდებინა?

— იცი, როგორ მომენატრე, — მეუბნებოდა ზიზი, — სხვებიც, განსაკუთრებით — ანანო.

— მეც მომენატრე, ალბათ ანანოსაც ენატრები.

— მამა როგორ არის, ხომ საღსალამათი დაბრუნდა?

— საღსალამათი! (როგორ ვერ ვიტან ამ სიტყვას!).

— ეპ, — ამოიოხრა ზიზიმ.

— რა იყო? — ვკითხე.

— არც რა.

— რას ნიშნავს „არცრა“? — ვითომ ვერ გავიგე რას მეუბნებოდა.

— ვერ ჩავაბარე... ჩავიჭერი.

— მაინც რა ვითხრეს?

— რას მტყუოდნენ, მერმის მოდიო... ჩემი ბრალაა, გამოცდებზე ეგრე ვასვლა იქნებოდა? ხეირიანად ისიც არ ვი-



ცოდი, რა უნდა ჩამებარებინა და როგორ უნდა ჩამებარებინა.

— სოფელში თუ შეატყობინე?

— არა.

— რატომ?

— რა ვქნა, არ ვიცი, დედას თუ ვავებინე, წამიყვანს, თუ წამიყვანა, როგორღა მოვემზადო.

— იქვე აპირებ ჩაბარებას?

— მაშ!

— იქნებ სხვაგან გეცადა...

— ათი წელი რომ დამჭირდეს, მაინც იქ ჩავაბარებ.

— დედაშენს რა უთხარი, — ჩავიროცხეო?

— თავისუფალ მსმენელად ჩამრიცხეს-მეთქი, — ასე მივწერე... აქ გოგობიჭები გავიცანი, კარგები არიან... ზოგჯერ ლექციებსაც დაევსწრები... მოგიხერხებთო, — მითხრეს. სხვანიარად არაფერი გამოვა, ოხო, სოფელში რომ დავბრუნდე, სულ გამოყვარუდები.

— როგორ გითხრა, ალბათ უკეთესი იქნება, აქ რომ დარჩე.

— ბოლოსდაბოლოს, თუ გამოიჭირდა, ვიმუშავებ! წავალ და ქარხანაში დავიწყებ მუშაობას, პურის წიგნაკსაც მომცემენ და ქალაქშიც ჩამწერენ! ეგრე კი არ არის საქმე?!

— ნება შენია, ზიზი, მე მხოლოდ ერთი მინდა... მინდა, შენ იყო კარგად.

— შემოდგომაზე სეზონი გაიხსნება, თეატრებში ვივლი, ყველა სპექტაკლს ვნახავ... ცოტა გამოცდილება, რომ მქონოდა, ნაღდად ჩავაბარებდი. ჩემსავით ერთმაც ვერ იმღერა, ვერც იცეკვა... ჩემისთანა სმენა და რიტმის გრძნობა არცერთს არ ჰქონდა.

მოწითალო-მოყავისფროდ შეღებილ სადარბაზოსთან შემაჩერა, — აქ ცეცხოვრობო, თავისუფალი ხელით მიაწვა კარს და შეაღო. აგურის ყრუ კედელში ჩასმული კარი ძალიან ჰგავდა სადარბაზო შესასვლელს და ასეც შეგონა, — შენობაში შევედივარ-მეთქი, მაგრამ ღია კარს იქით სუფთა, მოვლილი თბილისური ეზო დავინახე, რიკულეზიანი აივნებითა და შუშაბანდებით

შემოზღულული. ქუჩა გაცრდუნებდა მძალია ვადიოდა, ეზოში ჩახსსკლეკლად ხუთი-ექვსი საფეხური უნდა ჩაგეარა.

— ძალიან ცხელია, სული მეხუთება! — თქვა ზიზიმ და შუბლზე ცხვირსახოცი თეიმშრალა ოფლი, მერმე თითქოს ჩურჩულით გამაფრთხილა, — ჩემი დედაბერი ცოტა უცნაური ქალია და არაფერი გაგიკვირდეს.

კალათს ორივე ხელი წავავლე, ავწიე და ეგრევე ციმციმ ჩავარბენინე ეზოში. კვირა საღამო იყო, ეზოშიც და ორივე სართულის აივნებზე მეზობლები იყვნენ გამოფენილნი. ამიტომ მათ წინაშე ჩემი კალათიანად გამოჩენა მნიშვნელოვან მოკლენად უნდა ჩათვლილიყო და ჩაითვალა კიდევ, პატარა ჩოჩქოლი ატყდა, — ეს კალათი ნეტა ვის ეკუთვნისო, მაგრამ ზიზიმ სწრაფად ჩამოათავა კიბე და ყველაფერი ნათელი შეიქნა. იქვე, ხელმარჯვნივ, შუშაბანდში შემოძლვა.

შესვლისთანავე დავდე კალათი, წინასწარ დაშინებულმა, დამშვიდობება და გამობრუნება დავაპირე, — დედაბერს არ შევეფეთო-მეთქი. ჭერ თვითონ ზიზი გადამეღობა, მერმე ოთახიდან გამოვიდა მოხუცი ქალი, რომელიც ზიზიმ წყლან ადგებულად ახსენა ეს ქალი წიგნებში წაითხულ ცხოვრებისაგან გაბოროტებულ, ხარბ დედაბრად წარმოვიდგინე, ოთახიდან კი სასიამოვნო შესახედაობის მოხუცი ქალბატონი გამობრძანდა, თხელი, მაღალი, ჭაღარა. სახის ნაკეთები სწორი და დახვეწილი ჰქონდა, თუმცა ღრმად დანაოჭებული. ოქროს პენსე ეკეთა. გამოსვლისთანავე, რა ხდებაო, — იკითხა და მე რომ დამინახა, თავაზიანად მომესალმა.

ბოლომდე მაინც არ ვენდე ჩემს პირველ, უშუალო შთაბეჭდილებას, თუმცა ოთახშიც შემომატიკა და დამსვა სასადილო მაგიდასთანაც, რომელსაც გუმბათივით ეხურა ჰერდიან ჩამოშვებული, მდელიოსფრად განათებული დიდი აბაყური. დადარაჯებული ვიჭექე და ველოდებოდი, ან ახლა გამაქლავნებს და გაამხელს, ან ახლა-მეთქი თა-

ვის უცნაურობას. ზიზისი მჭეროდა და ვენდობოდი კიდეც, მაგრამ მოხუცი ქალბატონი ამ საღამოს, მგონი, არ აპირებდა თავის უცნაურობათა გამოხეურობას.

ძალა არავინ დამატანა და არც მე დავიდე თავპატოი, სიამოვნებით დავრჩი ერთი ფინჯანი ჩაის დასალევად. დავრჩი, რადგან იქაურობა მომეწონა, მართალი გითხრათ, ასეთი მყუდრო გარემო ჯერ არ მენახა და ზიზისი ცოტა შემშურდა კიდეც.

მაგიდაც, ნოხგადაფარებული ქართული ტახტიც, კარადებიც, წიგნის თაროებიც, საწოლიც, თეჯირიც ოთახში ისე იყო განლაგებული, რომ ავეჯის სიჭარბე არ იგრძნობოდა. განსაკუთრებით ერთი კუთხე მომეწონა; წიგნის თაროებთან დაბალი მრგვალი მაგიდა და სავარძელი.

უხმოდ შევექცეოდით ყურძნის მურობიან ჩაის, ყურძნის მურაბა მეცნო, ზიზის დედის ნახელავსა ჰგავდა. მაქარი რომ არ იშოვებოდა, ბადავით ხარშავდა და მურაბის მაგვარი რაღაც გამოუღიოდა.

ოთახის ორივე ფანჯარა ღია იყო, მაგრამ გარეთ უკვე სიბნელე ჩამოწოლილიყო და არაფერი ჩანდა, არც ხმაური ისმოდა.

ღიასახლისმა ჩაი რომ დალია, ერთი ღერი პაპიროსი და საფერფლე მოიტანა, პაპიროსს ცეცხლი მოუკიდა და ბოლი ბოლქვებად გაუშვა ღია ფანჯრებისაკენ. მერმე ნელ-ნელა შევეყვით საუბარს, დაინტერესდა, ვინ ვიყავი, სად ვსწავლობდი. როცა ვუთხარი, თბილისელი ვარ, ამ უბნელი, აქ დავიბადე-მეთქი. სოფელში ყოფნას თავისი კვალი დაუტყვია, ჯანმრთელად და მხნედ გამოიყურებო, — მითხრა.

ღიხანს აღარ დავყოვნდი, კეთილი მასპინძლობისთვის მადლობა გადავუხადე მოხუცი ქალბატონს და წამოვედი. ზიზიმ გამომაცილა.

— რას ერჩი? — გამოსკლისთანავე კითხე.

— არაფერს, გღია თავისთვის და ვადაღოს!

— მოიცა, ეგრე როგორ იქნება?!

— მაგას შენ ვერ გაიგებ, ეგ რომ გაიგო, ქალი უნდა იყო!

— მე მგონი, შენ ცოტას ამეტებ.

— აბა, მიდი და იმ დედაბერს მთელი დღე მიუჯექი! — უცმაყოფილოდ წამოიძახა ზიზიმ, — ათ საათზე წვეება და იძინებს, დილის შვიდ საათზე უკვე ფეხზეა და გადი-გამოდის.

— ეგრე არ იყო იქაც? — სოფელი ვიგულისხმე.

— იქ საქმე გვექონდა, აქ რა ამაყენებს შვიდ საათზე?!

ლაპარაკ-ლაპარაკით მივედით საპარკმახერომდე, სადაც წელან უნგრელები ისხდნენ ტროტუარზე. ახლა მე გაგაცილებ-მეთქი, — ვუთხარი და უკან მოვბრუნდი. ახალი სიტყვების, გამოთქმების და მოძრაობის ათვისება მოესწრო უკვე, კი, საგრძნობლად იყო შეცვლილი, ისიც ვიფიქრე, — ასეთი მოუსვენარი ბუნების გოგოს გაუჭირდება-მეთქი იმ მოხუცი ქალის შეგუება, მის გვერდით ყოფნა. მიუხედავად ამისა, რაღაც მაწუხებდა, არ მომწონდა, თითქოს ყველაფერი ისე არ უნდა ყოფილიყო, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა.

— მოვეშვით იმ დედაბერს... შენი მითხარი, ოზო, — ორივე ხელით მკლავზე დამეკიდა და მხარზე მომაყრდნო თავი, — დადიხარ გოგოებში?

— სხვა რა საქმე მაქვს! — თავი გამოვიდე.

— გახსოვს, რომ დათვერი?... რა დღეში ჩამავლე? წაგიყვანე და ანანოს კართან მიგაყუდე. მერმე ერთი კვირა ცერად მიყურებდა ანანო.

იმ ამბის გახსენება არ მინდოდა და სიტყვა შევაწყვეტინე, თმა შეგჭრიამეთქი, — ვუთხარი, შეფიჭრიდი, მაშინაწავიანი ხომ არ ვიკლიდიო, — გიცინა.

— აქამდეც როგორ გაუძელი, აღმათ დედაშენი არ გაჭრევენებდა.

— შევიჭერი და გაყვიდე, აქ მაგის

მოვლის თავი ვის ჰქონდა! ეგვეც არ იყოს, ვინ დადის ახლა ნაწნავეებით?

— გაყიდე?

— კი, კინოსტუდიაში მივიტანე, ასორმოცდაათი მანეთი მომცეს და დავმღერეთ...

— ხოო...

— მაგას სხვა დროს გიამბობ, ძალიან სასაცილო ამბავია.

— სხვა დროს იყოს... უკვე შენს სახლთან მოვსულვართ.

— თუ გინდა, ცოტაც გავიაროთ და მოგიყვები...

— არა, არა...

ზოზის, როგორც ჩანს, ეწყინა ჩემი უარო; უცებ ხელი ჰკრა კარს და შევეარდა, თვალი გვაეყოლე, მაგრამ კარი თავისით სწრაფად მოიხურა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ზიზი სადაც გადაეშვა ან სიბნელემ დაწთქა.

გზაში ვინანე, ლაპარაკი რომ არ ვაკაოე და სიტყვა გაეაწყვეტინე, ახლა უკვე დამინტერესა, ვინ გაიცნო, ვის დაუშეგობრდა, ვისთან ერთად დაამღერა თმაში აღებული ასორმოცდაათი მანეთი? თბილისს ძალზე გაშინაურებია, ცოტა შემავებუნა თმის გაყიდვამ, მაგრამ მომეწონა ზიზის შეუპოვრობა... არაფრის ეშინია, მიდის და მიდის, მხოლოდ თავისი თავის იმედი აქვს, თუ დასჯირდა იმუშავებს კიდევ. და მინც ექვის ჭია მიღრღნიდა წელანდელივით გულს, იქნებ მომაჩვენა, რომ ინსტიტუტში განცილილი მარცხით არაფერი დაუკარგავს, პირიქით, — შეიძინა გამოცილილება. რაც მომავალში საქმეს წაადგება, თანაც მაგრძობინა, — თბილისშიც ისე ვარ, როგორც თევზი წყალში, — სინამდვილეში კი, რასაც გრძობდა და განიცდიდა, დამიძალა.

მე მხოლოდ დაეჭვებულ ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ უნდა გადავწყვიტო და გავბედო, — გადავდგა ეს ნაბიჯი, თუ არ გადავდგა-მეთქი, თუ გადავდგი, ეკვი არც შემდეგ მისვენებს. სხვანაირად მოქცევა არ შემთქლია... არ შემთქლია, პირველი გაცნობისთანავე აღამიანს მხარზე მოვეტყაპუნო ხელი

და იქვე მეგობრული ურთიერთობა დავამყარო; არ შემთქლია, უბრალო ურთიერთ ავილო, ჭეჩა გადავჭრა იქ, სადაც გადასასვლელი არ არის, ტრამვაიში წინა ბაჭინდან ავიდე; არ შემთქლია, კაცს ვუთხრა, — მოვალ-მეთქი და არ მივიდე... ათასი რამ არ შემთქლია და სხვებს რომ ვაკვირდები, მაწუხებს ჩემი თავი, ჩემი ხასიათი და ბუნება... ისე კი უკმთესი იქნებოდა, ისიც მცოდნოდა, რისი გაკეთება შემეძლო.

შინ დაბრუნებულს მამაჩემმა მკითხა, — როგორ არის ის გოგო, რას შერება, შეეჩვია თუ არა აქაურობასო? დიდებულად დაბინავებულა და თავსაც მშვენივრად გრძობს-მეთქი. ჩემს არყოფნაში მამას ნათქურაზე მჭადი დაეცხო, ცხელ-ცხელი დამახვედრა, ყველიც გექონდა და გემრიელად ვივასშმეთ. ზიზიზე სხვა არაფერი უკითხავს და არც მე მომიწადინებია ჩემი შთაბეჭდილების ბოლომდე გაზიარება. ამ დღეებში კიდევ მივალ და დავხედავ, გავიგებ, რა ჭკუაზეა-მეთქი, — გავიფიქრე, მაგრამ დღეები ისე გავიდა, ზიზისთვის ვერ მოვიცალე, ინსტიტუტში ლექციები დამეწყო და თავისუფალი დრო სულ აღარ მრჩებოდა.

კვირისათვის გადავდე ზიზის მონახულება, მაგრამ სწორედ კვირა დღეს გავედით მე და მამაჩემი კუკის სასაფლაოზე, მამამ მითხრა, — წუხელ დედაშენი დამესიზმრა... ხუთი წელია ნინოს საფლავზე არ ვყოფილვარ და იქნებ ვერც მივაგნოთო. მამაჩემის გადაწყვეტილებამ გული ამიჩუყა და თითქოს ზედამირზე ამოაცურა ის გრძობა, რომელსაც თვითონვე ვძირავდი გულის სიღრმეში. სასაფლაოზე მივდიოდი სიხარულით, რადგან სოფელში მომხდარი ამბის შემდეგ მეგონა, დედა სამუდამოდ ჰყავდა დავიწყებული.

აღარ მახსოვდა არც ის, დედა სად დავსაფლავეთ და არც ის, როგორი იყო საფლავი. დიდხანს უგზო-უკვლოდ ვიარეთ საფლავთა ლაბირინთებში, ხან — აღმა, ხან — დაღმა, დაახლოებით აქ უნდა იყოსო, — იტყოდა მამა, მი-

ვიდოდით და, სამწყხაროდ, იქ არ აღ-  
მოჩნდებოდა. ზოგიერთ უცხო საფლა-  
ვთან ჩერდებოდა, წარწერას წაიკითხა-  
ვდა და სინანულის მაგვარი ღიმილი გა-  
მოეხატებოდა სახეზე, ვაჰ, ესეც აქ ყო-  
ფილაო! — წამოიძახებდა გაკვირვებული.  
თითქოს თავის თავს, ელაპარაკებოდა:  
მე მეგონა, მართო იქ იხოცებოდნენ,  
ხალხს აქაც დარევივა მიქელ-გაბრიელი,  
ხედავ, ეს სასაფლაო სადამდე წასუ-  
ლაო. შეიძლება თავს იმართლებდა, რა-  
ხან დედის საფლავს ვერ მივაგვინთ.

აღრიანად წამოვედით და უკვე სა-  
კმაოდ ჩამოცხა, მზე თავზე წამოგვა-  
დგა. სასაფლაოს დარაჯი მოენახეთ, და-  
რავამა ისიც კი ვერ გაიგო, რა გვინდო-  
და, რას ვეკითხებოდით, ღვინით თუ  
არყით იყო გამობრუებული და ისე უა-  
რდა, კინაღამ გული ამერია. სასოწარ-  
კვეთილი შეგვყურებდი დაბნეულსა და  
დარცხვენულ მამას, რომელიც დაძაბუ-  
ლი კი იყო, მაგრამ იხტიბარს არ იტე-  
ხდა, თუმცა ხელებს მაინც უმწეოდ  
შლიდა. იმედი რომ გადაეწურე, გამახ-  
სენდაო, — იყვირა გახარებულმა და  
მხარზე ხელი დამკრა, — წამომყვივიო.  
ჩქარი ნაბიჯით გაეშურა სასაფლაოს  
სიღრმისკენ და მეც სირბილით წავეყ-  
ვი. ამჯერად მეგსიერებას არ უღალა-  
ტია, მივადექით თუჯის გისოსებიან  
საფლავს, სადაც ბალახი წელამდე მო-  
ხშირებული დაგვხვდა. ჩაქანგული კარი  
ღიდი ჭაჭგურის შემდეგ გამოვადეთ,  
შევედით და ჩაჩოქილებმა ხელით და-  
ვუწყეთ ბალახს გლეჯა. დანები მაინც  
წამოგველოო, — წუხდა მამა, მერმე  
წინ წაიჩოჩა, ბალახი ორივე ხელით გა-  
დასწია და საფლავის ქვა და წარწერა  
გამოაჩინა, თან ისე ბედნიერმა შემომ-  
ხედა, — ეს არისო, რომ მეორედ ამი-  
ჩუყდა გული. თეთრ მარმარილოზე ჩა-  
მუჭებულ იქროს ასოებით ეწერა:  
„ნინო მიხეილის ასული თორია-ზოდა-  
ველისა (1906-1940)“. თურმე ოცდაათო-  
თმეტი წლის გარდაცვლილა, მე კი  
ხანდაზმული მეგონა. მუჭი ლურჯი თვა-  
ლები მახსენდება ხოლმე, ქერა, მოკ-  
ლეულ შეჭირილი თმა, მკრთალი, გადატ-

კეცილი სახე. მახსენდება, მაშინვე  
ტრახბი, კოლხი ცოლი <sup>მეგვარადა</sup>  
სტუმრებთან ხმამაღლა რომ აცხადებ-  
და ხოლმე, მე მაშინ არ მესმოდა, რას  
ნიშნავდა „კოლხი ცოლი“.

კარგა ხანს არ ვიცოდი, რითი გარ-  
დაიცვალა, არ მეუბნებოდნენ, ვატყო-  
ბდი; მიმაღავდნენ და მიზეზით რატო-  
მაც არც მე დავინტერესებულვარ.  
ღრო რომ გავიდა, უფრო ხშირად ვი-  
გონებდი დედას და იმასაც ვფიქრობ-  
დი, — ნეტა რა მოუვიდა; რა დაემარ-  
თა-მეთქი. მერმე, უკვე ძნელი აღარ  
იყო იმის მიხვედრა, რა დაემართა, ან  
რატომ მიმაღავდნენ იმ განუქონებელ  
ავადმყოფობას.

თითქმის საღამომდე ვიმუშავეთ. ოფ-  
ლით გავხეთქულებმა, ვგლიჯეთ და  
ვგლიჯეთ ბალახი, ვერავითარი ცელი  
ვერ მოთიბავდა ასე თანაბრად; მართა-  
ლია, ღიდი ღრო და ძალა შევავლიეთ,  
მაგრამ ფრიად კმაყოფილნი დავრჩით  
შედგვით. გაეასუფთავეთ, გაეწმინდეთ  
საფლავი და თუჯის მესერს იდაყვებით  
დაყრდნობილები უხმოდ დაეცქერო-  
დით საფლავს. იმ საღამოს პირველად  
ვიგრძენი, თითქოს ვიღაცისა თუ რა-  
ღაცის წინაშე მცირეოდენი ვალი მო-  
ვიხადე. არ ვიცო, მაშინ რამ ჩამინერ-  
გა ან საიდან მომევლინა ასეთი მაცთუ-  
ნებელი გრძნობა... თუმცა ნეტარი სი-  
მშვიდე რომ დამეუფლა, აშკარა იყო...  
ზიზის მხოლოდ ერთი თვის შემდეგ  
მივაკითხე, ოქტომბრის პირველ კვი-  
რას. კარი დიასახლისმა გამიღო, ჭერ  
ვერ მიცნო, მაგრამ თავი რომ შეეახსე-  
ნე, შინ შემოიპატიჟა და ძველ ადგილას  
დამსვა.

ღია ფანჯრიდან მოაწმინდის ფერდო-  
ბი მოჩანდა.

— თქვენ ალბათ ზეინაბს მოაკითხ-  
ებთ?

— დიან, ქალბატონო. — გამახსენდა  
რომ ზიზის ნამდვილი სახელი ზეინაბი  
იყო.

— ზეინაბი აქ აღარ ცხოვრობს, წა-  
ვიდა. — მითხრა მშვიდად.

— სად წავიდა?

— არ ვიცი... ამ ათიოდე დღის წინ პენსიის ასაღებად გავედი და შინ დაბრუნებულს მაგიდაზე ბარათი დამხვდა. — მოხუცმა ქალმა კარადის უკრა გამოსწია, ქალაღდის ნაგლეჯი ამოიღო და გამომიწოდა.

გამოვართვი.

— თუ ნებას დამრთავთ...

— რა თქმა უნდა, იმიტომ მოგაწოდეთ, რომ მინდა წაიკითხოთ.

ბარათს დავხედე, ზიზის ხელი ვიცანი.

„ქალბატონო მარიამ!“

თქვენ ძალიან კეთილი, ძალიან კარგი ქალი ხართ, მაგრამ მე თქვენთან ცხოვრება არ შემიძლია. მამაკითხეთ. მე სხვა ბინა ვიჭირავე და იქ გადავდივარ საცხოვრებლად. დედას ყველაფერი შევატყობინე. ველარ დაგელოდებით, მეჩქარება. თქვენი ზეინაბი“.

გაოცებულმა ახვებდე დიასახლისს, რომელმაც ოქროს პენსიე გაისწორა და ჩემს პირდაპირ დაჭდა.

— გაგვიკვირდათ? — მკითხა ღიმილით.

— ძალიან.

— მე მიანცდამინც არ გამკვირვებია, ოღონდ როგორღაც შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი. საერთოდ, მდგმურად არავის აყვანას არ ვაპირებდი, არც არასოდეს მყოლია, მაგრამ აქეთ-იქიდან შემომიჩნდნენ, — მოხუცი ხარო, მარტო რა გაძლებინებსო... ამ გოგონას შენთან თუ დააყენებ, მაღლი იქნებაო, შეილივით გეყოლება და, როცა დაუძღვრდები, ვიპატრონებსო. ერთი სიტყვით, შემარცხვინეს და შემაცდინეს. შემდეგ შევეჩვიე და შემიყვარდა კიდევ. ვიფიქრე, — ნიჭიერი ბავშვია, გავზრდი, განათლებას მივცემ, გზაზე დავაყენებ-მეთქი. შემდეგ, ნამდვილად შემეძლო, ბევრი რამ მიმეცა ამ ბავშვისათვის, მაგრამ არ მოინდომა, გამაცურა და გამაბრწყვა ამხელა ქალი.

ქალბატონმა მარიამმა სახე ჩამოაყრდნო ხელისგულებს და ჩაფიქრდა. მე უხერხულად ავიწურე, საგონებელ-

შიც ჩავეარდი, ისე გაბატულე, მხოლოდ ერთი კი არ დაუტოვე მამის მამაგვრად ლამის ბოდიში მომხვდა.

— პირადად მე არ მკვირდება მომელო, ისე არ წავალ ამ ქვეყნიდან, რომ ვისიმე მოსაუღელი გავხდე, მაგრამ მე მაქვს ძვირფასი განძი, რომელსაც ნამდვილად სკირდება დიდი მოვალეობა. ნაწილი იმ განძისა მემკვიდრეობით მივიღე, ნაწილი თვითონ შევიძინე... იცით რა, მე არ ვიცი, თქვენი სახელი...

— ოზო, ქალბატონო.

— ჩემო ოზო, როდესაც მე გადავწყვიტე ზეინაბის მდგმურად დაყენება, (ხაზგასმით ამბობდა „ზეინაბს“ და არა „ზიზის“), მხედველობაში, რა თქმა უნდა, ჩემი განძიც მქონდა, — თითოთითოდ, ნელ-ნელა, თანდათან შევაჩვეემეთქი. მსახიობი სურდა გამოსულიყო, არა? კი, ბატონო! ჩემთან თვით ალექსი-მესხიშვილი დადიოდა, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, თვით სარაჯიშვილი!

გრძლად და მოსაწყენად ლაპარაკობდა, თუმცა გულისყურით ვუსმენდი, მაინც ვერ გავიგე, ასე ხშირად რა განძს ახსენებდა ან ის ცნობილი მსახიობები რატომ დადიოდნენ მასთან. მერმე დიდხანს მიხსნიდა თუ რა ძნელი და რთული პროფესიაა მსახიობობა და როგორ ცდილობდა ეს გვეგებინებინა ზეინაბისათვის.

— მე მინდა გაჩვენოთ ჩემი განძი და დაგარწმუნოთ, რომ მართალი ვარ, — მითხრა ბოლოს და წამოდგა. სავარძლის უკან გადასწია ფარდა (რომელიც მე დეკორაციული დეტალი მეგონა) და კარს მიადგა. კარის გაღებამდე წიგნის კარადებისკენ ზელი გაიშვირა, — ესენი მხოლოდ ენციკლოპედიებია, სხვადასხვა გამოცემები.

ქალბატონი მარიამი შევიდა „განძის ოთახში“ და მეც შევეყევი. შესვლისთანავე ძველი წიგნებისა და მტკრის სუნი მეცა. ოთახში საკმაოდ ბნელოდა, მაგრამ სინათლე აანთო და უცებ დავინახე, რომ უზარმაზარ წიგნთსაცავში ვიმყოფები.

— ახლა თქვენ შეიძლება დაუჭერებელ ამბად მოგჩვენოთ, მაგრამ ამ წიგნებით დიდი ილია სარგებლობდა... ივანე მაჩაბელიც... იაკობ გოგებაშვილიც...

— თქვენ იცნობდით ილია ჭავჭავაძეს?

— რა თქმა უნდა.

— საოცარია!

— ეს ბიბლიოთეკა იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ აქ თავის დროზე უდრდები ადამიანები მუშაობდნენ. აი, ეს მხარე ისტორიის განყოფილებაა, ივანე ჭავჭავაძის მთელი კვირა მჯდარა აქ; დღე და ღამე უსწორებია.

თაროებშორის დავდიოდით და ქალბატონი მარიამი აღტაცებული ამბობდა.

— ეს ინგლისური ლიტერატურაა... ინგლისურ ენაზე, ბატონო!

— ეს რუსული კლასიკა! უიშვიათესი გამოცემები.

— ეს ბერძნული და რომაული პოეზიაა! უნიკალური წიგნები!

— ეს ქართული ლიტერატურა და ისტორიაა!

— ეს ფრანგული...

— ეს გერმანული!

— ეს უკვე აღმოსავლეთია! სპარსეთი, არაბეთი, ინდოეთი, იაპონია!...

— ეს მხატვრობაა! საქართველოში ყველაზე დიდი კოლექცია ალბომებისა მე მაქვს.

— ეს კი თეატრია!...

აქ შეუოვნდა ქალბატონი მარიამი და მრავალმნიშვნელოვნად შემომხედდა.

— ამას ვთავაზობდი ზეინაბს და არ ისურვა „ქალბატონმა“. თუ მსახიობი დადგებოდა, მე მიწოდდა განათლებული პროფესიონალი გამოსულიყო. ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურა თვითონ წაეკითხა, რუსულსა და ფრანგულს მე წაუუკითხავდი და ვუთარგმნიდი... ოღონდ წიგნებისთვისაც მიეხედა, მტკვერი გადაეწმინდა... ამას დღემი ნახევარი საათი ეყოფოდა, მეტ დროს არ წავართმევდი. მე დავბერდი, აღარ შემიძლია... ამ ჭერის სიმაღლე თით-

ქმის ხუთი მეტრია, როგორ მიეხედო წიგნებს იმ სიმაღლეზე?

ჩვენ გამოვედით წიგნთსაცავიდან, ქალბატონ მარიამს საუბარი არ შეუწყვეტია.

— ხუთი წელი არავინ მოსულა... მართალია, ომი იყო, მაგრამ ომის დროსაც საჭიროა წიგნი... საშინელებაა ხელუხლებელი წიგნი. ღმერთო, ვინ არ მოდიოდა, ვინ არ სარგებლობდა ამ წიგნებით, ვასილ ბარნოვიც ყოფილა აქ და მიხეილ ჭავჭავაძის შვილიც, პავლე ინგოროყვაძე, დიმიტრი უზნაძეც, ევგენი მიქელაძეც... ამ შვიდიოდე წლის წინ ზედისხედ სამჯერ მოვიდა ვალაკტონი...

ერთხელ გამსახურდია იყო და რაღაც გერმანული წიგნი მთხოვა, არ მახსოვს, რა წიგნი, — რამდენიმე დღით შინ გამატანეთო... ბატონმა კონსტანტინემ არ იცოდა, რომ წიგნებს სახლში არავის ვატანდი... მგონი, ნაწყენი წავიდა...

აღარ დავმჯდარე, არც ქალბატონ მარიამს შემოუთავაზებია, — დაჭეკით, მოგონებებში ვადართულს ბედნიერი ღიმილი ეფინა სახეზე, ასახელებდა და ასახელებდა ადამიანებს, რომელთა გვარები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ ვამეგონა. მე გაბრუებული ვუსმენდი, ამ წიგნებმა თავზარი დამცა და შემაშინა, ამდენი წიგნი ერთად თავმოყრილი ჯერ არ მენახა და ვერც წარმოვიდგენდი, თუ შეიძლებოდა, ერთ ადამიანს ასეთი ბიბლიოთეკა ჰქონოდა. ეს სახლი მთლიანად მამაჩემისა იყო. ამბობდა, — მაგრამ მერმე მე ამ ოთახში ვარჩიე ცხოვრება, რომ ეს წიგნები გვერდით მქონოდაო...

ისიც მითხრა, — ადრე კლასიკურ ენებს ვასწავლიდი ქალთა გიმნაზიაშიო, ხოლო შემდეგ სკოლაში ფრანგული ენის მასწავლებლად მოვეწყეო... ეხლა კარგი პენსია მაქვს დანიშნული და ჩვეულებრივად ვცხოვრობო. ბოლოს მის ბედნიერ ღიმილს სევდა გაერია და გულის ტკივილით თქვა:

— მწელია როცა არავინ მოდის... ანდა ვინ მოვა ამ მტკვრსა და სიბნე-

ლემი, როცა სუფთა და ნათელი დარბაზები არსებობს...

დიდხანს აღარ დაერჩენილვარ, დავემშვიდობე და წამოვედი. გამომაცოლა, თუ დრო დაგრჩებათ, გამოიარეთო, — თავაზიანად მითხრა, — თუ წიგნები დაგჭირდათ, მით უმეტეს, ნუ მომერიდებთო...

მე დავტოვე მოხუცი ქალბატონის ბინა და სალამოს ბინდ-ბუნდში შინისაკენ გავყვევი ქუჩას. ზიზის თითქოს გავუგე, უკანმოუხედავად რატომ გაექცა ამ გარემოს, თანაც ისე წავიდა, რომ მისამართი არ დაუტოვებია. ზიზი ვერ გაუძლებდა ვერც ამ წიგნებს და ვერც ქალბატონ მარიამის მოგონებებს, შორეულ და ახლო წარსულის შთაბეჭდილებათა ნამსხვრევებს. მაგრამ სად წავიდა, ან როგორ გაბედა წასვლა? ერთის მხრივ მზიბლავდა და ამავე დროს მაკრთობდა კიდეც ზიზის გამბედაობა, უცნობი გარემოს სწრაფად ათვისებისა და გათავისების უნარი, მაინც სად წავიდა? ალბათ იქ, სადაც უკეთესად მოერგო, ანდა უკეთესად მოირგო გარემო. მაგრამ, როგორც ვთქვი, შინაგანად მაკრთობდა და არ ვამართლებდი ზიზის საქციელს, განა იმიტომ, რომ თვითონ სხვა ბუნებისა ვიყავი და ამ შემთხვევაში ზიზისავით არ მოვიქცეოდი, სრულებითაც არა. ზიზი სწრაფად ეგუებოდა სასურველ სიტუაციას, თითქოს მასში ერკვეოდა კიდეც და შეეძლო დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებაც. ყველაფერ ამას, არა ეშმაკობით, ღია, უშუალო გულწრფელობით აკეთებდა. ზიზი საკუთარი გულწრფელობის ტყვე იყო და მას შეგნებულად აფეტრებდა, ამავე დროს ეს გულწრფელობა ანებიერებდა და ათამამებდა, სხვა ქალიშვილების მიმართ უპირატესობის გრძნობით მსჭვალავდა. ამ ვნებებს დამორჩილებული მომავალიც ვარდისფრად ჰქონდა დანახული...

შინ მოსულმა მამაჩემს ვუთხარი, —

ასე და ასე-მეთქი საქმე, მამა შეფექტირიანდა, კეთა მოიფხანა, დედაქისს ჰვლვე წერილს გავუგზავნიო, — თქვა და მაშინვე შეუდგა წერილის წერას, წუთი არ დაუკარგავს.

ზიზიმ იცოდა ჩვენი მისამართი და მაინც ძეგონა, მოვილოდა, დღეს თუ არა, ხვალ მოგვკითხავდა, მაგრამ შემოდგომა ისე მიიწურა, არ გამოჩენილა, არც მარო მასწავლებლის პასუხი მიგვიღია, ეტყობა, იცოდა თავისი ქალიშვილის ასავალ-დასავალი. ბოლოს დაბოლოს, უპატრონოდ ზიზი არ დააგდებდა? ვერც ზიზი იარსებებდა უღედოდ, ის ამარაგებდა ფულითაც, სურსათითაც.

ერთი სიტყვით, ზიზი დამეკარგა.

თუმცა ზიზი რომ ცოცხალი იყო და თბილისში ცხოვრობდა, ვიცოდი. ცოტა უცნაური კია, მაგრამ ჩემამდე დროულადრო ექოსავით აღწევდა ზიზის ამბავი, ზოგჯერ ისე მოულოდნელად, გაცოცხლავდა ვერ ვახერხებდი, ზოგჯერ იმ გზით, საიდანაც არ ველოდებოდი. პირადად მე კი ვერ ვხვდებოდი, ვერ ვნახულობდი, ხოლო მისი ხმა, სუნთქვა დროგამოშვებით მესმოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ზიზი არსებობდა, თბილისში ცხოვრობდა. სად? ზუსტად არ ვიცოდი. იქნებ დიდუბეში ან ნაძალადევიში ან სოლოლაკში ან ვერაზე ან ორთაქალაში ან ავლაბარში ან... აკი ვთქვი ზუსტი მისამართი არ ვიცოდი, ვიცოდი მხოლოდ ის, რომ იყო, არსებობდა, ცხოვრობდა, ესე იგი მღეროდა, ცეკვავდა, ლექსებს კითხულობდა... ერთხელ ინსტიტუტის დერეფანში ვიდექით, ბიჭებიც იყვნენ, გოგოებიც, ვლახანდარობდით, ვიცინოდით, ჩვენ შორის იდგა დურმიშხან წილოსანი, ყოფილი თანაკლასელი, ახლა — თანაკურსელი. ამ დურმიშხან წილოსანმა უცებ მე მომმართა:

— ოზო, რა მაგის პასუხია და, წუხელ სოლოლაკში ვიყავი ერთ ჩემ ძმაცაცთან, პატარა პურ-მარილი იყო გაშლილი... იქ შენი ნათესავი გოგონა გავიცანი.

— ჩემი ნათესავი, ისიც გოგონა? მე ასეთი ნათესავი არა მყავს.

— რას ცეკვავდა და მღეროდა იცი?! ხალხი გადარია... მაგარი რამე დადგება!

უსიამოვნოდ გამცრა ტანში, ზიზიზე ხომ არ ლაპარაკობს-მეთქი, — გავიფიქრე.

— შენ თუ მოგისმენია, ტარზანივით რომ ყვირის? ხელებს პირზე აიფარებს და მიდი, შეუბერავს... სუფრაზე სამჯერ გავამოვრებინეთ.

ყველას გაეცინა, მეც გამეცინა. სულელი, რა აყვირებდა ტარზანივით.

— ახლა არა თქვა, ზიზი ჩემი ნათესავი არ არისო. — არ მომეშვა ღურმიშხანი.

— არ არის და, ხომ არ დავიბრალდებ?

— შენ რას მალავ, თვითონ მითხრა, — ვარო.

ისევ გამეცინა.

— ბიჭო, ამასწინათ შენ და ზიზი არ მიათრევდით ქუჩაში კალათს?! აქედან შენ გქონდა ხელი ჩავლებული, იქიდან — იმას, თანაც ტკბილად მისაუბრობდით. ასეთი იდილია არცერთ ორლობეში არ მინახავს.

ყველანი სიცილისთვის იყვნენ განწყობილი და ისევ ფხუკუნი და სიცილი ატყდა.

— მაშ, ტარზანივით ყვიროდა?! — ვიღაცა სიცილისთვის ილიზიანებდა თავს.

— აბა, კაცო, ტარზანისაგან ვერ გარჩევდი!

სხვა რა გზა მქონდა, მეც ვიციონოდი...

გავიდოდა დრო და ვიღაც მეტყოდა:

— ოზო, ამასწინათ შენი ნათესავი გოგონა გავიციანი, ბიჭო, რა მაგრა ცეკვავს და იგრიხება...

კიდეც:

— ოზო, ეს რა ნათესავი გყოლია, ბიჭო, ნამდვილად გასახელებს!

კიდეც:

— ოზო, ამ შაბათს...

კიდეც:

— ოზო...

ერთხელაც თავი დავეკრე და ჩერებდა შლილმა წამოვიძახე, — ხო, ჩემი ნათესავია, ვიცი, ტარზანივით ყვირის-მეთქი! მაგრამ ეს იყო წუთიერი აფექტი, მაშინვე დავმშვიდდი და გუნებაში ზიზიზეც და ჩემს თავზეც მეცივნობდა.

ზიზისთვის აღარ მომიცლია, ჩემი სტუდენტური საქმეებით ვიყავი გართული, თუმცა რა შემეძლო, ჩემი თავის მიხედვა მივირდა. ზიზი უკვე გასროლილ ტყვიასავით იყო, უკან ვერ მოაბრუნებდი. ლექციებზე დავლიოდი. ზოგჯერ ვაცდენდი კიდეც, მაგრამ იმდენს არა, რომ სალაპარაკო ყოფილიყო. ვერ ვიტყვი, თითქოს ცოდნის ანდა საგნების დაუფლების წყურვილი მკლავდა, უფრო ინერცია, აღებული ქანი მამოძრავებდა, რახან ინდუსტრიულ ინსტიტუტში შემოვედი, უნდა ვისწავლო კიდეც-მეთქი. ლექციებზე დასწრებამ მაინც გარკვეულ ყალიბში ჩამაგდო, წესრიგს შემაჩვია და დროის გრძობა გამიმახვილა. უფრო ძნელი გამოდგა სტუდენტებთან ურთიერთობის დამყარება. ზოგიერთი მათგანის თვითდამკვიდრებისაკენ ვითომ შენიღბული ლტოლვა იმდენად აშკარა იყო, რომ საკუთარ ნაჭუჭში ჩაეკეტვას მიბიძგებდა. ხანდახან მეჩვენებოდა, ამ ხალხს სხვისი მოსმენის, ყურის გდების უნარი ჰქონდა დაკარგული, უბრალოდ არ გისმენდა, ყურს არ გიგდებდა, არ აინტერესებდა, რას ამბობდი. ზოგჯერ არც ვაცლიდა ლაპარაკს. თუ დაგაცლიდა, მხოლოდ იმისთვის, რომ შემდეგ ეთქვა ისეთი რამ, რითაც შენს ნათქვამს გააბათილებდა, მიჩქმალავდა, ანდა სხვებს სასაცილოდ და აბსურდულად მოაჩვენებდა, აცინებდა, ახარხარებდა... მერმე მივხვდი, ესეც თვითდამკვიდრების ერთ-ერთი გზა იყო, საზოგადოებაში უპირატესობისათუ იაფფასიანი პოპულარობის მოპოების საშუალება. ამის შედეგი ბოლომდე გაცნობიერებული არ მქონდა, მხოლოდ მალიზიანებდა, რადგან



ევრძნობდი, რომ ასეთი ურთიერთდამოკიდებულება ჭარბ, უადგილო და გამოფიტველ სიცილ-ხარხარს გვაჩვენდა, სხვისი აზრის, ფიქრის, შთაბეჭდილების ნიველირებასა და უპარტიკუპულობას, ამავე დროს გაუბედობას გვინერგავდა, გვაკარგვინებდა საკუთარი აზრის გამოთქმის, ფიქრისა და შთაბეჭდილების გაზიარების სურვილს...

ლექცია გავციცა და ათიოდე სტუდენტი აუდიტორიაში დავრჩით, წასასვლელი არსად გვექონდა და ლაყბობით ვერთობოდით. თავიდანვე ქუჩაში გავლა მინდოდა, მაგრამ გადაფიქრე, რადგან დარჩენა გადაწყვიტა ერთმა ქალიშვილმაც, რომელსაც პირველი დღიდანვე მივაქციე ყურადღება. ყურადღება კი არ მივაქციე, სტუდენტობის პირველი დღის ორთმტრიალში თითქოს შემთხვევით აღმოვაჩინე. იმ დროს, როცა ყველა და ყველაფერი სააშქარაოზე იყო გამოტანილი — ღიმილიც, სიცილიც, სიხარულიც, აღტაცებაც... როცა ბედნიერებით აღსავსენი თავიანთ თავს თავაზობდნენ ერთმანეთს, ანდა ისე იქცეოდნენ, როგორც დიდი ხნის ნაცნობები, მეც შემხვდა რამდენიმე თანაკლასელი თუ შორეული ნაცნობი, რომელსაც ერთი-ორჯერ სადღაც შევხვედროდი, ზოგი ვიცანი, ზოგმა მიცნო და თვითონ შემახსენა თავი, ზოგს მე შევახსენე. ამ რია-რიაში შორიდან დავინახე, დიდი თვალები და უცებ გული რაღაცნაირად შემეკუმშა, ეს იყო და ეს. მერმე გამოირკვა, რომ ერთი ფაქულტეტისა და ერთი კურსის სტუდენტები ვიყავით.

ცოტა უცნაური გოგო აღმოჩნდა. ვანზე მდგომი და გულჩათხრობილი, ახლოს არავინ მიუშვა, არც თვითონ მიეკარა. თითქოს ამაყი და მიუკარებელი არ უნდა ყოფილიყო, მე მგონი, გაუბედობობისა და მოკრძალებულობის გამო ჩანდა ასეთი. გარეგნულად უმნიშვნელო იყო, უმწიფარი გოგონას აღნაგობა ჰქონდა და ალბათ ესეც თრგუნავდა, მაგრამ თვალები, არ ვიცი, სხვე-

ბსაც ჩემსავით ნუსხავდა. თუ ნუსხავდა დიდი და ნისლიანი თვალები.

სწორედ ამ თვალების გამო დავრჩით მეთქი აუდიტორიაში, — ვამბობდი, ლაყბობით გული რომ მოვიხებთ, მოსაწყენი დუმილი ჩამოვარდა. დუმილი მე დავარღვიე, რატომღაც ილოს ბალები გამახსენდა. საერთოდ, ხშირად მახსენდებოდა სოფელი, ანანოც, საბაც, იოთამიც... ის ცხენებიც... რახან ილოს ბალები გამახსენდა, მომინდა კიდევ რაღაც მეთქვა იმ საოცარ ბავშვებზე, რომლებიც მიყრუებულ სოფლის კლუბში „ვენის ტყის ზღაპარს“ უკრავდნენ. თითქოს იმ ბავშვებისათვის აქაც თანაგრძნობას ვეძებდი, მეგონა, აქედან ვანუგეშებდი, რაღაცნაირად გავამხნევებდი... მოყოლისას სტუდენტები თითქოს გულისყურით მისმენდნენ, თანაგრძნობის სხვიც კი დავინახე თვალებში, მაგრამ დღრმიშხან წილოსანმა, ვითომ სხვათა შორის, მკითხა:

— ბიჭო, შენ ხალხოსანი ხომ არა ხარ?

მოულოდნელად ისეთი სიცილი და ხარხარი ატყდა, დავიბენი და იმ წუთას ვერც მივხვდი, რატომ იცინოდნენ, ან რამე გამახიარულა ეს ხალხი. რა თქმა უნდა, ამბის მოყოლა არ გამისრულებია, არც დანტერესებულან, — შემდეგ რა მოხდაო, ანგლობას ანგლობა მოაყოლეს, იცინეს და იცინეს, ვილაცამ ისიც კი გაიხსენა, გამოცდაზე სწორედ „ხალხოსნების შემოკმელება“ ვწერო. ჯერ მეც ვიცნობდი, მერმე დავიბოლმე, თანდათან უფრო შემებრაღნენ ის ბავშვები, გზის პირას რომ იდგნენ და თბილისისაკენ მომავალ მგზავრებს გამოსამშვიდობებლად ნაღვლიანი ღიმილით უქნევდნენ ხელებს.

გუნებააწამხლარი თითქმის მაშინვე წამოვედი, — ერთი მაგათი, დანარჩენ ორ ლექციასაც გავაციდენ-მეთქი. აუდიტორიიდან გამოსვლის წინ დღრმიშხან წილოსანმა ჩამჩურჩულა, მერმე დგრეფანიშვიც გამომყვა, — რა მოგვიდა, ბიჭო, ხუმრობა არ იციო? მხარხვეც მე-

გობრულად მომიტყაბუნა ხელი, — იუმორის გრძნობა სოფელში ხომ არ დაგრჩაო. მე გავუღიმიე და ვანიშნე, — არაფერია-მეთქი. მაგრამ საექვოდ კმაყოფილი რომ გატრიალდა, უცებ ავენთე, — რატომ უნდა შევარჩინო-მეთქი! დაუფძახე, არ მობრუნებულა, ირინად მომხედა და საექვო ღიმილიც შეაშრა ხახუზე.

— ისე, რომ იცოდე, არც ცინიზმი იუმორი და არც მასხრად აგდებია, ზუმრობა. — ვუთხარი მეგობრული რჩევა-დარიგების კილოთი.

— ვა! — დამცინავად აუციმციმდა თვალები, — მაგას შენ თვითონ მიხვდი, თუ სადმე წაიკითხე?

— მიხვდი, თუ წაიკითხე, შენი საქმე არ არის, რაც ვითხარი, ის დაიმახსოვრე! — ოღნავ ავუწიე ხმას.

— ვა!

— რა „ვა“ აგიტყდა?

— შენ აღარ ზუმრობ, სოფელში ძალიან აგიშვია, აი!

— ახლაც ის მაიმუნი ხარ, რაც სკოლაში იყავი!

ღურმიშხანი გაშტერებული მომჩერებოდა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, გაბრაზებულიყო, თუ ნათქვამი ზუმრობად ჩაეთვალა. ამხედ-დამხედა, თვალთ გამზომმა, შემამოწმა. ვიგრძენი, უკან დახვევა აღარ შეიძლებოდა.

— ისინიც შენისთანები არიან, წადი, უთხარი! თუ გინდათ, დაგელოდებით, თუ არა და გზაში დამეწიეთ!

არც მე დავლოდებივარ და, მგონი, არც ისინი დამდევნიბიან. ვერის ხილამდე პატარ-პატარა, მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით ნელ-ნელა ვიარე, თან ეჩრდებოდი და უკან ვიხედებოდი, მე ჩხუბისთვისაც მზად ვიყავი, არავის შევებუებოდი. არც ბავშვობისას, არც მერმე, არახოდეს მიჩხუბია, ხელი არავისთვის გამირტყამს. ისიც არ ვიცი, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, შემიძლია ჩხუბი თუ არა. სოფლიდან ჩამოსვლის შემდეგ მკლავებსა და მხრებში ძალას ვგრძნობ, ვატყობ უფრო

ლონიერი ვარ, ვიდრე ვჩანვარ, ყოველ შემთხვევაში, ადვილად ვერ მომტრევიან...

ვილაცამ დამიძახა, ქალის ხმა იყო, უცნობი. მოვბრუნდი და თვალები დავინახე, სწორედ ის თვალები, აუდიტორიაში რომ დავტოვე. ამ მშვენიერ თვალებს ლამაზა ერქვა. შეეჩერდი და ლამაზამაც გულამოვარდნილმა შიორბინა, — მაპატიეთ, ძლივს დაგეწიეთო. თვალები ანუ ლამაზა იმათ ხომ არ დამადევნეს, იქნებ შეუწუხდნენ და შემორიგებაც კი მოინდომეს-მეთქი, — გაეფიქრე. მაგრამ გზაში გაირკვა, სინდისს არავინ შეუწუხებია. ლამაზა თავისი ნება-სურვილით წამოსულა, მასაც ჩემსავით გადაუწყვეტია ლექციების გაცდენა.

ხიდი გავიარეთ და ვერის აღმართს ავუყვეით.

— იცით, მე გავიგონე... იმ დროს დერეფანში გამოვედი და კარგად მესმოდა, რასაც ღურმიშხანს ეუბნებოდით... საქმე ისაა, რომ აუდიტორიაში მეც გამეცინა, შემდეგ კი თავი ცოტა უხერხულად ვიგრძენი... მე მესმის თქვენი...

— თუ გულწრფელები ვიქნებით, თქვენ არ უნდა გესმოდეთ ჩემი.

— რატომ?

— მე მგონია, რომ თქვენ ვერ გაიგეთ, რა მეწყინა.

ლამაზა ერთი წამით შეყოვნდა და ისეთი ღიმილით ამომხედა, თითქოს გაეფიქრა, — ამ ხეპრეს ვის გადავეყარეო. მართლაც, უხეშად ვპასუხოვდი, ნეტავი რას ვერჩოდი. ამ მშვენიერ, ნისლიან თვალებს ხომ არაფერი დაუშავებია?

რალაცის თქმა დააპირა და სიტყვა გააფუჭებინე.

— მაპატიეთ, ლამაზა, თქვენს ვარაუდებს ალბათ აწობებს, ისევ მე გითხრათ, რა მეწყინა... პირდაპირ გეტყვით, აუდიტორიაში მასხრად აიგდეს ჩემი გრძნობა, ჩემი დამოკიდებულება იმ ბავშვებისადმი. არ მომისმინეს და ამიტომ არც იციან, რა ბავშვები არი-

ან ისინი, ვისზეც საუბარი დაიწყო. არ მინდა, ახლა გული აგიჩუყოთ, მაგრამ... მე ხშირად ვფიქრობ იმ ბავშვებზე, ვწუხვარ, მებრალეებიან... მე მხოლოდ ეს შემძლია: ვიფიქრო იმათზე, გული მეტკინოს, შევწუხდე, სხვა რამის გაკეთება ჭერჭერობით ჩემს ძალას აღემატება. ის კი მეუბნება, — ხალხოსანი ხომ არა ხარო?! რა არის ეს? ზემოდა? არა მგონია... წუხილის უფლება-საც აღარ მაძლევთ?! თუ თანაგრძობა არ შეგიძლიათ, გაიუმდიოთ მაინც!

ლამარამ დადიქრებული მომყვებოდა.

— ის, ვინც წამოვიდა, არ უნდა წამოსულიყო... ისინი კი, ვინც წამოსვლის ღირსნი არიან, იქვე დარჩენ, გზის პირას დგანან და წამოსულებს ხელებს უჭნევენ.

— რა თქვით?.. ვერ გავიგე...

— არაფერი... — გავიციე, — ჩემთვის ვგიეობ...

ვერის აღმართი ავითავეთ და რუსთაველის მოედნიდან მარცხნივ, პროსპექტისაკენ გაუხვიეთ. ლამარამ მკლავზე ფრთხილად შემავლო ხელი და შემაჩერა.

— ოზო, მე თქვენ მომწონხართ! — მითხრა ისე უბრალოდ, თითქოს ძველ ნაცნობს ესალმებოდა.

მართალი რომ ვთქვა, ამგვარ გულახდილობას არ მოველოდი და უცებ დავიბენი. ასე პირდაპირ, შეუშნადებლად, ასე დაუფარავად და უშუალოდ თუ ეუბნებოდნენ, — მომწონხარო, — არ მეგონა. გამოცდილება არ მყოფნიდა, არ ვიცოდი, რა მეთქვა, როგორ მოვექვეულოყავი, ისე კი მეტად სასიამოვნოდ დავიბენი, სადღაც სულის სიღრმეში გარვივდა პატარა ცეცხლი, რომელიც მთელ სხეულს ერუანტელივით მოეკიდა.

(ასეთ დროს გამოცდილება არ უნდა ინატრო ხოლმე. თუ დაიბენი და გაწითლდი, რა სჯობია ამას! ალბათ ასეა საჭირო, უნდა დაიბნე და გაწითლდე! თუ არ იცი, რა თქვა ან როგორ მოიქციე, გაიუმდიო და ნურაფერს გააკეთებ, ყოველ შემთხვევაში, გამოუცდელიობის

გამო ნუ დაგწყდება გული! ასეთი გამოცდილება გრძობას ცეცხლს უნდა აღლუნგებს, პირველყოფილ სიწმინდის ელვარებას უკარგავს... ამას ვამბობ თითქმის ორმოცი წლის შემდეგ).

ლამარამ დაბნეულობა შემატყო და თვალი ამარიდა. ხუთიოდე ნაბიჯი გადადგა და მომხედა, — მომყვება თუ არაო. გავყევი და დავეწვიე. ჩემი წარმოდგენა იმ თვალეებზე, რომელსაც ლამარა ერქვა, ისე დაიმსხვრა და ერთ წამში გაცამტყერდა, ჩემს მიერ დაბრალებული გაუბედობის პაწაწინა კვლიც არ დარჩენილა.

— ოზო, რაც გინდათ, ის იფიქრეთ, ოღონდ ცუდად არ გამოგოთ. იცოდეთ, ჩემი ნათქვამი არაფერს გავალდებულებთ... მე ვამბობ იმას, რასაც ვგრძობ... მე მგონი, ამაში ცუდი არაფერია...

ამჯერადაც ვერაფერი ვუთხარი.

— თქვენ საკმაოდ უხეშად და მკაცრად ლაპარაკობდით, მაგრამ მართალი იყავით... თუმცა... სიმართლე ზოგჯერ მკაცრი და უხეში გვეჩვენება.

„თქვენობით“ ლაპარაკი აშკარად გვიშლიდა ხელს, სათქმელს ბუნებრიობასა და უშუალობას უკარგავდა, თითქოს ჩვენ კი არა, ვილაც სხვები ლაპარაკობდნენ, ჩვენზე უფროსები. ჩემი აზრი უმალვე გავუზიარე ლამარას და ისიც უყოყმანოდ დამთანხმდა, — კი, ეგრეთ.

— სად მივდივართ? — მკითხა, ოპერის თეატრთან რომ მივედით.

— არ ვიცი. — ვუპასუხე.

— არც მე ვიცი.

— სად ცხოვრობ? — ახლა მე ვკითხე.

— იქით! — სადღაც უკან, უსასრულობისაკენ გაიშვირა ხელი.

— შენ?

— აქეთ! — ახლა მე ვესროლე ხელი საწინააღმდეგო მხარის უსასრულობას.

— მაშინ ვიართო აქეთ-იქით, სანამ ლექციები დამთავრდება.

— ვიართო! — დავეთანხმე.

— ხეტიალი ხომ არ გეზარება?

— პირიქით, ხეტიალის ტრფიალს რომ იტყვიან, ისა ვარ!

— კარგი რამეა ხეტიალი... ცოტა კი გადავეჩვიეთ.

— მე არ გადავჩვეულვარ, მე მოხეტიალე რაინდი ვარ!

— რაინდები რომ აღარ არიან?! სამწუხაროდ, გადაშენდნენ.

— მაშინ, მე ვარ მოხეტიალე რაინდის ცხენი!

— ცხენი? — გაიცინა ლამარამ.

— ხო, რა გაგივირდა?! —

— იქნებ როსინანტი ხარ?

— არა, მე ვარ ლურჯფორეჯებიანი თეთრი ცხენი! — წამომცედა დაუფიქრებლად და გამეღიმა. უცებ გული შემეკუმშა და სევდა მომერია.

— თუ ღმერთი გწამს, ჭიხვინი არ დაიწყო. — ისევ გაიცინა ლამარამ.

— შენ გგონია, ელაპარაკობ? აბა, კარგად დაუგდე ყური... შენ ახლა ჩემი ჭიხვინი გესმის...

— რა სხვანაირი ხარ, ოზო, შენთან აღბათ არ მომეწყინება ყოფნა.

რატომლაც საბა გამახსენდა, ალაზნიდან მობრუნებულს ორობოზეში მგლის დაგლეჯილი ცხენი რომ დახვდა... ახლაც ნათლად დავინახე: მუხლებზე დაცეა საბა, ბებერმა ცხენმა ნელა წაიჭრძელა კისერი და მის წინ დაჩოქილს თავი ფრთხილად დაუყნოსა... თითქოს ფრუტუნეც გავიგონე.

— კიდევ კარგი, ლექციებზე არ დავრჩი, — ამბობდა ლამარა, — თქვი, ცოტათი ხომ მოგეშვა გულზე, ცოტათი ხომ გიშველე? კიდევ ნაწყენი ხარ?... იცოდებ, ყველანი მიიმუნები არ არიან.

— ეგეთი რამე არც მიფიქრია.

— წელან ხომ უთხარი ღურმიშხანს.

— ყველა არ მიგულისხმია, მითუმეტეს შენი მისამართით არ მითქვამს.

— გინდაც ჩემი მისამართით ვეთქვა, მაინც მომეწონებოდა.

ასე მოულოდნელად დავუახლოვდით ერთმანეთს და დავმეგობრდით მე და ლამარა, რაც შეეხება ღურმიშხანს და

იმათ, რომლებიც მაშინ აუდიტორიაში დავეტოვე, მეორე დღეს შეგხვდნენ შეგხვდნენ ხედი ისე, ვითომც — არაფერი! — ხვდნავ მორიდებულად კი მეპყრობოდნენ, მაგრამ ორი დღის შემდეგ ცხოვრება ჩვეული კალაპოტით წავიდა. აღბათ ასეც უნდა მომხდარიყო.

ლამარას თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი, უკვე აღარ შემქძლო, ყოველდღე არ მენახა, თუ რაიმე შემთხვევის გამო ავედებოდი, შინ ტელეფონი ედგათ და ვურეკავდი. ერთხელ მამაჩემსაც მივგვარე და გავაცანი. მამა დატრიალდა, ეახშამიც გაგვიწყო, მაგრამ ვიგრძენი, სარძლოდ არ მოეწონა. ლამარა რომ გავაცილე და დავბრუნდი, მეგონა, რაღაცას მაინც იტყოდა, მაგრამ სიტყვა არ დასცდენია. სუფრა ავლაგებინა და რაღოს მისჯდომოდა — უკანასკნელ ცნობებს ისმენდა. ბევრი ვიწრიალე, აივანზე გავედი, მტკვარს გადავხედე, შემოვბრუნდი, წიგნის წაკითხვაც ვცადე, მაგრამ გული ვერ დავუდღე. ღმთილსაც ვეღარ გავუტეელი და ისევ მე მივადებქი მამაჩემს, როგორ მოგეწონა-მეთქი ჩემი საცოლე? — ვითომ ხუმრობით ვკითხე. ნუ აჩქარდებიო, — მშვიდად და სერიოზულად მიპასუხა, თან ცალი ყური რეპროდუქტორისაკენ ჰქონდა მიშვერილი. მაინც როგორი-მეთქი, — არ მოვეშვი. ხედავ, დრო როგორ გამოიცივალაო, — თქვა სინანულით, — ეგეთი გოგონები ჩვენს დროსაც იყვნენ, მაგრამ შენისთანა ბიჭებს კი არ მოსწონდათო. რატომ-მეთქი? ბიჭო, ქალს თუ თავისი ატრიბუტები არა აქვს, ის რა ქალიაო! — კეფა მოიფხანა და გაიღიმა. ადვილი მისახვედრი იყო, ქალის ატრიბუტებად რა იგულისხმა, მაგრამ მე არ მწყენია, პირიქით, დამეშვიდდი და კარგ გუნებაზეც დავდექი, სასაცილოდ მომჩვენა ამაზე ლაპარაკი და მეც სიცოლით უუთხარი, — ეტყობა, დრო მართლაც შეიცვალა-მეთქი. შეილო, როგორც არ უნდა შეიცვალოს დრო, ოჯახში ქალმა ჭერ ბუბუ უნდა შემოიტანოს და მერმე ტრაკიაო... ხელები ჩვეულებისამებრ გაშა-

ლა და აჭახჭახდა, წამოდგა, გადამეხვია, თან ჭახჭახი არ შეუწყვეტია... უცებ თვალწინ კარიბჭეების ქალიშვილები დამიდგნენ და რატომღაც მეგონა, როცა მამაჩემი ხმამაღლა იცინოდა, ისიც დევის ქალებს ხედავდა თვალნათლივ...

მე და ლამარა მალე დავშორდით ერთმანეთს, დავშორდით სამუდამოდ. მაგრამ არა ამ „ატრიბუტების“ გამო, მოხდა ისეთი რამ, რის შემდეგ ჩვენი ერთად ყოფნა შეუძლებელი აღმოჩნდა.

ლამარა რუსთაველის მოედნის მახლობლად ცხოვრობდა, პატარა ქუჩაზე, ოთხსართულიან სახლში. იმ დროს პროსპექტივით თითქმის ჩაბნელებული იყო და რა გასაკვირია, ქალაქის კულისებში მოჭყეული პატარა ქუჩები დღემდოსთანავე წყვილიადს რომ ჩაენთქა. ლამარას ქუჩა, რახან ცენტრის მახლობლად მდებარეობდა, მთლად განწირული არ იყო, ალაგ-ალაგ ყვითლად ბუტყავდა რამდენიმე ნათურა. ჩვენ მაინც ბნელ კუნძულებს ვაფარებდით თავს, იქ უფრო მყუდროდ ვიყავით მოყურებულები. ერთხელ დეკემბრის სუსხიან ღამით მივაცილე, სიბნელეში შევიყუყუეთ, მაგრამ ლამარამ ყინვას ვერ გაუძლო, ძალიან მცივა, წავალო, — მითხრა და სადარბაზომდე სულ სირბილით მივაცილე. მე, რა თქმა უნდა, შინსიკენ გავწიე. ქუჩა ცარიელი იყო. ოციოდე ნაბიჯი რომ გავიარე, რუსთაველის მოედნის მხრიდან ვიღაც კაცმა შემოუხვია და ჩემკენ წამოვიდა. ბარბაცით, უფრო ზიგზაგით მოდიოდა. კარგად გამტყვარალა-მეთქი, — გავიფიქრე. სწრაფად მივუახლოვდით ერთმანეთს. მე მგონი, მძინარე მოდიოდა ან მოვლემარე, ასე იყო თუ ისე, თვლები უამკველად დახუჭული ჰქონდა. გვერდს ავუქცევ-მეთქი, მარჯვნივ ავუარე გვერდი, ისიც მარჯვნივ წამოვიდა, ახლა მარცხნივ გავიჭერი, ისიც მარცხნივ გამოქანდა. ერთი სიტყვით, ერთმანეთს შევეფეთეთ. როგორც კი შევეჯახეთ, შემკრთალმა წამოიყვირა და მოულოდნელი სისწრაფით გახტა გვერდზე, დაფეთებული აეკრა კედელს,

პატარა, ჩია კაცი ჩანდა, ტეწეწე ქიდილი ქული ეხურა.

— რა გინდა? — მკითხა მკაცრად, მჭახე ხმით.

— არაფერი, ბატონო, მე ჩემი გზით მივდივარ. — მის მღელვარე წამოძახილს მშვიდი ხმა და კილო დაეუბირისპირე.

— რა გინდა-მეთქი, გეკითხები!

— არაფერი არ მინდა, ბატონო! — ვითომ გაოცების ნიშნად ხელები გავშალე.

— ხელები დაუშვი, ლაწირაკო! — გამოსცრა კბილებში.

არც ისე მთვრალი ჩანდა, როგორც მომეჩვენა. ერთს მოვდებ ყბაში და გაუგებრობას ამით მოვუღებ-მეთქი ბოლოს, — გავიფიქრე, მაგრამ ხელი როგორ გამერტყა მამის ტოლი კაცისთვის, თანაც მივხვდი, ვიღაც სხვა ვეგონე და ჩემი ეშინოდა.

— რომელი ხარ შენ?

— თქვენ მე არ მიცნობთ, ბატონო, — ვცადე დამშვიდება, ზავის ნიშნად ნაბიჯიც კი გადავდგი, — მე ის არა ვარ, თქვენ რომ გგონიათ...

— არ გაინძრე! — დამიყვირა.

ისეთ უჩვეულო და სულელურ სიტუაციაში აღმოჩნდი, ნელს ჩაიქნეე და გავეცელები-მეთქი, — გადავწყვიტე. მაგრამ სიბნელეში რალაცამ გაიჩხაკუნა და უნებურად ხელებზე დავხედე, მომეჩვენა, თითქოს რევოლვერმა იელვა და ისე შემეშინდა, მუხლებიც და მკლავებიც მომეკვეთა.

— არ გაინძრე, თორემ ადგილზევე გაგათავებ!

უკვე ვეღარ ვაზროვნებდი, ხმაც წამერთვა — სიბნელეში ჩემკენ მომგერილი ლულა გაკრთა.

— მიტრიალდი! — მიბრძანა.

ვერ მივტრიალდი. იმიტომ კი არა, რომ არ დავმორჩილდი, განძრევა არ შემეძლო.

— მიტრიალდი, შე ნაბიჭვარო! როგორც იქნა, ფეხები ავამოძრავე და მივტრიალდი, ზურგი მივუშვირე.

— ახლა წადი!

მთვრალია, თან შეშინებული, — ვფიქრობდი, — ნამდვილად მესერის-მეთქი.

— წადი, გაიარე! — მიყვირა და ნაბიჯის გადასადგომად პანდური მომაშველა.

წაებორძიკდი, შემობრუნება დაეპირე, მაგრამ რევოლვერის გრიალმა გამაყრუა. გონს რომ მოვედი, თავქუდ-მოგლეჯილი გავბოდი. უკანმოუხედავად დავეშვი სკვერის ბოლოს ქვის კიბეებზე და ვერის ხიდისკენ მოვუსვი. ხილთან შევჩერდი, მივყურე, არასაიდან ჩამიჩუმე არ ისმოდა. როგორც ჩანს, გვიან იყო. გადავრჩი-მეთქი, — პირველად ეს გავიფიქრე, მაგრამ მესროლა კი? მესროლა, თუ ჰაერში დაცალა? ვითომ ორ ნაბიჯზე ამაცილა ტყვია?... თანდათან მოვსულიერდი და შინ წასვლა დაეპირე. შუა ხიდზე ისევ შევჩერდი, მსუსხავი ქარი უბერავდა და პალტოს საყველო ავიწიე, თავი შიგ ჩავრგე. ტირილი მომინდა, სახიზლრად დამცირებულად და შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი. ვინ იყო ეს გეი, რა დღეში ჩამაგდო? მეც რა ლაჩრულად, რა დედლურად მოვიქეცი, ლამის დავუჩოქე. შემეშინდა. რისი და ვისი შემეშინდა?!

ჩემს თავს უკვე ვეღარ ვერეოდი, გული გახეთქვამე მქონდა, წერგები დამაწყდა და ტვინი ამემღვრა. რატომ? რისთვის დავისაჯე ასე მკაცრად, რა უფლებით დამამცირეს, რა უფლებით მომაყენეს შეურაცხოდა? იქნებ სჯობდა კიდევ ტყვია მომხვედროდა? სირბილით მივბრუნდი უკან, ქვის კიბეებიც ავირბინე და მივედი იმ ადგილას, საიდანაც წელან დამფრთხალი და შეშინებული კურდღელივით გამოვრბოდი. ქუჩა ცარიელი და უკაცრიელი დამხვდა, მყუდრო და მღუმარე, თითქოს ეს სიჩუმე და მყუდროება საუკუნეების მანძილზე არ დარღვეულა.

შინ აღელვებული და აფორიაქებული დავბრუნდი. მამაჩემი იწვა, მაგრამ არ ეძინა, მე მელოდებოდა. ამ ლამობით რას დაეთრევიო, — მითხრა და

კედლისკენ გადაბრუნდა. მეც ვუთხარი, რას დავეთრეოდი, დეტალურად მოვუყუვე, რაც გადამხდა, თან ჩემი მძიმე განცდებში მივაყოლე, გული გადავუხსენი. მამისგან თანადგომასა და თანაგრძნობას ველოდებოდი, მინდოდა, როგორმე დავმშვიდებულიყავი, მამის ნუგეშიანი სიტყვა გამეგონა. კარგად გადარჩენილხარო, — მითხრა ისე, ჩემთვის არც მოუხედავს. კიდევ საკმაო ხანს ვიდექი მისი საწოლის წინ, — იქნებ კიდევ რაღაც მითხრას-მეთქი. ეგრევე, სიტყვის უთქმელად დაიძინა.

ღილით აღრე ავდექი, მამა წასული დამხვდა. ასე აღრიანად არასოდეს გადიოდა სახლიდან.

ორი დღე გულს ვასკდებოდი, გარეთ ფეხი არ გამიდგამს. გამწარებულმა არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა და აყრილდაყრილი სახლი დავალაგე. ოთახები გამოვხვეტე, ერთი კვირის გაურეცხავი ჭურჭელი დავრეცხე და დავაკრიალე. მამაჩემს ხაზგასმულად არ ვცემდი ხმას, ბეგრს ზომ არ ვთხოვდი, მხოლოდ მცირე ნუგეში მინდოდა, მინდოდა მეგრძნო, რომ გვერდით ვიღაც მიდგას და ქვეყანაზე მარტო არა ვარ. ჩემი დამედროება თუ გაბუტვა აინუნში არ ჩაუგდება, ერთხელ არ უკითხავს, — შეილო, რა დავემართა, ხმას რატომ არ მცემო? სამსახურიდან მოვიდოდა, ისაღილებდა, ცოტას წაუძინებდა და ისევ წავიდოდა, თითქოს მე მეჭინებოდა, ახლა მან დაიწყო დამ-ლამობით გვიანგვიან დაბრუნება.

ორი დღის შემდეგ ლამარას შევხვდი და ისევ ამ პაწაწინა არსებამ მომგვარა შევება. ჩემი დამცირებისა და სამარცხვინო გაქცევის ამბავი არ გამიმხელია, ისე, თავისთავად იყო ლამარა სიმშვიდისა და იმედის მომტანი. მის ახლოს, მის გვერდით თავს ყოველთვის კარგად ვგრძნობდი, იმედიანად... ისევ ვაცილებდი დამ-ლამობით სახლამდე, ქუჩა-ქუჩა ვეძებდით და ადვილად ვპოულობდით ბნელსა და მყუდრო თავშესაფარს, სადაც დრო ჩვეულებ-

რევი საათის მიხედვით არ აღირიცხებოდა, გაცილებით სწრაფად მიედინებოდა.

ლამარასაგან წამოსული ყოველთვის ვერძნობდი, ვიღაც მითვალთვალებდა, უფრო სწორედ, სიბნელეში მორიალურ ლანდი რამდენჯერმე შევამჩნიე და ამან შაფიქრებინა, — ვიღაც მითვალთვალებს-მეთქი. ვერ დავიტრაბახებ, ეს ჭიუტად ადევნებული ლანდი თითქოს არ მაშფოთებდა, ან არ მაშინებდა. შემკრთალი და დაძაბული ცვდილობდი, გავმეგრებულეყავი, არ შევემდრკალიყავი, რადგან უტყარ შეხვედრასაც ვითვალისწინებდი... ჯერ იგივე, ბეწვის ქუდიანი კაცი მეგონა, მაგრამ მალე დავრწმუნდი, სხვა იყო, სხვა აღნაგობა ჰქონდა, იმასთან შედარებით ეს გოლიათად მეჩვენებოდა, თუმცა რა ვიცი, ზოგჯერ გავიფიქრებდი, — შიშს დიდი თვალეზი აქვს-მეთქი, მით უმეტეს სიბნელეში.

დრო გადიოდა, ლანდი ახლოს არ გამკარებია, პირიქით, მემალებოდა, ალბათ ეგონა კიდევ, — ვერ მამჩნევსო. ამან უფრო დამძაბა და შემაფიქრინა, ეტყობა, ხელსაყრელ მომენტს ეძებდა, მაგრამ ჩემთან თუ რაიმე ანგარიში ჰქონდა გასასწორებელი, უკეთეს დროს ვერ მოიხელთებდა. ზამთარი იყო, ციოდა, ბნელოდა, ქუჩაში კანტი-კუნტად თუ გაივლიდა ვინმე, იმასაც ალბათ თავისი უჭირდა და სხვისი დარღისა და საწუხრის გაზიარება გაუძენელდებოდა.

ბოლოსდაბოლოს, ადამიანი ყველაფერს ეჩვევა და მეც შევეჩვიე იმ ლანდს, ჩემი ბედისწერა ეგა ყოფილამეთქი, — ვფიქრობდი და ერთი დღეც რომ გაეციდინა, ხეს ან შენობის კუთხეს ამოფარებული რომ არ დამელანდა, უსათუოდ ძებნას დავეწყებდი. შიშს დიდი თვალეზი აქვს-მეთქი, ვთქვი და მეც ცოტას ვაზვიადებ, თორემ ამ კუკუ-დამალობანამ სულ ერთი კვირა გასტანა, თუმცა ერთი კვირის მანძილზე გამუდმებული გულის კანკალი არც ისე იოლი საქმე იყო...

ომის დამთავრების შემდეგ პირველი ახალი წელი დგებოდა. რატომღაც და ათასცხრაას ორმოცდა ექვს წელს ვიდრესასწაულებდით. ლამარამ მითხრა, — საღამოს ჩემთან უნდა მოხვიდო, რამდენიმე სტუდენტი, მათ შორის დურმიშხანიც, ჩამოთვალა, — ესენიც იქნებიანო. რა ხდება-მეთქი, ვკითხე. ისეთი არაფერით, — მიპასუხა, — არ გამაწბილო, თორემ მეწყინებო. ლამარას დაბადების დღე ვივარაუდებ, თითქოს ვიცოდი, როდის იყო დაბადებული. ერთხელ ვაკვრით ახსენა და, როგორც ჩანს, გადამავეწყვდა. ზოგს დაბადების დღეს ვერ გამოაპარებ, სწორედ ამ დღის მიმართ აქვს გამაზვილებული და დაგეშილი მებსიერება. მე ვერ ვიმახსოვრებ, არც იმის თავი მაქვს, ბლოკნოტი შევიძინო, ჩავიწერო და მერმე თვალი ვადვენო, — არიქა, არ გამომჩნეს, ერთი ვნახო, დღეს ვინც დაბადების დღეა-თქო. მაგრამ ლამარას დაბადების დღე უსათუოდ უნდა გამხსენებოდა.

გულით მინდოდა, დასამახსოვრებელი რაღაც მიმეტანა, რაც არ უნდა იყოს, ლამარას ოჯახში პირველად მივდიოდი. საკუთარი სახსრებით ამას ვერ შევძლებდი, ისევ მამაჩემისათვის უნდა მიმემართა, მაგრამ ეს ერთი კვირა შინაგანი ბოიკოტი მქონდა გამოცხადებული, ვითომ ჩემი მძიმე და რთული სულიერი მდგომარეობა არაფრად ჩააგლო-მეთქი. ინსტიტუტიდან ცოტა ადრე წამოვედი. მეჩხერი წვერი სამართებლით ჩამოვიფხვიე, პირი და კისერი დავიბანე და საღადადებისდღეოდ გამოვეწყე. მამა სამსახურიდან დროზე მოვიდა, ერთად ვისადილეთ. ახლა მთავარი იყო, სატყმელი შეთქვა, თანაც ისე, რომ მეგრძნობინებინა — მაშინდელი უგულო დამოკიდებულება ჯერ არ დამვიწყებია-მეთქი. გამიჭირდა. ბოლოს, სხვა რა გზა მქონდა, გაგებდე და ვუთხარი. ჯერ ჩემთვის გაუგებარი ფრაზა წამოსცა, — წაიღებ ინანებ, არ წაიღებ, მაინც ინანებო... მერმე დაფიქრდა, — ფული რომ მოგცე, ვიდ-

ვით ახლა რას იყიდით?... ყვავილებს მიტანა შეიძლებოდა, მაგრამ გვიან არის, ველარ იშოვნით, თანაც მაინც-დამაინც ყვავილების მიმართმევე ჭაბუკს არა ჰგავხარო... ჭურჭლის კარადიდან ფიფურის ლურჯი ფინჯანი გამოიღო თავის თეფშინად და მაგიდაზე დადო, — შინ ამაზე ლამაზი და ძვირფასი არაფერი მოგვეძებება და, თუ გინდა, ეს წაიღეო. მეც არავინ მყავდა ლამაზზე უფრო ლამაზი და ძვირფასი და დაეთანხმდი. თვითონვე გამიხვია ფრთხილად და გამატანა, შინიდან გასვლისას შემატრიალ-შემომატრიალა, ამხედ-დამხედა, — როგორ გამოიყურებით და გამიშვა.

მაინც სხვა კაცია-მეთქი, — ვფიქრობდი გზაში, — ერთადერთი ძვირფასი ნივთი გვექონდა და ისიც გამომატანა... თითქოს შემეცოდა კიდევ, განა ვერ ვგრძნობდი და ვერ ვატყობდი, როგორ შეიცვალა, მუდამ შეწუხებული და ჩაფიქრებული დადიოდა, გეგონებოდა, რაღაც დაჰკარგა და ველარ მიავნო ან დაკარგული ვერ აინახლათრა. ერთი სიტყვით, ის სანდრო აღარ იყო, როგორიც ომიდან დაბრუნების პირველი დღეებიდან დამამახსოვრდა. ძველებურად აღარ ბობოქრობდა, აღარ იცინოდა, აღარ ჭახჭახებდა. კარგად ისიც არ ვიცოდი, სად მსახურობდა. უკითხვად დავდიოდა, რა ხალხთან ჰქონდა ურთიერთობა. ამდენი რჩევა-რჩევის შემდეგ კმაყოფილი იყო, თუ არა სამსახურისა? იქნებ ვიღაც ქალი შეუყვარდა, ცოლის მოყვანა უნდოდა და ჩემი ერიდებოდა, მე ვუშლიდი ხელს? ქალისკენ ლტოლვა უკვე მისი ასაკისათვის შეუფერებელ საქციელად აღარ მიჩვენებოდა, ორმოცდასამი წლის კაცი იყო, ჯან-ლონით სავსე, ენერგიული... კაცს ალბათ ათასი რამ აწუხებდა, თავისი სატყეობარი ტყიოდა და მე კი ჩემსას მივრეკავიდი, ბავშვივით ვებუტებოდი.

კარი გაღმებულმა ლამარამ გამიღო, ბედნიერი თვალები შემომანათა, ლოყა მომიშვირა, — მაკოცეო და მეც და-

ვიხარე, კოცნით მიველოცე დაბადების დღე, საჩუქარიც გადავეცე. შეძიყვანა ბროლის დიდი ჭაღით განათებულ დარბაზში, სადაც დიდი, ოთხკუთხედი მაგიდა სტუმრების მისაღებად გაწყობილი და გამზადებული დამხვდა. ახლაც დაებრუნდებით, — თქვა და ჩემი საჩუქრისად გაცუნცულდა.

ამოდენა სივრცეში მარტო დავრჩი და სინანულით გავიფიქრე, — ასე აღტირად ნეტავი რა მომარბენინებდამეთქი. ლამაზა, რა თქმა უნდა „ახლაც“ არ დაბრუნებულა და რახან დროცა და საშუალებაც მქონდა, იქაურობის დათვალიერებას შევეუდღე. უცნობ, ჩემთვის უჩვეულო გარემოში მოვხვდი და ჩემ თავს ხუმრობით ვაფრთხილებდი, — ახლა მთავარია, არაფერი გაგიკვირდეს-მეთქი. ნუგბარი სუფრა იყო გაშლილი. მესსიერება დაეძახე, მინდოდა გამეხსენებინა, ასეთი საქმელები მენახა თუ არ მენახა ომამდე, ვერ გავიხსენე, რადგან მაგიდაზე ელაგა ის, რაც კაცობრიობამ ომის დროს გადაივიწყა. სუფრის აღწერას არ შევეუდგები, არც მაქვს სურვილი, რადგან მაშინ ომი ახალი დამთავრებული იყო, ხალხი ჭერ კიდევ შიმშილობდა და, შესაძლებელია, რაღაც-რაღაცები ვახვიადებულად მომჩვენა კიდევ.

ოთახში უამრავი ძვირფასი ნივთი იდგა: წითელი ხის სერვანტი, ინკრუსტირებული ბული, ასევე ინკრუსტირებული ვიტრინა, წითელი ხის დაბალი, მრგვალი მაგიდა, სოფა, ტყავის ორი სავარძელი... კედლებზე სურათები ეკიდა. ერთი კედელი დათმობილი ჰქონდა უზარმაზარ ტილოს, ეს იყო აივანოვის „მეცხრე ტალა“. სხვადასხვა ზომის „მეცხრე ტალა“ ბევრ ოჯახში მინახავს, მაგრამ ისე დიდს პირველად ვხედავდი, ეს სურათი ფართობით ჩაგრავდა დანარჩენებს. ვიტრინაში იმდენი და ისეთი ძვირფასი ფინჯნები გამოეთენათ, რომ შემრცხვა ჩემი მოტანილი საჩუქრისა და მგონი, გავწითლდი კიდევ სირცხვილისაგან, — ალბათ ჯობდა, ყვავილები მომეტანა-მეთქი.



ისევ ლამარა მომევილია მხსნელად, სახეგაბრწყინებული შემოვიდა და, საცაა სხვებიც მოვლენო, — დამაიშვდა, მერმე, როგორც საიდუმლო, ჩურჩულთ ვამანდო, — დედაჩემი გაგიჟდა, ძალიან მოეწონა შენი საჩუქარიო. ჩემი საჩუქრის ამგვარ შეფასებას არ მოველოდი და უფრო თავაზიან ქათინაურად ჩავთვალე. შემდეგ გაირკვა, ლამარას დედა ფაიფურის დიდი მოტრფილედ და მცოდნე ყოფილა თურმე. ჩემი მიტანილი ფინჯანი მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულის ან უკიდურეს შემთხვევაში, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისის გერმანული ფაიფური აღმოჩნდა. გულწრფელად გამიხარდა, ამაზე სასიამოვნო რა უნდა იყოს, როცა ჭენი საჩუქარი მოეწონებათ...

ამასობაში ღურმიშხანი შემოუძღვა თანაკურსელებს. ხმაურითა და სიცილით შემოცვივდნენ, კალიბრებით მოედნენ იქაურობას, სასწრაფოდ დაიპყრეს სივრცეები, სოფა, სავარძლები, საიდანაც ნარდი გააჩინეს და თამაშიც გაახურეს. კარტი ხომ არ გინდათო, — იკითხა ლამარამ და გავიდა, მაგრამ კარტი აღარ შემოუტანია, ალბათ დაავიწყდა. სულ ათი თანაკურსელი დავთვალე, ექვსი — გოგო და ოთხი — ბიჭი, მე მეთერთმეტე ვიყავი. ღურმიშხანი მოვიდა და მკითხა, — დიდი ხანია მოხვედლი? არა-მეთქი, — ვუპასუხე. პირველად ხარო? პირველად-მეთქი! ჰოო! — დასძინა მრავალმნიშვნელოვნად, მხარზე ხელი დამკრა და ნარდისაკენ წავიდა.

შემოვიდა დაბალი, მსუქანი არსება, ეს დედაჩემიაო, — თქვა ლამარამ და ყველა ერთბაშად წამოიშალა. დიდი პატივისცემითა და მოწიწებით მიგვესალმეთ. ლამარას დედას სამი ქალბატონი შემოჰყვა. ესენი დეიდები არიანო, — განაცხადა ისევ ლამარამ. დები ერთი სიმალისიანი იყვნენ, ოღონდ მეტნაკლებად მსუქნები. არა, დაბლები არ ეთქმოდათ, რა გასაკვირია, ადამიანი ზოგი დაბალია, ზოგი — მაღალი, ზოგიც საშუალო ტანისაა. ესენი კი

უფრო ჯუჯებს ჰგავდნენ, რალაციანიად კოტიტები იყვნენ. სამივე გაუფხრკვეარიო, — მამცნო ღურმიშხანმა.

— თქვენ შორის ოზო რომელია? — იკითხა ლამარას დედამ.

— მე ვარ, ქალბატონო, — წინ წავდგი ფეხი და თავი დავხარე.

— ძალიან კარგი! — ღიმილით ამოხმედა.

არ მოველოდი, სასიამოვნო სახე ჰქონდა, თან მომეჩვენა, რომ ლამარა თვალებით დედას ჰგავდა.

— მე ფაიფურის ტრფიალი ვარ და თითქმის ყველა მისი საიდუმლოც ვიცი, — თავი ოღნავ გვერდზე გადახარა და გაღიმებული მეუბნებოდა — თქვენი ფინჯანი მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულსაა გერმანიაში დამზადებული. ამას წყალი არ გაუვა. ჩემი უფროსი და კი ამბობს მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისისააო, მაგრამ არ არის სწორი.

— ამოცანა გვეკითხება, რომელი დაა უფრო მართალი? — ჩურჩულით მითხრა ჩემს ზურგს უკან მდგარმა ღურმიშხანმა.

— «ცისფერი ხმლები» ევროპაში უძველესი ფირმაა და რამდენადაც ვიცი, ეს ფირმა დღემდე არსებობს. ჩემი ოცნებაა — ამ ფირმის მთლიანი სერვიზი... ოღონდ ძველი... თუნდაც მეცხრამეტე საუკუნისა.

— ქალბატონო, ამ ფირმის ერთადერთი ფინჯანი გვქონდა. — ვუპასუხე სხაბასხუბით, არ იფიქროს, თითქოს კარადები «ცისფერი ხმლების» სერვიზით გვაქვს გამოძემილი.

— ისიც ლამარასთვის გაიმეტეთ, არა! — ლამარასთვის არაფერს დავიშურებ, ქალბატონო.

— ყოჩაღ! ყოჩაღ! ნამდვილი ქართული ხარ! — ამას ისევ ღურმიშხანი მეჩურჩულედა.

— დედა, ნუ აწუხებ სტუმრებს!... დაესხდეთ, მეგობრებო, დაესხდით! ეს კი, ალბათ მიხვდით, ლამარაა.

ქალბატონები ოთახიდან რომ გაგოგმანდნენ, ღურმიშხანმა ერთხელ კი-

დევ ჩამჩურჩულა:

— ბიჭო, ამათ, მგონი, ჭიშის გასა-  
უმჯობესებლად უნდინხართ!

კინალამ გამეცინა, — გამოუსწორე-  
ბელი ვილაცა-მეთქი ეს ღურმიშხანი.

ჩიტი ასაფრენად მზად იყო და ხე-  
ლის აქნევას ელოდებოდაო... როგორც  
კი ნება დაგვრთეს, წამიც არ დაგვიყო-  
ვნებია, შევესიეთ და, ვიღრე თამადას  
ავირჩევდით, შემუსრული აღმოჩნდა  
მთელი სუფრა. ოთხი ქალბატონი ვერ  
აუღიოდა ჩვენი მაგიდის სურსათ-სა-  
ნოვაგით მომარაგებას. ღურმიშხანი  
თამადად დადგა, თვითონვე თქვა —  
თამადაობას სხვა მინც არ იცისრებს,  
ვიცი ჩემი ბედის ამბავიო. მოკლე-მოკ-  
ლე სადღეგრძელოებს ამბობდა, ოღონდ  
ღვინოს ვგაძალუბდა, ძალით გვასმევე-  
და, მომცროს ჭიქა კი იყო, მაგრამ ბო-  
ლომდე გვაცლევინებდა...

ლამარა ჩემს გვერდით იჯდა, კმაყო-  
ფილი და ბედნიერი, ვერ ითმენდა და  
წინასწარ მეუბნებოდა, — ახლა ამ  
ქერძს შემოიტანენ და ახლა ამასო. მე-  
ტის ჭამა არ შემეძლო, თავიდანვე დაგ-  
ხარბდი და ზედმეტი მომივიდა. ხომ  
კარგი დეიდები მყავსო, — მეკითხე-  
ბოდა, — შეხედე, რა საყვარლები  
არიანო... და კიდევ ერთი ცნობა მო-  
მაწოდა, — გაუთხოვრები არიანო. ეს  
უკვე ღურმიშხანისაგან ვიცოდი, თანაც  
ჩემთვის ამას რა მნიშვნელობა ჰქონ-  
და, მე ხომ არ მომიწევდა მათი ვათ-  
ხოვება. მთავარი, ლამარა მიყვარდა  
და მსიამოვნებდა, გახარებულსა და  
კმაყოფილს რომ ვხედავდი. ლამარამ  
რამდენჯერმე მიხსენა კიდევ საყვარე-  
ლი დეიდები, არ ვიცი, მეც შევეჩვიე,  
თუ რა მოხდა, მართლაც საყვარლად  
მეჩვენებოდნენ უკვე ეს კოტიტა ქალ-  
ბატონები, მზრუნველები და კეთილები  
ჩანდნენ, ისიც კი წარმოვიდგინე, რო-  
გორ ანებივრებდნენ ერთადერთ დისშ-  
ვილს.

ზარი დაირეკა.

ეს მამაჩემიო, — წამოიძახა ლამა-  
რამ, სხარტად წამოხტა და შემოსასვ-  
ლელისაკენ გაიქცა. დაბრუნებულმა

ღურმიშხანს უთხრა, — მამას ვთხოვე  
და ახლავე შემოვყო. ისევე დადგინდა  
ადგილას, ჩემს გვერდით დასკუბდა.  
ჩვენ ყველანი მოლოდინით აღესილნი  
გავიტრუნეთ, ღურმიშხანი ფეხზე იდ-  
გა, სავსე ჭიჭისთვის ხელი წაეველო და  
ისიც მოთმინებით ელოდებოდა ლამა-  
რას მამის შემობრძანებას. ჩაფიქრებუ-  
ლიც იყო, ეტყობა, გუნებაში ჩარხავდა  
და აჯახრავებდა შესაფერ სადღეგ-  
რძელოს.

ლამარას მამა შემოვიდა და ყველა  
ფეხზე წამოდგა.

მე არ წამოვმდგარავარ, უნებურად წა-  
მოვიწიე, მაგრამ წელი ვერ ავითრიე,  
რადგან მოულოდნელი და გაუთვალის-  
წინებელი ელდა მეცა. ჩემ წინ იდგა ის  
კაცი... სწორედ ის კაცი, ამასწინათ  
ნასვამი რომ შემეფეთა ქუჩაში... შე-  
მოსვლისთანავე ვიცანი! მე მისი სახე  
არ მახსოვდა, ნამდვილად არ მახსოვ-  
და, ის სიბნელეში არ ჩანდა, ვერ და-  
ვინახე და როგორ დავიმახსოვრებდი?  
მინც ვიცანი! როგორც კი ოთახში ფე-  
ხი შემოდგა და ერთი ჰაერი ჩავისუნ-  
თქეთ, იმით ვიცანი!.. მოულოდნელი  
ელდით ვიცანი!

არ ვიცი, ლამარამ და სხვებმა რა  
იფიქრეს, ამ კაცს ფეხზე რომ არ წამო-  
ვუდებო. მე უკვე ვერაფერს ვხედავდი  
და არაფერი მესმოდა. მესმოდა მხო-  
ლოდ გაუთავებელი ღულუნე თუ ზუ-  
ზუნე და ვგრძნობდი, ღურმიშხანი სა-  
დღეგრძელოს აჯახრებდა. თანდათან  
აზრზე მოვდიოდი. მაგიდას ოდნავ მო-  
წყვეტილი ვიჯექი, ხელები მუხლებზე  
მეწყო და ფეხებშორის იატაკს ჩავც-  
ქროდი, თავის ალება მიჭირდა, ლამა-  
რას მამისკენ გახედვა არ მინდოდა, ალ-  
ბათ არც შემეძლო. რა მოვივიდა, ცუ-  
ლად ხომ არა ხარო, — მეითხა შეწუ-  
ხებული ხმით ლამარამ: პასუხი არ გა-  
მიცია, ახლა უკვე ერთს ვფიქრობდი,  
— აჭაურებას როგორმე თავი უნდა  
დავაღწიო-მეთქი. ღვინო საგრძნობლად  
მომკიდებოდა და მეშინოდა, უხერხუ-  
ლად არ მოვკეცულიყავი...

მერმე წამოიშალენ და ყველამ ერ-

თად თუ ერთხმად ადღეგრძელეს ბატონი ვარლამი... ბატონი ვარლამი... ვარლამი... ვარლამი! ეს კაცი თურმე ბატონი ვარლამი ყოფილა... სამწუხაროა, რომ აქამდე არ ვიცოდი... ოზო, ადღეგრძელე, მამა შენ გელოდებო, — ეს ისევე ლამაზა იყო... ბიჭებო, ამ სადღეგრძელოს კარგი „მრავალკამიერი“ მოუხდებო, — ღურმიშხანი სიმღერის შეკოწიწებას ცდილობდა, ვანა ვერ ვხვდებოდი, სიმღერაზე უფრო ყველასათვის გაუგებარი და უხერხული დღემილის დარღვევა უნდოდა... ოზო, მამა გელოდებო, — არ მეშვებოდა ლამაზა, მეჩურჩულებოდა.

ახლავე ქალბატონო, რახან ასეა საჭირო, აქ არა ვარ!

უცებ წამოვდექი, სკამი გავწიე და პირდაპირ ბატონ ვარლამისკენ გავეშურე, დღემილში მხოლოდ ჩემი ნაბიჯების ხმა ისმოდა. ერთი წუთით თავი ავიღე და დავინახე: ღია კარიდან ოთხი და ღიმილით შემომყურებდა, უფრო — შემომციცინებდა, როგორც მომავალ იმედს, როგორც სიხარულისა და ბედნიერების მომავალ მომნიჭებელს. მე უკვე მტკიცე ნაბიჯით მივუახლოვდი ბატონ ვარლამს, დავიხარე და თვალეზში ჩახედე. ქვემოდან ვილაცამ წვრილი, უფერული თვლებით შემომხედა. მერმე ყურში ჩავჩურჩულე, — ბატონო ვარლამ მე ის ვახლავართ, ამასწინათ ქუჩაში რომ ავინეთ და რევოლვერი ესროლეთ-მეთქი. ახლაც უკან გადახტომა დააპირა, მაგრამ დავასწარი, ხელი მაგრა წავავლე მკლავზე და შევაჩერე.

— ამ კაცმა ერთხელ რევოლვერი მესროლა! — ახლა უკვე ხმამალა ვთქვი და ისევე მტკიცე ნაბიჯით გავწიე შემოსასვლელისაკენ, ჩამოვხსენი ჩემი პალტო და... სადარბაზო კიბეზე დავქანდი.

ქუჩაში გამოსულმა სიცივე ვიგრძენი და გამახსენდა, პალტო ხელით რომ მომქონდა. პალტოს ჩაქმისას წინ ჩემი

ნაცნობი ლანდი დავინახე და გავეცინა. მშვიდობით-მეთქი! — დავემშვიდობე, — ამიერიდან შენთვის დამითმია ეს ქუჩაც, ეს სახლიც და ისინიც, ვინც ამ სახლში ცხოვრობენ, ამიერიდან შენ ამ ქუჩაზე გავლილს ვეღარ მიხილავ-მეთქი. ეტყობა, ჩემმა ძველმა მეგობარმა და ერთგულმა ლანდმა ვერ დამინახა, ისიც კაცია, მართლა ლანდი ხომ არ არის?! შეიძლება, ჩაფიქრდა ანდა დაეჭვდა, შეიძლება, იმასაც უჭირს, მაშ ამ ღამეში, ამ მსუსხავ ღამეში, როცა ძალსაც კი არ გაავლებენ გარეთ, რას დაძრწის, რატომ ეფარება ხეებსა და შენობის კედლებს?

სწორედ იმ დროს მივუახლოვდი, პაპიროსს ცეცხლს უყიდებდა. ეს იყო მეორე ელდა, თუმცა იგი არაფრით ჰგავდა წელან განცდილს, მაგრამ მაინც ელდა იყო.

ზურგით ხეს მიყრდნობილი ლანდი, ანთებული ასანთი პირთან რომ მიეტანა, მამაჩემი აღმოჩნდა, თვით სანდრო ბოდაველი. თავი რომ ასწია და მის წინაშე მდგარი და გალიმებული დამინახა, ოზო, შენ ხარო? — წამოიძახა. მე ვარ-მეთქი, — ვუპასუხე. აქ საიდან ვაჩნდიო? — ისე გაიკვირვა, ვითომ არ იცოდა, აქ საიდან ვაჩნდი. მე კი დაბადების დღიდან მოვდივარ, მაგრამ შენ აქ რა ვინდა, რას უდგებარ-მეთქი. ამ შეკითხვისათვის როგორც ჩანს, მზად არ იყო, დიდხანს იფიქრა, მაგრამ პასუხი არ გაუცია. შინ ისე წამოვედი, თითქოს ერთად კი არ მოვდიოდით, დარცხვენილი და დაბნეული უკან მომყვებოდა და თავის გასამართლებელ სიტყვებს ეძებდა. აქ ერთი ჩემი ფრონტელი მეგობარი ცხოვრობს, შინ არ დამხვდა და იმას ელოდებოდიო, — აშკარად მატყუებდა, — სასწრაფო საქმე მქონდა, გადაუდებელიო... არა უშავს, ხვალ აღრიანად მივაკითხავ, დღეს სადმე გატყვევებოდაო. არავითარი ფრონტელი მეგობარი ამ ქუჩაზე არ ცხოვრობდა, ეს ვერსია გზაში მოიგონა. მე ხომ ლანდი ერთი კვირის წინ შევინშნე, ოღონდ არ ვიცო-

დი, რომ მამაჩემი იყო. ამ ერთი კვირის მანძილზე ქუჩის ბნელ კუნჭულე-ბში მდარაჯობდა თურმე, თუ კვლავ გადავეყრებოდი იმ ტიპს, თვითონ გაუსწორდებოდა, თუმცა არც ისაა გამოორიქებული, რომ მარტოც ესწრაფვოდა შეხვედრას... ოღონდ არ იცნობდა და ალბათ შემთხვევის იმედით უსაფრდებოდა, იქნებ ბედმა გამოიღმოსო.

კარგად გიცნობთ, ბოდაველებო, კარგად ვიცი თქვენი ავან-ჩავანი! სანდრო ბოდაველო, განა შენც ის არა ხარ, რაც ანანოა?! განა ერთი ჯილაგისანი, ერთი ბუღისანი არა ხართ?! განა ანანომ ცხრა მთა არ გადაიარა, ვილაც გარეწარი რომ დაესაჯა?!

პაერზე გამოსულმა უფრო ვიგრძენი ღვინის ძალა. მამაჩემმა მკლავზე ხელი მომკიდა და მკითხა, — როგორი ღვინო იყო?

მე სულ სხვა რამ ვუპასუხე:

— შენი ფრონტელი მეგობარი იქ აღარ ცხოვრობს, ერთი კვირაა, რაც გადავიდა... იმის ძებნაში ტყუილად დროს ნუ დაკარგავ. აღარც ლამარა ცხოვრობს იმ ქუჩაზე, ისიც გადასახლდა. სად? არ ვიცი... სადღაც! ამიტომ იქით, — მარჯანიშვილის თეატრთან შევჩერდი და უკან მივიხედე, — არც მე ვივლი, მორჩა! იცოდე, ყველა ვალი გასტუმრებული მაქვს, შენი შვილი არავის ვალში არ დარჩება.

ალბათ მიმიხვდა მამაჩემი, რაც ვუთხარი, უმაღვე დამეთანხმა — რაეი ეგრაე, ეგრაე იყოსო.

დილით ცუდ გუნებაზე ავდექი და შიგნით უსიამოვნოდ ვიშმუშნებოდი. მომჩვენა, წუხელ ცუდად მოვიქეცი, თუმცა არც ის ვიცოდი, კარგად როგორ უნდა მოვეტეულიყავი. იმ წუთებში მე ხომ ვეღარ ვაზროვნებდი, ჩემს თავს — გულსა და ნერვებს ვერ ვერეოდი. ხომ შეიძლებოდა უპარესიც ჩამედინა? თავის მართლებამ შევბა ვერ მომგვარა. მამაჩემისთვის მინდოდა რალაციები მეთქვა და მეკითხა, წასული დამხვდა. ნავთქურაზე ჩაი ავადლულე და დავლიე. ოთახშიც ისევე ცი-

ოდა, როგორც გარეთ, ზამთარს მხოლმე ზადებელი შევხვდი, ანუ... დღემდე გვექონდა, არც შეშა მოგვიმარაგებია, ნავთქურა რას წაგვადგებოდა, თუმცა დილიდან გვენთო უშუაბანდში...

იმან ლაწირაკი და ნაბიჭვარი მიწოდა, მერმე პანლური ამომკრა და ტყვია დამახალა. ამის სანაცვლოდ მე ყურში ჩავჩურჩულე, — მე სწორედ ის გახლავართ, თქვენ რომ იმ ლამეს შეურაცხყოფა მომაყენეთ და რევოლვერიც მესროლეთ-მეთქი, მერმე კი ოჯახის, სტუმრების წინაშეც თითქმის იგივე მოვახსენე. შურისძიების გრძნობის ანაფხეი კი დავიმყოფილე, მაგრამ ეს ხომ ვერ ანაზღაურებდა დამცირებას, შეურაცხყოფას, შელახულ ადამიანურ ღირსებას და ამით გამოწვეულ ტკივილის განცდას, სულიერ ტრამვას? მე მგონია, ასეთი რამ უკვალოდ არ ქრება, იგი სამუდამოდ მნიშვნელოვან დაღს ასვამს ადამიანის სულს, მით უმეტეს, როცა ის ადამიანი ჩეიდმეტითვრამეტი წლისაა. მე მინახავს, ქუჩაში რა დღე დაუყრიათ ჯიბის ქურდისთვის, რომელსაც ვილაცისთვის ჯიბიდან ხუთი მანეთი თუ თუმანი ამოუტლია, თითქმის იქვე ჩაუქოლავთ. ისიც მინახავს, ყველას წინაშე ერთმა როგორ დამცირა მეორე, ძალღონით როგორ დაჩაგრა. ტრამვას გაჩერებასთან კეფაში წაპკრა, ცხვირში ხელი წაუჭირა, ება მოულრიცა, დედა აგინა... ვითომც არაფერი... ვაგონში ავიდა თავხედურად გაამაყებული. ის კი მხრებჩამოყრილი, დამცირებული შეგინებული სეირის მოყვარულებმა ანუგემეს, ასეც უთხრეს, — არაფერიო, ისეთი არაფერი მომხდარაო, დაწყნარდი და დამშვიდდი, რას იზამ, მჯობნის მჯობნი არ დაილევო... ბავშვობისას ენახე და დღემდე მახსოვს იმ კაცის გამწარებული სახე, ცრემლჩამდგარი შემლილი თვალეები. ქურდი უსათუოდ უნდა დაისაჯოს, მაგრამ კაცის ღირსებას როცა ბღალავენ...

ინსტიტუტში აღარ წავსულვარ, მეორე-მესამე დღეს უკვე საბოლოოდ მქონდა გადაწყვეტილი, ინსტიტუტისა-

თვის თავი დამენებებინა და უნივერსიტეტში გამეგრებულბინა სწავლა. ეს გადაწყვეტილება დიდხანს მწიფდებოდა და ბოლოს ნაყოფიც მოწყდა. მაშინვე დავეუქარე, იმან მირჩია, თუმცა მაშინ არც მე ვიცოდი მტკიცედ, რა მინდოდა.

ლამარასთან შეხვედრას გავუბრბოდი, მაგრამ იმდენად არა, რომ ინსტიტუტიდან გამოვქცეულიყავი. თუ მოინდომებდა ჩემთან დალაპარაკებას, ვეტყოდი, რაც მოხდა, რის გამოც ჩავიდინე ასეთი უსაქციელობა.

მალე დღურმიშხანმა მომაკითხა, თითქოს შეშფოთებული იყო, თვალსა და ხელს შუა უგზო-უკვლოდ რომ დავიქარგე. მარწმუნებდა, — ჩემი სურვილით მოვედი, ლამარას არ გამოვუგზავნივარო. მაინცდამაინც არ დავინტერესებულვარ, ლამარამ დაავალა თუ საკუთარი ინიციატივით გამომეცხადა, ჩემთვის ესეც და ისიც სულერთი იყო. მირჩია, მიდი და ბოდიში მოუხადეო, შენი ხულიგნობა ღვინოს დააბრალებ, იქნებ გააატოოსო. სიამოვნებით, — ვუთხარი, — თუ კი მაპატიებენ ამას რა სჯობია-მეთქი. ცოტა გავკვირვებული დარჩა, ეტყობა, ასეთ თვინიერ თანხმობას არ მოელოდა. სასწრაფოდ მიამბო, ჩემი წამოსვლის შემდეგ ლამარას ოჯახში რა ამბავი დატრიალებულა, მერმე დამემშვიდობა და წავიდა... ბატონი ვარლამი ისე გამოშტერებულა, რომ იარაღით გამოდევნებას აპირებდა, მაგრამ, ქალები დასვეიან და შეუჩერებიათ. ლამარას ტირილი ავარდნია და ვერ დაუმშვიდებიათ. რაღა გავაგრძელო, მშვენივრად დაწყებული დებადების დღე სამარცხვინოდ ჩამიშლია.

ღმერთი და რჯული, წინასწარ არაფერი მქონდა განზრახული.

ერთი კვირა შინიდან ფეხი არ გამიდგამს, შეიღმა დღემ თითქოს შეუმჩნევლად ჩაირა, შემდეგ კი ძალზე გამიჭირდა, უსაქმობისაგან ლამის კედლებზე გავსულიყავი. ვიფიქრე, — სოფელში წავალ-მეთქი, ანანოსთან, მაგრამ მტკიცედ ვერ გადაწყვიტე, რადგან გუნე-

ბაში მაინც ზაფხულს ეგვარაუდობოდი, სოფელში ჩასასვლელად უნაფხულა მერჩია. სოფელი ალბათ იმიტომ გამახსენდა, რომ ანანოს წერილი მივიღეთ, იწერებოდა, — კარგად ვარო.

ისე გამიჭირდა, ქალბატონ მარიამთანაც კი მივედი, — იქნებ ზიზის ამბავი შეიტყო და მისამართი მაინც მითხრას-მეთქი. ქალბატონი მარიამი ჩვეულებრივად შემხვდა, ოთახში თავაზიანად შემიაბატოვა, მაგიდასთან დამსვა და თვითონაც ჩემ წინ დაჯდა. ზიზის ამბავი, რა თქმა უნდა, არ იცოდა, ისე კი წუხდა, — მისამართი რომ ვიცოდე, დღესვე მივაკითხავდიო.

— ეგ გოგო თავს დაიღუპავს! — დაასკვნა ბოლოს ქალბატონმა მარიამმა.

მე არაფერი მითქვამს, რადგან საწინააღმდეგო აზრის ვიყავი და შინაგანად მჯეროდა, ზიზი არ დაიკარგებოდა, თავისას მიალწევდა.

ქალბატონმა მარიამმა მერმე მე მომიკითხა, — როგორ მიდის შენი სწავლის საქმეო. არ დამიმაღავს, ვუთხარი, როგორც მიდიოდა და შეძლებისდაგვარად აუხსენი კიდევ, ინსტიტუტს რატომ დავანებე თავი. შეცდომა მომივიდა, — ვალიარე, — თავიდანვე უნივერსიტეტში უნდა შევსულიყავი-მეთქი. მეგონა, არ მომიწონებდა საქციელს და ქარაფშუტობას დამწამებდა, მაგრამ პირიქით მოხდა.

— ეგეთი შეცდომა ბევრს მოსდის, — ამბობდა ქალბატონი მარიამი, — მაგრამ უმრავლესობა ამას ვერ ხელებდა, ანდა თუ მიხვდა, გზიდან მობრუნება არ შეუძლია, ერთხელ არჩეულ გზას მიჰყვება და ბოლოს ყველაფერი სანანებლად რჩება. კაცს უნდა შეეძლოს გზიდან მობრუნება, არ უნდა დაენანოს გავლილი მანძილი და ამ გზის მონაკვეთისათვის დახარჯული დრო და ენერჯია. მე იმ ჩიტირეიებზე არას ვამბობ, ხელმოცარულებზე, თვითონაც რომ არ იციან, რას ეცნენ, დღეს ერთ საქმეს მიადგებიან, ხვალ — მეორეს.

შენიშნა. გზიდან მობრუნებაზე რო-

ცა ლაპარაკობდა, ნამდვილად ზიზის გულისხმობდა. ოღონდ წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ ის ჩიტირეკია, რომელმაც არ იცოდა, რას სცემოდა, რას მიესწრაფოდა, სწორედ მე ვიყავი.

ერთი ღერი პაპიროსი და საფერფლე მოიტანა. მე მყუდროდ ვიჭექე და წასვლაზე არც მიფიქრია, აქ ყოფნა მსიამოვნებდა, თუმცა რატომ მხიბლავდა და მიზიდავდა აქაურობა, ვერ მივმხვდარიყავი, რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ სხვაგან წასასვლელი არ მქონდა და თავს აქ ვაფარებდი.

— ჩემო ოზო, მნიშვნელოვანი რამ გადაწყვიტე და მინდა გავიზიარო, — ქალბატონმა მარიამმა პაპიროსს ცეცხლი მოუქიდა, — რაც დრო გადის, მით უფრო მაწუხებს ჩემი წიგნების ბედი სულაც არა მსურს, ძუნწი რაინდის მღვთმარებაში აღმოვჩნდე... განძი გაქვს და ამ განძით არავინ სარგებლობს... საშინელებაა!.. დრო მართლაც შეიცვალა: ვილა მოვა აქ, როცა ქალაქში მრავალი ბიბლიოთეკაა, სადაც უკეთესი სამუშაო პირობებია შექმნილი. მე წიგნს არავის ვატან შინ, ასე რომ გამეტანებინა, ჩემი ბიბლიოთეკიდან აღარაფერი დარჩებოდა. სად შემეძლო დევნა და დავიდარაბა, — წიგნი დამიბრუნეთ-მეთქი! ცალკე წიგნი, რა ღირებულებისაც არ უნდა იყოს იგი, მხოლოდ წიგნია, ერთად თავმოყრილი კი განძია, რომელსაც ჩვენ ბიბლიოთეკას ვუწოდებთ. მე გადაწყვიტე ჩემი განძი თბილისის უნივერსიტეტს ვუანდერძო, იქ უფრო გამოიყენებენ, იქ უფრო საჭიროა ეს წიგნები, ვიდრე აქ — უქმი, დამტვერილი და გაოხრებული... არაფერი მითხრა, ვიცი, სწორია, ვინიერული გადაწყვეტილებაა, ოღონდ ეს საქმე ახლა როგორმე უნდა მოგვარდეს. საქმე ისაა, რომ წიგნები უნდა აღინუსხოს. უნდა არსებობდეს კატალოგი, თორემ გადაცემა-გადმოცემის დროს, რა მოხდება, კაცმა არ იცის. შეიძლება, დაიტაცონ კიდევ წიგნები, ეს არ არის გამორიცხვული... წიგნი სხვა რალაცაა, წიგნის მოპარვა თქვენ წარმოიდგინეთ, სა-

ზოგადობაში ქურდობად ვარ ითვლები, ყოველ შემთხვევაში, უნდა იცოდეს არ მიაჩნიათ... ამიტომ ბიბლიოთეკარი მჭირდება, კარგი, გამოცდილი, პატიოსანი, ფულს მე გადაუვხდის, ფული მაქვს და არც მენანება... შემეძლო უნივერსიტეტისათვის მეთხოვა, მაგრამ ჯერჯერობით ათასი მიზეზის გამო, გახმაურებას ვერიდები... მერმე მოვიყვან ნოტარიუსს და საქმეც ამით მოთავდება.

— მე რითი შემიძლია დაგეხმაროთ, ქალბატონო.

— როგორ გითხრათ... ახალგაზრდა კაცი ხართ, სტუდენტი, წარმოუდგენელია, ბიბლიოთეკებში არ დადიოდე... იქნებ იცნობდეთ ანდა იქნებ გაიცნოთ ისეთი პიროვნება, რომელსაც შეიძლება ვენდოთ... ჩემო ოზო, აქ ისეთი უნიკალური წიგნებია, ფასი რომ არა აქვს... ხომ გესმით ჩემი... ვისმე ხელიც რომ წაუტდეს, ღრც იქნება დასაძრახი.

— ქალბატონო, იქნებ მე შევძლო... ოღონდ მასწავლეთ, როგორ უნდა გაკეთდეს და მერმე მე ვიცი.

— არა, ჩემო ოზო, როგორ გეკადრებათ! — შეერთა ქალბატონი მარიამი, — არა, გენაცვალე, ეს იოლი საქმე არ გეგონოთ. აქ ათიათასი წიგნია!

— გთხოვთ, ქალბატონო მარიამ.

— არა, ჩემო კარგო, დამიჯერეთ, ამიტომ არ მითქვამს, ღმერთმანი, თქვენ არ მიგულისხმობხართ.

— მეც დამიჯერეთ, ქალბატონო მარიამ, თუკი მენდობით, ბედნიერი ვიქნები.

— არა და არა!

— შევძლებ... ახლა მაინც არავითარი საქმე არა მაქვს... უსაქმობისაგან ლამის გავგიყდე, ქალბატონო.

თავს გულწრფელად ვთავაზობდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა, ჯერ ვიფიქრე, — არ მენდობა-მეთქი, მაგრამ თუკი სხვა ვილაყის მოყვანას მენდობოდა და მავალებდა კიდევ, პირადად მე რატომ არ უნდა მნდობოდა? თანდათან ავენთე და ყოველნაირად ვუმტკიცებდი, — მხოლოდ ამ საქმისათვისა

ვარ დაბადებული და მოწოდებული, კატალოგების შედგენა ჩემი ბავშვობის ოცნებაა-მეთქი!

— მაშ, კატალოგების შედგენაზე ბავშვობიდანვე ოცნებობდით, არა? — გაეცინა ქალბატონ მარიამს, მიხვდა, სასაცილოდ გადავაჭარბე.

შემარცხვა და გავფითლდი, თუმცა ჩემსაზე მინც ჭიუტად ვიდექი, — სანამ არ დავითანხმებ, აქედან ფეხს არ მოვიცვლი-მეთქი. ისე ავლელდი, როგორც ბავშვი სათამაშოების მაღაზიის წინ, მოუთმენლობისა. თუ სულწასულობის გრძნობა მეუფლებოდა.

— იქნებ თქვენთვის უკეთესიც იყოს, — მითხრა ბოლოს ქალბატონმა მარიამმა. — წიგნების შერჩევა, წიგნებთან კონტაქტი დიდ რამეს ნიშნავს, მითუმეტეს ახალგაზრდა კაცისთვის. ეს შეიძლება, ერთგვარი სკოლაც იყოს. ოღონდ ნაუცბათევედ ნუ გადაწყვეტ... დაფიქრდით... იფიქრეთ... მე არ მეჩქარება, ერთი კვირის, ათი დღის შემდეგ მოდით და მითხარით, რა გადაწყვიტეთ...

— დიახ, ქალბატონო!

— კიდევ ერთი პირობა: სტიპენდიას დაგინიშნავთ...

— როგორ გეკადრებათ, ქალბატონო!

— სხვაგვარად არ გამოვა, არც იფიქროთ...

— ქალბატონო... — ვცადე შეჩერება.

— ამაზე ნუ ვილაპარაკებთ... ისიც წინასწარ უნდა იცოდეთ, ერთი წელი არ გეყოფათ... იფიქრეთ, კარგად იფიქრეთ.

— დიახ, ქალბატონო... ოღონდ ფულს არ ავიღებ.

— პირობა პირობაა! მაშინ, არც მე გაგიღებთ ბიბლიოთეკის კარს!...

შეეჭვებე დღეს სოფლიდან მარო მასწავლებლის ტელეგრაფა მივიღეთ, გვატყობინებდა, — ანანო ცუდად არის და ჩამოდიოთ. მამაჩემი განერვიულდა და აყვირდა, — ამ შუა ზამთარში რა დროს იქ წასვლაა, საქმეებში ყელამდე ვარ

ჩაფლულიო, ბრდღენივად და გრგვინავდა. მერმე თანდათან დაცნრა და შითხრა, — ჯანდაბას, ზვალ წავალო. მე ვუთხარი, — უსათუოდ დღესევე უნდა წავიდეთ-მეთქი, ამაღმევე!.. ვიგრძენი, ანანო ან ძალიან ცუდად იყო ანდა... შეიძლება... ის, რაც ვიგრძენი, არ დამიმაღავს. მამა მწარედ ჩაფიქრდა, შეუძლებელია, შეუძლებელია... — იმეორებდა. ისევე აფორიქდა, აიშალა, თითქოს გამოსავალს ეძებდა და ვერ პოულობდა, ეტყობა, მართლა საქმეებში იყო ჩაფლული და მათ მოწესრიგებამდე გამგზავრება უჭირდა. ჩვენნი ერთად წასვლა არ გამოვაო, — თქვა და ბარათების წერას შეუდგა. მერმე დამიბარა, ესა თუ ის ბარათი სად მიმეტანა და ვისთვის ვაღამეცა. ჩქარობდა, მაგრამ არ დაბნეულა, თითქოს ყველაფერი მოაწესრიგა, დააღაგა, ჯიბეებში ხელუბრაწყობილი კარგახანს სცემდა ბოლოს. მერმე კარადასთან შეჩერდა, ჯიბიდან ვასაღები ამოიღო და ერთ-ერთ უჯრას ჩხაკუნით მოარგო, გამოსწია და ჩაიხვდა. აქ ფულია! — მითხრა, — თუ საჭირო იქნა, ხვალვე შეგატყობინებ, წამოდი და წამოიღეთ. ნაწილი ფულისა ჯიბეში ჩაიღო.

იმ დამეს თითქმის არ მიძინია. ოთახიდან ოთახში დავწვრიალე. იმდენი ვეცადე და ვიწვალე, ანანო ვიხსენი — გამოვაჯანმრთელე და ფეხზე დავაყენე. მამა თბილისს გამოვისტუმრე, მე კი ანანოსთან გაზაფხულამდე დავრჩი. ჩემ თვალწინ დადნა თოვლი, თანდათან შეიფოთლა ჩვენი ღობის გასწვრივ ჩარიგებული თუთის ხეები, დავთვალე და ისევე თერთმეტი იყო. ანანომ კი მითხრა, — აბრეშუმის ქვა უნდა გავიჩინო, მაშ, ამ ხეებს ხომ არ მოვაცდენო. მერმე ცოტათი ჩამთვლიმა და საბძელზე შემომჭდარი შავი მამალი დამვისხმრა. კისერწაგრძელვებული ფრთებს აფართხუნებდა, დაყივლებას ცდილობდა და ვერ ყიოდა.

მეორე დღეს მამამ მიღებეშა — ჩამოდიო!

მიხვებ, ანანო აღარ იყო.

იმავე საღამოს გავედი რკინიგზის სადგურზე, ვისაც იმ დროს კახეთის მატარებლით უმგზავრია, ალბათ ახსოვს, ბილეთის შეძენა პრობლემას არ წარმოადგენდა, იმდენ ბილეთს ყიდდნენ, რამდენიც გაიყიდებოდა. ბილეთი თუ გქონდა, შეგეძლო, კიბეზე ჩამოკონწიალებულიყავი, სახურავზეც შეგეძლო აცოცება, ერთი სიტყვით, სადგურზე არ დატოვებდნენ, ასე თუ ისე, მაინც წაგიყვანდნენ, ბილეთს არ გაგაუქმებინებდნენ.

რა მნიშვნელობა აქვს, როგორ ვიმგზავრე, მთავარია, დილით უკვე თელავში ვიყავი და პალტოთი შეფუთული „ლილიენკაზე“ ვიჯექი. ვიცოდი, ანანო ცოცხალი არ დამხვდებოდა, მაგრამ გული სხვანაირი ყოფილა თურმე, ბოლომდე რალაცის იმედი აქვს, ბოლომდე არ სჯერა ანდა არ უნდა დაიჯეროს უბედურება. თოვლიან გზაზე მიგჩაქჩაქებდი და იმედის პატარა სხივი მაინც მითრთოდა გულში, სანამ სოფლის ცენტრში არ გაჩერდა ჩვენი ოთხთვალა. როგორც კი მიწაზე ჩამოვდგი ფეხი და ნაცნობებს თვალეებში შევხვდე, საბოლოოდ დავრწმუნდი, მოსახლენი მომხდარიყო. ამ დღეს თითქოს ველოდებოდი კიდევ, თვითონ ანანომ ჩამაგონა და დამაჯერა, — ასე და ასე მოხდებო. მაგრამ საოცრად მალე ახდა, რაც ანანომ თავის თავზე იწინასწარმეტყველა, რაც დღემდე აუხსენელი და გაუგებარია ჩემთვის.

პირველად ფოსტალიონი მოვიდა და მეითხა, — ჩამოხვედიო? ჩამოვედი-მეთქი, — ვუბასუხე. მე შეგატყობინეთო, — მითხრა, მერმე თანაგრძნობის ხელი ჩამომართვა, — კარგად კი მოგიარა მაგ მადლიანმაო... ჯავრს თავი შეაქმე-ვინაო... ეეჰ, რა ბნელი ხარ, წუთისოფელო! — ესეც დასძინა და გამშორდა. მერმე სხვებიც მოვიდნენ, იქვე სპარიკმახეროსთან უსაქმოდ რომ იღგნენ და ლაპარაკით თავს ირთობდნენ, ყველას გული წყდებოდა, ყველა სინანულით აქნევდა თავს.

მუხლამდე თოვლში მივიდიოდი, და-

თოვლილი იყო ყველაფერი, რასაც თვალი გასწვდებოდა: ხეები, სახლები, სახლებს იქით ტყიანი ფერდობები. თოვლს მივარღვევდი და ვფიქრობდი, — ნეტავი ზარით არ შემხვდნენ-მეთქი. შორიდანვე დავინახე, ჩვენს ეზოში ქალები ფუსფუსებდნენ, ჭიშკარი ღია იყო.

ეზოში შევედი. აივანზე კედელთან ჩამწკრივებული მამაკაცები იდგნენ. დიდი ოთახის კარიც ღია იყო. კიბე ავიარე და ყველამ მე მომაშურა, სათითაოდ ჩამომართვეს ხელი. გიმარჯვიაო, — მითხრა მამაჩემმა, — ხვალ დილით გელოდებოდითო... შედი და დახედეო... ახლა არ შემიძლია-მეთქი, — ვუთხარი. მამაკაცები მიიწ-მოიწიენ და ჩამაყენეს. მეც მათ შორის, კედელს აეკარი. ამ დროს ვიღაც ქალმა ეზოდან დაიძახა — ეგ ბაღლი მშვიერი იქნება და აქეთ გამოუშვიეთო...

მეორე დღეს დილიდან თოვდა. ბარდნადა, ხელისგულისოდენა ფანტელები ცვიოდა. ფილო კვალისაშვილმა თქვა, — მსხვილი თოვლია და მალე გადაილებსო. მალე კი გადაილო, მაგრამ მალევე წამოთოვა, ამჯერად წვრილი, დამდები თოვლი ჩამოყარა. მე მამაჩემის გვერდით ვიდექი, კედელს აკრული იქვე, სადაც გუშინ ჩამაყენეს. ფილო კვალისაშვილი შინაურივით ტრიალებდა, განკარგულებებს იძლეოდა, ხალხს ასაქმებდა.

დაუსრულებლად მოდიოდნენ მოსამძიმრენი. ჩემ წინ ჩაიარა მთელმა სოფელმა, მე ყველას ვცნობდი და გულის სიღრმეში რალაცნაირად მიხაროდა, რომ მათ ისევ ვხედავდი, ხელს ვართმევდი და წრფელ სამიზარს ვისმენდი. ჩამომართმევდნენ ხელს და ღია კარს მიაშურებდნენ, იქ შუა ოთახში ანანო ესვენა, ირგვლივ შავად ჩაცმული დედაკაცები ისხდნენ, დროდადრო ვიღაც წამოიტირებდა, მერმე სიჩუმე კვლავ მოიცავდა იქაურობას. ყველაფერი ზედმეტი ფუსფუსის, ხმაურისა და მოძრაობის გარეშე ხდებოდა, თითქოს ყველამ იცოდა თავისი საქმე და



აქეთებდა იმას, რისი გაკეთებაც აუცილებელი იყო.

კარიათლებიც გამოჩნდნენ, დათოვლილ მთებივით შემოვიდნენ ეზოში ოთხივენი ერთად; (კარიაულის ქერივი აღრევე მოვიდა და ჭირისუფლებში იჭდა). მამაჩემი შეტოკდა, ფეხი მოინაცვლა და გასწორდა. ჭერ მამა-კარიაული მოვიდა და ხელი ჩამოგვართვა, მერმე — დედა. ქალიშვილებმა ხელი რომ გაუწოდეს მამაჩემს, ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, ვიფიქრე, — ვაიციანებენ-მეთქი, მაგრამ დროზე დახარეს თავები და ოთახში შევიდნენ. მე რატომღაც გამომტოვეს, ჩემთვის ხელი არ გამოიმეტეს. დევის ქალებმა ოთახისკენ, რომ გაუხვიეს, მამამ თავი ჩემკენ გადმოხარა და საქმიანად წამჩურჩულა, — ანანოს ძველ სასაფლაოზე ვმარხავთ, მშობლების გვერდითო. ეს უკვე ვიცოდი, გუშინ უფრო ბუნებრივ გარემოში მითხრა. ახლა რაღაცისთვის დასჭირდა, რომ მე მომჩვენებოდა, ვითომ საფლავზე ფიქრით იყო გართული. მე კი სწორედ ამ დროს ვფიქრობდი, — როგორც კი თბილისში ჩავალ, ქალბატონ მარიამს ვეახლები და ვეტყვი: თქვენი ბიბლიოთეკის კატალოგი მხოლოდ მე უნდა შევადგინო, გინდაც ამისთვის ორი წელი დამჭირდეს-მეთქი.

დედაკაცებმა ოთახი დატოვეთო, — გავიგონე ფილო კვალიაშვილის ხმა და მივხვდი, დაკრძალვის დრო დამდგარიყო. ქალებს ოთახი დაატოვებინეს და ჩვენ შევედით, მამაკაცები. ოთახის კარი მივხურეთ, კუბო ავწიეთ და სამჯერ წაღმა დავაბრუნეთ, მერმე კარს წინა მხრით სამჯერ მივახეთქეთ, კარი ისევ გავაღეთ და ანანო გარეთ გავასვენეთ.

მთელი გზა თოვდა.

უკან დაეტოვეთ ჩვენი სახლი, ჭიშკარი, ორლოზე და სასაფლაოსკენ აღმართს შევეუღებით. ეს აღმართი ყოველთვის ეკლესიის გზა მეგონა, არასოდეს მიფიქრია თუ სასაფლაოსიც იყო. სიარული ჭირდა, თოვლზე ფეხს ვერ

ვიკიდებდით, სხლტებოდა, სრიალებდა, მაგრამ ნელ-ნელა მივიწვედით წინ, აღმა-აღმა, სულ ზევით, ზევით — ეკლესიის ვალენისაკენ...

თბილისში მარტო დაებრუნდი. მამა დარჩა, — აქაურობას უპატრონოდ ვერ დაეაგდებ, სასაფლაოსაც მივხედავ და მერმე წამოვალო. პირველი ღამე მძიმე და დამთრგუნველი იყო. ჭერ მატარებელში ვერ მოვხაზე დასაჯლომი ადგილი, ფეხზე მდგარმა ვიმგზავრე თბილისიდან თელავამდე, აქაც არ დავმჯდარავარ და არ დამიძინია. გამოფიტული ხან აივანზე, ხანაც ოთახიდან ოთახში დავდიოდე. ყინავდა. შუა ოთახის, სადაც ანანო ესვენა, კარიცა და ფანჯრებიც ღია იყო. ხალხის მიმოსვლა მთელი ღამე არ შეწყვეტილა, ვინ მიდიოდა და ვინ მოდიოდა, უკვე ველარა ეცნობდი. მომსვლელები მამაჩემსა და ფილო კვალიაშვილს ეთათბირებოდნენ, ხვალისდელ დასაფლავების საკითხებს წყვეტდნენ, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს მთელი სოფელი ჩვენთან ერთად ათევედა ღამეს.

დასაფლავებაზე, მერმე ქელებზე მთელმა სოფელმა დასდო პატივი ანანოს, ზემო და ქვემო აივანი, ყველა ოთახი ხალხით იყო ვაჭედელი. ზედმეტი სიტყვა არაეის წამოსცდენია, არც ღვინო შეუსვამს ვისმე ზომაზე მეტი, ყველაფერი წესიერად და ზომიერად ჩატარდა და ამითაც იგრძნობოდა, სოფელს ანანო უყვარდა და პატივსაცემდა. სამაგიეროდ მეც ერთი წუთით არ ჩამომეჭდარავარ, ავრბოდი და ჩამოვრბოდი კბიზე. ოთახებშიც ვტრიალებდი, — სუფრას რამე არ დააკლდეს-მეთქი. საღამოს უკვე მთელი სხეული დამიბუჟდა და დამიძიმდა... თავიც მიბრუოდა...

მეზობლებმა ღამის გასათევი შემოგვთავაზეს, — ჩვენთან დაისვენეთ, ამაღამ აქ რა გაგაძლებინებთო. მამამ უარით გაისტუმრა და საქმე მართლა გაძლებაზე მიდგა. სახელდახელოდ მიალაგეს იქაურობა, — დანარჩენი ხვა-

ლო, მერმე წავიდნენ, გაიკრიფნენ და უფანაო სახლში მარტო დაერჩით მე და მამაჩემი. ორივეს პალტოები გვეცვა და ჯიბეებში ხელუბრაწყოებილი უბრაოდ ვაწყდებოდით კედლიდან კედელს. მამამ რამდენჯერმე ახსენა ფილო კვალიაშვილი, — ეს ვინ ყოფილა, კაცობა მაგან თქვასო. მეც დამამახსოვრდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ეგ თავ-კაცობდა, ეგ მიდი-მოდოდა, იმ შიმშილღებებში მაგის ზურგზე გადაიარა. მე კი ვფიქრობდი, — რახან თავმჯდომარეა ალბათ ევალება-მეთქი, მაგრამ მთლად ეგრე არ ყოფილა საქმე.

ყველაზე მტანჯველი გრძნობა მაინც ის იყო, რომ სულ მეგონა, ანანო კი არა, სხვა ვიღაც დავსაფლავეთ. ნაბიჯების ხმა მომეყურებოდა ხოლმე და კარის შემოღებას ველოდებოდი. ხომ ვიცოდი, სმენა რომ მატყუებდა, ანანოს აკი ჩემი ხელით მივაყარე მიწა, მიუხედავად ამისა, ვიძახებოდი, თითქოს ვცდილობდი ნაბიჯების ხმა ისევ გამეგონა, თვლიც სულ კარისკენ მეჭირა. ეს უსაგნო, გამოგონილი მოლოდინი მთრგუნავდა და გულს შიგნდან მიღრღნიდა.

რალაცნაირად არ მესიამოვნა ფოსტალიონმა ჩამოსვლისთანავე რომ მი-თხრა, — თავი ჯავრს შეაქმევიანო. საგანგებოდ გულში ჩამარხული და ჩაკეტილი მეგონა ანანოს ამბავი და პირველმავე შემხვედრმა მომახალა, — ჯავრს შეაქმევიანა თავიო... რა უცნაური და რამდენის მთქმელია: ჯავრს თავი შეაქმევიანა... რას გამოაბარებ სოფელს, სოფელმა ყველაფერი იცის! შენ კი თურმე საგულდაგულოდ მალავდი, არ ამხელდი და შენს განუყოფრებელ სიცოცხლეს საკუთარ ჯავრს აქმევიანებდი...

მამა ბორგავდა და შფოთავდა, თუმცა გარეგნულად არ იმჩნევდა, წუხდა, რალაც ვერ მოენულებინა და არც მეუბნებოდა. ვიცოდი, მამაჩემის ხასიათი, ასე დიდხანს ვერ გაძლებდა, იტყუოდა, არ დამალავდა, დააპირა კიდეც თქმა, — რატომ ვიკლავთ თავს, ვითომ

ის არ ემარა სხვები რომ გვზოცავენო... მაგრამ სათქმელი ვერ დასრულდა, ოთახში ჩემი თანაცლასელები შემოვიდნენ, ორნი — თეთრი ნიკა და შავი ნიკა, ერთი ქერა იყო, მეორე — შავ-გვრემანი და განსასხვავებლად ასევე შეარქვეს. „თეთრი“ და „შავი“. გარეთ ძალი არ გაიგდებო, — თქვეს, შეცი-ებულებმა და დათოვლილებმა, თოვი-ლი ლუმელთან ჩამოიბერტყეს, გაყი-ნული ფეხები ააბაკუნეს. მამაჩემი თი-თქოს ამით მოსვლას ელოდებოდა, ქუ-ლი დაიხურა და წავიდა. მეზობლებში გადავალ და მალე დავბრუნდებიო, — დაიბარა. ვისთან, რომელ მეზობელ-თან გადავიდა, არ ვიცი, ოღონდ ვი-საც მიაკითხა, იქ ლამე გაათია, დილა-მდე არ გამოჩენილა.

ბიჭების მოსვლა გულთ გამიხარდა. ესენი დასაფლავებანეც იყვნენ, გუშინ-წინაც მომისამძიმრეს და მაინც მოვი-დნენ. ექვს თვეზე მეტია, არ მენახა, ამ ექვს თვეში საკმაოდ გამოცვლილი მეჩვენნენ, თითქოს დავაეკაცებულოყ-ნენ, ყოველ შემთხვევაში, მოსწავლის იერი აღარ ჰქონდათ. შენც გამოც-ვილხარო, — მითხრეს, — ისევ ქა-ლაქის ფერი დაგდებიაო... როგორ ცხოვრობო, სად სწავლობო? ბოლოს ზიზი გაიხსენეს, — ვიცით, ისიც მო-ეწყო უმაღლესში და კარგადაც სწავ-ლობსო. ერთმანეთს ალბათ ყოველდღე ხვდებითო. ხომ არ იცი, რატომ არ ჩა-მოვიდაო... ბედნიერი, ოდნავ დამორ-ცხვებული ღიმილით შემომცქეროდნენ და უცებ გამახსენდა, რომ ორივე ნი-კას გაუმხელი, უიმედო სიყვარულით უყვარდათ ზიზი. როცა ვუთხარი, — ზიზი მხოლოდ ერთხელ ვნახე-მეთქი, არ დამიჯერეს. ათასი ტყუილისა და მართალის თქმა დამჭირდა, რომ დამე-ჯერებინებინა, თუ რა მიზეზის გამო ვერ ვნახე ერთხელს მეტად, ამოდ დავი-ხარჯე, ისეთი ღიმილით წავიდნენ, თი-თქოს კეთილად ვატყუებდი, თითქოს გვეუფრთხილდი, რათა ჩემი და ზი-ზის ყოველდღიური შეხვედრებისა და დროსტარების გამო გული არ დასწყყ-

ვეტოდათ. მხოლოდ ორივე ნიკას წასვლის შემდეგ დაფიქრდი და მეწყინა კიდეც. — რატომ არ ჩამოვიდა ანანოს დაკრძალვაზე, დავიჯერო დედამისმა არ შეატყობინა-მეთქი? შეუძლებელია, უსათუოდ გაუგზავნიდა ტელეგრამას.

მამაჩემს სკამზე მითვლემილი დავხვდი, შეციბული და გამოფიტული, ვერც კი გავიგე, როგორ ჩაქრა ლუმელი. რატომღაც ანანო გამახსენდა, ამ ექვსი თვის წინ შუალამით აივანზე ვიდექით და მაშინ თქვა: „გათენებამდე დიდი დროაო“. მამა ისევ საქმიანად შემოვიდა, როგორც გავიდა, თითქოს დრო არ იყო გასული, ერთი წუთით გადაგა ფეხი გარეთ და ისევ შემობრუნდა. მაგრამ მე უკვე აღარ განვიციდიდი, აღარ მიწუხებდა მისი „მოულოდნელი გაქრობა“, პირიქით, მომწონდა კიდეც ეს დაუცხრომლობა და დაუსრებტელი ენერჯია. ერთი რამ ნათელი იყო ჩემთვის, სოფელში უფრო კარგად და თავისუფლად გრძნობდა თავს, ვიდრე თბილისში. იქ შებოქილი, შეზღუდული და თავშეკავებული მეჩვენებოდა.

— ხედავ, რა დღეში ჩაგვყარა, ანანომ, — შემოსვლისთანავე მითხრა სინანულით. — გაპყოლოდა ცოლად ამ ფილო კვალაშვილს, ვილაცის გულისთვის თავი რომ მოიკლა.

— რატომ უნდა გაპყოლოდა ფილო კვალაშვილს?! — უცებ გამოვფხიზლდი და გამოვცოცხლდი, ეს ამბავი ჩემთვის აღმოჩენასავით იყო.

— რატომ? — მამაჩემი ოთახიდან გავიდა, სამკუთხედი წერილების რამდენიმე შეეკრა შემოიტანა და მაგიდაზე დაყარა — აი ამიტომ! აქ ორმოცზე მეტი წერილია. სულ ფრონტიდან გამოგზავნილი... გაიგე, რა მოხდა? გაპყოლოდა, თვითონაც ცოცხალი იქნებოდა, დაწვრილშვილებული, ბედნიერი და ჩვენც მოვისვენებდით. არაო, არ მინდო! აჰა, თუ არ გინდა... ის კაციც უცოლშვილოდ ბერდება.

— იქნებ არ უნდოდა.

— მაშ, რა უნდოდა, ესა?

— რახან ასე მოხდა... *გაქრენული*

— შენც კარგი ვინმე ხარ! იმსჯელებარდა, არა ვილაც, სოფელს შემობიზნული?

მეგონა, რაც ანანოს ეხებოდა, თითქოს ყველაფერი ვიცოდი, თითქოს არაფერს მიმაღაედა. მაგრამ ეს ფილო კვალაშვილი... ეტყობა, მნიშვნელობას არ ანიჭებდა, თორემ რაღაცას უსათუოდ მეტყოდა ან მიმანიშნებდა. განსაკუთრებულ ყურადღებას რომ იჩენდა თავმჯდომარე ჩვენდამი, ვხედავდი, შემით და ზოგჯერ ჰირანახულითაც გვამარაგებდა, ერთხელ ფეხსაცმელებიც მაჩუქა... ანანოს ხასიათი კარგად მახსოვდა და წესით, ეს საჩუქრები არ უნდა მიეღო, თუმცა... იქნებ არ იყო საჩუქარი... ფილო კვალაშვილი... მე ისიც კი არ ვიცოდი, რომ ნაფრონტალი იყო, არათუ ეს წერილები...

— რა ეშველება ახლა აქაურობას, ჩვენს სახლს, ვენახს, ვის ჰირად უნდა გახდეს?!

მამა ისევ ბობოქრობდა, მე ვხვდებოდი, რისთვისაც შფოთავდა და გუნებაში გავიფიქრე, — ეს არ არის ის ლაპარაკი, რომელიც ამ სახლზე ერთხელ და საბოლოოდ უნდა გაიმართოს-მეთქი. ჩვენს სახლს ანანომ დიდი ხნის წინათ გამოუტანა განაჩენი და მე უკვე დარწმუნებული ვიყავი, მისი ნათქვამი ახდებოდა. მამაჩემი გულიანი კაცი იყო და, რა თქმა უნდა, აქაურობის ბედიც აწუხებდა, მაგრამ აძვირად იმას ცდილობდა, რომ მე მეფიქრა, ვითომ საიდანაც ახლა მოვიდა, იქაც მხოლოდ ამაზე ფიქრობდა და წუხდა. იმ დღესვე გამოამისტუმრა თბილისში და თვითონ გასაგები მიზნის გამო დარჩა, ჩვენი სახლისთვისაც, ანანოს საფლავისთვისაც უნდა მიეხედა.

მატარებელში გამახსენდა, ილოს ბალღები არც პანაშვილზე, არც დასაფლავების დღეს, არც მერმე გამოჩენილან, გული დამწყდა, რომ ვერ ვნახე. დურმიშხანმა თბილისში ჩამოსვლა არ მაცალა, იმავე დღეს გამომეცხადა და ყოველგვარი მიკიბულ-მიკიბულის

გარეშე მითხრა. — ინსტიტუტიდან გაგრიცხესო. კაცმა რომ თქვას, ინსტიტუტისათვის თავი კარგა ხნის დაწებებული მქონდა, არცერთი საგანი არ ჩამითვლია და არც გამოცდა ჩამიბარებია, მაგრამ მაინც მეწყინა. ამ ცნობამ როგორღაც შემაერთო და ცუდი გრძნობა დამიტოვა. ნეტავი საბუთების გამოტანა მომესწრო-მეთქი, — გავიფიქრე. ღურმიშხანი გულწრფელად ლელავდა, გამოსავალს თუ საშველს ეძებდა, ინსტიტუტში აღდგენისათვის ვარიანტი შემომთავაზა, ვილაც გავლენიანი პირები ახსენა, — ამათთან მივიდეთო, თან ფრთხილად შემომაბარა, — იცოდე, ამ საქმეში ლამიარას მამის ხელი ურევიაო. მე არ დავუჭერე. კიო, — მარწმუნებდა, — ეგ რომ არა, ერთხელ მაინც დაგებარებდნენ და გაგაფრთხილებდნენო. თავის დროზე რომ მისულიყავი და ბოდიში მოგებოდა, არაფერი მოხდებოდაო. ღურმიშხანს შეწუხებისათვის მადლობა მოვახსენე და ისიც დავიძინე, — ინსტიტუტში დაბრუნებას არც ვაპირებდი-მეთქი. ღურმიშხანი გაგიყდა, არ დამიჯერა, ოთახში გაიარ-გამოიარა და გაშტერებული მომაჩერდა.

— როგორ, შენი შესაძლებლობის კაცი ინსტიტუტს ანებებ თავს?

— კი, უნივერსიტეტში უნდა გადავიდე.

— უნივერსიტეტში? მასწავლებელი გინდა გამოხვიდე?!

— ვნახოთ, რაც გამოვალ, ის გამოვალ.

— აუ, რა ვიქია!

— რაცა ვარ, ესა ვარ. — გავუცინე.

— მეგონა, ცოტას მეც მომეხმარებოდი, ხელს წამიკრავდი... ბიჭო, ეგეთი რამე არ გამიგია, იცი, რა ჭიობში მიღიხარ?!

— ვიცი.

— გეოდებოდა შენი იმედი მქონდა, რა მეშველება?!

მეორე დღეს საბუთები გამოვიტანე და პირდაპირ ქალბატონ მარიამს მივაშურე, გულდაწყვეტილი მივიდიოდი,

მაინც არ მეგონა, საბუთებს უმტკივნეულოდ თუ გამომატანდნენ, სიტყვა არავის დასცდენია, — რა მოხდა, ასეთი რამ როგორ დაგემართათო. ცივად, უსიტყვოდ გამომისტუმრეს, ღურმიშხანის გარდა არავის დაწყვეტია გული. არა უშავს რა. ისეთი კაცია, ცხოვრებაში არ დაიკარგება, სხვას მონახავს, სხვა წაუტკრავს ხელს და ჩააბარებინებს საგანს...

ქალბატონმა მარიამმა თავისი ბიბლიოთეკის კარი გამიღო და შემიშვა. არ ვიცი, როგორ წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება, ეს კარი რომ არ გვიღოთ ჩემთვის...

მაგრამ მე მაინც ზიზის მონაყოლით შექმნილი თავდაპირველი შთაბეჭდილების ძონძები მქონდა სულში ჩარჩენილი. ერთი თვე ძალზე გამიჭირდა, თუმცა სწრაფად ავითვისე ბიბლიოთეკარის პროფესია, კალმისტრით, მელნით, რვეულებით მომარაგებული ვიყავი და მონდომებითაც შევეუღებე საქმეს. დაუსრულებლად მეორადებოდა ერთი და იგივე: გადმოიღე წიგნი, ჩერით გაწმინდე, მტვერი მოაშორე, მერმე ამოიწერე ავტორის გვარი, სათაური, გამოცემის დრო და ადგილი, გამომცემელი... წიგნი ისევ დააბრუნე თავის ადგილზე... შემდეგ მეორე წიგნი გადმოიღე, შემდეგ მესამე, მეოთხე, მეხუთე და ასე გაუთავებლად...

რეგულარულად დავდიოდი, ყოველდღე, როგორც სამსახურში, ასე ბეჩითად ინსტიტუტში არ მივლია, რახან გადაწყვეტიტე და ეთქვი, ამ სამუშაოზე უარს აღარ ვიტყვოდი, თუმცა გულში პროტესტის მაგვარი რაღაც მაინც ილექებოდა. ზიზის ამბოხებასა და გაქცევას, ახლა თითქოს გავუგე და შინაგანად უფრო დავუჭერე. ერთი თვის შემდეგ ჩემი ნამოღვაწარი რომ ვუჩვენე, ქალბატონი მარიამი გაცოცდა, — ამდენი როგორ შესძელითო. გუნებაში გამეღიმა, — მაქვებეს-მეთქი, მაგრამ მოვტყუვდი.

— ოხო, — მითხრა ქალბატონმა მარიამმა, — თქვენ აქ შეე მუშად კი არ მყავხართ დაჭირავებული, ასე თუ განაგრძეთ, ბიბლიოთეკას აღარ მივაკარებთ. მე მირჩევნია, აქედან წაიღოთ უფრო მეტი, ვიდრე დატოვოთ. აბა, თქვით, ამ ერთ თვეში რა წაიკითხეთ?

არაფერი. მე კეთილსინდისიერად ვავსებდი რვეულებს და აზრადაც არ მომსვლია, რაზე თუ უნდა წამეკითხა.

— წიგნს რომ გადმოიღებთ, ავტორსა და სათაურს წაიკითხავთ, წიგნსაც ჩახედეთ, გეთაყვა, გადაფურცლეთ, იქნებ დაინტერესდეთ. თუ დაინტერესდით... მაშინ... თქვენ რა, მართო ყდებს ათვალეერებდით? ლმერთო ჩემო, გავონილა წიგნთან ასეთი დამოკიდებულება! — უცებ აღშფოთდა ქალბატონი მარიამი, მერმე ცოტა ხანს ჩაფიქრდა, — ხუთი წელია, აქ არავინ შემოსულა და წიგნი არ წაუკითხავს... მე გული მტკივა. მე არ შემიძლია ამის გაძღება... ჩემო კარგო, ბიბლიოთეკაში შეხვედით და წიგნი არ წაიკითხეთ?

ვერაფერი ვუპასუხე, ან რა უნდა მუპასუხა?

ფანჯარასთან პატარა, ოთხკუთხედი მაგიდა იდგა, იქ მიშქონდა წიგნები და ვმუშაობდი. მშვენიერი მყუდრო ადგილი იყო, თუ დავიღლებოდი, მთაწმინდის ფერდობებს გავეყურებდი ან მტკვარს: მარცხნივ მუხრანის დაკიდული ხიდი და მდინარის ნაწილი მოჩანდა, თავი ოდნავ უნდა გადაგებარა და დაინახავდი. ამ მაგიდასთან ჭერ მისჯილივით ვიჯექი, მერმე თანდათან გამიტკბა ბიბლიოთეკაში ყოფნა. წიგნებს შეჩვევა და მორევით ჩათრევა სცოდნია.

მამას ეგონა, ასე მუყათად ინსტიტუტში დავდიოდი, დაიმედებული იყო, — რახან კარგად სწავლობს, კარგი ინჟინერიც დადგებაო. ჩემი საიდუმლო მაინც არ გამომხვლია, სანამ უნივერსიტეტში არ ჩავირიცხე. მამაჩემმა ხელები გაშალა, — კარგი, თუ ეგრე გინდა, ეგრე იყოსო. შევატყუე ინსტიტუტი და ჩემი უნივერსიტეტში გადაბარ-

გება გულზე მოხვდა, ძალიან ეწვევინა. მაგრამ რას იზამდა, საქმეს სარკვევით ეშველებოდა და უკან ველარ დამაბრუნებდა. იმედგაცრუებული შემოიქცეროდა, ერთადერთ შვილს ტემნიკური განათლება ვერ მიმაღებინა.

უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემდეგაც არ შემიწყვეტია ქალბატონ მარიამის ბიბლიოთეკაში სიარული, დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ხომ ვერ მივატოვებდი. ოთხი ათასი წიგნი აღწესსხე. ჩემი ვარაუდით ეს მთელი ბიბლიოთეკის ერთი მესამედი იყო. ქალბატონი მარიამის მეზობლებიც გავიცანი. უფრო იმათ მონიღომეს ჩემი გაცნობა. ცნობისწადილი აწვალედათ, ვერ ისვენებდნენ, ერთი სული ჰქონდათ გაეგოთ რისთვის დავდიოდი, რა მესაქმებოდა ამ დედაბერთან. დაცივით კენინა მარიამს ეძახდნენ. ეჭავრებოდათო,

— ვერ ვიტყვი, მაგრამ არც გულზე ეხატებოდათ. მაგის ხნისა რიყეზე ქვაც არ გორავსო... ეგ მამაცხონებული მალე ასს მიუკაქუნებს და ერთი შეხედეთ, ჩიტვივით არ დაფრინავსო... ყველაზე მეტად მაინც ბიბლიოთეკა აღელეებდათ, — ათათი სული თავგის სორობეში ცვტოვრობთ, მაგას კი იმოდენა დარბაზი ცარიელი აქვსო... ბიბლიოთეკა ცარიელ ოთახად მიანდათ. ქალბატონ მარიამს კი თითქოს მყარი, ხმაგუმტარი გარსი ჰქონდა შემოკრული, იმ გარსში ეს ხმები არ აღწევდა. არაჩვეულებრივი მეხსიერება. ჰქონდა და ყოველ საღამოს ნეტარი ღომილით აღბეჭდილი გარდასულ დღეებს იგონებდა, ზუსტად ახსოვდა, ვინ როდის მოვიდა, ვინ რა წიგნი სთხოვდა და რა დრო დასჭირდა იმ წიგნის წასაკითხად. ქალბატონი მარიამი იქ ცხოვრობდა, იმით სულდგმულობდა.

ზუსტად წელიწადნახევარი — თვრამეტი თვე მოვანდომე ქალბატონ მარიამის წიგნების აღწესსხვას ანუ ბიბლიოთეკის კატალოგის შედგენას. ენციკლოპედიების ჩათვლით ბიბლიოთეკაში თერთმეტიათას ას სამოცდათექვსმეტი წიგნი და ეურნალი აღმოჩნდა. მე კი

ამ დროის მანძილზე უამრავი წიგნის წაუთხვა და გადაკითხვა მოვახერხე, რალა-რალა ცემები ამოვიწერე და ჩაივინიშე კიდევ. ბიბლიოთეკის აღწერას გაცილებით ადრე მოვათავსებდი, მაგრამ უნივერსიტეტში სწავლას დიდი დრო მიჰქონდა, ზოგჯერ კვირა ისე გავიდოდა, ბიბლიოთეკაში ერთხელაც არ შევიხედავდი, ზოგჯერ კითხვა გამიტაცებდა და დღე თვალსა და ხელს შუა გამეპარებოდა. ამხანაგებთან ერთად ქუჩაში უსაქმოდ დგომა-ხეტიალიც, დაბადების დღეებზე, კინოსა და „დინამოს“ სტადიონზე სიარულიც თავისას მოითხოვდა. უამისოდ რა აზრი ჰქონდა ცხოვრებას?!

მე არ ვიცოდი, როგორ გაფორმდებოდა ბიბლიოთეკის გადაცემა უნივერსიტეტისათვის. ქალბატონი მარიამი ამბობდა, — ეს ყველაფერი ნოტარიალური წესით უნდა გაფორმდესო. წარმოდგენა არ მქონდა, ჩვენს დროშიც თუ არსებობდნენ ნოტარიუსები, ისინი ფრანგული რომანების აუცილებელი პერსონაჟები მეგონა. ქალბატონი მარიამი თავიდანვე მეუბნებოდა, — არ მეჩქარება, ანდერძის გადაცემა ყოველთვის მოვასწრებო, არც ჩქარობდა... საქმის ეს მხარე უკვე მე არ მეხებოდა და ვერც ვუბნავდი მეკითხა, — ანდერძი ნოტარიალური წესით გააფორმეთ თუ არ გააფორმეთ-მეთქი.

ასე იყო, თუ ისე, მე მაინც ზიზის კმაყოფილი ვიყავი, ეს მშვენიერი ქალბატონი რომ გამაცნო, ზიზის ვემაღლეოვდი და ვგრძნობდი, მენატრებოდა, სალაბარაკოც დამიგრძნობდა, მაგრამ ვერა და ვერ შევხვდი. სად იყო, რას საქმიანობდა, როგორ ცხოვრობდა? თუმცა ხანდახან, უფრო იშვიათად, ვიდრე მაშინ, აქეთ-იქიდან მაინც მესმოდა, — შენი ნათესავი გოგო გავიცანო... მე საბოლოოდ შევუბრუნდი და შევეთვისე ზიზის ნათესაობას. ოღონდ რალა-რალად სინდისი მქენხნიდა, უყურადღებოდ რომ მივატოვე, თუმცა რა, ამოდენა ქალაქში ქუჩა-ქუჩა სად მიებნა? სექტემბრის შუა რი-

ცხვებში თეატრალურ ინსტიტუტში მივედი. მოვიკითხე, ასევე სტუდენტი არცა გვეყოლია და არცა გვეყავსო. — მიპასუხეს, ერთხელ რუსთაველის თეატრში დავესწარი პრემიერას, მეორედ — მარჯანიშვილში, — იქნებ ზიზის აქ მაინც წავაწყდე-მეთქი. არადა ისეთი წინათგრძნობით მივედიოდი. საქტაქლებზე, ვფიქრობდი, — დღეს უსათუოდ შემხვდება-მეთქი.

მამაჩემი ერთთავად მკიცხავდა და უსულგულობას მწამებდა, — სირცხვილია, ბოლოს და ბოლოს რა გახდა იმ გოგოს მონახვა, თუ მოვინდომე, ხვალვე აქ მოგვეგროო! მოინდომა, ძალიანაც მოინდომა, მაგრამ ტყუილად გაისარჯა, მაინც მე მსაყვედურობდა, მე მამრალეზა ზიზის უგზო-უკვლოდ დაკარგვასა თუ გაჭრობას.

— გამოგზავნა დედამისის მისამართი და ვიპოვნიდი, ქუჩა-ქუჩა სად ვიხეტიალო, — ვთქვი გაბრაზებულმა.

— იცის, რო...

— არც იმან იცის?

— არა... საქმეც ეგ არის, რომ არ იცის და გაგიჟებულია! — ჰათეტიკური თანაგრძნობით წარმოსთქვა მამაჩემმა, მერმე დაეჭვდა, — ბიჭო, იქნებ ის გოგო არც არის ქალაქში?!

ზიზის ხმა ამის შემდეგ ერთი-ორჯერ კიდევ მომწვდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ზიზი ქალაქში იყო. მაგრამ თანდათან ის კანტი-კუნტი ხმებიც მიწყდა, ბოლოს სულ გაქრა და დაინთქა. მიუხედავად ამისა, ზიზის ბედი არც ახლა მალეღებდა, მე ისევ მჭვროდა, ზიზი არ დაიკარგებოდა, თვითონვე ჩამინერგა ეს რწმენა და მიხაროდა, ვითომ შენიღბული ირონიით რომ აღარ მეუბნებოდნენ, — შენი ნათესავი გოგონა გავიცანი, ასე ცეკვავდა და ისე მღეროდა ანდა ტარზანივით ყვიროდაო (მაინც რა აყვირებდა ტარზანივით ამ გადარეულს?!). ალბათ გონს მოეგო, დამშვიდდა, საეკვო ოჯახურ პურ-მარილებსა და დროსტარებას თავი დააღწია. საზაფხულო სესიების შემდეგ სოფელში ვაპირებდი წასვლას და ღრმად ვი-

ყავი დარწმუნებული, ზიზის იქ ვნახავ-  
ლი.

მე სულ სხვა რამ მარტუხებდა. მამა-  
ჩემმა თანდათან შემაჩვია იმ აზრს,  
რომ ჩვენი სახლი დღეს თუ არა, ხვალ  
უსათუოდ უნდა გაყიდულიყო. ანაწომ  
იცოდა, რაც მოხდებოდა და აღრევე  
მიწინასწარმეტყველა ყველაფერი, მა-  
გრამ სახლის გაყიდვა, როგორც მამა-  
ჩემთან საუბრისას გავარკვეე, მართლა  
გარდაუვალი ყოფილა. მოკლედ და გა-  
საგებად მითხრა, — ვისაც უნდა სო-  
ფელში ედგას სახლი, იმან სოფელში  
უნდა იცხოვროსო. ეს კანონია და ამ  
კანონს ვერავინ დაარღვევსო. თუ ასეა,  
რას იზამ, მაგრამ მე მალიზიანებდა მა-  
ჩემის შინაგანი კმაყოფილება იმის  
გამო, რომ არსებობდა ქვეყნად ისეთი  
კანონი, რომელიც თითქოს დაბოროტ-  
ხელ-ფეხს უხსნიდა და არაღაც ვალდებ-  
ულობებისაგან სამუდამოდ ათავისუ-  
ფლებდა. მაშინ ვთხოვე, — იქნებ ეს  
ზაფხული სოფელში გავატარებ და  
მერმე გაყიდოთ-მეთქი. გაეცინა, —  
იმ სახლის გაყიდვა ეგრე იოლი არ  
არის, სოფელში არ შეგულება კაცი,  
რომელიც ანაწოს სახლს იყიდისო. მაშ,  
რა უნდა ჰქნა-მეთქი. მყიდველი სხვა  
სოფელში უნდა ვეძებოთო. ბოლოს  
ხმაშალა წამოსცდა, — ღმერთმა ჰქნას,  
გაიყიდოს, იქნებ ცოტა ხანს ადამიანუ-  
რად ვიცხოვროთო.

ზაფხულის სესიები დროზე მოვითა-  
ვე და სოფელში გასამგზავრებლად მო-  
ვემზადე. ქალბატონ მარიამთანაც წა-  
ვედი, მინდოდა გამეგო, რა ჰქნა, გაა-  
ფორმა, თუ არა ანდერძი ანდა როდის  
აპირებდა გაფორმებასა და უნივერსი-  
ტეტისათვის გადაცემას. რა დასამალია,  
რახან ამ საქმისთვის მეც გავიღე პა-  
ტარა წვლილი, ისიც მინდოდა, გადაცე-  
მის აქტს დავსწრებოდი, მენახა, და თუ  
საჭირო იქნებოდა, დავხმარებოდი კი-  
დეც. ჩემზე კარგად ვინ იცოდა, სად  
რა წიგნი იყო.

ქუჩაში გამოსულს ლუკა შემხვდა და  
დამემგზავრა. ლუკა ჩვენს მახლობლად  
სხვა ეზოში ცხოვრობდა, თითქმის ერ-

თი ასაკის ვიყავით და ომამდე ვაგზავ-  
ბა მტკერის ნაპირზე გეტონდა ვაჭარ-  
ბული, ომის დროს მძიმე ცხოვრება გა-  
დაიბანა, მაგრამ ვაჭირვებას გაუძღა  
და შარშან უნივერსიტეტში ჩაბაბა მი-  
სალები გამოცდები. ვინც კი იცნობდა.  
ყველას უყვარდა, განსაკუთრებით გო-  
გოები იყვნენ ლუკათი ალტრათოვან-  
ბულები, ძალიან მოსწონდათ, თუმც,  
გარეგნობით მაინცა და მაინც არ გა-  
მოირჩეოდა საშუალო ტანისა იყო, მო-  
კლედ შეკრეტილი რაღაცნაირად აჭრე-  
ლებული თმა ჰქონდა. ალაგ — ქერა,  
ალაგ — წაბლისფერი. მუდამ დაფიქ-  
რებული იყო და გეჩვენებოდა, უფრო  
მეტე იცოდა, ვიდრე ამეღვენებდა, ისე  
კი გასაოცარი მოსმენის უნარი ჰქონდა,  
ყურს დიდი ინტერესით გიგდებდა და  
სიტყვას არასოდეს გაწყვეტინებდა.  
ჩვენს დროში სად ნახავ ისეთ კაცს,  
გულისყურით გისმენდეს, თანაც წრფე-  
ლად აინტერესებდეს, რას ლაპარაკობ,  
რას ამბობ.

გზაში ვუთხარი, სადაც მივდიოდი და  
გაგიყდა, თითქოს არც დაიჭერა რომ  
თბილისში ვიღაცას ასეთი მდიდარი  
ბიბლიოთეკა ჰქონდა. ნეტავი მცოდნო-  
და. მეც მოგებმარებოდიო, — სინანუ-  
ლით თავი გააქნია, გული დაწყდა, ასე-  
თი იშვიათი შესაძლებლობა ხელიდან  
რომ გაუშვა. მერმე მოუსვენრად აწ-  
რიალდა, მაჩქარებდა, თითქოს ვეღარ  
ითმენდა, ახლავე, აქვე უნდოდა იმ წი-  
გნების ნახვა, ხელის ხლება და დათ-  
ვლიერება.

სწრაფად გავუხვიეთ პლატონის ქუ-  
ჩისკენ.

ქალბატონი მარიამის ეზოს წინ პა-  
ტარა ვიწრო ქუჩაზე უამრავი ხალხი  
საეჭვოდ ფუსფუსებდა. ახლოს რომ  
მივედი, დავინახეთ ვიღაცეებს ეზო-  
დან წიგნები ამოჰქონდათ, ვედროებით,  
ტაშტებით, სარეცხის ქვაბებით, ტომ-  
რებით, ბალიშის პირებით უზიდებოდ-  
ნენ და სადღაც მიარბენინებდნენ. ჯერ  
ვიფიქრე — ქალბატონ მარიამს ანდ-  
რძი გაუფორმებია და უნივერსიტეტს  
ნაანდერძევი მიაქვს-მეთქი, მაგრამ იქ

რაც ხდებოდა, ანდერძის გადაცემა-მიღებას არ ჰგავდა. ჩქარობდნენ, შეშინებულებიც ჩანდნენ და დაფეთებულ თვალებს აცეკებდნენ, დაეატყვე, საქმე მოსწრებაზე იყო. რა ხდება-მეთქი — ვკითხე მოხუც ქალს, რომელმაც ერთხელ ეზოს ჭორებისა და ინტრიგების ხლართებში გამარკვია. კვინა მარიამი დაიღუპაო, — მოთხრა სინანულით, — წუხელ ფაეტონი დასჯაბებია და ადგილზევე გარდაცვლილაო, ჯერ არ მოუყვანიათ, მორგშია, პატრონი არა ჰყავდა მაგ უბედურსაო.

გული გამისკდა, სწრაფად მივედი კართან და ეზოს ჩაეხედე, ეზოში წიგანების ზვინი იდგა, ეგრევე ეყარა მიწაზე და ხალხი ესეოდა წიგნებს, ვედროებში, ტომრებში, ბალიშის პირებში ჩურთავდნენ განურჩევლად. ეს წიგნები ქალბატონ მარიამის შუშაბანდიდან კი არა, რატომღაც მეზობლის ოთახიდან გამოაჭონდათ და იქვე ჰყრიდნენ. ერთ წამში იმ ოთახთან ვაეჩნდი და, რას შერებით-მეთქი, — ვიყვირე, ჩემთვის არავის მოუცლია, ბებრები, ხანდაზმულები, ახალგაზრდები, ბავშვები ერთმანეთში ირეოდნენ, შერბოდნენ და გამორბოდნენ დაუსრულებლად გამოაჭონდათ წიგნები.

ოთახშიც შევედი, სიღრმეში საკარედ გამონგრეულ კედლიდან ქალბატონ მარიამის ბიბლიოთეკა გამოჩნდა: დაღწეული თაროები, წიგნებით მოფენილი იატაკი, რომელზეც ხალხი დაურიდებლად დაბაჯებდა, ვადი-გამოდრიოდა. შერმე ბიბლიოთეკაში ვადავინაცვლე, კალატოხს ქალბატონ მარიამის ოთახიდან შემოსასვლელი კარი ჩამოვლო, გაეუქმებინა — ავურით ამოვგმინა და უკვე გაჯით ლესავდა. მხოლოდ მაშინ მომაქციეს ყურადღება, როცა კიდევ ერთხელ ვიყვირე, — რას შერებით, ეს ზომ დანაშაულია-მეთქი! დანაშაულს გიჩვენებთო, — კინწისკვრით გამომისტუმრეს, სამმა დიდულვაშიანმა ახმახმა ერთდროულად წამელო ქეჩოში ხელი და ჯერ ეზოდან, შემდეგ კი ქუჩიდანაც გამაძევა.

— გამაგებინე, რა ხდება? — შეკითხა შემფოთებულმა ლუკამ; რომელმაც თავისი თვალით იხილა ჩემი სამარცხვინო გაძევება.

ვუთხარი, რაც ხდებოდა, რაც ნაწილობრივ ვიცოდი და რაშიც ახლა სახელდახელოდ გავერკვიე. ქალბატონ მარიამს წუხელ ეტლი (არც მანქანა, არც ტრამვაი, არც ტროლეიბუსი, მაინცდამაინც-ეტლი) დასჯაბებია და გარდაცვლილა. ეს ამბავი რომ შეუტყობინებიათ, მეზობელს, რომელიც ბიბლიოთეკის მომიჯნავე ოთახში ცხოვრობდა, გამოუხგრევა კედელი და შესულა ბიბლიოთეკაში, ხოლო ის კარი, ბიბლიოთეკას ქალბატონ მარიამის ოთახიდან რომ აკავშირებდა, ავურით სამუდამოდ ამოუშენებია. წიგნები? წიგნები ხელს უშლიდა და მოიშორა. ცხრასულიანი ოჯახია, აქედან: ორი მოხუცია და ხუთი—ბავშვი, როგორც კი შევლენ გამოთავისუფლებულ ოთახში, იქიდან ვერავენ მოაკვლევინებს ფეხს, ხუთ ბავშვს ქუჩაში არავენ გამოუყრის...

ასე ვფიქრობდი მე.

წიგნები?

ვერ შეეღია ქალბატონი მარიამი წიგნებს, როგორც წარსულს, როგორც გარდასულ დღეებს, ეს მისი ცხოვრება იყო. მე არ დამიბრკოლებია, არ შემიფერებებია, რაც ვიკისრე, შევუსრულე კიდევ, ნაბიჯის ვადადგმალა იყო საჭირო, ფორმალური მხარის შესრულება... იქნებ იმისიც ეშინოდა, — ანდერძის აღსრულებისთანავე მეზობლები ცარიელ ოთახს დაიკავენენო. დაეკავენებინათ, სწორედ რომ უნდა დაეკავენებინათ! რა მოხდებოდა, თვითონვე გამოეჭრა კედელი, ბავშვებისთვის გაელო კარი? მაგრამ... ეს „მაგრამ“ დიდი, მაღალი დულაბის კედელია და ამ კედელში ნებაყოფლობით კარის გამოჭრა თითქმის შეუძლებელია.

ნოტარიული წესით უნივერსიტეტისთვის წიგნებოს გადაცემა ჩაიშალა.

წიგნები?

— ოხო, სად მიაქვთ ეს წიგნები?



— რა ვიცი, მიაქვთ... ალბათ — სახლებში... რატომ არ წაიღებენ, შენ გგონია, მაგათ არ იციან წიგნის ფასი? თუნდაც არ იცოდნენ, მუქთად იშოვეს და მიაქვთ, ახლა მაგათ ვინ შეაჩერებს, ვინ დააჯავებს?... —

— იქნებ ნაწილი მაინც გადაგვერჩინა!

— რატომ? რისთვის?

— თუ შესაძლებელია, იქნებ ჩვენც ამოგვერჩია...

— არა, ლუკა, მე მაგ წიგნებს ხელს აღარ ვახლებ.

— შენი ნებაა.

— ღმერთმა შეარგოთ! წაიღონ! ტაშტებით, ვედროებით, ტომრებით, რითაც უნდათ წაიღონ! წაიღონ! წაიღონ! წიგნები?

უკვე აღარ მახსოვს, რა მოხდა, ხელმეორედ ეზოში როგორ გავჩნდი, ალბათ წამით გონება დაკარგე, შევიშალე... ვაგიყვებელი ხალხს ვაკავებდი, ხელიდან წიგნებს ვტაცებდი, ვყვიროდი, ვბლაოდი, — სად მივაქვთ, რა უფლებით მივაქვთ, რას შერებით, თქვე ბარბაროსებო, ეს ხომ განძია-მეთქი! ახლა უკვე ყველა, დიდიან-პატარიანად დამესია, ყოველი მხრიდან მომცვივდნენ, დამიჭირეს, ხელები გადაჭივრებეს, მირტყეს... ამ ორმხრივად თვალი კი მოკვარი ლუკას (იბეზე ჩამორბოდა), მაგრამ მერმე ისევ აირია ყველაფერი, რადგან ხალხს ხელიდან დავუხსლტი და გაქცევა ვცადე. ისევ წამატანეს ხელი, დამბევეეს, დამგრიხეს და ბურთივით ამისროლეს ეზოდან. ქუჩიდანაც გამაპანლურეს. გონს რომ მოვეგე, მე და ლუკა გაოფლილები, მტვრიანები მოედანთან სულს ვიბრუნებდით, შენობის კუთხესთან ვიდექით, იქ, სადაც პლატონის ქუჩა მოედანს უერთდება. ლუკა გალახულის ღიმილით შემომყურებდა, ისიც მაგრა იყო ნაბევეი, ჩემთვის მარტო ცემა არ ეკმარებინათ, პერანგი მთლად შემოეფლიათ, მხრებსა და მკერდზე ძონძები მეკიდა. გულამოჭდარს ტირილი მინდოდა და ვერ ვტიროდი. შენობის კუთხეს მოფარებულ

ლი ცალი თვალით გავცვიროდი ვიწრო, დაქანებულ ქუჩას, ხალხი ისევ ირეოდა, ისევ გარბოდნენ და გამორბოდნენ, გაჰქონდათ და გამოჰქონდათ... რალაც გაუგებარი სიგიჟის მოწმე ვიყავი, არა მარტო მოწმე, დამარცხებულნი და გაბითურებული მონაწილეც ამ სიგიჟისა. რამოდენიმე წამით ამეზღვრეოდა მზე-რა, წინ ვერაფერს ვხედავდი, მერმე ჩვეულებრივად დამეწმინდებოდა... თავბრუ მეხვეოდა და ყოველი კენტი მიცახცახებდა.

— წავიდეთ, — მითხრა ლუკამ.

— წამოვალ, ცოტა დამაცადე.

— არაფერი გამოგვივიდა, — ისევ გაიღიმა ლუკამ.

ლუკა მაწუხებდა, უცებ ვერ მივხვდი, ამ სიციხესა და ბულში რატომ იღვა ასე ახლოს, რატომ ამეკრა და ამეტმასნა, ისედაც სული მეხუთებოდა. სულ დამავიწყდა, პერანგი რომ მთლად შემოფხრეწილი მქონდა ტანზე. თურმე შეფარებოდა, — ასეთი დახეულ-დაფლეთილი ხალხმა არ დაგინახოსო. სასწრაფოდ გავეცალეთ იჭყარობას, წასვლამდე, კიდევ ერთხელ გავხედე ქუჩას, ქვაფენილზე უწესრიგოდ მიმოფანტულ წიგნებშორის ვიდაც მაღალი და გამხდარი მოხუცი იდგა. ბულში გადაშლილი წიგნი ეჭირა და გულსყურით ჩასცქეროდა.

სირბილით გავიარეთ რამდენიმე პატარა ქუჩა და მარჯვნივ გავუხვიეთ, მტკვარზე ჩავედით, ნაპირ-ნაპირ ვამჯობინეთ შინ მისვლა. მანამდე ტანსაცმელი გაიხადეთ და მდინარეში შევტოპეთ. წყალი აწეწილ სულსაც და ნერვებსაც ამშვიდებს და აწყნარებს.

ოფლი და მტვერი ჩამოვირეცხეთ. ჩემი დაფლეთილი პერანგი შორს მოვისროლე და მტკვარს ვავატანე.

მართლაც, მდინარემ თითქოს დაგვაშვიდა, დაგვაწყნარა, მაგრამ მე და ლუკა რატომღაც ერთმანეთს თვალს ვერ ვუსწორებდით, დარცხვენილებს ვგავდით. წყალში მდგარნი დაყინებით მივჩერებოდით გაღმა ნაპირს, სანაპიროს ბეტონის კედელს.

— ღონ კიბოტს ჰგავდა ის მოხუცი.  
— თქვა ლუკამ.

— ვისა?

— ხომ გახსოვს, ღონ კიბოტი რომ დგას და წიგნს კითხულობს...

თვალი უნებურად მარჯვნივ გამექცა, იქ, ხიდის ახლოს, პირდაპირ მდინარეზე აღმართული აგურის შენობის ერთ-ერთი ფანჯარიდან წყალში ცვივოდა წიგნები, ქაღალდები, ნაგავი, მტვერი... მივხვდი, ეს იყო ის ფანჯარა, საიდანაც თითქმის წელიწადნახევარი გავცქეროდი მთაწმინდის ფერდობებს, მტკვარს, მუხრანის ხიდს. ახლა ფანჯარა ღია იყო და მტკვარში იყრებოდა მორჩენილი, დაგლეჯილი და დაფურცლული წიგნები, რისი წილებაც არავენ ინდომა. იყრებოდა მტვერთან, ნაგავთან ერთად, წიგნის ფურცლები ჰაერში ფანტებოდა, ფრიალ-ფრიალით ეშვებოდა დაბლა და ნელ-ნელა, ფრთხილად ეფინებოდა მდინარის ზედაპირს. ჩვენ მუხლამდე წყალში ვიდექით და გავცქეროდით, მტკვრის გლუვი ზედაპირი თითქმის მოფენილი იყო წიგნის სველი ფურცლებით. სწორედ ჩვენს წინ ჩქერი იწყებოდა და ჩვენამდე მოღწეული, მოტივტივე ფურცლები ჩქერში ინთქმებოდა... რატომღაც რომის ცხენები გამახსენდა, ალაზანში შეყრილი რემა, ტალღებს შეჭიდებული, თავაწეული, კისერწაბრებული თეთრი ბედაურები... თავი ვეღარ შევიკავე და ცრემლი წამსკდა.

მე და ლუკა საღამომდე დავრჩით მტკვრის ნაპირზე.

• • •

მამამ სოფელში გამგზავრება განუსაზღვრელი ვადით გადამიდო. ჩემი ვარაუდით, წერილი მიიღო, თანაც ძალზე მნიშვნელოვანი. ის დღეები ცოტა აგზნებული მეჩვენებოდა, ბორგავდა, ვერ ისვენებდა. მერმე მითხრა, — მგონი, გვეშველაო. ეს საშველი, როგორც გაირკვა, ჩვენი სახლის გაყიდვის ნიშნავდა. მე უკვე მონაგანად შეეუროგდი, რადგან დამარწმუნეს და ვიცოდი, სახლი უსათუოდ უნდა გაყიდული-

ყო, სხვა გამოსავალი არ არსებობდა. მაინც შევხსენე ჩემი თხოვნა, სხვა მოდგომამდე ნუ გავყლით-მეთქი, მაგრამ მამაჩემს მუშტრის დაკარგვა არ უნდოდა. ისე კი ვერ გამატყუნებდი, სწორად მსჯელობდა, — იმ მამაცხოვრებულმა შემოდგომამდე თუ მოიცადა, არ მივეძალებიო, თუ არა და სხვა რა გზა მაქვს, უნდა მივეცო. როგორც კი ასეთი რამ მითხრა, მივხვდი, სახლი უკვე გაყიდული იყო და სოფელში ზაფხულის გატარება არ მეწერა. არც შევმცდარავარ, მამა გამგზავრდა და ერთ კვირაში უკან გახარებული და უზომოდ კმაყოფილი დაბრუნდა.

გული დამწყდა. უსათუოდ მეც უნდა წავყოლოდი, მით უმეტეს, წაყოლა თვითონ შემომთავაზა. არ ვქენი, რაკვირა შემიძლია, არ ვიცი. ვითომ იმ სახლის გაყიდვას ვერ დავესწრები-მეთქი, სისულელეა. უბრალოდ დამეზარა. ვინაჲ, მაგრამ უკვე ვვიან იყო.

მეკვირია არასოდეს ვყოფილვარ, თუმცა ბევრი რამ გამკვირვებია და ბევრჯერ გავოცებულვარ კიდეც. არც მომწონს ისეთი კაცი, ვისაც ვითომ არაფერი უეკირს და აოცებს. მაგრამ ამის მსგავსი არაფერი დამმართნია, როცა მამაჩემმა მითხრა, — ჩვენი სახლი კარიაულებმა იყიდესო. გაკვირვებისაგან თავზარი დამეცა, გავხევედი და ყურებმა წივილი დამიწყო, ვიფიქრე. — მომემა-მეთქი.

— ხო, ჩვენი სახლი კარიაულებმა იყიდეს! — გაიმეორა მამამ.

ჩემთვის ნამდვილად სულერთი იყო, ვინ იყიდდა ჩვენ სახლს, კარიაული თუ სხვა ვილაც, მაგრამ მაინც შემამარწუნა ამ ცნობამ. რატომ იყიდეს, რად უნდოდათ? იმათ გალავანშემორტყმულ სახლთან ჩვენი სახლი ხომ საცოდავ ქოხმახად გამოიყურებოდა. რატომ?... რისთვის?... ამაო იყო თავის მტვრევა. რამდენიც უნდა მეფიქრა, ვერ მივხვდებოდი, ამ საიდუმლოს ვერ ამოვხსნიდი, ამისთვის არც ჰქუა მეყოფოდა, არც გამოცდილება და არც ეშმაკობა. მამამ ჩემმაც არ იცოდა, მგონი, ერთ-ერთ

ქალიშვილს მზითვად უყიდაო, — ივარაუდა, მაგრამ რომელი როტმილილი ევა მყავს, ქალიშვილს მზითვად სახლი გაატანოსო, — ესეცა თქვა.

ცოტა ხნის შემდეგ რალაცნაირი მძიმე და ჩუმი სევდა შემომიწავა გულზე, ოთახში ველარ გავძელი და აივანზე გავედი, იქაც ცხელოდა. ივლისის ღრუბლიანი დღე იყო, ჰაერი — დაგუბებული და შედედებული, სუნთქვა ჭირდა. ყველაფრისათვის თითქოს მზად ვიყავი; ჯარღუვალობაც გავითვალისწინე, მილიონჯერ ვუთხარი ჩემს თავს, — რას იზამ-მეთქი, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ვერ შევეგუე, ვერ შევეურიგდი იმ აზრს, რომ ანანოს სახლი აღარ არსებობდა. მე და მამაჩემი კი ვამბობდით, — ჩვენი სახლიო, მაგრამ რა ჩვენი სახლი ეგ იყო, ჩვენი რომ ყოფილიყო, ალბათ, არც დამწყდებოდა გული. ის იყო ანანოს სახლი და ანანოსთან ერთად წაივდა და გაქრა. არ მეგონა, ოდესმე ეს თუ მოხდებოდა, არ ვუჭერებდი არც ანანოს და არც ჩემს წინათგარძნობას, სულში ვჩქმალავდი და ვაფუჩეჩებდი, სხვა გარძნობებით ვცვლიდი, უფრო იმედინაით, დამამწვიდებელ აბებივით ვცლაპავდი გონებაში წარმოდგენილ თუ გამოგონილ მომავლის ვარდისფერ გარძნობებს, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი, — გავიფიქრებდი და ყოველგვარი იქვისა და ტკივილისაგან თავისუფალი განვაგარძობდი გზას. ყველაფერი კარგად იქნება...

ზაფხულის არდადეგებიც ჩამეფუშა. მამამ შემატყო უგუნებობა და მეორედღეს მითხრა — ეს სოფელი რას ამოიჩემე, ზღვაზე წადი, მთელი ქვეყანა ზაფხულობით იქ დადისო... ჯერ შენ დაისვენე, ჩამოხვალ და მერმე მე წავალო... ახლა უკვე თამამად, ხელგაშლილად მელაპარაკებოდა. რა მქონდა საწინააღმდეგო, ზღვაზე წასვლას მეც ისევე ვოცნებობდი და მივესწრაფოდი, როგორც ყველა ჩემი ტოლი, მაგრამ გუზი ლუკამ შემაცვლევინა.

ზღვაზე მარტო ხომ არ წავიდოდი,

ჩემი ზაფხულის გეგმები ლუკას გავცანი და შევთავაზე, — ერთად წავიდეთ-მეთქი. თავი შეიკავა, შეიძლება, უსახსრობის გამოც, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, ზღვაზე წასვლა-არწასვლა თითქოს ფულზე არ იყო დამოკიდებული. ეს ჩემი ვარაუდი იყო მანამდე, სანამ თავისას მეტყვოდა. ლუკა მოგზაურობას აპირებდა, — ან ხევისურეთს მოვივლი, ან ქართლს და კახეთსო. ოლონდ ჯერჯერობით ვერაფერს აიყოფოდა და ეს აბრკოლებდა. ბოლოსდაბოლოს თუ პარტნიორს ვერ იპოვიდა, აიკიდებდა თავის ზურგჩანთას და მარტო გაეშურებოდა. ორი დღე ვიფიქრე. ეს მოგზაურობა თანდათან მზიბლავდა და მაცთუნებლად მიზიდავდა. თუ ზღვაზე მოგვინდებოდა წასვლა, აგვისტოს ბოლო ჩვენს ხელთ იყო, ათი დღე ყელამდე გვეყოფოდა. საბოლოოდ ასე გადაწყვიტეთ, მოგზაურობა კახეთით დაგვეწყუო. ამ მხარეს, ასე თუ ისე, მაინც ვიცნობდი, ნაცნობ გარემოდ მიმაჩნდა და პირველი ტურისტული ლაშქრობა შედარებით ნაცნობ გარემოში ვამჯობინე. ლუკა სიამოვნებით დამეთანხმა. ოლონდ გამოუცდელიობის გამო მარშრუტი წინასწარ არ შეგვიდგენია, ჩავსხედით მატარებელში და თელავისკენ ავიღეთ გუზი.

მეგონა, ლუკას სიარული გაუჭირდებოდა, ჩემსავით ვერ ივლიდა, მაგრამ ჯანიანი და გამძლე გამოდგა, მომყვებოდა და მოჰქონდა თავისი დიდი ზურგჩანთა. ცოტას ლაპარაკობდა, თუმცა ვატყობდი, გაბრუებული და გაოგნებული იყო ყოველდღიური შთაბეჭდილებებით.

თელავიდან შუა მთისკენ რომ გავუხვიეთ, მარჯვნივ, შორს, ატმისფერ ნისლებიდან ამოზრდილი კავკასიონი გამოიკვეთა. როცა მთებს გავცქეროდი, ვცდილობდი, თავი ისე დამეჭირა, ვითომ შევხვდი ძველისძველ ნაცნობს, რომელმაც ყოველდღიური შეხვედრებით თავი მომაბეზრა და ახლა მხოლოდ ის მაინტერესებდა, ლუკაზე რა შთაბეჭდილებას მოახდენს-მეთქი.

— შეიძლება კაცი გაგიყდეს, — თქვა ლუკამ, — ალბათ ვერავინ დაარქმევს ამას სახელს.

— რა დარქმევა უნდა, ამას კაცასიონი ჰქვია, თანაც ძალიან დიდი ხანია.

— არა, აი, რას დარქმევდი იმ განცდას, რომელიც კაცასიონის პირველად ნახვისას გეუფლებს? თუ არა ვცდები, ტოლსტოიმაც ვერ მოუნახა ამას სახელი. გახსოვს ოლეონი, პირველად რომ დაინახავს კაცასიონის მთებს? აბა, თქვი, რას განიცდის: სიხარულს? აღტაცებას? შემფოთებას? თავზარდაცემას? თუ რას?

მე არ მახსოვდა და არც შეიძლება და მხსომებოდა, რადგან ჯერ წაყითხული არ მქონდა ის მოთბობა, რომელსაც ლუკა გულისხმობდა და გავყურდი ვერც ვალიარე, — არ წამიკითხავს-მეთქი.

ის ღამე შუამთაში გავათიეთ, სამი დღე იყალთოსა და ალავერდს მოვანდომეთ, მერმე უკან მოვბრუნდით და ალაზნის ვალმა გრემთან დავბანაკდით, აქ ორიოდღე დღე დავეყავით, ყველაზე მეტად მდინარის პირას მოგვწყონდა ღამის თევა, ცურვით გულს რომ ვიჭერებდით, ცეცხლს გავაჩაღებდით და ჩაის მოვადუღებდით, ხანდახან ვთევზავობდით კიდეც, ლუკას ანკესები ჰქონდა წამოღებული. მერმე კინწის მოწყვეტამდე ვყვებოდით აჭეთურსა და იქეთურს. მე ჩვენი სოფლისა და ანანოს ამბებს ვუყვებოდი, გაყურებული მისმენდა, არკი მისმენდა, თითქოს ნაამბობს მთელი არსებით ნთქამდა.

გრემიდან ისევ თელავს დავბრუნდით და წინანდლისკენ გავუყვებით გზას. სულ ფეხით სიარული და ბარგის თრევა არ გვიხდებოდა, ზოგჯერ საბარგო მანქანა გავვიყოლებდა, ზოგჯერ — ურემი, თუ ურემზე ჩვენი ადგილი არ მოიხებნებოდა, ბარგს დავუღებდით, ესეც დიდი შეღავათი იყო. თელავიდან წამოსულებმა ბოდბისხევის ბაზრობაზეც ამოვყავით თავი, ცხელ საჭმელს დანატრებულები ხინჯალსა და მწვადს მივეძალეთ. მერმე საგზლითაც წდვდას

პური, ყველი, კიტრი, ვაშლი) მოვმარაგდით, დამატებით შევიძინეთ მატყლის წინდები და თუშურა. ქულები, კინკრისოზე რომ ძლივს ჩამოგვაცვია იმ ქულებით შავში, თანაც გაჭნილმა მეჭურღემ. კახეთში ქული ყველა თავს მოვარგე და, — ამბობდა სხვების გასაგონად, — ეგრე დამწიფებულებს ჯერ არ გადავწყდომივარო. ჩვენც შეგვრცხვა მოულოდნელად ასე დიდთავიანები რომ აღმოვჩნდით, სასწრაფოდ გადავუხადეთ ფული და იქაურობას უხერხული ნაბიჯით გავეცალეთ, თავებს კისრებზე ძლივს ვიმეგრებდით.

ალმა-დაღმა ხეტიალში კიდეც ათი დამღლედი, მაგრამ სასიამოვნო დღე გავიდა. ღამე საღდაც ალაზნის პირას, თელიანში გავათენეთ და დილიდანვე უკან დაბრუნების სამზადისს შევეუდეთ. ცეცხლის გარშემო მიმოფანტული ნივთები მოვაგროვეთ და ზურგჩანთაში ჩავტენეთ. მზის ამოსვლამდე გვიწოდდა გავდგომოდით გზას.

წუხელაც, დილითაც მოუსვენრად ვგრძნობდი თავს, რაღაც მაფორიაქებდა, თითქოს ამ ადგილებში ერთხელ უკვე ვიყავით. მდინარის ეს ნაპირიც, ეს თელებიც, თელებს ზემოთ პატარა გორაკებიც უკვე ნანახსა და განცდილს ჰგავდა. ნუთუ ისე დაგვიბნა თავ-გზა, რომ ერთხელ ნამყოფ ადგილებს დავუბრუნდით-მეთქი, — ვფიქრობდი. ლუკა დაბეჭითებით ამბობდა, — სხვისი არ ვიცი და მე აქ პირველად ვარო.

თელებს რომ ავციდით, პორცვიდან გავხედე გორაკებს ზემოთ გაშლილ მწვანე ფერდობს, რომლის იქით ტყით დაფარული მთები იწყებოდა. დაყინებით გავცქეროდი და უცებ შორს, იმ მწვანე ფერდობზე გარკვევით დავინახე თეთრი ცხენი... ცხენი საოცარი სისწრაფით მიჰქროდა ტყის გასწვრივ. ცხენი-მეთქი, — წამოვიყვირე.

— სადა? — მკითხა ლუკამ.

— აგერ! — გავიშვირე ხელი ფერდობისაკენ.

— სად ხედავ ცხენს?

— ზევით, ტყის გასწვრივ ვარბას.

— მე ვერაფერს ვხედავ.

— როგორ ვერ ხედავ?!... აგერ... აგერ... — უკვე ვეღარც მე ვხედავდი ცხენს, ან ბორცვს მიეფარა ან ტყეში შევარდა.

— ალბათ მოგჩვენა. — მითხრა ლუკამ.

— რას ქვია, მომჩვენა? ისე ვხედავდი, როგორც შენ გივუბრებ.

— შეიძლება.

— შენ გგონია, უკვე მოჩვენებები დამეწყო?

— არა... მეც მინდოდა დამენახა.

უცებ ექვმა გულის სიღრმეში გამკეწლა, ბორცვიდან ალაზანს გადავხედე. ქვევით, კარგა მოშორებით დავინახე კბოდე, რომელიც ხელმარჯვნივ უხვევდა და მდინარეს მიმართულებას აცვლივინებდა, მერმე თელიანს გადავავლე თვალი, ესეც მენიშნა. ისეც გორაკებს მივაშტერდი, ადგილს მოვწყდი და ახლა სხვა ბორცვზე ავირბინე. იქიდანაც გადავხედე ალაზანს, თელიანს, მერმე ნელ-ნელა ავაყოლე თვალი ბორცვებს, გორაკებს... მწვანე ფერდობს, ტყეს...

— ოზო, სად გარბიხარ?! — გავიგონე ლუკას ხმა.

მთელი სხეულით, მთელი არსებით, გულით, ფილტვებით, ყნოსვით ვიგრძენი, რომ იქ, იმ პატარა გორაკებსა და მწვანე ფერდობს შორის ჩამალული იყო ნისლაურა, საბას სოფელი. სიხარულისაგან ისე აედღედი, თვალებზე ცრემლი მომადგა. ტირილი მინდოდა, თავბრუ დამეხვა, დავრეტინდი, რომ არ წაშტყეულიყავი, იქვე ჩავჯექი და უღონოდ მკლავები მუხლებზე გადავიკდე...

ჯერ ხალხის ყვირინა და ყვირილი გავიგონე, მერმე — ცხენების ჭიხვინი და ფლოქვების თქარა-თქური. ნიაღვარივით დამრული თეთრი ცხენების რემა გუგუნითა და გრიალით მიექანებოდა ალაზნისაკენ... თითქოს დვარცოფმა დამბა გაგლიჯა, ზედ გადაველო და ახლა მიხვეულ-მოხვეული ხრამებით გზას მიიკვლეოდა დაღმა... ყოველ ნაბიჯზე

ხმაურითა და კეტების ქნევით ხვდებოდა ჩასაფრებული ხალხი, ვინც ვეცხვის საშუალებას არ აძლევდა რეშას... გარბოდნენ და გამობობდნენ, გაქონდათ და გამოქონდათ... გაგიყვებული ხალხი ტომრებით, ვედროებით, ტაშტებით, ბალიშისპირებით ეზიდებოდა წიგნებს... მდინარის ატორტმანებელი ზედაპირი მოჩითული იყო ცხენების თავებით, წიგნის ფურცლებით. გამწარებულ ცხენებს კისრები დაეგრძელებინათ და თავადერილი მთელი ძალით ებრძოდნენ ღონიერ ტალღებს, მზაკვრულ დინებებს, ღრმა ძაბრულებს... ეს ღრმა ძაბრულები გაშმაგებით ნთქამდნენ და ფურცლულ წიგნებს... წასვლამდე კიდევ ერთხელ გავხედე ვიწრო ქუჩას, ქვაფენილზე უწყესრიგოდ იყო მიმოფანტული წიგნები...

— ოზო, — ისეც დამიძახა ლუკამ, რომელიც ქვემოდან ორ დიდ ზურგჩანთას ხენეშა-ხენეშით მოათრევდა. — რას მიღიმი, ვერა ხედავ, ძლივს მოვათრევი?!

ცხადად წარმოვიდგინე მწვანე ფერდობიდან გამოჩეკილი ცხენების რემა, გრიალით როგორ დაქანდა ალაზნისაკენ და ალაზანთან მისულები ძალით როგორ შეჰყარეს მდინარეში, მაგრამ ამ წარმოსახვას ჩემფეხისაც მოულოდნელად ხელი შეუშალა ცნობიერებაში ამოტივტივებულმა სხვა სურათებმა. უნებურად მახსენდებოდა მძიმე შთაბეჭდილებათა ნაფლეთები იმ დღისა, როცა ქალბატონი მარიამის ბიბლიოთეკა დაანგრის, გაძარცვეს და მთელი ქუჩა დაფურცლული წიგნებით მოჰფინეს. ახალა მტკიოდა გული ამ ქალის დასაფლავებას რომ აღარ დავესწარი და უკანასკნელი პატივი არ მივაგე. მინდოდა ამ სივრცეში, მდინარის შორეულ ხმაურში, განთიადის ბურუსში, ცის სილურჯეში, თელებს შრიალსა და გორაკების ხასხასა სიმწვანეში დავნთქმულიყავი და დაეშლილიყავი, რომ ერთი წუთით მაინც იმად ვქცეულიყავი, რასაც გარშემო ვხედა-

ვდი, რაც სიხარულსა და ტკივილს ერთდროულად მანიჭებდა.

ლუკა ხენეშა-ხენეშით ამობობდა ბორცვზე. ორივე ზურგჩანთა იქვე მიყარა და გვერდით მომიჯდა. ცოტას სულს მოვითქვამ და წავიდეთო, — მითხრა. მე გუნებაში დღევანდელი მარშრუტი შევცვალე. უკან გაბრუნებამდე ჯერ ნისლაურაში ავიდოდით, იქაურობას შევხედავდით, დავათვალიერებდით და იქიდან უკვე ჩვენი სოფლისაკენ გავეშურებოდით. გულით მინდოდა ლუკასთვისაც მენახებინა ჩვენი სოფელი.

ლუკამ ჩემი მონაყოლით იცოდა ნისლაურას არსებობა და ზოგიერთ ყოფილ მკვიდრსაც ასევე იცნობდა, ამიტომ სიამოვნებით წამომყვია.

დიდხანს ვიარეთ, ნისლაურაში ასასვლელ გზას ვერ მივაგენით და პირდაპირ აღმართს შევუყვებით, გაცვეთილი ლანჩები ნამიან ბალახზე სრიალებდა, მიწაზე ფეხს ძლიერ ვიკიდებდით, ხშირად ვეცემოდით და მუხლამდე გალუმპულეები ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწვივდით აღმართზე. მზის ამოსვლისას უკვე სოფელში შემავალ საურმე გზას დავადექით. ძველი გზა იყო, თითქმის გაუქმებული, შალაფამოძალებული, მაგრამ მაინც გზა ეთქმოდა და ჩვენც საკმაოდ გავკვიოლდა სიარული.

სოფელი მთლად მიტოვებული არ ჩანდა, ბელურები ეიჭვივებდნენ, შორიდან მამლის ყვირილიც კი გავიგონეთ. სოფელში შესვლისთანავე ყფა-ღრენით ნაგაზიც გამოგვენთო. ჯერ შეგვეშინდა, შევდრკით, მერმე ლუკამ გაიციონა და მეც დამამშვიდა, — ბებერია, კბილები არა აქვსო, ქოფაკი არ გვეშვებოდა, გაავებული, ბოხი, ხრინწიანი ხმით გვიყვფდა და გვიღრენდა, საცოდავს მართლაც, ყბებზე ერთი კბილიც არ შერჩენოდა.

— ნუ გვატყუებ, ბებერო, — უთხრა ლუკამ რაღაცნაირი აღერსიანი დიმილით.

ნაგაზმა თითქოს გაიგონა ლუკას ნათქვამი, გაჩუმდა, აჭაგრული ბეწვი დაულაგდა, მერმე მორცხვად თავდახრი-

ლი მოუქნელად დაიგრიხა და დაიქანა წა, კუდის ქნევით გამოგვევა უკან სიხარულსა და სოფელი თითქმის მიტოვებული და დაცარიელებული აღმოჩნდა. უპატრონობით გაიხრებული ეზოები, მორღვეული ღობეები, დაზარალებული კედლები, აყრილი კრამიტი... ძველი პატარა ბაზილიკა წაქცევაზე იყო და ღია კარიდან თითქოს სიბნელე გვითვალთვალავდა... ასეთი ვნახე ნისლაურა. მაგრამ ბუნებას მაინც თავისი გაქპინდა, ვაშლითა და პანტამსხლით დაბუნძლულ ხეებს თითქმის მიწამდე ჰქონდათ დაშვებული ტოტები. ქვეყნის დასალიერიდან კიდევ ერთხელ იყვილა მამალმა და ჩვენც სოფლის წყაროს მივადექით. წყაროსთან სამი შავილაბანდინი დედაბერი საუბრობდა, ჩვენი ფეხის ხმა შემოესმათ და მობრუნდნენ, ცნობისმოყვარეობით დაგვიწყეს თვალიერება. მივესალმეთ, ზურგჩანთები მოვიხსენით და იქვე კაკლის ჩრდილში მივყარეთ: აღმართზე სიარულით დაღლილები და გაოფლილები ბრტყელი აგურით ნაშენებ წყაროსთან მივედით, მოხუცმა ქალებმა თავიანთი სველი დოქები გვერდზე მიდგეს და წყალთან მიგვიშვეს; წყალი — თითბრის მილიდან მსხვილ ნაკადად მოთქრიალებდა, ცივი და ანკარა იყო. წყურვილიც მოვიკალით და თავბრილი მივეშვირეთ, გამოვცოცხლდით. დედაკაცები დაინტერესდნენ, — სადაურები ხართო? ქალაქელები-მეთქი, — ვუთხარი. ასე დავიწყეთ და შემდეგ გაეაბით საუბარი: იქვე გავარკვიეთ, სოფელში თურმე ოთხი კომლილა დარჩენილიყო, ისიც მოხუცები. წავიდ-წამოვიდნენო, — თქვეს მშვიდად, თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო, — მა, აქ რა გააჩერებდათო, თითქოს იმას გვეუბნებოდნენ, — სიბერეს რა ვუთხრათ, თორემ ჩვენ აქ რა დავაყენებდაო. მერმე ერთ-ერთმა გვიუთხრა, — თქვენ რაღამ მოგიყვანათო? ქვეყანას ვათვალისწინებთ, ვეცნობით-მეთქი, — ვუპასუხე. მერმე ამაზე უკეთესი სხვა ვერა ნახეთ რაო, — გაიციუნეს. ჩვენთვის ამაზე უკეთესი ქვეყნად

არც არის და არც იქნებაო, — უთხრა ლუკამ. დედაბრებმა ისევ ჩაიციენეს, ნათქვამი ალბათ ხუმრობად ჩაუთვალეს ლუკას.

საუბარი აღარ დაგვეცალდა, რადგან ჩვენკენ მომავალი მამაკაცი დავინახეთ და იმას მივაქციეთ ყურადღება. ქალები აფუსფუსდნენ, აწრილდნენ, თავიანთ კოცებს სასწრაფოდ დაავლეს ხელი და წავიდ-წამოვიდნენ. ჩვენკენ მომავალს ძველი, გახუნებული სამხედრო კიტელი, გალიფე შარვალი და ჩექმები ეცევა, ზომიერი ნაბიჯით მოდიოდა, გამართული, მოგვიანდებდა და თავაზიანად მოგვესალმა. არ გვეგონა, საკმოდ ხანში შესული აღმოჩნდა. სუფთად გამარსული სახე მთლად დაღარვოდა, დანათქვამოდა, თხელი, ჭალარა თმა კოხტად, უმწველურად გვერდზე გადაეკარცნა. დედაბრებს რატომღაც ზიზლით გააყოლა თვალი და მიამახა, — ყვავებო, ტყუილად ნუ ყრანტალებთ, არაფერი გამოგივით, არაო! რამდენადაც ანანოს მონაყოლიდან მახსოვდა, გედეონ ომანაშვილი აქედან წავიდა და მერმე აღარ დაბრუნებულა. არადა ახლა ნაძლევი დავდები, რომ ეს გახუნებულ სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი გედეონ ომანაშვილი იყო. ზუსტად ასეთი მყავდა წარმოდგენილი, ოღონდ ახლა სხვა ტანსაცმელი ეცევა, ასეთ ტანსაცმელს იმ ხანად ბევრი ატარებდა, რადგან შედარებით იოლი ხელმისაწვდომი იყო.

— ჰაბუკებო, მე გედეონ ომანაშვილი გახლავართ, ამ სოფლის მკვიდრი.

ეს ხმა და კილო თითქოს ერთხელ უკვე გაგონილი და მოსმენილი მქონდა, იმდენად მეცნო, რომ ძლივს შევიკავე თავი, თორემ ბერეკაცის მოხვევას ვაპირებდი.

— ხომ არ ინებებთ ჩემთან წამობრძანებასა და მოსვენებას? დალლილებსა ჰვაეხართ და თანაც წყლით გაწუწულხართ...

ლუკამ ისე შემომხედა, თითქოს მკითხა — ის ომანაშვილი ხომ არ არისო? სწორედ ის ომანაშვილია-მეთქი,

— ვანიშნე. თავპატივის დაღება არც გეფიქრია, მაშინვე მოვიგდეო ჩვენი ზურგჩანთები და გავყვივით. მოგვევლეთო, — კი გვითხრა, წამოიწია კიდევ, მაგრამ ბარგი არ დავანებეთ. წინ ბატონი გედეონი მიდიოდა, ხანდახან მოგვხედავდა და გზას განაგრძობდა. ჩვენს უკან ბებერი მურა-ნაგაზი მოძუნძულებდა, თავჩაიძული, მოწყენილი, რალაცნაირი სოფელი იყო, უცნაური, სახლები მხოლოდ გზის ერთ, მარჯვენა მხარეს აეშენებინათ, ფერდობზე, მარცხენა მხარე ალაზანს გადაჰყურებდა, ქვემოთ ერთმანეთზე მიყრილი ბორცვები და თელიანი მოჩანდა.

უხმოდ მივყვებოდი მოხუცს, საბას სახლიც ვიცანი, ქვის სამი საფეხური, მუხის კარი... არ შეგჩერებულვარ, მხოლოდ მივხედე და მოჭადოებულევით ისევ ბატონ გედეონს გავყვივი. ვინ იყო ან რა იყო ეს გედეონ ომანაშვილი? მე ხომ მონაყოლის მონაყოლით ვიცოდი, რომ ქვეყანაზე არსებობდა ასეთი კაცი — გედეონ ომანაშვილი... ახლა პირველად შეგხვდი, პირველად დავინახე... მაშ, რატომ ავლელდი, რატომ ამიტანა სიხარულმა, რატომ შეეცქერი სასოებითა და მოწიწებით, თითქოს ეს იყოს სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი?

თითქმის მთელ სოფელს წინ ჩავუარეთ, ბოლოს ერთ პატარა აივნიან სახლთან შეჩერდა, ცალი ხელი არტისტულად, მოხდენილად გაიშვირა და გვითხრა, — აი, ეს გახლავთ ჩემი აპარტამენტი! ეზოში შეგვიძღვა. ეზო სუფთად დაგვილი და მოვლილი მომეჩვენა. შინ არ შევუყვანივართ, ცაცხვის ჩრდილში დავგსხა, მოგრიძო მაგიდაც და მერხებიც ბატონი გედეონის ნაოსტატარი უნდა ყოფილიყო. დაწვრილებით გამოგვიკითხა, ვინ ვიყავით, სადაურები, სად მივდიოდით, რას ვაპირებდით? ყველაფერი ვუთხარით და განვუმარტეთ. დიდად კმაყოფილი დარჩა, გაგვამხნევა და შეგვაქო, ყოჩაღ, ყოჩაღო! საუბარში რომ ვიყავით გართულნი, ჩვენი ნაცნობი მოხუცი ქალები

მოადგენენ ლობეს, ორნი იყვნენ, პური, მწვანილი და კიტრი მოიტანეს.

— აჰა, კეთილინებეთ და მობრძანდით, არა? უჩემოდ აღარ შეგიძლიათ ცხოვრება! — უთხრა ბატონმა გედეონმა, — შემოდით, შემოდით და ეგუები მაგიდაზე დააწყეთ. ქალბატონი მაგდალინა სადღაა?

— მაგდანა ახლავე გეახლებათ, ხინკალს გახუზავს და მოვა.

— კარგია, სტუმარ-მასპინძლობის წმინდა წესები ჭერ რომ არ დაგვიწყნათ.

ღედებრებმა მოტანილი სანოვაგე მაგიდაზე დაახვევს და წაიდინენ.

— თქვენი კაცებიც გამიფრთხილეთ, არქვით, რომ სტუმრები მყავს. — მიაძახა ბატონმა გედეონმა წასულებს და ჩვენ მოგვიბრუნდა, — ვეო, მხოლოდ ოთხი კომლია შეერჩით ამ დიდებულ სოფელსა, ეს ღედებრები ატეხილან, ამათაც მონდომებით წასვლა, რაიონის ცენტრში გადასახლება და ვადაბარება. საქმე ის გახლავთ, რომ კაცებიც აუყოლებიან, მაგრამ მე აქ რისთვის ვარ, ისეთ-ისეთები ვუთხარი, გაჩენის დღე ვაწყვედინე... არ გამოვცვათ, არა, ბატონებო! ჩემთან ერთად დაიხოცებით აქა!

ბატონი გედეონი ვარეგნულად ჰენსიაში გასულ პროვინციელ აქტიორსა ჰგავდა. მისი ექსტი, მიმიკა, მოძრაობა, ხმა, კილო-კავი ერთდროულად კომიკურიც იყო და ტრაგიკულიც, საოცარი ისაა, რომ ამ კაცში კომიკურსაც და ტრაგიკულსაც ერთი საფუძველი თუ მიზეზი ჰქონდა. მის მიხრა-მოხრას, მეტყველებას, შინაგანის გამჟღავნებას, აღეღებდა იქნებოდა ეს, სიხარული თუ გაბრაზება, ძველყაიდურის იერი დაჰკრავდა და ამიტომაც ღიმილისა გვეკრიდა, ამავე დროს გრძნობდი, რომ ეს ყველაფერი ხვალ აღარ იქნებოდა, აღარ განმეორდებოდა და რადიკალურად წინასწარი სევდა ვიპყრობდა.

სახელდახელოდ გაგიწყო სუფრა, გამოიტანა თევშები და დანა-ჩანგალი,

პური დატეხა, ყველი დაჭრა და კიტრი დათალა, ამასობაში მესამე დღესაც კაციც გამოჩნდა, სპილენძის პატარა ქვაბუნაით გახუხული ხინკალი მოგვიტანა. სანამ ცხელია, ისიამოვნეთო, — გვითხრა და მაშინვე წავიდა.

— მაგდალინა, — დაწვია ხმა ბატონმა გედეონმა, — თქვენმა კაცებმაც უნდა იცოდნენ, რომ ყოველი სტუმარი ღეთის მიერაა მოვლენილი და ქართველი კაცი დასაბამითგანვე უაღრეს პატივს მიაგებდა სტუმარს.

მაგდანა, რომელსაც ბატონი გედეონი ჯიუტად მაგდალინას უწოდებდა, მობრუნდა, მერმე საწყალობლად გაიღიმა და მხრები აიჩეჩა. რამდენადაც მივხვდი, ბატონი გედეონი და ის სამი ბერიკაცი წაჩხუბებულები თუ წაქინკლავებულები უნდა ყოფილიყვნენ და ახლა ჩვენი ანუ სტუმარიანობის მიზეზით ცდილობდა იმათ შემორიგებას, მაგრამ ისინი, როგორც ჩანდა, თავისაზე მაგრად იდგნენ და პოზიციას არ თმობდნენ.

ხინკალს ნუ გავაციებთო, — გვითხრა ბატონმა გედეონმა და მაგალითი გვიჩვენა, პატარა ქვაბში ხინკალს მისწვდა, დიდებულობაო, — თქვა და ჩვენც ხმისამოულებლად მივბამეთ კეთილ მასპინძელს. ნაგაზმა დაამთქნარა და თავი შეგვახსენა.

— ძალლი მაინც ძალლია, — ამბობდა ბატონი გედეონი, — კბილიანი თუ უკბილო... ყვეფაც საქმეა, ბატონებო, ჩვენი თოფალა რომ არა, თქვენს მობრძანებას მე ვერ შევიტყობდი. ბებერო ქოფაკო, — ახლა ძალღს მიუბრუნდა, — ძვალს ველარა ხრავ და რა გიყო... ხინკალი მოგინდა, არა?!

ბებერმა თოფალამ ბატონი გედეონის ნასროლი ხინკალი მარჯვედ დაიჭირა და ყბის ერთი მოჭნევით გააქრო.

— ახლა ეგ იკმარე, მერმე სალაფავს მოგიშვადებ.

ბატონ გედეონს უცებ რალაც გაახსენდა, სწრაფად წამოდგა. შინ შევიდა და ცოტა ხანში უკან დაბრუნდა, თან პატარა ვერცხლის სურა და ვერცხლი-



სავე, სათითვებივით პაწაწინტელა სირჩები გამოიტანა.

— ბატონებო, თქვენ ახლა სიცოცხლის ელექსირს შეგასმევთ. ეს ელექსირი აქაური ბალახების ნაყენია. ჩვენებურ არაყთან შეზავებული ამბროზია... ოლიმპოს ღმერთების სასმელია... მე ამით მიდგას სული, ყოველ დღილას თითოს გადაგყარავ ხოლმე, ოღონდ უზომოდ... ენერჯისა და სიხალისის უშრეტე წყაროა.

პაწაწინა სირჩებში ჩამოგვისხა მღვრიე, მოშავო-მოყვითალო სითხე და თვალი ჩაგვიკრა, მერმე დაილოცა და გადაპკრა. ჩვენც დავილოცეთ და გადავკარით... შხამი... ასეთი მყრალი, ასეთი მწარე და მკაცრი სასმელი ჭერპირში არ ჩამსვლოდა, ლამის თავის ქალა ამეხადა.

— ხომ არის ნექტარი? — გვკითხა ბატონმა გედეონმა.

მე ლუკას გადავხედე და შევბატყე, ისიც ჩემს დღეში იყო ჩავარდნილი, სიმწრის ღიმილით ეთანხმებოდა, — დიახ, ბატონო, ნამდვილი ნექტარიაო. მეორე სირჩა არც მე და არც ლუკამ აღარ ვინდომეთ.

არაფერი მითქვამს იმის გამო, რომ აქაურობას, ასე თუ ისე, ვიცნობდი. არც იოთამი მიხსენებია, არც საბა, არც თომა ბიკაშვილი. რა თქმა უნდა, შემეძლო ამით ჩვენი ურთიერთობა უფრო გამეიოლებინა და გამემარტივებინა, ზოგი რამ თვით გედეონ ომანაშვილზეც მჭონდა გავონილი, რატომღაც თავი შევიკავე, თავის შეკავება ცოტა გამიჭირდა, მაგრამ ბოლომდე ვავუქმელი, ერთი ვკითხე მხოლოდ:

— ბატონო გედეონ, დილით იმ ფერდობზე თეთრი ცხენი დავინახე, გაიქროლა და უცებ გაქრა... ჩემმა მეგობარმა როგორღაც ვერ მოასწრო მისი დანახვა... ახლა ვფიქრობ, — ხომ არ მომეჩვენა-მეთქი.

ბატონმა გედეონმა პასუხს თითქოს თავი აარიდა, დაფიქრდა და ისევ თავის ამბროზიაზე ჩამოგვიგდო საუბარი, — ეს ელექსირი მხოლოდ ვერცხლის

ჭურჭელში მზადდებაო, რა თქმა უნდა. ვერცხლის სასმისითვე უნდა შეისვენას, თორემ ეფექტი მიღწეული არ იქნებაო. აშკარად ერთს ამბობდა და სხვას ფიქრობდა, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, რალაციის მოფიქრებისთვის სჭირდებოდა დრო, მაგრამ არც ამის შემდეგ გამცა პასუხი, ამბის მოყოლა შორიდან დაიწყო და ის, რაც გვიამბო, მე ერთხელ უკვე ანანოსგან მჭონდა გავონილი, ლუკას კი — ჩემგან. მიუხედავად ამისა, მაინც გულისყურითა და ინტერესით ვისმენდით იოთამის ცხენების ამბავს. გვიამბო ისიც, მერმე როგორ ჩაიცვა რკინის ქალამნები, როგორ დაიჭირა ხელში რკინის ჯოხი და გაეშურა ბარნაბიშვილის თარეშის ასალაგმავად.

— ავლაგმე კიდევ, მაგრამ თავადაც დავზარალდი. არად დაგიდევდით ჩემს დაზარალებას, ოღონდ ის ვანდალი და გარეწარი დამემარცხებინა... — ბატონმა გედეონმა კიდევ ერთხელ შემოგვთავაზა „სიცოცხლის ელექსირი“. ამჯერად უარი ვერ ვკადრეთ და ვერცხლის „სათითვები“ მივუშვირეთ სურას. მერმე პათეტიკურად წარმოსთქვა, — საქმე ის გახლავთ, ბატონებო, რომ ცოდნისა და ინფორმაციის მიღებას დავეწაფეთ და ამასობაში დაგვარგეთ სიბრძნე.

ბატონი გედეონი ისევ ჩაფიქრდა.

— ვწვალობ და ერთი რამ აქამომდე ვერ გამიგია, თუ ბარნაბიშვილი იყო დასასჯელი, მაშინ, მე არ უნდა დავსჯილიყავი. ხოლო თუ მე ვიყავი დასჯის ღირსი, ბარნაბიშვილი აღარ უნდა დაესაჯათ. სწორედ ეს გახლავთ ცხოვრების პარადოქსი, ბატონებო, ჩვენ ორივენი დავისაყვით, მეც და ისიც, შესაძლოა მე უფრო მეტად... რა უნდა მექნა, ვერ შევასმინე იმ კაცთმოძულეს, რომ მე სოფლის მამობების ალაგმვა მწადდა, ვერ გავაგებინე, რისთვის ვიღწვოდი, რას ვებრძოდი, ვის ვერკინებოდი. პატივცემულო ვარლამ — ვეუბნებოდი გამომძიებელს, — ბარნაბიშვილმა სოფელი ასე და ამგვარად ააო-

რა-მეთქი... არაო, — მეუბნებოდა ის, მხლალი და ლაჩარი, — ბარნაბიშვილი ჩემი მეგობარია და ამას არ იკადრებდაო. იკადრა-მეთქი, — ვარწმუნებდი, არა და არაო — გაჭიქდა ჭუჭა გულდღედალი ვარდანაშვილი. საქმე ის გახლავთ ბატონებო, რომ მერმე თავისი მეგობარიც აღარ დაინდო. ცოდვების გამო მშიშარაც იყო და დაუნდობელიც, თითქოს ამ შიშის გამო არ ინდობდა შინაურსაცა და გარეულსაც... ასე, გასრულდა ბარნაბიშვილის პარპაში.

უცებ წამოდდეთი და მავლის გარშემო დაეიწყე სიარული. ლუკამ მანიშნა, — დაჭექი, უხერხულიაო. მაგრამ არაფრის გაგონება აღარ შემეძლო. გამახსენდა ის ცივი და ბნელი ღამე, შეშინებული და იარაღმომარჯვებული ვარლამი ანუ ჭუჭა და გულდღედალი ვარდანაშვილი, როგორც ბატონმა გედეონმა უწოდა. თვალწინ დამიდგა ოთხი მომღიშარი კოტიტა ქალბატონი — ფაიფურის ტრფიალნი და მცოდნენი თვით ლამარა — დიდი ნისლიანი თვალეზი...

— აღელდით, ყმაწვილებო?! — ბატონი გედეონიც ადგა და ორივე ხელი მხარზე შემავლო, — ეგ კარგი ნიშანია, ვეუო, რამეთუ ქვეყნად ჩემი წინააღმდეგობრივი ცხოვრებით ერთი ნერვიც კი ვერავის შეეუძმარი, უგულონი თუ უგულისყურონი შევიქმენით და სხვის ტკივილს არაფრად ვაგდებთ — გამადლობთ თანაგრძნობისთვისა და გულისხმიერებისათვის, მეგობარო, ამას არასოდეს დაგივიწყებთ... ახლა ბარემ ზსიცა ვთქვათ, მერმე რა მოხდა. ბარნაბიშვილი ღმერთმაც დასაჯა და, როგორც ამბობენ, თელის ქალებში შესული დაძრწის... სიბრძნე დავკარგეთ, ბატონებო, სიბრძნე!

— ბარნაბიშვილი ცოცხალია? — ჰკითხა ლუკამ.

— როგორ ვითხარით... გამიგონია: გაგიყვებული თელიანში დარბის და ორმოებს თხრისო. პირადად მე არსად შემხვედრია, თუმცა ერთ-ორჯერ საგანგებოდ მივაკითხე თელის ქალებსა.

ხედავთ, ბატონებო, უკვე ლეგენდაც კი შექმნილა იმ ბარბაროსზე.

აღელვებამ უცებ გამიარა, უცებ დავმშვილდი. თითქოს რაღაც წრე შეიკრა და შინაგანი სიმშვიდე ვიგრძენი. ლუკამ ისე შემომხვდა, რომ მიმახვედრა, — კიდევ ცოტა ხნით დაყოვნება ხვალ დილამდე აქ დარჩენას ნიშნავსო.

— გეთაყვა, იმ თეთრი ცხენის გამო ვერაფერი გეტყვით, თუმცა ჩვენს მშვენიერ დედაბრებს თუ დაუუჭარებთ, თითქოს თვალის მოუწყრავთ კიდევ, ისიც კი მითხრეს, — ღამ-ღამობით ზოგჯერ ჰიხინიც გვესმისო. ბერკაცის გვერდით მინარე დედაბერს სხვა ხმებიც შეიძლება ჰიხინად მოეჩვენოს. — გაიცინა ბატონმა გედეონმა, — ისე კი, საცა სამართალია, თუ ახლო-მახლო ცხენი ჰიხინებს, ჭერ მე უნდა გამეგონა — ძველ მხედარსა და მეომარს.

— ალბათ მომეჩვენა ბატონო გედეონ.

— იმ დედაკაცებმა გამახსენეს... ხედავთ, რა ხალხში ვცხოვრობ?! აკი შევუთვალე, — სტუმრები მყვანან და მობრძანდით-მეთქი. ერთიც არ მოვიდა! ამ საღამოს მიეუფარდები და ერთს ლაზათიანად მივლანძლავ სამივეს, ეგენი აქედან ნაბიჯსაც ვერ გადადგამენ, ვიდრე მე ცოცხალი ვარ, მე კი ძალიან ღიღბანს ვაპირებ ცხოვრებას... ეს ნათელაყო ჩემმა პორსებმა.

ბატონ გედეონს დიდი მადლობა გადაეუხადე კეთილი და გულუხვი მასპინძლობისათვის და ორივეს სახელით შევეპირდი, — გაისად უსათუოდ გინახულვით, ოღონდ ასე შემთხვევით კი არა, წინასწარ, მომზადებულნი ჩამოვალთ და ათიოდე დღე მანც დავრჩებით-მეთქი. რაკი ეგრეთა, დავილოცოთო, — თქვა და ვერცხლის „სათიოეს“ მისწვდა. ჩვენც დავილოცეთ და კიდევ ერთხელ გადაეკარით ეს შემზარავი სიტხე, რომელიც მხოლოდ ოლიმპოს ღმერთთა ღირსი სასმელი იყო.

ზურგზე მოვიგდეთ ჩვენი ჩანთები და ნისლაურას ერთადერთ შარას გავყვებით. ბატონმა გედეონმა გამოგვა-

ცოლა, წრფელად იყო გულდაწყვეტილი, რატომღაც ეგონა, რომ ღამეს სოფელში გავათევდით და დილა ადრიან გავუღვებოდით გზას. ბებერი ნაგაზიცი წამოგვეყვავა, ძლივს აითრია წელი და გამოძუნძულდა. ნისლაურელი დედაბრები ისევ წყაროსთან იდგნენ და მასლაათობდნენ. ბატონი გედეონის დანახვისთანავე დაიშლებიან-მეთქი, — ვიფიქრე, მაგრამ შევეციდი, სინანულის ღიმილით შეგვეგებებენ, რა გაჩქარებით, — გაოცდნენ, — ჯერ ხომ არ მოსულხართ და უკვე მისდინხართო. საიდანღაც სამი ბერიკაცი გამოჩაყუნდა. სამივეს მივესალმეთ, ხელი ჩამოვართვით, მოვიკითხეთ... ეგრე როგორ იქნებაო, — შეწუხდნენ ბერიკაციები, — ამ სოფელში ჩვენც ვცხოვრობთ, სახლკარი ჩვენც გვაქვსო, ხალხნი ვართ და მასპინძლის ქული ჩვენცა გვხურავსო. უკვე აბარებულები და გზაზე დამდგარნი ვიყავით, რა გვექნა, ძალზე უხერხულად ვგრძნობდით თავს, ვაჩერებდით, ვეხვეწებოდით, — მეტს ნულარ გამოგვეყვებით, ნუ შეწუხდებით-თქო, მაგრამ არ გვიჯერებდნენ, მაინც მოგვეყვებოდნენ, მოგვაცილებდნენ. ერთმა დედაკაცმა საიდანღაც ქრელი წინდები გამოგვიტანა, მეორემ თეთრი ბოლჩა მოგვაწოდა, — ხილია, გზაში პირი გაისველეთო... მოგვედევდნენ, ჩვენს ირგვლივ ფუსფუსებდნენ, წუხდნენ, შფოთავდნენ, რა გეჩქარებათ დარჩითო, — ერთთავად იმეორებდნენ, დილაზე დაგესვენათ, მერმე წასულთყავითო. ასეთ ყოფაში გავცდიით სოფელს, ახლა თავივე უნდა დავეშვებულიყავით. შევიჩერდი, გედონ ომანიშვილი ორივეს გადაგვეხვია და გვითხრა, — აბა, ყოჩაღად, ყოჩაღადო, მერმე უფრო ხმამალა, ყველას გასაგონად წარმოსთქვა:

— სიტყვა, სიტყვაა, ბატონებო, მომავალ ზაფხულს გელოდებით! მეც გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ ჩვენ ყველანი ამ სოფლის მკვიდრნი აქ დაგვდებით, აქედან ფეხს არ მოვიცვლით!

ბერიკაციებს შევხედე და მივხვდი, დამშვიდობებისას ამათაც უნდა მივხვედოდი, თორემ გული დასწყდებოდათ, იხედაც ნაწყენები იყვნენ, უნებურად მხოლოდ ომანიშვილის სტუმრები რომ აღმოვჩნდი, სათითაოდ სამივეს მოვეხვიე, იმათაც ჩამიხუტეს გულში და აკანკალებულ ხელებს მითათუნებდნენ მხრებსა და თავზე. ლუკამაც მომბაძა, ისიც გადაეხვია ბერიკაციებს და დაემშვიდობა.

სწრაფად მოვწყდით ადგილს და დავეშვით. ხუთიოდე ნახიჯის შემდეგ ისევ ავხედეთ ბებრებს. ექვსივენი (ნაგაზიანად შვილნი) ერთ ხაზზე გამოქრივებულნი იყვნენ და ცრემლნარევი ღიმილით ჩამოგვექვიროდნენ. ჩამოდით, ჩამოდით, აქვე ვიქნებით, მა სად ჯანდაბაში წავალთო, — გაგავარნეს ზემოდან. გედონ ომანიშვილმა ხელი დაგვიჭინა, — გელოდებითო. მეც მიწოდდა ერთი სიტყვა მეთქვა, თუნდაც „ნახემდის“, მაგრამ ვგრძნობდი, ხმის ამოდებისთანავე, ცრემლი მომეროდა, ამიტომ სიტყვა ვერ ვუთხარი, მღუმარედ შევეცქეროდი ნისლაურელ მოხუცებს. მაინც რატომ შევიკავე თავი, მეტირა, თუკი მეტირებოდა. მე ხომ ვიცოდი, რაც იმ დღეს მოხდა, ის არასოდეს განმეორდებოდა.

გვერდიდან ლუკას გავხედე, მოდიოდა პირქუში, გულჩათხრობილი.

ჩემო ლუკა, ჩემო ძმაო და მეგობარო, შენ ხომ ყველა გრძნობას, ყველა განცდას თავის სახელს არქმევ, ანდა ცდილობ, რომ დაარქვა. თუ ძმა ხარ, მითხარი, რა ჰქვია ან რას დაარქმევდი იმას, რაც ჩვენ, მე და შენ, ახლა განვიციდით! ეს მიწოდდა მეთქვა ლუკასთვის, მაგრამ არ მითქვამს...

მე კიდევ ერთხელ მოვაველე თვალი იჭაურობას, ალაზნის ველს, თელებს, მერმე ბორცვებსა და გორაკებს ავყალივებ მზერა... იქ, იმ გორაკებსა და მწვანე ფერლობთშორის ნისლაურაა. მაგრამ... მწვანე ფერლობზე ისევ დავინახე თეთრი ცხენი, გაქროლებული, ფაფარგაშლილი — თეთრი ცხენი... ამჯერ

რად ლუკასთვის არ გამომხელია, რად-  
გან აელეღდი, თვალები ამიჭრულდა და  
თვითონ არ ვიყავი დარწმუნებული,  
მეჩვენებოდა თუ ნამდვილად ვხედავ-  
დი.

— უნდა დაერჩენილიყავით, — გა-  
ვიგონე ლუკას ხმა. — რა მოხდებო-  
და? არაფერი. ისე გამოვცვივდით, თი-  
თქოს სოფელს ხანძარი ეკიდებოდა.  
თუკი შენი ყოფნით შევიძლია ვისმე  
ასიამოვნო, თუნდაც პატარა სიხარული  
განაცდევინო, დარჩი, იყავი მათთან  
ერთად და გასაცემი გაეცი...

სულ ერთი წამით მოვხედე ლუკას  
და თეთრი ცხენი თვალს მიეფარა...

ნისლაურიდან წამოსულებმა მხოლოდ  
მესამე დღეს მოვაღწიეთ ჩვენი სოფ-  
ლის სანახებს. მანამდე ისე დავიღალე-  
ვიფიქრე, — ჩემი ფიზიკური შესაძ-  
ლებლობის ზღვარამდე მივედი-მეთქი,  
ამ ზღვარის იქით თითქოს ნაბიჯის გა-  
დადგმა არ შემეძლო; ზურგჩანთაოკი-  
დებული მივლასლასებდი და ძლივს  
მოვათრევედი ისედაც დამძიმებულ სხე-  
ულს. ლუკა რამდენიმე ნაბიჯით მის-  
წრებდა. უკანიდან შევეყურებდი და მი-  
ეკვირდა მისი ჯანი და ამტანობა, ერთ-  
ხელ არ დაუწუწუნებია, ერთხელ არ  
დასცდენია — დავიდალოე. ხანდახან  
მობრუნდებოდა, ან იოთამზე ჩამომიგ-  
დებდა სიტყვას ან საბაზე ან გედნონ  
ომანაშვილზე. ეტყობა ფიქრში რაღა-  
ცას აზუსტებდა, აკონკრეტებდა. ისევ  
იქ იყო, იმ შთაბეჭდილებით იყო დან-  
თქმული.

როგორც კი ჩვენი სოფლის სანახებს  
მოვადექით, გამოვცოცხლდი, თითქოს  
ენერჯის გადამალული მარაგი აღმო-  
მჩნდა, გავმხნევედი და ნაბიჯსაც მო-  
ვეუმატე. სოფელში ჩვეულებრივი, სა-  
ტრანსპორტო შარა-გზით არ შევსულ-  
ვართ, მარცხნიდან მოკუარეთ, ტყეში  
აღმართ-აღმართ ვიარეთ და სამხრობი-  
სას, ტყიდან გამოსულებმა, ქვევით  
ჩვენი სოფლის ეკლესია დავინახეთ. აქ  
იყო ანანოს საფლავი.

მე და ლუკა ცოტა უცნაური სურა-  
თის მოწმენი გავხდით. სასაფლაოს მა-

ლიდან რომ გადმოვხედეთ, ვიღაცის  
საფლავთან მდგარი მამაკაცი შევნიშნეთ.  
მერმე, არ ვიცი, შეგვნიშნა თუ რა  
მოხდა, ქუდი დაიხურა და სწრაფად გა-  
შორდა იქაურობას, გალავნის კართან  
ცხენს მოახტა და თავქვე დაეშვა. ანა-  
ნოს საფლავთან მისულნი, მივხვდით,  
ის უცნობი კაცი სწორედ აქ იდგა და  
თავდახრილი ანანოს საფლავს დასცქე-  
როდა. ვინ იყო? ვითომ ფილო კვალი-  
აშვილი? არა, კვალიაშვილს უსათუოდ  
ვიცნობდი, კვალიაშვილი ასე ახალგაზ-  
რდად არ გამოიყურებოდა და არც ასე-  
თი გრუზა თმა ჰქონდა. მაინც ვინ უნ-  
და ყოფილიყო-მეთქი, — ვფიქრობდი  
და ანანოს საფლავს დავყურებდი.

ეს ფიქრი, როგორც ზედმეტი ტვირთი,  
ზედმეტი საზრუნავი, სწრაფად მოვიშო-  
რე და მერმე თითქმის მთელი ცხოვრება  
ვცდილობდი არასოდეს გამხსენებოდა,  
არ ვახსენებდის ეს ცდა კი თავისთავად  
გულში ათას ეჭვს აღმიძრავდა ხოლმე.

სასაფლაოზე კარგა ხანს დაეყავით,  
მეგონა, ანანოს საფლავი მოუვლელი  
იქნებოდა, მაგრამ კარგად მოვლილი და  
გასუფთავებული დამხვდა, ხელი არ  
გამინძრევია. ეს ჯერ კიდევ დედაჩემის  
საფლავთან ვიგრძენი, უცნაური მიზი-  
დულობის ძალა აქვს მახლობელი ადა-  
მიანის საფლავს, მიხვალ და ვეღარ  
ეშვები, ვეღარ შორდები, გინდა მოუ-  
არო, იქ იტრიალო, რაღაც მიუმატო  
ანდა ჩვეულებრივად იდგე და ქვეს  
დასცქეროდე. ათასი წვრილმანი გავი-  
ხსენე, ყველაფერი ვუამბე ლუკას, თი-  
თქოს ვცდილობდი დამემტკიცებინა,  
რომ ანანო სულ სხვა ქალი იყო —  
გულთმისანი. შინაგან, ჩემ, გამოუთქ-  
მელ კმაყოფილებას ვგრძნობდი. ახლა-  
და მივხვდი, თბილისიდან აქეთ რომ  
გამოვეშურე და არა ზევსურეთში ან  
ქართლში, სწორედ ეს მინდოდა, აქ  
ყოფნა მინდოდა, ქვეცნობიერად ამას  
მოვესწრაფვოდი. როგორც ჩანს, ამის  
გამო ვჩქარობდი და აღარც ნისლაურა-  
ში დაერჩი ლამის სათევად.

საფლავთან ცოტა წაიხეხმეთ და მე-  
რმე ლუკა მივიყვანე მუხასთან, საიდა-

ნაც კარიაულე-ის გალაენიანი სახლი დაეინახე. მუხის ძირას დაესხედით, წაფთვლინეთ კიდეც. მერმე ისევ ავიკიდეთ ჩვენი გულა-ნაბადი და სოფლისაკენ დაეუყვიეთ დაღმართს. უკვე საღამოვდებოდა. გზაზე თითქმის არავინ შეგვხვდებოდა, ეტყობა, ხალხი საკოლმეურნეო ზვრებიდან და მინდვრებიდან ჯერ არ დაბრუნებულიყო. სოფელში უფრო ღრმად რომ შევედით, ვილაკეები კანტი-კუნტად შეგვხვდნენ. ზოგიერთი მათგანი ვიცანი კიდეც, ოღონდ რმათ ვერ მიცნეს, ვერც მიცნობდნენ, ასეთი არასოდეს ვუნახივარ, წვერმოშვებული, მზით გარუჯული, მტვრიანი, ზურგჩანთამოკიდებული...

ჩვენი ორღობისაკენ გავუხვიეთ და გულმა ბაგა-ბუგი დამიწყა, მეგონა, არ ავლელდებოდი და მაინც ავლელი, რალაცნაირად მოვიტენთე, მოვდუნდი და მუხლებში ძალა გამომელია, თავისთავად შეკეცებოდა, სხეულისა და ზურგჩანთის სიმძიმეს ვეღარ უძლებდა.

— ეს არის თქვენი სახლი. — დარწმუნებით მითხრა ლუკამ.

— როგორ მიხვდი? — გამეცინა.

— თერთმეტი თუთის ხე დავთვალე.

მეც დავთვალე, არც მეტი, არც ნაკლები, კვლავ თერთმეტი იყო. ხეებშორის ქურდულად გავაპარე მზერა, სახლს შევხედე. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, ოთხივე კარიაული აივანზე საეაბშმოლ ისხდებოდნენ. არც აივანზე, არც ეზოში, არსად კაციშვილი არ ჰქაჭანებდა და ამან უფრო დამწყვიტა გული. ვერ შევჩერდი, უცხოსავით ჩავუარე ჩვენს სახლს, ჩვენს კარმიდამოს, მხოლოდ გარედან შევთავალიერე, თითქოს სხვისი იყო, თითქოს აქ ჩვენიანს არავის უცხოვრია, არც ანანოს, არც მე... თითქოს... თითქოს... თითქოს.

— ეს სოფლის მადონა ვინ არის?

— მოულოდნელად მკითხა ლუკამ.

თავი ავიღე და წინ, ოღნავ მარჯვნივ, მტვრიანი ღობის ვადაღმა ზიზის მოკვარი თვალი. ეზოში, თავისი სახლის წინ იდგა და ხელში ჩვილი ბავშვი ეკავა. უცებ შევცბი და შევჩერდი.

უკან ხომ არ გავბრუნდე-მეთქი, წამით გავიფიქრე, არ მინდოდა. უხერხულად ეგრძნო თავი, მაგრამ ზიზი უკვე მოგვჩერებოდა და უეცარი გაბრუნება საეპვო გაქცევაზე ჩაგვეთვლებოდა. ისიც ვიფიქრე, — იქნებ სჯობია უხმოდ ჩავუაროთ, მაინც ვერ მიცნობს-მეთქი, ასეც მოხდა, ვერ მიცნო... გულგრილად ჩავლა ვერ მოვხებრბე, მოვბრუნდი, ღობეს მივადექი.

— გამარჯობა, ზიზი!

ეტყობა, ხმით მიცნო, რალაც წამის მეთელით გაირინდა. მერმე ვითომ უცებ შეკრთა და არაბუნებრივი ხმით მკითხა, — რომელი ხარო?

— ოზო ვარ, ზიზი. — ვუპასუხე, თან ეინანე რომ შევჩერდი.

— ოზო! — ღობესთან მოვიდა და გამიღიმა. — წარმოგიდგენია, ვერ ვიცანი, წვერი მოგიშვია, გამოცკელიხარ.

— შენ კი ისეთივე ხარ, როგორიც თბილისში გნახე... როგორა ხარ, ზიზი?

— კარგად, შენ?

— მეც კარგადა ვარ.

— აქ საიდან გაჩნდი?

— რა ვიცი, დავებეტებით, ემოგზაურობთ... ეს ლუკაა. ჩემი მეგობარი.

ლუკა და ზიზი ერთმანეთს მიესალმნენ.

— შენი შვილია?

— კი, ბიჭია.

— ოჰ!.. გილოცავ!

— გმადლობ, ოზო.

— სად დაიკარგე? ისე წაბვდი, მისამართიც კი არ დატოვე.

— ასე იყო საჭირო.

— გაიგე, ქალბატონი მარიამი რომ დაიღუპა?

— მართლა?.. საწყალი.

ეს სიტყვები ისე გულგრილად, გულსგარეთ თქვა, რომ ღობესთან დგომა და ზიზისთან საუბარი უკვე აღარ შემეძლო. რა თქმა უნდა, მარტო ამ სიტყვების გამო არ დამიბირებია გამობრუნება, ჩვეულებრივად მივხვდი: აქ არაფერი შესაქმნებოდა და ამიტომ მალე უნდა გავცლოდი იქაურობას.

— აბა, კარგად იყავი, წავედით. ეჩქაროთ, თორემ გზაში დაგვალაძდება... ნახვამდის, ზიზი.

ზიზიმ, როგორც კი დაატყო, მივედით, თითქოს აღელდა, დაიბნა, ლობეთთან ახლოს მოვიდა და სწაპასტუბით მომაყარა:

— წელს ვერა, გაისად კი უსათუოდ დაგბრუნდები თბილისში, გაზაფხულზე ჩამოვალ. ახლა უკვე ნამდვილად ჩავაბარებ, ისე კი არა, როგორც შარშან და შარშანწინ... უსათუოდ, უსათუოდ ჩავაბარებ... ბავშვი? ბავშვი უკვე დიდი იქნება, დედა დაიტოვებს.

უცნაური ის იყო, რომ მე ისევ მჭეროდა ზიზისი, დარწმუნებული ვიყავი, ჩამოვიდოდა და ჩააბარებდა.

მე და ლუკა დავემშვიდობეთ, გზა განვაგრძეთ და ვიდრე გავერკვეოდი, თუ რა მოხდა, ასე გულგრილად რატომ შემხვდა ზიზი, მარო მასწავლებლის ხმა გავიგონე:

— ზიზი ვინ იყვნენ ეგ ბიჭები?

— თბილისელები არიან, ნაცნობები.

— თითქოს აგდებულად უპასუხა ზიზიმ.

— რა უნდოდათ?

— არაფერი. კლდე-ღრეში დაგხეტებიან, ვითომ ჩვენც ტურისტები ვართო.

— რატომ არ შემოიბატოე? სირცხვილია, რას იტყვიან?

— ეჩქარებოდათ.

სულ არ მწყენია, ზიზი ასე უცნაურად რომ შემხვდა და შინ არ შეგვიბატოე, მაგრამ გული დამწყდა, არა, არა, კი დამწყდა, რატომ დავმალე, ყრუ, მძიმე, აუტანელი ტკივილით მეტყინა... სოფელს რომ გავცდით და მეგონა, ყველაფერმა გამიარა-მეთქი, გულის სიღრმეში, შიგნით, ძალიან ღრმად პაწაწინა ნაღმივით რაღაც ამიფეთქდა და ახლა ტკივილი მთელ სხეულს მოედო, მთელი სხეული და გონება მოიცვა. რაღაც დიდი და განუმეორებელი გასრულდა.

P. S. იმავე ზამთარს, ორმოცდაათი წლის დეკემბერში ფულის რეფორმა მოხდა. ვერ ვიტყვი, თითქოს ეს ამბავი სრულიად მოულოდნელი იყო და ხალხმა არაფერი იცოდა. პირიქით, რეფორმას წინ უსწრებდა ათასი ჯორი, მითქმა-მოთქმა, მოსაზრება, ვარაუდი. ზოგი იმედით ელოდებოდა ფულის გამოცვლას; ზოგს თავზარი ჰქონდა დაცემული და არ იცოდა, რა მოეხერხებინა ფულით დატენილი ჩემოდნებისათვის.

ჩვენც გვაწუხებდა ეს პრობლემა. გაყიდულ სახლში აღებული ფული ოხრად გვრჩებოდა. რეფორმის ამბავმა ხალხში მაინც გვიან გამოჟონა და, ძალიანაც რომ მოგვენდომებინა, იმ ფულს ასე უცებ ვერ დავხარჯავდით, თავზე არ გადაგვდიოდა, მაგრამ რაც გქონდა, ჩვენთვის ბევრზე ბევრი იყო, ისე რომ სახლიც დაეკარგეთ და ფულიც გავიუქმდა.

უცნაური რამ დამემართა, ჩემთვის მოულოდნელად ვივარდები, რომ ფულის გაუქმება გამიხარდა, თითქოს გულში ვზეიმობდი კიდევ და ეს ზეიმი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მორალურ შერისიძებას ჰგავდა იმის გამო, რომ ანანოს სახლი გაიყიდა.

მამაჩემი კი მართლა შემეცოდა, ჯერ ბღღვინავდა, კედლებს აწყდებოდა, მერმე მოიწყინა, ხმას აღარ იღებდა, ისევ დაფიქრებული და გულჩათხრობილი გახდა, მერმე გამომიცხადა — ის სახლი უნდა დავიბრუნო. როგორ-მეთქი, — ვკითხე. სოფელში მივედივარ სამუშაოდ, იქ ვიცხოვრებ და მერმე მე ვიციო. ზამთრის მიწურულს მართლა წავიდა სოფელში მტს-ის დირექტორად დანიშნეს და იწერებოდა, — საქმე და გასაკეთებელი ბევრია, მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვარ, აქეთ რომ გადავწყვიტე წამოსვლაო.

სამი თვის შემდეგ შევიტყე: დაქორწინებულა, კარიალის ერთ-ერთი ქალიშვილი მოუყვანია ცოლად.

## დავით კვიციანი

### ახალი წელი მოდის, ბიჭებო!

ახალი წელი მოდის, ბიჭებო.  
ჩვილას სულივით სუფთა ფანტელით,  
ახალი წელი მოდის, ბიჭებო,  
და ალბათ მიტომ მომენატრენით.

ახალი წელი მოდის, კარგებო,  
და გრძელი ღამის ეჭვი მამძიმებს,  
ხომ არ გათავდით, არ ჩაიკარგეთ, —  
თბილის ქალაქის ფართო გამზირზე.

აზრთა ჯახანში, რქენა — რქენაში,  
ხომ არ შემოკრთით, ხომ არ  
დაცხრენით...

და სინდისის და ხალხის წინაშე  
და ღვთის წინაშე ხომ ხართ კაცები.

კაი ბიჭებად, კაი კაცებად,  
წალმა-უკულმა სოფლის ბრუნვაში,  
რომ დარჩეთ, ამას უნდა ვაძლება,  
თავზე ქუდი და შავი უღვაში...

უნდა ვაგეტყუთ მზერა ღიხს იქით,  
სად ბინდში ელავს ჯვარი გელათის...  
ბებერ თეთრ ხილზე დაფრენენ  
ფიქრნი,  
ლამაზ-ლამაზნი, ფერად-ფერადნი.

წამი თუ წუთი, დღენი თუ თვენი,  
სიზმარი, ცხადი, დუმილი, ფიქრი,  
უძველეს მიწის ზღაპარი მითი, —  
იკმარებს კია კირისქვად რწმენის,  
რომ ნიჭით, გარჯით, ნამუსით, თმენით,  
ზიდო პოეტის ამაყი ტვირთი...

დარჩეთ ნაღებად, კაცურ კაცებად,  
წალმა-უკულმა სოფლის ბრუნვაში —  
ამას, ბიჭებო, უნდა ვაძლება,  
თავზე ქუდი და შავი უღვაში...

ახალი წელი მოდის, ბიჭებო,  
ჩვილის სულივით სუფთა ფანტელით,  
ახალი წელი მოდის, ბიჭებო,  
და ალბათ მიტომ მომენატრენით...

### ხელ ფოთლებს საით მირეკავს ქარი...

ქუჩა შენსავით ვილაცას ნატრობს,  
ვილაცას ეძებს ძილგაუმკრთალი.  
ქუჩა რომ დარდობს, შენც იმას  
დარდობ,,  
ხელ ფოთლებს საით მირეკავს ქარი!  
მე შეგობარზე აღარას ვამბობ,  
იქნებ ნაცნობასც ვერ მოჰკრა თვალი...

ეს გაძარცული ზეებიც გაკრთობს,  
ბალის კიდედან მაიჭერალს კრძალვით.  
და შენს საკუთარ ტყვიელთან მარტო  
ფიქრჩაუმიცხრალო, უწინაუმიცხრალო  
ეძებ,  
ძმაცაცზე აღარას ვამბობ,  
იქნებ ნაცნობასც ვერ მოჰკრა თვალი...

ბებერ ბულვარს თუ სიბერე ათბობს  
და ლამის თევა — ნათელი მთვარის.  
შენ სათქმელს რატომ ვერაფერს ანდობ!  
მოსაწყენია ეს ქუჩაც წყნარი...  
მე ახლობელზე აღიარას ვამბობ,  
იქნებ ნაცნობსაც ვერ მოპკრა თვალი...

გიზგიზებს დარდი, სადარდელს  
დარდობს  
და არ გასვენებს სევდა ფარული.  
თუ ღიმილს ეძებ სანდოს და სათნოს,

• • •

ვინ გამიმეტა, ან ვინ მიბრძანა,  
ან ვის წამოცდა ის სიტყვა კრული.  
ვინ გამიბედა ან ვინ მიკრძალავს,  
რომ კვლავ ვახსენო მე სიყვარული.

რად გეჩვენება მთლად ჩანაცრული  
სევდა ლამაზი, თბილი და ფრთხილი,  
ან ეს კამათი ყმაწვილკაცური,  
ვით ეკადრება უწმინდეს ტკივილს.

ვით ეკადრება უნაზეს ცისფერს, —  
ლამეს მთვარიანს, ლამეს უმთვაროს

ის შენს გულშია გადამალული,  
საყვარელ ქალზე აღიარას ვამბობ.  
სად დაიკარგა თვით სიყვარული...

ქუჩა შენსავით ვილაყვას ნატრობს,  
ვილაყვას ეძებს ძილგაუმკრთალი.  
ქუჩა რომ დარდობს, შენც იმას  
დარდობს;  
ხმელ ფოთლებს საით მირეკავს ქარი.  
ხმელ ფოთლებს საით მირეკავს ქარი!..

კვდომა... მაგრამ შენ სულაც არ მისმენ,  
ცერცვს ვაყრი კედელს  
ტყუილებრალოდ.

მე კი... მე ისევ სურნელი იის,  
მეხლება, როგორც რული ძილმღვიძარს.  
შენ მას ეძახი სიბერის ჩივილს,  
მე... აუხდენელ შორეულ სიზმარს.

ლამე, წლის ლამე, ცდაუქმარული,  
ლამაზი სევდა ბოლოს და ბოლოს...  
ასეთი მახსოვს მე სიყვარული  
და შევახსენე ძვირფასო მხოლოდ.

### სიტყვა ქუთაისს!

თითქოს გასრულდა გრძელი სიცოცხლე  
და შემომიჩნდა ფიჭვი ბებრული.  
მე ზომ, ძვირფასო, ჩემი სისზღობრით  
შენს ცხელ ლაღარს ვარ მიფიცხებული.

შენს თბილ კალთას ვარ შეფარებული  
და მაფხიზლებენ შენი ქარები.  
ვარ იმ ძელქვებზე შეყვარებული,  
წმინდა გიორგიზე რომ შრიალებენ.

ვარ შეწისქვილე  
და მინდის კვერი  
ჩემი მამრალი მარჯვენით ცხვება.

შენ მოვე სტრიქონს მაღლი და ფერი,  
შენვე წაპკვარე ცეცხლი და ვნება.

და იქნებ ვგავარ თოფს უკვე დაცლილს,  
დაფლეთილ დროშის ერთ ფიორ ნახევს.  
ბულვარშიც ხომ დგას ბებური ცაცხვი,  
ჩამთმზმარ ტოტებს ძლივსღა რომ  
არხევს.

გზა სატაბტოსკენ .მოგქერ ოდესღაც  
ჩემო ხატო და ჩემო საუფლოვ.  
ვარ ბედნიერი მაშინ, როდესაც  
შენგან ბოძებულ სიტყვით ვსაუბრობ.



შენ ხარ გელათი... ვასაკვირველი,  
არმიწიერი შენ ხარ ტაძარი,

შენ ხარ პოეტი — ლოცვა პირველი,  
ლექსი პირველი — ლურჯი ზღაპარი.

ამ მზისყურეში, ამ თეთრ ბურანში,  
იმ შორეული ლოცვა-ვედრებით,

ხარ გალურსული, შუა ბულვარში,  
დააბიჯებენ ლექსის ლმერულში...

გებრძვი და გიცავ,  
გებრძვი და გიცავ,  
სულში მთვარეა, არც წვიმს და არც  
სცრის.  
და გვედრი, გვედრი ორ გოჯა მიწას,  
ბულვარშიც ხომ დგას ბებერი ცაცხვი...

## სასაფლაოზე...

თითქოს გუშინწინ... ნაბიჯით ნელი  
ბალის კიდზე შემომხვდა დილით.  
ძველმოდურ ქუდზე იტაცა ხელი,  
სალამი მითხრა მზესავით თბილი.

და აგერ... ღმერთო, სამარის ქვიდან  
შემომეფეთა თავის ქალარით.  
სასაფლაოდან გავიქევი მინდა,  
მე დაბნეული და გულჩამკვდარი.

ასე ლაჩრულად გაქცევა, გაცლა? —  
ფიქრმა გააკვესა, გამკრა ძალუმად.  
განგებამ იცის, ვინცა ვარ, რაც ვარ,  
მაგრამ ასე რამ დამაძაბუნა!

რამ ჩამიყენა მუხლებში ქარი  
შიშის, სიმხდლის და მღუმარების.  
საით გაერბივარ, საით ვიჩქარი,  
სად გაექცევი ამ მწუხარებას!

სალამი ძმანო, აჩრდილნო კაცთა,  
დუმბილი თქვენი მზარავს ღვთიური.  
მირჩიეთ რა სჯობს, გაცლა თუ დაცდა  
და მოსვენება მარადიული...

... თუმც ლოდად მაწევს ეს შთაგონება,  
რაც თქვა მუხრანმა... მეც იმას ვიტყვი:  
„წვალბა კია კაცის ცხოვრება,  
ცოტათი მაინც სჯობია სიკვდილს“.

## თეთრი ხიდი

ჩემო თეთრო ხილო, ვინ შეგღება მუქად,  
იქნებ მბრძანებელმა, იქნებ ღმერთმა ფერთა?!  
ჩემო თეთრო ხილო, ჩემო ძველო ქუჩავ,  
უნდა ქათქათებდე თეთრად, მხოლოდ თეთრად.

ჩემო თეთრო ხილო, შენს დაბზარულ მკერდზე,  
როცა მივბიჯებ, მესმის, როგორ ხენეში.  
იმ ნატურფალს ვეძებ, იმ შერცხლის ფრთებს ვეძებ,  
მე რომ მოგაბარე ჩემს სიჭაბუკეში.

მე რომ მოგაბარე ჩემი თბილი სევდა,  
ჩემი თბილი ფიქრი, ჩემი ცრემლი ცხარე,  
შენს დაბზარულ მკერდზე თუ აღბეჭდე ნეტავ,  
ძელქვის შტოზე ღამით გარჩენილი მთვარე.

იმ მთვარეზე ჩემი მოცახცახე ბედი,  
 მკრთალი, როგორც მთვარე. წმინდა მთვარე როგორც,  
 სიყვარულზე მეტი,  
 სიკოცხლეზე მეტი,  
 ის პირველი ელდა, ის პატარა გოგო..

ჰე, ჰალარა კაცო, დრო გასულა დიდი,  
 დაგიძიძიდა ფიქრი, დაგიძიძიდა მხრები,  
 აგერ ძველი ქუჩა, აგერ თეთრი ხიდი,  
 ხიდქვეშ ჩქერებივით ჩამსხვრეულან წლები.

შენ კი ისევ იბრძვი, შენ კი ისევ ომობ,  
 შენ კი ისევ წვალობ, შენ კი ისევ ბორგავ,  
 ჩაცხრი, თბილი სევდა გაგიღვება ბოლოს,  
 ასე აწერია წუთისოფლის ბორბალს.

ჩემო თეთრო ხილო, დროა ყოვლის ღმერთი,  
 დროა მბრძანებელი, მეფე ყოველ ფერთა.  
 ჩემო თეთრო ხილო, ჩემთვის მხოლოდ ჩემთვის  
 იქათქათე თეთრად,  
 იქათქათე თეთრად!



გივი ქნალაძე

სამშვიდოვო — ყველას! — ყველგან!

შენ ხარ მოვალე, —  
ღიახ, შენ ხარ, შენ ხარ მოვალე,  
შენ გეუბნები,  
შენ ხარ, ღიახ, შენ ხარ მოვალე,  
სად იყურები, —  
შენ ხარ, შენ ხარ, შენ ხარ მოვალე, —  
აკეთო საქმე, — შენი საქმე, —  
სხვა ვერ გიშველის!...  
სხვა ვერ დაიცავს  
შენს სიცოცხლეს და შენს მომავალს,  
ყველა თავისთავს დაიცავს და თავის მომავალს,  
შენ უნდა შენს თავს მოუარო და შენს მომავალს, —  
ვინც ხარ —  
ქალი ხარ,  
კაცი ხარ თუ ყრმა პირშიშველი!...

— ყანას უჭირსო! —  
გლეხი კაცის ძველი თქმა არი  
— უჭირსო კაცსო! —  
გულმოწყალე კაცის თქმა არი  
— ოჯახს უჭირსო! —  
შეწუხებულ კაცის თქმა არი, —  
კაცობრიობა ამ კეთილ ფიქრს გადავაჩვიოთ?!  
პლანეტას უჭირს! —  
და ეს არის ახლა მთავარი,  
უჭირველს უჭირს! —  
და ეს არის ახლა მთავარი,  
დღეს ყველას უჭირს! —  
და ეს არის ახლა მთავარი!..  
— გადავარჩინოთ! დედამიწა გადავარჩინოთ!  
...სხვისი იმედი ნუ გექნება, — შენ ხარ მოვალე!  
ღიახ, — შენ, შენ ხარ, შენ ხარ, შენ ხარ, შენ ხარ მოვალე!...



## სიხალა

ყოველ დღეს მოაქვს რაღაც ახალი,  
 ხეალის დღეს მოაქვს ზეიმი მზეთა,  
 ლივლივებს მზეში რწმენა მაღალი  
 საქართველოს ასულთა, ძეთა!...  
 მოდის მწიფობა სიტყვათა, აზრთა,  
 მოდის გუგუნით დღეთა მსვლელობა,  
 ჩვენ ვიტყვით სიტყვას —  
 ნაღდსა და მართალს,  
 ვით ეკადრება ჩვენს ქართველობას!

## პიზნი

ცხოვრებაში სასწაული  
 სხვა რა უნდა შენახა:  
 სიყვარული დამიბრუნდა,  
 დავიბადე ხელახლა;  
 დიდ სიხარულს არ სცოდნია  
 საიდუმლოს შენახვა,  
 მზის ნათელიც შენა ხარ და  
 მთვარის შუქიც შენა ხარ;  
 სიკვდილს რაღაც ეშლებოდა,  
 რაღმე შემომელახა,

ადრე მოსვლა დააბირა,  
 რა ბებერი მე მნახა.  
 ბიჭი ვარ და ქული მხურავს, —  
 ისხა ჩემმა ვენახმა,  
 ისლა დამჩა — აფერინდე და  
 ზეცას თავი შეეახლა;  
 სანამ გამიდარდებოდა —  
 ჩემი ცოდვით ხე ვახმა...  
 დამიბრუნდა სიყვარული,  
 დავიბადე ხელახლა!...

## დადის საფლავზე პირველად ამოსული ბალახის პასუხი ჩემს პირველ კითხვაზე — ანუ პირველი სტრიქონები დადის ხსოვნას

— ბალახო, მითხარ, დედას გაფიცებ,  
 ბალახო, მითხარ, ძმობას გაფიცებ,  
 ჩემო დაიკო, ქორფა ბალახო,  
 შენი ჭირიმე, ქორფა ბალახო,  
 გემუდარები, მითხარ ბალახო,  
 გემუდარები, მითხარ ბალახო,  
 რა დაგაბარა,  
 რა დაგაბარა  
 ჩემმა საწყალმა დედამ!...  
 ...ოდნავ შეიძრა ქორფა ბალახი,  
 უხმოდ შეიჩხა ქორფა ბალახი,  
 და... დილის მზეზე მბრწყინავი ცვარი,

სულ ერთი ციციქნა ციური ცვარი,  
 ცრემლივით დასცდა,  
 ცრემლივით დასცდა,  
 დედის საფლავზე,  
 დედის საფლავზე  
 საგაზაფხულოდ ამოსულ ბალახს,  
 მთლად გულუბრყვილოდ ამოსულ  
 ბალახს,  
 მზეზე პირველად ამოსულ ბალახს  
 პასუხად  
 დასცდა  
 ცრემლი!

## პარაული

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ეგების ცოდვას ჩავდივართ,  
სიკვდილს რომ ვკიცხავთ ძალიან,  
ეგება საიჭიოში  
არც ისე ცუდი ღარია,  
იქაც ღლეა და ღამეა,  
იქაც მზეა და მთვარეა,

შენ არ გჯერა და... ეგება  
იქ მკვდრად არ ითქმის მკვდარია,  
ვინ იცის, იქნებ ჩვენები  
ყველანი კარგად არიან...  
ძნელია ისე ცხოვრება,  
თუ რამე არ გიხარია!...

• • •

რის იმედი მაქვს? — ცის იმედი მაქვს: სივრცე და არე  
ცაშია მეტი... თუ საძრაობა ცაში მეტია, ეცადე  
ბარემ — ცდაშია ბედი.

ზესკენელზე ვფიქრობ — ქვესკნელი მტანჯავს; ქვესკნე-  
ლზე ვფიქრობ-ზესკენელით ვხარობ; მაშინ შეისმენს  
ღმერთი შენს აჯას, თუ ცადასვლისთვის მიწაზე წვალობ...

რის იმედი მაქვს? — ცის იმედი მაქვს: სივრცე და  
არე ცაშია მეტი... ეს გზა თუ მართლა ერთადერთია —  
ეცადე ბარემ, — ცდაშია ბედი!...

• • •

ო, ნუთუ მართლა ასე მიყვარს სახელი შენი:  
ასე მგონია, — ერთი სული გვიდგას ორივეს!...

...თუ განა ვინმეს შეუძლია იხილოს ზღვარი  
მთასა და მინდორს,  
დილასა და განთიადს შორის!...

• • •

ღროთ, ჰე, ღროთ, რა ჩქარა,  
რა ჩქარა,  
რა ჩქარა,  
რა ჩქარა,  
გადიხარ, — ქარი ზომ არ ხარ,  
არა, —

ქარი ხარ აშკარად:  
წუთითაც კი ვერ გენდობი,  
ქალივით იცი ღალატი, —  
შენს სადღეგრძელოს დავლევდი  
შენივე თავის ქალათი!...

მომავლისკენ ვიმზეროდი  
 ლოცვითა და ვედრებით...

მზის ხალისით ვიზრდებოდი,  
 მთვარის სევდით ვბერდები!

### დიდგულოვანი

ბიჭო! — რამხელა გული გაქვს, დათო —  
 დედას ვუტირებთ, ვინც გვეტყვის „ამუ“-ს  
 სიცოცხლეს უფრო ადვილად დავთმობთ,  
 ვიდრე საყვარელ დედულს და მამულს!

აქომამდე სულ ტყუილად ვიტანჯე და ვითავცემე,  
 ყოვლი არსი უფალს ჰრიდებს და პატივი ვით არ ვცე მე...  
 და თუ ვინმეს რამედ უღირს სიჭველე და სიწრფე ჩემი —  
 ნათლად ვხედავ, როგორც აწმყოს, ისე წარსულს, ისე შერმისს, —  
 ვგრძნობ: სულ სხვისი ვფინება საღვთო საქმის ზრუნვით, ქებით,  
 ადრეც ვიყავ, ახლაც ვარ და მომავალშიც სულ ვიქნები!...

### №-ს

თეთრით წერე,  
 ლურჯით წერე,  
 ჭრელით წერე,  
 შავით წერე  
 არაფერი,  
 არაფერი  
 არ გამოვა, დამიჯერე...  
 ნელა წერე,  
 ჩქარა წერე,  
 გადმოწერე,  
 გადაწერე,

კალმით წერე,  
 ფანქრით წერე,  
 დარდით წერე,  
 ფიქრით წერე,  
 კი ბატონო —  
 რითმით წერე,  
 ჯვარედინი რითმით წერე, —  
 არაფერი არ გამოვა,  
 (სულ ტყუილად მიბღვერი!...)  
 უპირველეს ყოვლისა,  
 სული თუ არ გიმღერის!...

## მოთხრობები

### თოფი

შიოლას ძალიან უყვარდა თოფი. ჩვეულებრივი სანადირო თოფი. ეს სიყვარული იმდენად დიდი იყო, რომ შინ ნაყიდი თუ ნაჩუქარი თოფების მთელი არსენალი ჰქონდა. ძვირფასი თოფებით თავს იწონებდა.

მისი უნიკალური არსენალი თანდბთან იზრდებოდა ნაჩუქარი თუ ნაყიდი თოფებით. ბევრ მონადირეს, მარტო იმ მიზნით, რომ მისი იარაღი შიოლას მუზეუმში მოხვედრილიყო, უყოყმანოდ გაუმეტებია მისთვის.

თოფები, თოფები, თოფები! მოვლილი, დაზეთილი და გაპრიალებული თოფები!

ღმერთმა დაგვიფაროს და, რამე რომ მომხდარიყო... მტერი რომ მუხანათურად დაგვცემოდა, შიოლა მთელ რაიონს თვალის დახამხამებაში შეაიარაღებდა, ჰუდზე კაცს გამოიყვანდა. რასაკვირველია, ეს ამბავი შიოლას გულში არ გაუვლია, ამ მიზნით არც შეუგროვებია თოფები.

ყოველი ახალი იარაღის დანახვანზე აღელდებოდა, ღამეს თეთრად ათენებდა. თუმცა ეს იშვიათად ხდებოდა, რადგან უცხო მარკის თოფს, ისეთს, როგორც თავის არსენალში არ გააჩნდა, ათასში ერთხელ თუ ნახავდა. მაგრამ თუკი საღმე წააწყდებოდა, მისი მყუდროება ირღვეოდა.

შიოლა რაიონის აგურის ქარხნის

დირექტორი იყო. ბუღალტრად გამოცდილი მონადირე ჰყავდა. შიოლას ნადირობაში ვერ სჯობნიდა, მაგრამ მაინც სახელგანთქმული იყო. გოლა ერქვა.

იმ წელს დიდი თოვლი მოვიდა. გარეული ტახები შიმშის მეტისმეტად გაებოროტებინა და მთელ რაიონს ეცემოდნენ. აგურის ქარხანასაც კი მიუხტნენ მუხანათურად. მუხანათები კი არ უყვარდა შიოლას. გოლა მონადირეთა კავშირში აფრინა და ლიცენზიები მოატანიდა.

აქოდა, ტყეში ღორი მომრავლდაო და მთელ რაიონს გადაჭმის უქადიანო, მონაკავეირის გამგეობამ სხვა მონადირეებიც მიავლინა ლიცენზიებით. და შეკრბა ერთლულიანი და ორლულიანი თოფებით შეიარაღებულ მონადირეთა მთელი ათეული. ძაღლების ღვეავმა ყურთასმენა წაიღო. რა თქმა უნდა, შიოლაც მოძებნეს, შეუამხანაგდნენ. ძველმა მონადირემ ჭერ მათი თოფები შეათვალიერა ხარბად, მერე დასტური მისცა, ერთად ვინადიროთო.

მუხლამდე თოვლს შეუყვანენ. დამშეულ ტახებს ცეცხლი შეაგებეს. იხარეს მონადირეებმა.

... მაგრამ შიოლას თოფს არც ერთი მათგანის თოფი არ სჯობდა. როცა ცეცხლზე ტახის მწვადი აშიშხინდა და მოშიებულმა მონადირეებმა ჩაიმუხლეს, ყველა შიოლას მიაჩერდა. მის ღღე-

ბულ არსენალზე ჩამოაგდეს სიტყვა, გვსმენია, ვაგვიგონია, შეგვიტყვიან, თუ ლმერთი გწამს, გვითხარი, რამდენი წელიწადია, რაც თოფებს აგროვებ და უკვე რამდენი დაგიგროვდაო. ეს თოფი თუ გაქვსო, ის თოფი თუ გაქვსო, ისეთ იარაღს უსახელებდნენ, რომლის სახელებიც სმენიათ, წაუკითხავთ, გაუგონიათ. ბევრი მათგანი შიოლას არსენალში ინახებოდა.

მონადირეები ესტუმრნენ და საკუთარი თვალით ძხილეს იარაღის მუზეუმი. განცვიფრდნენ, გააკვირდნენ. ერთმა ახალგაზრდა მონადირემ, თავი მოკრძალებულად რომ ევირა და ერთი ტახი ძლივს დააგორა ტყეში, თოფის კონდახზე იქვე სასწრაფოდ ამოაწირა თავისი სახელი და გვარი, იარაღი შიოლას გაუწოდა და უთხრა:

— მესიამოვნება ამ კოლექციაში ჩემი თოფიც რომ იყოსო.

შიოლამ იარაღი გამოართვა, მადლობა კი გადაუხადა, მაგრამ თოფი თვალში არ მოუვიდა, რადგან ასეთ უბრალო თოფებს არ იყარებდა.

მონადირეებმა დახოცილი ტახები წაიღეს და წავიდნენ. შიოლამ კი ნაჩუქარი თოფის კონდახს დახედა, გვარსახელი ამოკითხა: „თეიმურაზ მადლაკელიძე“. ჩაიცინა, რადგან ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა მისთვის.

რამდენიმე დღის შემდეგ შიოლამ თოფი თავის გარე ბიძაშვილს, ავეჯის ფაბრიკის მძღოლს, დათა ძამაშვილს აჩუქა. დათამ დიდი მადლობა გადაუხადა და თოფი შინ წაიღო.

ამის შემდეგ შიოლამ ბევრჯერ ინადირა მარტო, გოლასთან ერთად, სხვა მონადირეებსაც გაჰყოლია... რაიონის ცენტრს რომ მდინარე ჩაუდის, იმ მდინარის კალაპოტში ბევრმა წყალმა ჩაიარა და ერთ დღეს აღმასკომის სესიაზე დაიბარეს შიოლა. დირექტორმა თავისი შოფერი მოიხმო და აღმასკომისაკენ გასწია. ნალვლიანმა ფიქრმა შეიპყრო შიოლა. აღმასკომის თავმჯდომარეს ხსნიდნენ და სწორედ ამას დარდობდა. მისთვის ურიგო კაცი როდი იყო, სანადიროდაც დაჰყვებოდა, საქმეშიც ხელს

აფარებდა. ახლა ვის აირჩევენ, ვინ შეითვისებს შიოლას ისე, როგორც ძველი თავმჯდომარე... ვინ იქნება ის ახალი, ვინ, ვინ? საფეთქლები ლამის დაუსკდა დარღითა და ფიქრით.

ამასობაში მანქანამ მთელი გზა გალია და აღმასკომის შენობასთან გაჩერდა. შიოლა კიბეს აჰყვა. ვესტიბულში უკვე გროვდებოდა ხალხი. იყო ჩურჩულ-კურკური, მითქმა-მოთქმა. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას.

რა მოხდა, რა ამბავიაო, იკითხა ნაცნობების ჯგუფში შიოლამ.

— ახალი მოდის. — უთხრეს მოკლედ.

— ეგ ვიცი. ამას რატომაო... რაო?

— რაო და... ბევრი რამეო... ბიუროკრატობაო, დოკლამპობაო და უქნარობაო... დარჩა რამე?

შიოლამ მხრები აიჩეჩა, ტუჩები გამომბურცა. ცოტა ხნის შემდეგ, როცა სესია დაიწყო, აღმასკომის თავმჯდომარე პირველად დაინახა მხრებჩამოყრილი, ფერდაკარგული... მანამდე მხრებგამართული და ფერადოვანი. როცა ორატორებმა დაუზოგავად გაამართახეს, უფრო მეტად დაპატარავდა და დაჩიავდა. მის შემხედვარე შიოლას გუნება წაუხდა.

ერთი სიტყვით, სესიამ ძველი თავმჯდომარე გაათავისუფლა და ახალი აირჩია.

ახლის გვარ-სახელი ემცნაურა შიოლას, მაგრამ ვიდრე არ ნახა, ვერ გაიზსენა, საიდან და როგორ იჭდა მის გუნებაში ამ კაცის სახელი და გვარი. დაინახა იგი ახალგაზრდა, წარმოსადეგი ვაჟკაცი და უმალვე გაახსენდა ტახებზე ნადირობა. არა, მაშინ ხალისობდა ჰიბუკი, თორემ რა მონადირეც იყო, თოფზე უტყობოდა. ასეთები ბევრი შეხვედრია შიოლას. იხალისებენ და მერე უმალვე თავლება მათი გატაცება. ალბათ თეიმურაზის გატაცებაც მაშინ გათავდა, როცა მან უყოყმანოდ გაუწოდა თოფი განთქმულ მონადირეს. ახლა კი საქმიანად იყურება, თვლებში ცუცხლი უნთია. იქ, ტყეში, მონადირეთა კოცონ-



თან თუ მოკრძალებით იჭდა, აქ, ამდენ ხალხში თამამი და შეუბოვარია.

მისი ნაჩუქარი თოფი შიოლას ხელშია. მის ხელშია, აბა რა! როცა უნდა მამინ გამოართმევს დათას. ახლა მთავარია, დაუახლოვდეს აღმასკომის ახალ თავმჯდომარეს, მოავგონოს მისი საჩუქარი და შესთავაზოს ნადირობა... მწყერების სეზონი ახლოვდება.

და ეს დღეც მალე დაუდგა შიოლას.

თეიმურაზმა რაიონის სხვადასხვა დაწესებულებების თავკაცებთან თათბირი ჩაატარა. თათბირის შემდეგ, ყველანი რომ ხმაურით წამოიშალნენ და ვას-სვლეელ კარს მიაშურეს, შიოლამ პირი თავმჯდომარისკენ იბრუნა.

— მიცანით, არა?

— დიახ, გიცანით, — უყოყმანოდ და მოკვეთილად, ცოტა არ იყოს, ცივად მიუგო მალაკელიძემ.

შიოლა სხვანიარ შეხვედრას მოელოდა. სხვა რომ არა იყოს რა, ერთად უნადირიათ, ერთ კოცონს უსხდნენ, პური ერთად გატეხეს. შიოლა თბილსა და აღფრთოვანებულ შეხვედრას მოელოდა, არაღაც ამდაგვარს: „ო, ამას ვის ვხედავ, შიოლა. როგორ გიკითხოთ, როგორ ბრძანდებით. ხომ კარგად მიდის ქარხნისა და ნადირობის საქმე? თქვენს მუხეუმს ჩემი თოფის გარდა კიდევ რამდენი შემატეთ...“

— დიახ, გიცანით, — თქვა და სახტად დარჩენილ შიოლას მიაჩერდა. ელოდა, რა საქმე ჰქონდა აგურის ქარხნის დირექტორს.

წირწამხდარმა შიოლამ უკან მაინც არ დაიხია.

— ჰო, თქვენ ახლა ნაკლებად მოიცლით ნადირობისთვის, ამხანაგო თეიმურაზ...“

— სწორე გითხრათ, მოვეშვი... დრო აღარ მყოფნის.

— უნდა გამონახოთ... აი, ჩვენ ისე ვიწროვებთ, ვაათკეცებით, ვაასკეცებით, რომ თქვენი შრომა შეგიმსუბუქოთ... ასე კი არ არის, მხარში ამოგიდგებით... — შიოლამ კისერი მოიღერა და ამყად შეხედა თავმჯდომარეს, მერე თავი მდაბლად დახარა, — თოფი თუ არა გაქვთ,

თქვენი ნაჩუქარი იარაღი, რომ ჩემს მუხეუმშია... მომეცით ეს სიტყვა, სწორედ უთუოდ ვინადირებთ ერთად.

— დიახ... შეიძლება, რატომაც არა...“

— შეწრიალდა მალაკელიძე.

— ახლა მწყერების სეზონი ახლოვდება, — მოავგონა შიოლამ.

აღმასკომის თავმჯდომარეს გაეღიმა. შიოლას ეს ღიმილი ესიაშოვნა და უფრო შეუთამამდა.

— გელოდებით. ნახვამის! — ხელი მხურვალედ ჩამოართვა თეიმურაზს და აქაოდ, თავი არ შეგაწყინო, ენერგიული და სწრაფი ნაბიჯით გამოარდა. ქუჩაში ამყად გავიდა, სადაც თავისი მანქანა ელოდა.

ღრმად დაჯერებულმა იმაში, რომ თოფი დათასთან იყო, საღამო ხანს კარგა შებინდებულზე, თავის ბიძაშვილს მიადგა მერზობელ სოფელში.

— დათა, თუ კაცი ხარ, დამიბრუნე ის თოფი, გახსოვს, ამას წინათ რომ გაჩუქე?

დათას ცოლმა დაასწრო:

— თოფს რა უნდა ჩვენს ოჯახში, შიოლა... ბავშვების ხელში თოფს როგორ გავაჭაჭანებთ. ვადაშენდა თოფი და მისი მომგონი. არა გვაქვს თოფი. დათამ ვილაცას აჩუქა. ვის აჩუქე, კაცო?

— ვის და იმას... ჭიჭიკო მაკალათისა, ჩხოროწყუდან...“

— ჩხოროწყუში რა უნდა იმ თოფს, ბიჭო?! — შესძახა თავზარდაცემულმა შიოლამ და ხელი შუბლში იტყიცა. სად ქართლი და სად სამეგრელო, საიდან საღამო!

— თქროს ტყვია ხომ არ იღო შიგ, რა დაგემართა, შიოლა? იმდენი თოფის პატრონს, რამ გაგახსენა ის უბრალო თოფი?!

— იმ უბრალოს ბრალიანი პატრონი ჰყავს, — ამოიღწავლა შიოლამ. თვალწინ საშინელი სურათი დაუდგა. აგერ, ხვალ-ზეგ მწყერები აქვეითირდებიან, აღმასკომის თავმჯდომარეს ნადირობის ფინი მოუვლის (ისიც კაცია და მასაც უნდა ჭამა-სმა, გემრიელი ლუქმა, მწყერის ხორცი თუ პირის ჩაკოკლოზინე-

ბა), ბრძანებს, შიოლას გავუაროთო და რას იზამ მერე? შეპირებულ ნადირობას რომ ჩაუშლი მხოლოდ იმისთვის, რომ მას თავის თოფს არ დაახვედრებ? სხვა თოფს მიაწვდი და თავისი რომ მოიკითხოს? რას შერებე მერე, სად მიდიხარ, შიოლა, რა წყალში ვარდები და რა მღუღარეში იფუფებები. შე უბედურ დღეზე გაჩენილო, მოდი და ასეთ რეგვენს, როგორც ეს დათაა, აჩუქე რამე. ნაჩუქარის გაჩუქება... და უცებ შიოლამ ენაზე იკბინა.

დათას ცოლი უკვე სუფრას შლიდა, აქეთ დათა ეპატიჟა, მაგრამ შიოლამ იმ ვილაც ჰიჭიკო მაკალათიას მისამართი გამოართვა და აფორიაქებულმა იმავე საღამოს ინახულა თავისი ერთგული კაცი, გოლა.

— უნდა მიშველო!

— აბა, ჩემი კისერი და შენი დანა... რა გაქვს შესახვეწი! მიბრძანე და ცხრა მთას გადავივლი!

— სწორედ ცხრა მთა გაქვს გადასავლელი... ჩხოროწყუში უნდა წახვიდე.

— ჩხოროწყუში... — გაიკვირვა გოლამ, სამეგრელოში თავის დღეში რომ არ ყოფილა.

— ჰო, ჩხოროწყუში. უნდა მოძებნო ვინმე ჰიჭიკო მაკალათია. აი მისამართი. ის თოფი უნდა გამოართვა დათა ძამა-შვილმა რომ გაჩუქა-თქო. რაც ვთხოვოს, მიეცი. აბა ფული. არ დაზოგო არაფერი!

— შე კაი კაცი, ამდენი ფული იმ თოფში?!

— ლაპარაკის დრო არაა. დაუყოვნებლივ წადი.

გოლამ გულთან მიიტანა შიოლას წუხილი. საჭირო და აუცილებელი იყო თოფის დაბრუნება.

მეორე დღეს ძღვენით დატვირთული გოლა შიოლას გამოემშვიდობა, დაიბედა და ჩხოროწყუს გზას დაადგა.

შიოლა შინ იყო, თავის თოფების მუზეუმში. დიდებულ არსენალში იჭდა და ის უბრალო თოფი კი ელანდებოდა. «ვინ იცის, გვარ-სახელი წაუშალეს ოხრებმა. ვინ იცის, დავანგეს და ხეირიანად ვერ უპატრონეს. იქნებ უთავ-

ბოლო სროლით ლულა გაუხეთქეს და კონდახი დაუზიანეს!» — ათასი სიტყვა უტრიალებდა იმ დღიდან, გოლა რომ გაისტუმრა. დარდი თანდათან გაფუქდა. იმედიც იზრდებოდა, მაგრამ დარდი ჯაბნინდა. საერთოდ ასეა, ცუდზე უფრო მეტს ფიქრობს კაცი, ვიდრე კარგზე.

რამდენიმე დღე გავიდა. წესითა და სამართლით გოლა უკვე უნდა დაბრუნებულიყო. ბულალტრის შეშინებული ცოლი შიოლას მოადგა.

— სად არის ის კაცი?.. ისეთში სად გაგზავნე?

შიოლა შეფიქრიანდა, მაგრამ არ დაიბნა.

— რა მოხდა შე კაი ქალო, რამ აგაწრიალა? სამსახურია, საქმეა. კაცი მივლინებაში გავუშვი. დირექტორი ვარ, უფლება არა მაქვს? რა იყო, არ ვიმსახუროთ და ქვეყნის საქმე არ ვაკეთოთ?

ქალს გული დაუმშვიდა, შინ იმედიანად გაისტუმრა, მაგრამ თვითონ მას ვილა დაიამბებდა, გულს ვინ გაუკეთებდა? ლულაგახეთქილი და კონდახდაღეწილი თოფი ახლა ნიადაგ ელანდებოდა და ძილშიც ესიზმრებოდა.

გოლა კი ამ დროს გზაში იყო.

დაახ, გზაში.

ჩხოროწყუში ჰიჭიკო მაკალათიას რომ მიადგა, მაკალათიამ დიდის ამბით მიიღო ძღვენით დატვირთული ქართლიდან წამოსული შორეული სტუმარი. გვარიანად გაუმასპინძლდა, ჩვენი დათას მეზობელი ბრძანებულხართო, მაგრამ პირში ჩალაგამოვლებული კი გამოისტუმრა, რადგან ის თოფი რომელიც დათამ აჩუქა, მაკალათიას მალაზონიისათვის უჩუქებია და მალაზონიას ტყვარჩელში წაუღია.

ჩხოროწყუდან ავტობუსში ნაჯანჯლარევა გოლამ ცხაკაიაში ძლივს მიუსწრო ტყვარჩელში მიმავალ მატარებელს. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა შიოლას კომდინის მიღებული ძაფი ის იყო უნდა გამწყდარიყო, ფოსტალიონმა დეპეშა მოართვა.

„პატივცემულო შიოლა თოფს მივაგენი ტყვარჩელის რაიონში ჰქონია ერთს ახლა ტყვარჩელში ვზივარ და ვე-

ლი გამოდარებას ვერტმფრინავს შემპირდნენ ხელს ვართმევ შენი გოლა“.

წვიმს ტყვარჩელში რა უნდა ტყვარჩელში ჩხოროწყუში წასულ გოლას?! როგორ მოხვდა თოფი ამ რაიონში? აირია მონასტერი.

ფიქრის ობობამ ჯადოსნური ქსელები გააბა შიოლას გონებაში. მალიმალ ცას ახედავდა. ეს ოხერი, აქ ღრუბლის ნამცეცი არ არის, ტყვარჩელში რა წარღვნა აუტყდაო.

ტყვარჩელში კი მართლა წვიმდა. ერთ ღღეს გამოიდარა და სასტუმროში რამდენიმე დღით ჩამწყვედელი გოლა ვერტმფრენით იმ სოფელში გადააფრინეს, სადაც თოფი ეგულებოდა. ეს მართლა დიდებული და დაუეიწყარი მგზავრობა იყო და გოლას ბავშვივით უხაროდა. უხაროდა თავისი მარიფათიანობის გამოც. ოცნებამ გაიტაცა. აჰ, დროზე რომ აღმოსჩენოდა კრიმინალისტის ნიჭი, ავურის ქარხნის ბულალტერი კი არ იქნებოდა. რა საქმეებს გახსნიდა, საღ რას არ მიაგნებდა! აჰა, დაკარგულ თოფს საღ მიაკვლია!

ერთი სოფლიდან მეორეში ცხენით წაიყვანეს, მალაღმთიან სოფელში, სადაც ერთი მეტად უსინდისო და ნაძირალა კაცი ცხოვრობდა, რომელსაც ის თოფი ჰქონდა. დიდი ვაჭრობის, ხვეწნამუღარისა და დაეიდარაბის შემდეგ გოლას ისეთ ფასში დაუთმო იარაღი თავისი ტყვიანამლით დატენილი პოლხებით სავსე პატრონტაშით, რომ იმ ფულთი რას არ იყიდდა კაცი.

გოლას ჯიბეში იმდენი ფული დარჩა, რაც გზაში ეყოფოდა. ტყვარჩელიდან თბილისში მიმავალ ავტობუსს გამოჰყვა. მთავარი საავტომობილო გზა რაიონის ცენტრში არ გადიოდა, პატარა ქალაქს ხუთთოდე კილომეტრით უვლიდა.

გოლა ავტობუსიდან გადასახვევთან ჩამოხტა და რაიციენტრისკენ ფეხით გასწია. მოკლე გზა აირჩია ვენახებზე, ყანებზე და ნაკრძალის პირას მიმავალ ბილიკებს. გოლა მხიარულად მიიბიჯებდა, რადგან მშვენიერი დღე თენდებოდა და იმ დღეს დიდი სიხარული ელოდა. ნაკრძალში ჩიტებს ისეთი კონცერ-

ტი გაემართათ, უკეთესს ვერ იხატებდა კაცი. ვინ იცის, ჩუმ-ჩუმად რამდენჯერ უნადირით შიოლას და გოლას ნაკრძალში. რამდენი ძვირფასი ნადირი თუ ფრინველი მიუტანიათ შინ მალულად... გაიხსენა და ჩალთიანი თოფი მოიმარჯვა, ვითომ აფრენილ ხოხობს დაუმიზნა. ბუხ! ბუხ! — თოფის ნაცულად თვითონ დაიბუხუნა და წარმოიდგინა, მოკლული ხოხობი მის ფერხთით როგორ დაეცა. ახლა მეორეზე „ინადირა“ უცებ „მესამემ“ გადაუტკროლა ფრთების ტკაცატკუცით. ო, რა ხმა აქვს ხოხობის ფრთებს! ბუხ! ბუხ. თოფის ნაცულად ბუხუნებს გოლა და ასე ნადირობანას თამაშით მიჰყვებოდა ბილიკს.

\* \* \*

შიოლა დილით ადრე ადგა, მეტად მსუბუქად და მხიარულად გრძობდა თავს. მზეც დიდებულად ამოდოდა და ქვეყანას ოქროს სიხეებით რთავდა. შიოლამ ნაშუადღევამდე ქარხანაში იტრიალა, მერე შინ ისამხრა და ისევ ქარხანაში დაბრუნდა. თანამშრომელმა ქალმა მოახსენა, აღმასკომში გიბარებენ თავმჯდომარესთანო. ეს კი ჩვეულებრივი ამბავი იყო. აღმასკომიდან მოსვენება არ ჰქონდა, ათასი რამ შენდებოდა, ათას ადგლას სჭირდებოდათ ავური.

თავმჯდომარის მისაღებში რომ შევიდა, თათბირს არ უჩანდა პირი.

— შებრძანდით, — უთხრა მდივანმა. და შიოლამაც თამამად შეალო კარი. თეიმურაზის დანახვისთანავე პირზე შეაცივდა ღიმილი. თავმჯდომარე პირქუშად იჯდა.

„რა მოხდა?! — დასცეცხლა შიოლას და მთელი კილომეტრი მოეჩვენა მანძილი კარიდან აღმასკომის თავმჯდომარის საწერ მაგიდამდე.

თავმჯდომარემ ერთხელ კიდეც მწყრალად შემოხედა და შიოლას ჭიანჭველების ბუდე უცებ მიუხგარ-მოუხგარია. ჭიანჭველები სულ ფართიფურთით დაეშენენ თავიდან ფეხებამდე. ჭიანჭველები გაქრნენ და შიოლამ იგრძნო, როგორ გაეთოშა სხეული. თვალთაც დააკლდა.

აღმსკომის თავმჯდომარე გვერდით გადაიხარა, ტელეფონების მაგიდიდან რალაც საგანი გამოიღო და შიოლას გაუწოდა.

— რა არის ეს?

შიოლამ საგანი გამოართვა და მის თვალს უმაღლვე მოშორდა ლიბრი: ხელში ის თოფი ეჭირა ტყვარჩელის მაღალმთიან სოფლიდან რომ ელოდა ასე მოუთმენლად. თვალი უკვე აღარ ღალატობდა. აი წარწერაც.

— არაფერი მესმის! — ჩაიდუღლუნა

შიოლამ, — საიდან მოხვდა ეს თოფი თქვენთან?!

— მილიციიდან... შე უღმერთო, იმდენი თოფის პატრონი, რაღა ამ იარაღით აკლევინებდი შველს?

— ვის, პატივცემულო? ვის მოვაკლევინე შველი?!

— ვის და შენს ბულალტერს... ახლა მასთან ერთად ჩვენც ხომ ვაგებთ პასუხს!

გაოგნებულმა შიოლამ ლულას დახედა და უმაღლვე შეატყო, თოფი იმ დღეს იყო დაცლილი.

## წყურვილი

არსებობს უდიდესი გრძნობა, რომელსაც წყურვილი ჰქვია.

სასაუზმის კუთხეში მყუდრო ადგილას ვიდექი. ყველაფერი ჩემს თვალწინ იყო: ხალხი, დახლი, დახლიდარი, შემოსული თუ გასული. არსად არ მეჩქარებოდა და საუზმეს ნელა შევექცეოდი.

სასაუზმეში ახოვანი კაცი შემოვიდა. ახოვანი, მაგრამ ბეჭებში მოხრილი. მისი გარეგნობა მეცნაურა. დავაკვირდი და ვიცანი. ოდესღაც ერთ სკოლაში ვსწავლობდით. ნამდვილად ის იყო. სახელი და გვარი დღესაც არ მახსენდება. უწინ თვალ-ტანადობით, სიმხნევეთა და გამართული სიარულით შეიმჩნეოდა. სამი წლის წინ თვალთაგან დამეკარგა და სწორე გითხრათ, აღარ გამხსენებია. შეცვლილა. ახლა რაღა იყო იმ ვაჟაკისაგან! ტიპიური ლოთი კაცის იერი დასტუბობდა. მხრები ჩამოცვენილი ჰქონდა, ვახუნებული ძველი პიჯაკი ეცვა. თვალები შემუკებოდა, ლოყებზე სისხლის მოლურჯო-მოწითალო კაპილარებს დაესერათ კანი. საფეთქლებთან ჭლარა მორეოდა.

იგი არავის უყურებდა. მაგიდებს შორის გაიარა გაუბედავი. თითქოს მოკრძალებული, ფრთხილი ნაბიჯებით და დახლთან მივიდა. ჯიბეები მოიქექა და დახლიდარს არაყი დაასხმევინა. იქვე, დახლთან არ გადააქრა. ჭიქა ფრთხილად

აიღო და ისეთი სასოებით წამოიღო მაგილისკენ, თითქოს სანატრელი არსება მოჰყავსო. ნაბიჯს ფრთხილად ადგამდა და ჭიქის ფსკერს სასოებით ჩაჰყურებდა.

ერთ ცარიელ მაგიდასთან მივიდა, ჭიქა დადგა და შეათვალიერა, თითქოს აინტერესებდა ხომ არ ვადმომეღვარაო. ამ დროს სახე დაწყნარებული ჰქონდა და ხელებიც თითქოს აღარ უთრთოდა.

ჯიბეები ერთხელ კიდევ ამოიბრუნა, მარცხენა ხელის გულზე ხურდა ფული გადათვალა და ისევ დახლისკენ წავიდა, თან ცალი თვალი არყით სავესე ჭიქისკენ დარჩა. დახლიდარს რალაც შეუქცეთა, ვერ გავიგონე.

სანამ დახლიდარი ჩალიჩობდა, კაცმა თვალი არ მოაშორა მაგიდაზე მიტოვებულ ჭიქას. დახლიდარმა მას ორი პატარა თეფში მიაწოდა. კაცმა სწრაფად წამოიღო. ცალ თეფშზე ერთი სოსისი იღო, მეორეზე კი — ორი ნაჭერი სიფრიფანა პური.

თეფშები მაგიდაზე დააწყო, ჭიქა ცოტა განზე გასწია. რალაც მეტად თავბრუდამხვევი ნეტარებით მოემზადა სასაუზმოდ. პერანგის საყელო შეისწორა, პიჯაკის ჯერ მარცხენა საყელო აიწია ცოტახე, მეორეც წამოიწია და... უცებ ნიდაყვი ჭიქას წაჰკრა.

ჭიქა ნათალი იყო და მაგიდაზე არ

დაგორებულა. არყის ნაკადი კი უცებ გაიქცა მაგიდის კიდისკენ, წუთიც და იატაკზე გადაიღვრებოდა...

კაცს სახე შეეცვალა. მოლურჯო-მოწითალო კაპილარები მთლიანად გაუქრა და ზაფრანის ფერი დაედო. თვალები მიცვალებულოვით დააჭყიტა და წამით გაქვედა. მერე უცებ მოეგო გონს, ერთი სასოწარკვეთილებით მიმოიხედა სასაუზმეში... მაგრამ ახლა განსჯის დრო აღარ იყო, შეაფურთხა თავმოყვარობის ანგელოზს, ყველაფერზე ხელი ჩაიქნია, ჩაიხარა, მაგიდიდან მოწანწკარე არაყს ხარბად შეუშვირა პირი და თვალები მოხუჭა. არაყი კაცს პირში ჩას-

დიოდა, მაგრამ მალე გამოიღობა. რადგან ცოტა იყო. მაგიდის კედლისთვის მართა არ მოუშორებია, ქვის გლუვ ფილას ხელი მოუსვა და ნარჩენი სითხე ნაპირისკენ გამოსწურა. ამით კიდევ რამდენიმე სანატრელი წვეთი შეუტროვდა.

კაცი წელში გაიშარა. მიმოიხედა. სასაუზმეში სამაჩისებური სიჩუმე იყო. სულგანაბული რამდენიმე კაცი ჩემსავით მღუმარედ მისჩერებოდა.

კაცმა თავი დახარა და მაგიდებს შორის სწრაფად გაიარა. როცა სასაუზმედან გავიდა, მაშინ შევხედე მის მაგიდას, რომელზედაც ხელუხლებლად ილო ერთი სოსისი, ორი ნაჭერი თხლად დაჭრილი პური და წაქცეული კიჭა.

## დათა

როცა დათა მემარნიშვილი პირველ ცოლს ეყრებოდა, ქალი ფეხებში ჩაუვარდა.

— რა დაგიშავე, მითხარი!

— არაფერი.

— თავს გველებოდი, თვალებში შემოგყურებდი...

— ჰო, ეგრე იყო...

— აბა, თუ ცუდი გაგახსენდება რამე...

— არა, არაფერი.

— მაშ რაღა მღუპავ?

— რა ვიცი... გული ვერ დაგიდე!...

სხვას რას უღებდა გულს, რომ ცოლს შეპყრებოდა!

მშვენიერი სახლი ჰქონდათ სოლოლაკში, გამართული ოთხი ოთახი... თავისიანებს არც კი დაეკითხა, ჩუღურეთში სამოთახიან ბინაში გადაცვალა. აქ მერე ცოლი მოიყვანა და რამდენიმე თვის მერე საღლაც გადაიკარგა. როცა დაბრუნდა, ქალი შინ აღარ დახვდა. სხვას გაჰყოლოდა. არც უნადვლია.

მალე ის სამოთახიანი ოროთახიანში დაახურდაცა, ჩუღურეთიდან სვანეთის უბანს მიაშურა საცხოვრებლად. აქ მესამედ დაიწერა ჭვარი.

დათას სარგო ტანსაცმელი მალაზიაში

არ იყიდებოდა. საიდანღაც შეკვეთით მოსდიოდა ორმოცდახუთი ნომერი ფეხსაცმელი. ტანად ორი მეტრი და შვიდი სანტიმეტრი იყო, ზუსტად გაზომილი.

მესამე ცოლის ხელშიც საღლაც გადაიკარგა. კაცმა არ იცოდა, საშოვარზე იყო თუ ქვეყნის დასათვალეობლად. დაბრუნდა. ქალი შინ დახვდა, მაგრამ ცოტა ხანში იმასაც გაეყარა. რათა მღუპავო, იმანაც უთხრა. დათამ ვედრება არ ისმინა და ქალს გულწრფელად გამოუტყდა, გული ვერ დაგიდეო.

მეთხე ცოლი რომ მოიყვანა, ეუფუნა, მაშინ სვანეთის უბნიდან მტკვრის სანაპიროზე ჰქონდა გადაცვლილი ბინა. თავისიანები აქ ერთ ოთახში შენონხლა. თვითონ კი ცოლის ბინაში გადავიდა საბურთალოზე.

რამდენიმე თვის მერე ისევ დაიკარგა დათა. ამოღ ელოდა ეუფუნა თავის ქმარს. ერთი წელიწადი არ გამოჩნდა, მიწამ უყო ზარი თუ ცამ ჩაყლაბა, დუნიანზე მისი მხახველი არავინ იყო. როცა ამო ლოდინის ერთ წელიწადი გავიდა, ეუფუნასთან შეიკრიბნენ დათას ნათესავები, შუა ოთახში დადგეს ტახტი, გადააფარეს ხალჩა, ხალიჩაზე დააწყეს დათას საცვლები, ხალათი, ძველი

დაეკმისილი წინდები, დაანთეს სანთ-  
ლები და პანაშვიდი გადაუხადეს. ეუუუ-  
ნა ზღუტუნებდა, და მოსთქვამდა, ძმა  
დაბოლომილი იღვა. ძმას მეზურნეთა დას-  
ტა მოეყვანა; მედოლე ისეთ დამწვრი-  
სებს გასძახოდა, ეზო ხომ ცრემლად  
დნებოდა და დნებოდა, მწუხარება მთელ  
იმ უბანს ედებოდა.

ეუუუნამ შავები ჩაიცვა.  
ერთ საღამოს, როცა საოჯახო საქმე-  
ებით იყო გართული, თავს დათა წამო-  
ადგა, ჩვეულებრივი, ცოცხალი, ბუნებ-  
რივი დათა შემარნიშვილი.

შეშინებული ქალი კედელს აეკრო,  
ზაფრანის ფერმა გადაჰკრა და ენა ჩაუ-  
ვარდა.

დათა ისე შევიდა შინ, თითქოს ბურის  
ან ძეხვის საყიდლად იყო გასული. ქუ-  
დი მოიხადა, ზანდუქზე მიაგდო და  
ქალს უთხრა:

— კერძი გამიცხელე, მშოა!  
— დათა... თქვი, კაცო, რა დაგემარ-  
თა, სად იყავი? — ძლივს ამოიღო ხმა  
ეუუუნამ.

— ფაიტონი უნდა ვიყიდო... ფულის  
საშოვნელად ვიყავი, აი! — დათამ ფუ-  
ლის მაგვირად დაეკირილი ხელები და-  
ნახა ეუუუნას.

— ფაიტონი?!  
— ჰო, ფაიტონი... იცი რა არის ფაი-  
ტონი? პატარაობიდან სულ ამაზე ვოც-  
ნებობდი...

მერე მადიანად ხერბა წენიანი.  
ერთ კვირა საღამოს შინ არ დაბრუნ-  
და. ეტლს რომ ყიდულობდა, „მალარი-  
ჩი“ დაუღევიათ, ვილაცასთან ჩხუბი  
მოსელია და მილიციამი ამოაყოფინეს  
თავი. მეორე დილას გამოუშვეს. შინ  
უძინარო დაბრუნდა. იგინებოდა, „კუ-  
ტუშკაში“ ისეთი დანჯღრეული „კუ-  
შეტკა“ ედგათ. გვერდები დამამტვრიაო.  
შინ მისვლისთანავე მოქებნა ფიტრები,  
მეზობლებში ჩაქუჩი, ბერხი და ლურს-  
მანი მოიძია და „კუტუშკაში“ წავიდა იმ  
დანჯღრეული „კუშეტკის“ შესაკეთებ-

ლად, რომ ჩემსავე იქ ~~მთხვედრელს~~  
გვერდები არ დაემტვრესო.

ეტლი იყიდა. კოფოზე თავმომწონედ  
გამოიჭიმა. ორი კვირა გატაცებით და-  
ჭროლებდა ქალაქის ქუჩებში. შინ გვიან  
დაბრუნებულს კიშკარს ყოველთვის  
ეუუუნა უღებდა. ერთხელაც, გაულო  
კიშკარი და რას ხედავს. ეტლის ნაცე-  
ლად დათამ ცალცხენიანი ლინეიკა შე-  
მოიყვანა ეზოში ეყენების ელარუნით.

— რა ჰქენი, კაცო? ეტლი რა უყავი?  
— ხმა შეუთრთოლდა ეუუუნას.

— მამწყინდა... გადაეცვალე...  
რამდენიმე დღის მერე დათამ ვილაც  
ხალხი მოიყვანა და ბინა დაათვალიერე-  
ბინა. ისინი რომ წავიდნენ, ეუუუნამ  
ჰკითხა, ვინ იყენენ, ან ჩვენს ბინას რა-  
ზე ათვალიერებდნენო.

— სოლოლაკელები არიან, ბინას ეუ-  
ცვლი... ამ ოროთახიანში სამიანი... ყა-  
ბულსა ხარ?

სოლოლაკში რომ გადავიდნენ, და-  
თამ ლინეიკაც გაყიდა, რადგან ბინაში  
ფული იყო დასამატებელი.

მერე, ის იყო შუა აზიისაყენ დაიჭი-  
რა თვალი, გუნებაში იქით გასაპარად  
მოეშხადა, რომ ერთ ღამეს აკი გაიპარა  
კიდევ ძილში.

უშველებელი კუბო შუა ოთახში იდო.  
სამძიმარზე მოსულნი გარს ვერ უვლი-  
დნენ. ეუუუნა ზღუტუნებდა, და მო-  
სთქვამდა ძმა დაბოლომილი იღვა. ძმას  
მეზურნეთა დასტა მოეყვანა. ისინი აი-  
ვანზე ისხდნენ და მედოლე ისეთ და-  
მწვრისებს გასძახოდა, ეზო ხომ ცრემ-  
ლად დნებოდა და დნებოდა, მწუხარე-  
ბა მთელ იმ უბანს ედებოდა.

როცა დამარხეს, საფლავზე დათას  
სიგრძის მძიმე ლოდი დადეს...

ვინ წარმოიდგენდა, რომ ამ დაუდე-  
გარ კაცს სიკვდილი ხელ-ფეხს შეუჯ-  
რავდა, ან ეს უშველებელი ჰვა დააქა-  
ვებდა...

ის თუ იქიდანაც არ იყოს გაპარუ-  
ლი!.. საფლავს მინც გასცვლიდა!

ლელია გაროშვილი

## მ ა რ ი ა მ ი

მოთხრობა

დილით ყოველთვის აღვიძებდა ცხენის ფეხის ხმა და ორთვალას ბორბლების საშინელი რიტმი, რუების ჩხრიალი. ისევ თენდებოდა. ვათენებას არასოდეს მოუტანია მისთვის სიხარული, მაშინაც, როცა არ იცოდა რა მოელოდა ცხოვრების გზებზე, უკვე რომ მიემართებოდნენ და მიიყოლებდნენ. თვალბგაყინული დილა ყოველთვის გულზე აწვა და ასე გამოჰყვა, დილით იშვიათად იღვიძებს კარგ გუნებაზე...

ძლივს გამოერჩა ლოგინს და ვაწე-ლილ ფიქრებს, ვაუთავებლად რომ გადადიოდნენ საღვაც შორს, საიდანაც დაიწყო ყველაფერი. საოცარია, მაგრამ იმ „შორს“ და სიშორეს ეკუთვნის ახლაც თხემით ტერფამდე.

სკოლაში წასასვლელად ემზადებოდა. რა წავა, რა წავა და რა დაინახავს ეხლა იმ ჩვენს აძალღებულ დირექტორსო. ფიქრობდა. გასინჯა ლუმელის ქვეშ მათლაფაზე გადაკრული თავისი საყვარელი ნაქრისფერი ბერეტი. მშრალია თუ არაო, დაიბანა ხელ-პირი, ჩაიცვა ტან-საცმელი, სულ ბოლოს ახალი ფეხსაცმელი გადმოიღო. დილით ძილბურანში რამდენჯერმე გაახსენდა, ახალი ფეხსაცმელი მაქვს ჩასაცმელიო. ჩაიცვა ის ახალი ფეხსაცმელი. დასწყველოს ღმერთმა, ერთი მუქია, მეორე — ღია; ცალ-ცალი ხომ არ არის ნეტავო, —

გაიფიქრა. საბანი ამოუკეცა ლოგინში ჩაპირქვავებულ ბიქს და რძეზე წავიდა დილის ბინდბუნდში. მიდიოდა და მაღლიმალ იყურებოდა ფეხსაცმელებზე, მართლა ცალ-ცალი ხომ არ არისო. რა ვქნა, იმას ხომ სჯობია, რაც შეცვაო, — ინუგეშებდა თავს.

მიდიოდა ნაბიჯგაუპართავი, სიზმრებგამოყოლილი, საზარლად ნაცნობ დილასთან გამობრუნებული. დალის ხასხასა, მაცოცხლებელი პაერი შოლტივით უჭახუნებდა ცხვირ-პირში და უნდოდა ჩამოეკაწრა ის დილის მაცოცხლებელი პაერი, ასე გამეტებით რომ ერეკებოდა, უჭახუნებდა ცხვირ-პირში.

მიუასლოვდა იმათ სახლს, ვისგანაც რძეს ყიდულობდა. დაინახა, მოაჩირზე მდგარ წყლიან ქილას რძე დაამატა გამხდარმა, შავებში ჩაცმულმა ქალმა.

რას შვრები, ქალო, შენ ხომ არა-გრცხვენიაო? — დაუძახა სასოწარკვეთილმა და ტირილი მოუნდა.

რას შვრები, ქალო, შენ ხომ არა-ფერი გელანდება? თუ გინდა, წაიღე, თუ არა და სახვეწი რა მაქვს შენთან, მაინც იფთად გაძღვეო, — იხტიბარი არ გაიტეხა ქალმა.

წამოვიდა უკან, საცოდავად ჩამოფხატვოდა ბერეტი, მოდიოდა არაბუნებრივად ჩქარა, გამწარებული, გამწარებული, კვილი უნდოდა...

მოვიდა სახლში, გაიხადა ის ახალი ფეხსაცმელი და მიყარა. მერე დაჯდა ეგრე ჩაცმულ-დახურული და ხმაძალდა ატირდა ბავშვივით. გამოღვიძებული ბიჭი შეშინებული თვალებით უყურებდა და ისიც ატირდა.

რა ვქენი ეს, რამ გამაჩენინა ეს მამაძალი შვილო, — ჩაიკვა ისევ ძველი ფეხსაცმელები: აიღო ჩანთა, ჩაალაგა რვეულეები, მოჰკიდა ბიჭს ხელი და გადაუყვანა დულოს, მეზობლის ვოგოს, ვისთანაც ბიჭს ტოვებდა, როცა თვითონ სკოლაში მიდიოდა.

მზის ამოსვლამდე ადგება დულო, მალაღობი, წერილი. უმძრახი წყლით თმადამანილი კოლექტივში გააცილებს დედ-მამას. წაევა, ამოზიდავს წყლებს, დაგვის, დააკამყამებს ყველაფერს. აფურის ფილაქანსაც კი ლაპლაპი გაუდის (წითელი აფურის ფილაქანი უვით იატაკის მაგივრად). კედელზე, ხალიჩაზე ცერად გადაუჭიმავს საკუთარი ხელით მოჭარბული თეთრი მიტკალი — „დაროშკა“, — შეუვალობის უმწეო დროშა. სარკეზე დამაგრებულ ახლობლების სურათებსაც მოაცლის მტვერს. მერე დადგება შუა ეზოში და გასძახებს თავის ტოლებს:

სადამდე ხართ, სადამდე! მე ეზოლა დამრჩა, ეზოსაც დავგვი და მორჩაო...

შეუტევს იმ ეზოსაც, წყალს მიასხმოასხამს, დაგვის ყოველ კუთხე-კუნძულს, მერე ძველი გაუქმებული ტაშტით გადაყრის ნაგავს ღობის უკან, ფერდაზე, თავის ადგილზე დააპირქვავენს ტაშტს, მივა პირსაბანთან, ხელპირს საპნით დაიბანს, ფეხსაცმელს გარეთ დატოვებს და წინდიანი ფეხით გადავა გაპრიალებულ ფილაქანზე.

მიუყვანა დულოს ბიჭი, გადაეყრდნო მიწისპირა სახლის მოაჯირს, რალაცეები ელაპარაკა: დაუტოვა ბიჭი და წამოვიდა გულმობრუნებული.

სკოლაში მიდის, ჩაივლის ბორცის წერტის წინ, წერტის გამგე შამილა გააყოლებს უწმინსურ მზერას. სკოლაში საქმეთა მმართველი ცაცო ეტყვის ახლა ერთ-ორ ტკბილ სიტყვას და ეს არის სულ; ნუთუ სულ ეს იყო ყველაფერი,

ფიქრობდა ხშირად. ბოლოს კი მასაც აღარ ფიქრობდა.

„თბილი კაშენი გავყიდე. ეხლა შენს ნაჩუქარ საკაბესაც გავყიდი და მეტი აღარაფერი მაქვს გასაყიდი. უპალტობა მაწუხებს, არ ვიცი, რა მოვუხერხო ამ უპალტობას, თორემ ისე არა მიქირს. გადმოვაბრუნე ჩემი უბედური პალტო, სკოლაში მაინც ჩაივცამ. გუშინ ქოლგა ვიყიდე ჩვენს მაღაზიაში. ბიჭი ძალიან გამამაძალდა, ღორია ნამდვილი, რაც მოხვდება, პირში მიაქვს“...

პატარა დაღმართიან ორღობეს ჩაივლის და სკოლის ცისფრად შეღებულ კარს შეაღებს.

სკოლა რვაწლიანი ბელეტაზე დგას, სკოლის წინ ზამბახების უზარაზარ წრეში ზამბახებისავე მწკრივით ვარსკვლავია ჩაბატული, ერთი ვარსკვლავიანი წრე ერთ მხარეს, მეორე — მეორე მხარეს.

ცოტა ქვემოთ ცაცხვები დგანან: ერთი, ორი, სამი ცაცხვი. შემოდგომით ცაცხვების ქვეშ წვრილი ყავისფერი ნაყოფია გაშლილი. ჩახსდებიან ხოლმე ბავშვები შესვენებაზე და მზესუმზირასავით არჩევენ.

შესვენებაზე სამსაწვავებლოს წინ სულ ჩოჩოლია. სარეცხის დიდი ქვაბით ხის ტაბურეტზე სასმელი წყალი დგას, სარეცხის ქვაბს ონკანი აქვს მიმაგრებული, ქვეშ მრგვალი ტაშტი უდგას იმ ონკანს, ერთადერთი თუნუქის ბასპირიანი ტოლრა ჰყილია ჟანგან ლურისმანზე. ამ ტოლრით უნდა დალიო წყალი და დაჰკილო თავის ადგილზე...

ტასიკოს, დამლაგებელს, ორი კოკით ამოაქვს ხოლმე წყალი. ამოივლის დაკიდულ აღმართს, აღმართის თავში ცოტა ხანს დაისვენებს, მერე წამოვა ცხენივით გვერდზე თავწალბებული, წამოიღებს მძიმე კოკებს, ამოიტანს, ერთს სკოლის კართანაც შეისვენებს და მერე მთელი დღე ყარაულობს, ბევრი არ დალიონ და იატაკი არ მომიწუწუნონ.

ამას წინათ ღირექტორმა აღრიაღებული ვოგო ყურით შემოიყვანა სამასწავლებლოში, ქალაღის ჭიჭით სევამა



წყალს, ის ტოლჩა იქ რისთვის ჰკიდიაო. გოგო სირცხვილისა და უხერხულობისაგან გულამოსკვნით ტიროდა და არც ერთ კითხვაზე პასუხს არ იძლეოდა.

დგას ხოლმე ტასიკო ავიანზე ზედ გულის კოვზთან დახვავებული დიდრონი ხელეებით და შესვენებაზე გამოსულ ბავშვებს უთვალთვალებს. დროადარო საზარლად დასწყვილებს უცვლელი იმ-ტონაციით რომელიმე ონავარს. ვაკვეთილების შემდეგ უჭირავს მინდვრის ცოცხათი გაკეთებული მშვენიერი თაიგული ცოცხის მაგიერ და უსანდომოდ ჰგვის. მერხებში გამხმარ პურის ნატეხებს პოულობს, კალთაში იგროვებს და იწყველება.

სკოლის დიდ კარზე ოროსანი მოსწავლეები — როდის, არავინ იცის, — აწერენ, ამა და ამ მასწავლებლის ასე და ისე... ტასიკო ეანგიანი დანის წვერით ფხეკს იმ წარწერას და ისევ იწყველება.

ეზოში ჭლექიანი ფირო დაბორიანობს თავისი განუყრელი ფოტოაპარატით. ფიროს ფიზიკური მუშაობა არ შეუძლია, დადის ეგრე თითქმის ყოველდღე სკოლაში, შესვენებაზე ბავშვებს სურათებს უღებს და ამით ირჩენს თავს. მშობლები ბრაზობენ, ველარ ამოვედით მაგის ვალიდან, ყოველდღე სურათის გადაღება ვის გაუგონიაო...

ფოტოაპარატმომარჩევებული ფიროს დანახვაზე ვილაციის ნათქვამი და მერე აკვიტებული „ჭლექი გამოფრინდება“ ახსენდება „ჭლექი გამოფრინდება“. ეს რომ გაეგონა ფიროს, ნეტავ კიდევ თუ აიღებდა ხელში ფოტოაპარატსო, — ფიქრობდა რუკასთან მდგარი. თან ვაკვეთილს ხსნიდა, თან ეზოში მობორიანლე „შარვალ-კოსტუმში“ გამოწყობილ ფიროს მოხრილ, ხველებით დაღლილ ბეჭებს არ აცილებდა თვალს, რუკაზე საჩვენებელ ჯოხს მოხერხებულად ატრიალებდა და დროადარო უყვიროდა ბავშვებს — „ზორბალაძე, ზორბალაძე არა ხარ, ბიჭო, შენ?!“...

ტასიკოს სამასწავლებლოში, კარადის უკან, ქაშანურის დიდ ქილაში, სკოლის საცდელ ნაკვეთში მოკრეფილი მკვებე

პამიდურისა და კომბოსტოს მშნილი ჰქონდა ჩადებული.

ამოიღეს ის მშნილი დიდ დასვენებაზე, გახუხეს პური ღუმელზე, გაშალეს ყველაფერი, ვისაც რა ჰქონდა; სამასწავლებლოს გრძელ მაგიდაზე და წაიჭიფეს. კარგი იყო გავუხგუზებული ღუმელი, გახუხული პური და მშნილის სუნით გაქლენთილი ურთიერთობა, კარგ გუნებაზე დადგნენ და სიმღერა წამოიწყეს, — „წაიყვანეს თამარ ქალი“ იმღერეს.

შემოვარდა დირექტორი, მოხვია ხელი ლურჯ სატინის სუფრას და ყველაფერი ფანჯრიდან გადაბერტყა. იციროდა-ამის გახსენებაზე, გზადმიმავალს გაახსენდებოდა ვაცოფებული დირექტორი, ჩაიხრებოდა მუხლებში და იციროდა გულიანად. მუხლებზე ხელედაბჯენილი.

„ამოვედი სკოლიდან, ძლივს ამოვართიე სხეული, მძიმე, ქანცვაცილილი, სახლი ისეთი არეული დამხვდა, აღარ ვეცი, საიდან დაეიწყო დალაგება. მთავარი დაწყებაა, სარეცხი მინდა დაერეცხო, მაგრამ ვერაფრით მოვაბი თავი, ფიქრის მონა ვავხდი. აღარაფერი მიტაცებს ფიქრივით. ჩაყვინთავ ფიქრში, ფიქრში ვადის ცხოვრება. თანდათან ვხედები — არ ვარგა ფიქრი, მჭამელასავით იცის შემოჩენა და ისე გაგათავებს, ვერაფერს გაიგებს...“

წვიმა წამოიწყა, ჯორი როგორ წავიყვანო ამ წვიმაში, წყლები უნდა ამოვზიღო და დაერეცხო სარეცხი (ბიჭი და-ბანანე და სისინავს მშვიდი ძილით). დავაგროვე ორი ტაშტი სარეცხი, — ერთი თეთრების, ერთი — შავების. თვალი ფიქრსაც დაუდგეს, წავალ, წყლებს ამოვზიდავ და დაერეცხავ...

დავადექი წვიმაში გზას. მივდივარ საცალოწამოსხმული. წინ ჯორი მიდის საკოყვებით. ჩემს გაუწყულ თმას მალი-მალ ვიწვე შიგნით (უკვე ჰალარას). ნუთუ ვერა ხედავ, როგორ ვადავეცემით ერთმანეთს ეს ატლახებული გზა, წვიმა, წვიმისაგან გამავებულ-გაჟიებული ორლობეები, თვალის ერთი შევლება ქვეყნიერება და არ ვი-

ცი, როგორ დაიჯერო, რომ უფრო მნიშვნელოვანი რამეებიც ხდება ქვეყანაზე, ვიდრე წვიმაში წყალზე მიმავალი მონატრებიტა და მარტოობით დაღლილი დედაკაცის შურა და ნაბიჯებია... თითები წამეყინა, ისე ცივა, გუშინდელი სარეცხი თოკზე გაიყინა. მთები დავინახე — თოვლით თეთრად ჩამოლესილები, ზამთარი გვიახლოვდება, ჩემს ბოთლ „სალაროში“ სამოცდათხუთმეტი მანეთი მეგულება. ამ ზამთარს ღორი უნდა ვიყიდო. ბავშვს რა ვაჭამო; სხვები რომ დაკლავენ, ეს ცოდო იქნება; გუშინ მალაზიაში საწოლები მიიღეს გავიქეცი, საწოლი ძალიან სჭირდებოდა ბიჭს, ნისიად გამოვიტანე. მეზობლები გვილოცავდნენ, ბიჭიც გახარებული იყო ძალიან, ადრე მოინდომა ძილი. საღამოს დავეჭეი და ჩამოვწერე ვალები. ახალი წელი მოდის. არ მინდა, არ მინდა არაფერი: შევეგუები ყოველნაირ სატყეარს, მაგრამ დღეები, რომლებიც გაძალბენ სიხარულსა და სიხარულის ყიფინას, არ შემიძლია, არ შემიძლია...

ავესებე ახლა კოკებს და როგორ ჩავდგამ საკოკებში, არ ვიცი. მწვანე გალოპრილი ხავსით არის სავსე ზის გრძელი ნაჭი. არ უნდა ხელის მიკარება, დანახვა და შეგრძნება ერთია.

როგორ უბრალოდ იღვრება წყალი ნავიდან. იშვიათად საქონელი თუ დააცხრება. გადმოდის წმინდა, ანკარა წყალი და ალბომს გარშემო ყველაფერს, ბაყაყების ბუდეებით და დუმფარას ბრტყელი ფოთლებით არის დაფარული თავის ნებაზე წასული წყლის გარეშე.

როგორ უბრალოდ იღვრება წყალი. რატომღაც მინდება იმ ნაეში ჩავყო ცხვირ-პირი და იქიდან დავლიო წყალი, სიიდანაც სულ უბრალოდ იღვრება...

აივსო კოკა, გადმოდის წყალი და უსველდება მუცელი. მე ისევ ნავის წყალში მინდა ჩავყო ცხვირ-პირი...

ახალი წელი თანდათან ახლოვდება. მოვა და ზედ ცხვირწინ გადაგიკეცავს ცხოვრების ფურცელს. ფოთლი-

ვით კი არ გადასდებს ან ცრემლს კი არ აგირწყავს, მოვა და ზედ ცხვირწინ გადაგიკეცავს ცხოვრების ფურცელს.

ზამთრის ერთ უჩვეულო ღამეს ჩუმი წყარუნით დაეშვება შენი ფანჯრის წინ, გადაქანდება დედამიწა, გადაყვებიან სახლები, ხეები, სიცივიტ სუნთქვაშეკრული დასალოერი. წამოიშლებიან ნაცნობი სულები. ზამთრის საოცარ ბინდებუნდს გამოჰყვებიან რიგით: ვახე, — მთვრალი. პიჯაკის ჯიბიდან არყის ბოთლი მოუჩანს. ფოთლითა და შემოდგომის სუნით გაციებულ ქუჩაში რუხ, უფანჯრო კედელს მხრით მიყრდნობილი, სევედიანი ღიმილით იმეორებს: „არ შეიძლება შენი დაკარგვა, მარიამ, არ შეიძლება. მათვლიერე ხანდახან ვარსკვლავებს შორის. მე ხომ მთელი სიციცხლე დაჩოქილი ვიყავი ჩემივე თავის წინაშე... გამიხსენე და გეგულებოდე აქ, შენი ღვიძლი, შენი აბოლბებული სიყვარული“...

ღედა — საავადმყოფოდან ახალი გამოსული — აივანზე ლუმელთან ზის. მხრებზე ბამბაზის უხმარი ხალათი აქვს წამოსხმული. გაფერმკრთალებული, მიტყულებული ხელები მუხლებშუა უწყვია და სანახავად მოსულ მეზობლის ქალებს ელაპარაკება: „რამდენჯერ მთვლი ღამე მითცნებია, ფული ვიპოვე ვითომ. ბევრი, ერთი ჩემოდანი. გამიყვია, გამინაწილებია ყველასათვის. უბედური ალბერტისთვისაც გამიგზავნია ციხეში, ნიკო ძიასთვისაც მიჩუქებია. მამიდაჩემისთვისაც; გათენებულა და წვიმით ჩამორეცხილი ჩემი კედლები შემომტეპრიან ისეე...“

ციციკო ბაბო, — ხელის საყვარავი მანქანა „ზინგერი“ უდგას ხალიჩაგადაფარებულ ტაბტზე. დაატრიალებს, დაატრიალებს სახელურს, მერე გაუშვებს ხელს, თავისით გარბის საყვარავი მანქანა და ლაღად მიაქვს ორივე ხელით მიმარჯვებული ნაჭერი.

მამა, — ალბათ ამ ოთხი უმწეო ბეგრის გემო ექნება საწამლაეს, რომელიც აუცილებლად უნდა დალიო, რადგან იმთავითვე ასეა გადაწყვეტილი.

ეს გობელენი მამამ ააჩოქაო. — ს.

წოლთან გაკრულ გობელენზე ეუბნებოდა დედა.

გერმანულ გობელენზე ჩაღისფერი, ჩაღით დახურული ქოხი იდგა. სიღრმეშიც მოჩანდა ორი ასეთი ქოხი. ბუჩქები, ხეები, გახუნებული მწვანე ფერის გზა. ეს გზაც გახუნებულნაპირებიანი. გზაზე ცხვარი მოედინებოდა. უკან გერმანელი, შლაპიანი ბიჭი მოჰყვებოდა ჯოხით. ფარის წინ ძალი იდგა ფარისკენ შებრუნებული.

მთელი ბავშვობა მიუყვებოდა ამ კიდებგახუნებულ გზას უკან, გადასახედამდე. საიდანაც იწყებოდა ეს ყველაფერი. უნდოდა დაენახა, რა ხდებოდა იმ ბუჩქებსა და გორაკებს მიღმა, ხომ არ მოდიოდა მისკენ მალალი, გამხდარი კაცი.

ოცდამეორე წლის თინა — ორი მსხვილი ნაწნავით, შავ-თეთრი მსხვილფერებიანი კაბით — უზის კარს გიღებს; გიორგი, —ველისციხის ცენტრში დათოვლილი ხის ქვეშ დგას, ტყავის უსახელოებო, მოკლე ჯუბა აცვია. ვიღაც ონავარი ხელს უბიძგებს ხეს და თოვლით გაბუმბლული სახტად დარჩენილი გიორგი წინ გამოწვდილ თოვლიან სახელოებზე იყურება. მარგო, —ფანჯრის რაფაზე ზის ცალფეხშემოკეცილი, ცალს (შინნაქსოვი თეთრი წინდები აცვია) ნერვიულად იქნება და, გამამტყუნე, ნათლი, აბა. გამამტყუნეო, — რძალს ლანძღავს. იოსები, —მთვრალი, სასიმღეროდ კისერწაგრძელებული. ზურია, — რუხე გადალაჯული პირს იბანს და ვიღაცას ვერცხლის კბილებს უჩენს. ნიკო, — ზევიდან მოდის, მთვრალი, ბამბაზის ტოტებში რეზინგაყრილი, თაგვისფერი შარვალი აცვია და დედის გინებით იბრუნებს გულს. ანეტა, —ლუმელს მიფიცებული, ცეცხლისგან დაფორაჯებული გაძვალტყავებული მუხლისთავებით. მიტო, —დამოკლებული შარვლიდან კოჭები მოუჩანს, საგანგებოდ დაეარცხნის, გვერდზე გადაყოფილი ქოჩორი ულაპლაპებს და მუდარით სავეს მზერას არ გაცილებს.

ჩაიოდგება ასეთი წამი. მერე ისევ გა-

დაჰყვება ზამთრის საოცარ ბინდებუნდს. ჩუმი წყარუნი ძლივსდა მოსწვდება სმენას. ცოტა ხან ხმას გაიწყვეტენ ტურები, გახალავთდება გზა ტყისკენ, დილით იმ ტყიდან გამოსულ თხელ ნისლს გამოჰყვება ახალი წელი.

ზის ახლა მარიამი გაგუზგუზებულ ღუმელთან დაბალ სკამზე და საგოზინაყე კაკალს ამტკრევს...

ბიჭს სძინავს. ძილში ძუძუსა სწოვს. ენა ტურებში აქვს გამოყოფილი და ისე სწოვს. ძილში კვენისი. კვენსაზე მე მგავსო, — ამბობს ხოლმე მარიამი.

ტყის ნაპირებზე ტურები კვიან. ფანჯრიდან კარგად მოჩანს ყორღზე გადაწოლილი შავად აღანძული უზარმაზარი მაყვლის ბარდი. როცა ჩაი უთავდებდა ამ მაყვლის ფოთლით აყენებს ფერს წრიალებს ღამე მაყვლის ბარდში, ათასნაირ ხმებს გამოსცემს. — ეს ხმები სიმარტოვისა და სიმშვიდის ბილიცს გიგებენ ტყისკენ, შუაგულ ტყისკენ, საიდანაც ყოველთვის რალაც იწყება. მაგრამ ჩვენამდე ვერა და ვერ აღწევს. წრიალებს ღამე, კვიან მშვირი, ბალანაბურძენილი ყვირთელი ტურები.

ამაღამ შობის ღამეა.

სალამის შვიდ საათზე დაიწყეს ალილოზე სიარული. „ითქმება, ოჯახის შვილებოთ“, — სადარბაზოს კარზე მუშტების ბრახუნი გაისმა.

მარიამმა გამზადებული თევში გაიტანა და გავიდა. ერთმანეთს წინ აგდებდნენ, ფაფხურობდნენ. მერე ჩამწყრივდნენ და დაიწყეს: „ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო...“ — იმ თოვლში, იმ სიმღერასა და გარინდებამი თავის თავი დაინახა თითქოს — იდგა წეროსავით ცალ ფეხზე, ორივე ხელში ხილიანი თევში ეჭირა. შინნაქსოვი ყელიანი ჭემპრე, თეთრი წინდები და მრგვალცხვირა, ორი ნომრით დიდი კალოშები ეცვა. თვალები უციმიციმბდა, სიხარულისაგან კი არა, შეცნობის საოცარი წამისგან, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის მომწყდარი ვარსკვლავით რომ გაიღვლებს ხოლმე და მხრებში გაშლის ყამი ღვება. უნდოდა

მუხლებზე დაშვებულიყო და ეტირა, მაგრამ ეგეთი რაღაცები ხომ შეუძლებელია, შეუძლებელია გამხელა, ისეთივე შეუძლებელი, როგორც ცხოვრება. ისღა მოახერხა, მოიქნია თევზი და თავზე გადააყარა ზილი ბიჭებს. დაესივნენ თოვლში, წამოკრიფეს და გაცვივნენ.

კარგა ხანს იდგა ასე. ახლოს არ იკარებდა ნაღველს, მაშინვე რომ დაგრეცხ ხელს, როგორც კი თავს ადამიანად იგრძნობ. სახლში ასვლა დაეზარა, იქვე საღარბაზოს კბეზე. მოიკრუნჩხა.

დიღხანს იჭდა ასე, არაფერს ფიქრობდა, არაფერს იგონებდა, ოღონდ სთხოვდა ყოვლადწმინდანებს, განსაკუთრებით წმინდა გიორგისა და მარიამ ღვთისმშობელს — მიშველეთ, მიშველეთო!..

სიცივე შემოეჭდო. ადგა, შუა გზაზე დადგა. იდგა და ცარიელ-ტარიელ გზას გაჰყურებდა. რა იმედიაა გზა, საპირისპირო მხრიდან ყოველთვის მოემართებოდა შენგან მოხმობილი სულები. მოდიან, მოდიან, გამოჩნდებიან ადრე თუ გვიან...

სახლში ავიდა. ჩამჭარალიყო ღუმელი. მაინც თბილოდა. მინაველებული ცეცხლიდან დრო და დრო სუსტი შუქი გამოვარდებოდა ღუმელის პატარა კარადან და საყვარლად ანათებდა ოთახს, დათვის ტყავს თატაკზე, კამოდს, უსარკო ტანსაცმლის კარადას, გაუქმებული ბუხრის ფარდას.

„სულს მიფორიაქებს, მტანჯავს იმის შეგნება, რომ ვერც ახლა შევძლებ იმ საოცარი წამისთვის თვალის შევლებას, ახალი წლის დადგომა რომ ჰქვია, ისე კი არაფერი შეიცვლება და ყველაფერი გაუგებარზე გაუგებარი დარჩება. მახსოვს, წარსულის ნათელში ბავშვობა რომ ჰქვია სახელად, სულ სხვანაირად ლამდებოდა ახალი წელი, სხვანაირად თენდებოდა, სხვანაირად ეჭირა დღესაც თავი. ახლა ყველაფერი მძიმედ ეშვება, იქვე მთავრდება და პატარა, შეუღებულბავი ჩიტების სასაფლაოა ახლა ჩემი სული. განუწყვეტლივ ვივიწყებ

ყველაფერს შორეულს, შორეულს, უკვე ცხრა მთასა და ცხრა ზღვას, სხვა მთებულს, მაგრამ ცოდობრალიანი სულსავესა აუტანელი ამბებით; ეს ამბები, დღისით კედლის შეუშინეველ ნასვრეტებში განაბულები, ღამდამობით ფრთების საშინელი ფართქუნით მიკლებენ, არ მასვენებენ, მახსოვრობას მიღრონიან, არ მცილდებიან, არ მცილდებიან...

მეშინია ზამთრის გაუთავებელი ღამისა და ვიკუნტები, ჩაყოლილი ფიქრსა და უკუნს. იმ ფიქრსა და უკუნში დაბარებულავით შემოდინარ და სულს უბერავ ჩემი ცხოვრების ნოტიო ფურცლებს“.

ჩაქრა ღუმელი. დროდადრო მაინც გამოვარდება სუსტი შუქი და იმ სუსტ შუქზე ილანდება ყველაფერი...

სტუდენტობის ხუთი წელი ისე გაატარა ქალაქში, როგორც ჯერ ბავშვობიდან, მერე საბლიდან, მერე ბაღჩის ბოლოში შეგულებული ადგილებიდან, მერე „დიდი გზიდან“ გამოტყუებულმა.

შემოვიდოდა სახლის პატრონი, ააკეკუნებდა ფანჯრის რაფაზე თლოლ თითებს ვითომ სხვათა შორის და მტვერს მისკენ შეუბერავდა.

გრძნობდა, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი იმარხებოდა და გამოსატრეხელი ზღებოდა ყოველდღე, სუნთქვა ეკვროდა უილაჯობისაგან; გროვდებოდა სარეცხი, ჭურჭელი, გროვდებოდა ცარიელი დღეები...

თვითონაც თავის თავის უბედური იყო.

დაზამთრებას არ დააცდიდა, ამოიღებდა ზამთრის მონატრებულ ტანსაცმელს, თავის საყვარელ გრძელფორჩიან კაშნეს, ააწყობდა მთელ დღეს ამ კაშნეზე და გამოვიდოდა გარეთ სეზონის გიჟივით. მერე მთელი ზამთარი ელოდა გაზაფხულს, თუ ძალიან გაუჭირდებოდა, ამოყრიდა ზაფხულის კაბებს, ამოაფრქვედნენ ის კაბები უკვე ჩავლილი დღეების სურნელს, ჩაიკარგებოდა იმ სურნელში, გაადვენებდა თვალს თითქოსდა გუშინდელ დღეებს.

უცხად მოიწყენდა, მოიკუნტებოდა, შეიკეტებოდა ოთახში და ჩაწვებოდა ლოგინში. ერთ-ორ დღეს ლოგინში ცხოვრობდა, გაუვლიდა მერე უქმური, გამოძვრებოდა ლოგინიდან, ძირისძირობამდე დაალაგებდა ოთახს, გამაზღვებდა, გარეცხავდა ყველაფერს, გამოეწყობოდა, გამოვიდოდა და საიდანაც ჩამოსულივით დაივლიდა ნაცნობ ადგილებს.

„წავალ, ვიცხოვრებ თქვენგან ძალიან კარგად გადამალული და ჩემი ბებერი, ნირშეცვლილი სახლი დამიფარავს“, — ემუქრებოდა მარიამი ყველაფერს, რაც აუტანელს ხდიდა მისთვის ქალაქში ცხოვრებას.

ყველაფერზე ფიქრს იმ სახლიდან იწყებდა.

გზის პირას იდგა ეს სახლი. წინა კედელი აგურით იყო ამოშენებული, სადარბაზო კარი ჰქონდა მაღალი, წერწეტი და ათსაფეხურიანი კიბე რუზე გადმომდგარი. აგურით ნაშენი წინა კედელი აგურისავე ქონგურებით მთავრდებოდა. იმ ქონგურებიდან ერთი, შუა ქონგური, ყველაზე მაღალი იყო, საათღატანებული. ქონგურებს კიდებზე რკინის კუწუბები ჰქონდა შემოყოლებული. სულ ორი ოთახი იყო: ერთი „დიდი“ და ერთი „პატარა“. ასეც ეძახდნენ ამ ოთახებს — „დიდი ოთახი“, „პატარა ოთახი“. კედლები კირით იყო შეღებილი, იგრძნობოდა მოწყვალე და სუფთა მზერა კარ-ფანჯრებისა, სხვენის კიბისა, ლამაზარშეიანი, ოღონდ სიძველეთა ჩაშავებული ჩუქურთმებისა. მიაწვებოდი სადარბაზო კარს, მძიმედ გაიღებოდა, დაბლა, ფეხებთან ნახევარწრეს შემოგიხაზავდა; ხიწვიან, დამაშრულ იატაკს დამაშვრალი ზურგივით მოგიშვერდა. სადარბაზო კარის მოპირისპირედ პატარა დაბალი კარი იღებოდა, ამ კარით ეზოში ჩახვიდოდნი...

ოთახებში მაღალი ბუხრები იყო ჩატანებული, დიდშიც და პატარაშიც. ისინიც, ის ბუხრებიც, უკვე გაუქმებული და გამოტირებული. სხვენზე ლამი ეყარა სითბოსთვის. სხვენის სამერცხლუ-

რიდან იშლებოდა მთელი ქვეყანა უცხნების რუქაზე გაკრული, უზრუნველად გაწოლილი და მომლოდინე.

ფანჯრებს დაარბები ჰქონდა, პატარა ოთახის კარსაც. კარის დაარბები საესე იყო წარწერებით, ლექსებით. „1941 წ. სამამულო ომის პერიოდში დაიბადა მარიამი“. „16 წლის წინ, სწორედ ეს დრო იქნებოდა, ჩემი ძვირფასი, უკუბოლდ დამარხული მამა ამოგრილდა ველისციხიდან „ლილინკით“, საილემში წვიმებისაგან ფერგადასული ნავეიანევი ვარდი ჰქონდა გაყრილი და ცხოვრების მთავარი აზრი შიგ გულისგულში გავლილი...“

დაბლა პატარა ოთახს საკუქნაოდ ხმარობდნენ. მარანში იდგა ამბარი, კიდობანი, აგურის „პლიტა“, კედელზე ეკიდა კედლის თახჩა, თახჩაზე თანგირა ქებაი, ცხრილი, ლიტრიანი სპილენძის ქაფქირი, სასწორი და სხვა რაღაცები ეწყო.

მარანის გვერდით სანაგვე იყო — ნაპირებზე ხასხასა ბალახებშემოყოლებული. ამ სანაგვეზე ბევრი კარგი რამის პოვნა შეიძლებოდა, როცა ყველაფერი თავისი ნამდვილი სახით ეჩვენებოდა, — თეფშის ნამტვრევების, კაბის ნაკუწების, ძველი ფეხმომტვრეული ლამპის...

ერთხელ მელანში ამოვლებული მანეთიანი, მაშინდელი თუმნიანი, იპოვა. ჩაუჯდა რუის პირას იმ მანეთიანს (ნომერი უნდა გამოუჩნდეს და მაშინ მიიღებს ნოქარიო), რეცხა და რეცხა ის მანეთიანი. უფრიალებდა სიხარულით გული. მაშინ მაღაზიაში უგემრიელესი პიტნის კამფეტები იყიდებოდა და ბამბის თეთრი წინდები. ან ერთი უნდა ეყიდა, ან მეორე. გამოვიდა მეზობლის გოგო ზენარა. გარეცხეს მანეთიანი, გაფინეს მზეზე და მიუხსდნენ ძალღებივით აქეთ-იქიდან. ფრთხილად გადაბრუნებდნენ, ფრთხილად გადმოაბრუნებდნენ. გაშრა ბოლოს, როგორც იქნა, ის რეცხვით ვაკრეცილი მანეთიანი.

წავიდნენ მაღაზიაში. ფული ზენარას მიჰქონდა, ორად მოკეცილი კიდეებით

ეპირა. მარიამს ცოტა გული წყდებოდა, მაგრამ მორჩილად მიჰყვებოდა.

ორი წყვილი თეთრი წინდა იყიდეს. წინდის ყელს ლურჯი წვრილი ზოლი გასდევდა. „დედიიი, დედიიი“, — მიარბენინებდა ზენარა წინდებს. მარიამი უკან მისდევდა დამნაშავესავით და უგერგილოდ მიჰქონდა თავისი წინდები.

აღრე გაზაფხულზე, ვიდრე თავმოგებრებული ციციკო ლუმელს გარეთ გაუძახებდა, წიწილებს ზრდიდა ხოლმე. ქალაქში მოზორიალეს თვალიდან არ სცილდებოდა „ფერთან“ მოკვივივე წიწილები, გასაშრობად მიწყობილი გარეცხილი ფეხსაცმელი, იატაკზე წიწილებისთვის დადგმული წყლიანი ლამბაქი. მერე ამოპირქვევებული და ზედ წიწილას მჭადისფქვილიანი ნაფეხური — ცხოვრების დიდი დალი...

სახლის წინ დიდი, ბებერი, შავად გაფხოკილი ინდისხურმის ძირი იდგა — ერთადერთი მთელ სოფელში. ამჟღელ-ჩამომვლელი იმ ხურმას უყურებდა შემოდგომობით, ფოთოლგაცვენილი ყვითლად რომ ლაღლადებდა.

ეზო სავსე იყო გაუტყრეკავი, გალაღებული ბზით. ბზის შავი, წვრილი მბზინავი თესლი უხვად იყო გაბნეული ყველგან. ზამთარში ღუმელზე დაწყობილი ბზის ფოთლები იბერებოდნენ, ტყაცატყუცით სკდებოდნენ და გულს უხალი-სებდნენ.

უასმინისა და იასამნის ხეივნები ღელავდნენ გაზაფხულობით. ბამბუკის ორიოდე ძირი, პილბილის ხე, თეთრი პიონი, თამარი მსხალი, თხელფურცელა წითელი ვარდის ბუჩქი. თუ შემთხვევით ახლოს გაუვლიდი იმ ბუჩქს, მაშინვე ძირს დაეფინებოდა ხასხასა წითელი ფერის ფურცელი, მეორე დღეს ისევე წითლად ენთო მთელი ბუჩქი.

ეზოს კუთხეში წინ წამობერილი ტყემლის უზარმაზარი ხე იდგა. ამ ხეზე თხელმტევანა შავი ვაზი იყო ასული. მერე ძუძუეაშლა, მერე ღორქლიავა, მერე გზისპირას ქლექის მელნისფერი ყვავილი. მარიამის მახსოვრობაში ხშირად გაკრთებოდა ის „ქლექის ყვავი-

ლი“ ყვითელი მტვრიანი გულით, ღებში საცოდავად გაჩხირული, სიმუცემოდ განდევნილი და შეგინებული. მის წინ ბავშვები ცხვირზე ხელმოჭერილები დადიოდნენ, ქლექი გადაგვედებო. აბა, რალა ვახარებდა, ალბათ ამის გამო იდგა თავდახრილი და ნალვლიანი.

სახლის უკან კომშის ულაზათო ძირი იდგა. იმ კომშის ქვეშ ცხოვრობდა მურა. მურა დაბერდა. თვალები დაუბერდა. ბოლოს ქეცი შეეყარა. იწვა კომშის ქვეშ და ყმუოდა, ყმუოდა. დავინახავდა და თითქოს თავისი უბედურებისა რცხვნიო, თავს გვერდზე წაიღებდა. მურა, მურა, მურა! სად, სად გადაიხვეწა შენი ძაღლური სული, საიდან იმზირება ახლა შენი ბებერი თვალებით?

მოიყვანა ციციკომ, — მარიამის ბეზიამ, — მწყემსი საშა ორლულიანი თოფით. მურა იწვა. თოფიანი საშას დანახავზე სიმწრით წამოიჩახა, ძლივს იმაგრებდა ტანს, გაქცევა უნდოდა, არ შეეძლო და საცოდავად ხოდა.

იქუხა საშას თოფმა. დაეცა მურა, აწყავწყავდა, აიბლუნდა ერთი-ორჯერ და ქეცისაგან შექმული ერთ ადგილზე დაგროვდა.

მერე მოუბეს ცხენს, და გადაადგეს ხევში. იმ ადგილას კი, სადაც საცოდავი მურა სიკვდილს ელოდებოდა, იდგა წყალი ძველი ტაფით. საჭმლის ნარჩენებს ქათმები კენკავდნენ.

ბაღში ორი სკა ფუტკარი იდგა, ორი ღარიბი უნიათო ოჯახი. და „კრიყოვნიკის“ მარტოსული ბარდები გამოსდებოდნენ წუთისოფელს.

ღამლამობით, როცა ყველას ეძინა, ესმრდა, როგორ სუნთქავდა მისი სახლი, როგორ ჭრიალებდა და კვნესოდა ღროდაღრო. სუნთქავდა მაშინაც, როცა საღარბაზოს კარი მძიმედ იღებოდა და ნახევარწრეს ხაზავდა შენს ფეხებთან, მაშინაც, როცა ხიწვიან დაშაშრულ იატაკზე შედგებოდა, როცა მოულოდნელ ხმაურზე შემობრუნებული იკითხავდი: „ვინ არის?“

დაინახავდა ციციკო მარიამს მოწყენილს, გამოიტანდა თავის „ზემეიკიან“, შავი კოჭის ძაფით დაკერებულ ჩანთას, ჩააწყობდა ყველს, პურს, დაუძახებდა სადღაც ყუთხეში მობღუნძულს, „გენაცვალე შენო“, მოეფერებოდა ზეშეში ხელებით, ეს თმა სულ თვალებზე რათა გაქვსო, გადაუწევდა ყურებსუკან, დაინერწყვავდა თითებს, გადაუწყობავდა ჩამოჩაჩულ წარბებს, მოჰკიდებდა ხელს, სხვა ბავშვებსაც დაუძახებდა, — საჭეფოდ მივდივართ, საჭეფოდო. ჩამწყვრივებდა ათამდე ბავშვს, გაიყვანდა გაუძღვებოდა კალოებისკენ. მაღალი, შავოსანი, წელში გამართული, შეიდიშში გამოწყობილი „კალოზე როცა კვერი მიმაფრიალებდა, ასე მეგონა, სიცოცხლეს ბოლო არა ჰქონდაო“, — უყვე ჩაფარებულ თავის ყმაწვილქალობაზე ოხრავდა ხოლმე ციციკო ნაკალოვარის დანახვაზე. ხევის პირზე ლამაზ ადგილს ამოირჩევდა, შემოისხამდა ბავშვებს, ამოალაგებდნენ ყველაფერს ვაზეთზე და ქეიფობდნენ.

თვითონ არაფერსა ჰამდა ციციკო. აიღებდა მწვანილს, მიკეც-მოკეცავდა, ჩააწყობდა მარილში, მოსრესდა ხელისგულით და იტყოდა, — ასე მოიფშრუკოს და მოისრისოს ჩემი ლევანასი და იესეს ოჯახებო.

იესემ და ლევანამ — მარიამის ბიძებმა — ომში დაკარგულ ძმას წილი არ შეახვედრეს, ყველაფერი შუაზე გაიყვეს. ციციკო სიკვდილამდე ემუქრებოდა თავის იესეს და ლევანას, — ჩამოვა და ვეტყვი, აი, შე დედამკვდარო ამირან, რა გიყვეს ძმებმა, აი-მეთქი!

იქეიფებდნენ. ამოიღებდა მერე ხურდა ფულს „იუპკიდან“, ჩაიყრიდა კალთაში, — აბა, ლექსს ვინც იტყვისო. თითო ლექსში თითო მანეთს იძლეოდა:

ნუ ჰკვივხარ, ბიჭო, მტირალა ხმითა თქვი, როგორც მარიამი ამბობსო...

„დიდება ბელადს, ვინც კრემლის თავზე უკვდავ ვარსკვლავად ბრწყინავს და ელავს, ვინც მოგვიტანა ეს სილამაზე, დიდება ბელადს!...“ — მტირალა ხმით

ამბობდა მარიამი და სიხარულით იკიბავდა მანეთიანს.

დაკდებოდა ციციკო სარკის წინ, მოიხდიდა შავი სატინის, ნიკაბთან გამოსკვნილ თავსაფარს, ჩამოიშლიდა თეთრ, შუაზე გაყოფილ თმას, თან ტიროდა, თან თმას ივარცხნიდა.

მარიამს უჭირდა უთავსაფრო ციციკოს ყურება. უცხო იყო თითქოს. ორინილა დაერჩით ჩვენი უბნელები — მე და სტეფანე, დანარჩენები გაიკრიფნენ ნელ-ნელაო, — თივლიდა ციციკო იქით გადასახლებულებს. რა ცივი ხელები გაქვს, გოგო. მოდი, ვაგიბობო, — წინსაფრის ქვეშ უთბობდა ხელებს.

სადილის დროს იტყოდა ხოლმე მარიამი — „წყალი მინდა“. ციციკო დაუზარლად, პასუხისმგებლობით დაუსხამდა იქვე ცხვირწინ მდგარი ჭურჭლიდან და მიაწვდიდა. „წყალი მინდას“ დროს გრძნობდა, როგორ უყვარდა ციციკო ბაბოს, თუმცა ძალიან რომ უყვარდა, ეს სხვა დროსაც უგრძნია.

ერთხელ კაბა უყიდა. მოდიოდა ზევიდან შავოსანი, მტკიცედ გამოჭრილი ერთ რომელიღაც თარგზე; შავ კაბაზე შავი წინსაფარი ეკეთა, იმ წინსაფრით მოჰქონდა ყველაფერი, მოდიოდა გაჩქარებით, გახარებული. მონდომებულნი. მარიამს არ შეეძლო ასეთი ნაბიჯებმორღვეული სიყვარულისათვის თვალებში შეხედვა. არ იცოდა, რა უნდა ეპასუხა ასეთი სიყვარულისთვის. ამიტომ ვიდრე ციციკო სახლამდე მოვიდოდა, ათეთსა.

მაღე სკოლაში წასვლის დრო დაუდგა.

სემტემბერი, პირველი კლასი. ახლებში გამოწყობილს, საპირველსემტემბრო ზეიმზე წამდაუწყუმ ერეოდა სიხარულის ცრემლი. ცოტა გული იმისთვის წყდებოდა, ულამაზო მასწავლებელი რომ შეხვდა, გრძელციხვრა, გამხდარი ქალი.

დაამწყვრივეს ორ-ორად. ჩაუდგა რიგს წინ ანიკო მასწავლებელი და წაიკიდნენ „ზევით“ სკოლაში.

თავიანთ სახლს ქვემოთ, გადასახვევთან, ანიკო მასწავლებელმა მარიამი

რიგიდან გამოიყვანა და უთხრა, — მარიამ, გაიქციე ახლა სახლში, ჯერ პატარა ხარ, როცა სრულწლოვანი გახდები, მაშინ მივიღებთ, განათლებიდან უარი შემოუთვლიათ.

წავიდა სახლში. ახლებში გამოწყობილს რვეულებითა და წიგნებით გამოტენილი დიდი ჩანთა მიჰქონდა. ავადმყოფ დედას მოერიდა, ჩანთა კიბის თავში დადო და თვითონ აივნის ქვეშ შეძვრა. იქ მურა დახვდა. გამოძვრა იქიდანაც და დაადგა გზას ვენახისაკენ. ციციკო ვენახში ეგულებოდა.

მიდიოდა ორღობეში, მოიკლავდა თავს ტირილით. მივიდა ვენახში. „რად გამაჩინეთ, რად გამაჩინეთო“, — ჩემხო ციციკოს კალთაში. გაიქვავა ციციკომ გული. თავზე უსვამდა ხელს კალთაში ჩამხობილ მარიამს და აწყენარებდა, — ჩუმად, ვიღაცა მოდის, არ გაიგოს; რა ატირებსო, იკითხავს.

ერთი თვის მერე მიიღეს სკოლაში. არ უყვარდა ცარიელი ჩანთის ტარება მარიამს. დედაენა და მათემატიკა ჩანთას არც ეტყობოდა. უფროსკლასელები ძლივს მიათრევენ ჩანთებს. გული სწყუდებოდა. გაავსებდა ჩანთას რიყის ქვით და ცალ მხარეს ვადაბრეცილი მიდიოდა სკოლაში.

ერთხელაც გავევითლზე ჩანთა გახსნა და წამოვიდა მუჭის სიმსხო ქვა.

— აემ ბაღლ ქვები დააქ სკოლაში, ეს არი, ქვები რო დააქ სკოლაშიო...

— მასწავლებლო. — ფეხზე წამომდგარი იწვედა ორ თითს მარიამი.

— თქვი, რა გინდა, აბა, მარიამ.

— აემ ბაღლ უღვაშები ამოსდის, — გვერდზე რომ ბიჭი ეჯდა, იმას დაადო ხელი.

გაბრაზდა ბიჭი, — გატყუებს, მასწავლებლოო, — და მწარედ ატირდა.

გაზაფხულზე, ერთ ძალიან უცნაურ დღეს მასწავლებელმა დაუძახა, თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა, — წადი, გენაცვალე, სახლში, დედაშენი ავად ყოფილაო.

მარიამმა აიღო ჩანთა და წავიდა. გზა-

გზა ყველა რაღაცას ეკითხებოდა. უკვე ულა თავზე ხელს უსვამდა. ციციკოს — თითქოს ამ დღეს ელოდებოდაო — ღვიარება ჩამოსდოდა, — აბა, მარიამო, ეხლა რაღა გიყო, ეხლა რაღა გიშველოო, აი, მოლაღატე დედაშენი, დაეხარა შენი მოვლა-პატრონობა და მიდის ჩემს იმედზეო.

მარიამი იღვა ჩანთით შუა ოთახში და ხმამაღლა გაბმით ტიროდა.

იწვა დედა გულზე დაკრეფილი ხელებით. ხელში სანთელი და ცხვირსახოცი ეჭირა და უკვე დანამდვილებით იცოდა ყველაფერი.

მარიამს ყველა ეფერებოდა. მალე გაუთბა პატარა გული და დაავიწყდა კიდევაც დედა — ჩუმი, უსასოო ქალი, რომელსაც არასოდეს არ შეეძლო შველა. იწვა წლობით ლოგინში. მაინც ახერხებდა გალიმებას, უელავდა ავადმყოფურად ქათქათა კბილები. იღიმებოდა განზე გამდგარი ადამიანის სიმშვიდითა და სიკეთით.

— ბაღლებო, ფლავი არ გინდათ? მოჯით, მოდიო, იმდენი გვაქვს, იმდენი... — მიუძღვებოდა გულკეთილი მარიამი უბნის ბავშვებს ქელუხში.

ის დღე, როგორც არც ერთი დღე, მას ეკუთვნოდა...

„მე გავიზარდე გულში თავისით ამოჭრილ სულ უბრალო ამბებზე, — იმ უბრალო ამბებზე, ერთი გადავლება რომ გადაივლის ცხოვრების გზაზე და მერე უკვლოდ იკარგება: იკარგება კი რაიმე ქვეყნად?“ — მალიმალ იხედებოდა მარიამი უკან, ბავშვობისკენ.

გააგზავნიდა ციციკო წყალზე სანთლით დაკერებული პატარა კოკით. წავიღოდა და დარჩებოდა იქ, წყალზე.

იქდა ჩატეხილ ღობეზე და გაფაციცებით უსმენდა ქვეყნის ჭორებს.

დაუძახებდა ციციკო, მესამე დაძახებაზე აიღებდა კოკას ხელში, — ბატონო!

— უყურე, გაიგონე, როგორ უნდა გააგონო უფროსს?! — უთხრა ერთხელ ელიზბარამვილების მეტიჩარა, წელზე



დიდშალშემოხვეულმა დედაცაჲ თა-  
ვის ბიჲს.

მარიამს გული შეუფართხალდა სიხა-  
რულით. ჭურჭელიც მონდომებით გა-  
მორეცხა და ცდილობდა მხნედ წაეღო.

იმ საღამოს უცნაური ამბის მომსწრე  
გაზნდა. ელიზბარაშვილების რძალი ძუნ-  
ძულით სასაცილოდ გარბოდა, უკან ქმა-  
რი მისდევდა დედის ვინებით. ქალმა  
მარამში შეასწრო და კარი გადაიკეტა.  
კაცი გაბრუნდა, აქეთ-იქით გაიხედა,  
ვინმე ზომ არ მიყურებდაო. აიღო შა-  
ლაშინი და დაიწყო გაშალაშინება.

ბურბუშელა ცვიოდა, ლამაზი, მსუბუ-  
ქი. მარიამს უკვირდა, ბურბუშელების  
დამბადებელს როგორ შეეძლო ქალის-  
თვის ეცემა. თუმცა ქალი რატომღაც  
სულაც არ ეცოდებოდა.

დასდევდა მას მერე უკან ელიზბარა-  
შვილების რძალს, თვალმოუცილებლად  
უყურებდა და ათვალიერებდა, — აბა, რო-  
გორია ნაცემი დიდი ქალი, როგორ ლა-  
პარაკობს და როგორ იცინისო. მეზო-  
ბელთან, წყაროზე, შეჰყურებდა, ათვა-  
ლიერებდა.

— რას შემომყურებ?! — რამდენ-  
ჯერმე ჩაავლო სიფრიფანა მხარში ხელი  
და ღონიერად შეაბრუნა იმ ელიზბარა-  
შვილების რძალმა.

გიორგას ცოლს მიაბარა ციციკომ,  
თვითონ საქმეზე წავიდა. ცოტა ახვე-  
ლებდა. იჯდა შალშემოხვეული შემოდ-  
გომის პირზე სხვის სახლში, სხვის ბუ-  
ხართან და ყველაფერი გულზე ზედ-  
ბოდა.

გიორგას ცოლს ორიოდე დღის წიწი-  
ლა ჩაუვარდა ფეხსადგილში, ისმოდა  
გულის წამლები წიავ-წიავი ქვემოდან.  
აიღო გიორგას ცოლმა თოხი. თოხის  
ტარზე სანთელი მიამაგრა. ჩაუშვა ის  
თოხი და ჩააშტერა თვალთ.

სანთლის შუქზე კარგად გამოჩნდა  
წიწილა. ასეა თოხის პირზე და ამოი-  
ყვანა. ვარეცხა. გააჩახახა და გაუშვა.  
გაეარდა წიწილა კრუხისკენ კისერწავარ-  
ძელბული.

გიორგას უცხვირპირო ცოლი თოხის

ტარზე დაყრდნობილიყო ერთვე ხელით,  
სიყვარულით იცინოდა: და ასე უყურებ-  
და წიწილას.

ეზოში ბროწეულის დაბლიდან ფოთ-  
ლებშეყვითლებული ნერგის ქვეშ შემო-  
დგომის მზეს შეესრუტა გიორგაანთ  
კატა.

იჯდა გიორგას ბეჭითი გოგო, მარი-  
ამის თანაკლასელი და ყანჩი. მეღნით სა-  
გულდაგულოდ, კბილებში ენამოტანე-  
ბული წერდა.

— არ ვინდა, — თითქოს რაღაც გა-  
ახსენდაო, მიუბრუნდა მარიამი იმ გო-  
გოს, — არ ვინდა, მიწისძვრა იყოს მა-  
გარი, დაანგრეოს ჩვენი სკოლა და შიგ  
მარტო ანიკო მოჰყვეს? — ანიკო მა-  
სწავლებელი იყო, ანჩხლი, სიავისაგან  
გამზმარი ქალი.

— არა! — გაჯიუტდა გიორგას ჯიბ-  
რიანი გოგო.

— არა და ნუ! — ცხვირი აიბზუა მა-  
რიამმა.

ნაკვერჩხლებიდან ორი შემწვარი შა-  
შივი ვადმოიღო გიორგას ცოლმა.

— დიდი შე, პატარა — მარიამს, —  
წასჩურჩულა გიორგას გოგომ დედას.  
არამც და არამც აღარ დააკარა პირი  
მარიამმა, — ეგ შაშივი ჩვენს ეზოზე და-  
ფრინავდა და ნაცნობი შაშვის ხორცს  
ვერ შევჭამ, წავალ, ჩუქნსა დაუუციდი  
ბებიჩაჩემსო.

მივიდა თავის ჩაბნელებულ სახლში.  
აანთო სინათლე აივანზე და მონატრე-  
ბით გახედა ჩაბნელებულ ბაღს.

ერთი ყრუ ევა ცხოვრობდა, უშვილ-  
ძირო, სულ კეთილად გალიმებული,  
სულ ილოცებოდა, თმში დაკარგულ  
ქმარს ელოდებოდა მთელი სიცოცხლე.

მარიამს უკვირდა, — როგორ შეიძ-  
ლება ადამიანს არაფერი ესმოდეს და  
ასე გულსასეგდ ილიმებოდესო.

ერთხელ წყლიდან მომავალს ლიტ-  
რა გამოართვა, — მოგეხმარებო. ვიწრო  
ბილიკზე მოდიოდნენ. წინ ევა მიდიოდა  
ლოცვა-კურთხევით, უკან მარიამი მი-  
ჰყვებოდა. ევას თეთრი მიტკლის თავ-  
სათარი ჰქონდა გამონასკეული ნიკაპ-

ქვეშ. ღია ფერის ტანსაცმელი ეცვა და ჯოხის რაყუნით მიუყვებოდა ბილიკს.

— ევავე! — ხმაბალლა ეძახდა მარიამი გამოსაცდელად.

ევა რბილად მიფაჩუნობდა ბილიკზე და ყველაფერს ლოცავდა, კბაზე გამოდებულ ბარდსაც კი მოფერებით უჩვენებდა გზას.

— ევავე, შენი ქმარი ჩამოსულა! — იყვირა უცბად მარიამმა და შეშინებულნი შედგა.

— ჩენი ხომარდულები მწიფეს. ხომარდულებისთვის მანჯე მოდი ჩემთან. ფიჭიან თაფლს ვაჭმევ, — ეპატიებოდა ევა მარიამს.

მიპყვებოდა მარიამი უკან და ეძახდა:

— ევავე! ევავე! ევავე!

მერე, რაკი დარწმუნდა, არაფერი ესმისო, ხმაბალლა ალაპარაკდა:

— ძალიან მეზარება ხანდახან სიცოცხლე, ევავე, ძა-ლი-ანი! ამას ვის ეტყვი, ვინ მოვისმენს. მე რომ მიცნობდნენ მგლები და ტურები, რომ არ შეშინოდეს იმათი დაკრეჭილი კბილებისა, წავიდოდი იმათთან, შეეძვრებოდი იმათ ბუნაგში, დაწვებოდი გულაღმა და ამოვისუნთქავდი ერთს ძალიან ღრმად, —

აეცე—აააჰ! ევავე! ევავე! — ძალდაუტანებლად მოწუწუნებდნენ ფიჭრები. — გულზე მუწუკები გამომდის დარდით. უთქმელობისგან. მოვალ ხანდახან შენთან. მოგიყვები ჩემს დარდზე და ვარამზე და რა კარგია, რომ შენ არასოდეს მეტყვი, კარგი, გოგო! გააჩუმე ეგ ენაპირიო...

მოვიდნენ ევას სახლთან. ევამ წინსაფრის ჯიბიდან შუაზე გაკვეთილი და ისევ ქალღმერთი გამოხეული კანფეტის მისცა — კეთილმა, კეთილმა, მაგრამ მოლოდინით ტვინგაწყალბებულმა.

ციციკო სკოლიდან მომავალს ფანჯარაზე შეუბღმობდნენ უცდიდა. პურჩაყრილ წენიანს ახვედრებდა. სადილის მერე წინსაფრით ამოჰქონდა ხილი. ღამე ფეხებგათოშოლ მარიამს თავისთან აწვევდა, ათობოდა და უყვებოდა თავისი გამწარებული ცხოვრების ამბებს.

„ქვევით სახლს რომ ვაშენებდით, ერთ დღეში ამოვიყვანეთ საძირკველი და ალარ იყო იქ. დიდი ძროხა დაკლა ჩემმა ქმარმა. გოჭები ტომრით ჩამოიტანა და აშველელ-ჩამომვლელს ეძახდა. ჩავყარეთ საძირკველი და წაიყვანეს. წაიყვანეს და დაიწყეს — ვისაც რა უნდოდა. მიჰქონდა. წაიღეთ-მეთქი, წაიღეთ, ჩვენ ხო გვექონდა, ეხლა თქვენცა გქონდეთ-მეთქი და ვატანდი. მიეცით, მიეცითო, იხვეწებოდა შეშინებული დედაშენი. ერთი ტანსაცმლის კარადა გვექონდა უსარკო, ერთი დიდი ტანტი და გრამაფონი. რა სიხარულით მოიტანა ის გრამაფონი ჩემმა ქმარმა. ლეკებს გაატანეს, მაშინ სუ აქ ეყარნენ ლეკები. ჩამოჰქონდათ ლანძილი, კალტი. ვინც ეს კარადა წაიღოს, ვერ მოიხმაროს-მეთქი, ფანქრით წავაწერე. მაინც წაიღეს.

სალამობით კლუბში ღონისძიებები ტარდებოდა. მიდიოდა ხოლმე ჩემი ქალი, დედა მოუტყდეს, რუის პირპირ შეედიოდა და აიტუნებოდა. გამოვიდოდა ის აქტივისტი ბალანჩივაძე. ვინც უფლებამოსილი არ არის, გარეთო, — და გამოაჯდებდნენ“.

— მდიდრებო, მდიდრებო, ისიცა თქვი, — სთხოვდა მარიამი.

— ბალები ეძახდნენ ხოლმე ჩემ შეილებს, მეზობლის ბალები თუ იხებებდნენ. მდიდრებო, მდიდრებო!.. ჩვენ თუ ხმას ამოვიღებდით, გამოგვიცივდებოდნენ დედაბუღიანად... დაიძინე ეხლა, — გადაძვრებოდა მარიამი თავის ლოგინში.

— ღმერთო, წმინდა გიორგი, — პირჯვარს იწერდა ციციკო, დანარჩენს ბუტბუტით აგრძელებდა. ენთო მისი თეთრი თმა და თუთ მთვარესავით ანათებდა ჩაბნელებულ ოთახს.

იმ წელიწადს ძალიან დიდი თოვლი მოვიდა. ციციკო ბაბო ძალიან ავიდ იყო. იწვა პირუჩუმრა. ხელები საბანგარეთ მუცელზე ეწყო და ტუჩები ავბედითად ჰქონდა მოკუმული. არაფერი არ უნდოდა, არავინ არ ენატრებოდა არაფერი ჰქონდა სათქმელი.

ჯანმრთელი ქალი იყო. სიკვდილ-სიცოცხლეზე არასოდეს უფიქრია ალბათ (აღამიანი საფიქრელად როდია გაჩენილი). ცხოვრობდა, ცხოვრობდა ყველაფრით. რასაც გონი და ხელი მიუწევდებოდა; მაგრამ, — ფიქრობდა მარიამი, — მჯერა, სრულიად მოულოდნელი დამოკიდებულება აქვს ეხლა ციციკოს ყველაფერთან, რაც იყო და რაც არის. არ გამიკვირდება, რომ თქვას, — მწარე იყო, ნაფოტების კრეფის დროს ძირს დახრილს წელში გამართვა რომ მეზარებოდა და მინდოდა ეგრევე ნაფოტებისკენ წახრილი ჩავეტანე რაღაცას; დაღლილობის გამო კი არა, უკვე აღზარაფერი მინდოდა და ტყუილად ვერაფერი ნაფოტებში. არც ის იყო გასაკვირი, რომ ეთქვა, — არ მინდა სიკვდილი, უჩემოდ თქვენ ყველაფერს გაოხრებთ და გაატიანებთ. ევგენას ცოლი თქვენ აღარ გაღირსებთ ლილიანი კირით სახლის შეღებვას. კარგი იყო ვაზაფხულზე ნაზამთრალი ოთახის შეღებვა. დარეცხილ-დაგვილი ყველაფერი. ჩაჯვდებოდი მერე საღამოს ტაშტში, გემრიელად ეიბანავებდი და დაღლილ-დაქანცული წამოვწებოდი ჩემს ხმელ ტახტზე. გადავბრუნდებოდი, ჭრაქა-ჭრუჭი გაუღიოდა იმ ჩემ ტახტს, გადმოვბრუნდებოდი ისევ...

იწვა მერე ციციკო გულხელდაკრეფილი თავის ჩიხტა-კაშში, სამკვდროდ გადანახულ საცვლებში და ტანსაცმელში გამოწყობილი, გაუცხოებული, სხვა-ნაირი, მარტო მარიამის არსებობაში დარჩენილი.

ტროლეიბუსში ცოტა ხალხი იყო და თბილოდა. ფანჯრის მხარეს მიყუჩებულ მარიამს ეზარებოდა ჩასვლა ცივისა და წვიმისფერ ქალაქში. ასეთ დროს ფიქრობდა ზოლმე: „დაადგეს გზას ეს ტროლეიბუსი, გავიდეს ქალაქიდან, წავიდეს, იაროს, იაროს...“

ფანჯრიდან ვახე დაინახა, გადასასვლელთან იდგა ცალ ფეხზე; მჯორე ხეზე ჰქონდა მიბჯენილი და სიგარეტს ეწვოდოდა.

ჩამოვიდა მარიამი ტროლეიბუსიდან, გული საღდაც სასულეში უცემდა.

ზევიდან მაღალი, ცხენივით ქალი მოდიოდა ნაწვიმარ ასფალტზე. ქუსლებზე ადგამდა ფეხებს, ფეხის დასველებას ერიდებოდა. გულზე პატარა თეთრი ძალი ჰყავდა ახუტებული.

დაინახა ვახე, მივიდა, გადაკოცნა. ვახემ ძალი გამოართვა და ჩაიხუტა. ქალმა ხელი მხრებზე დააწყო და დიდი პირით გაიცინა. გამოუჩნდა ლამაზი, თანაბარი კბილები.

ვახემ მოურიდებლად მოხვია კისერზე ხელი, თავისკენ მიიზიდა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

ქალი უცბად წაიხარა. შუბლი მუხლებთან მიიტანა, ქუსლზე შემოტრიალდა და თქვა:

— სუ ფეხებზე მკილია, ვინ რას იტყვის, ფე-ხე-ბზე! — გრძელი ხელები შლეიფივით მოიჭნია და ყველაფერი იქვე დაივიწყა, რაც თქვა და რაც მოიმოქმედა. ეს თავდავიწყებით ქუსლზე შემოტრიალებაც მის ურყევ პოზიციას გამოხატავდა.

ვახემ ცერად გაიღიმა და ქალს თვალი აარიდა.

ქალი გულიანად იცინოდა, ცხენის თავს ღონივრად იქნევდა.

ის ალბათ გრილით მიაპობს ცხოვრების გზას, დროდადრო აი, ასე, ქუსლზე შემოტრიალდება და გამოაცხადებს, — სუ ფეხებზე მკილია, სუ ფეხებზე მკილია ყველაფერი. — არაფერზე თანხმობა არ სჭირდება. — მინდა კვალში ჩაუდგე, რომ დროდადრო მომბეროს მისი გრძელი მკლავების ქარმა და მოკუნტული ფეხზე წამომაგლოსო, — მარიამმა გამოგონილი მხნობით ჩაუარა ორივეს სულ ახლოს.

გადაწყვიტა, ვახემ შემომხედა, მაგრამ არც ვახსოვარო.

ძლივს აიარა ქუჩა. არავინ დაუძახა, არავინ გამოედევნა. დამესიზმრა ალბათ

ყველაფერიო, ფიქრობდა, მაგრამ ჭიუტად არ უნდოდა გამოსვლა სიზმრიდან. უცბად შებრუნდა, გრძელი პალტოს კალთები აიკეცა და გაიქცა. გარბოდა და ეძახდა, „ვახე, ვახე!“

ვახე აღარსად იყო. იყო მხოლოდ ცივი, სველი ქუჩა და უცხო, უცხო ადამიანები მიმოდრიოდნენ.

გაიხრტილა ეზოს კარმა, კართან მთვრალი ვახე იდგა. პიჭაკის ჭიბიდან არყის ბოთლი მოუჩანდა.

— ჩემთან წამოდი, ჩემი სახლი უნდა გაჩვენო, ჩვენები უნდა გაგაცნო, — ცისფერი ალი უკაიფებდა თვალბეჭში.

— სხვა დროს, ვახე, სხვა დროს წამოვალ, — იუარა მარიამმა.

— სხვა დროს მე სხვაგან ვიქნები, ჩემი გოგო. წამოდი ახლა, თუ გინდა, — და ისევ საზარლად გაიხრტილა ეზოს კარმა.

უდაბნოში დარჩენილივით იგრძნო თავი. შეეარდა სახლში გამოიტანა პალტო. თან იცემდა, თან გარბოდა და თავდაღმართზე მიმავალ ვახეს ისევ ეძახდა: „ვახე, ვახე!“

— ეს სახლი, — ვახე რვასართულიანი სახლის წინ გაჩერდა. — ეს ღრმა შინაარსიანი სახლი, უკვე სრულიად გარკვეული რომ უმზერს მომავლის ბინდბუნდს, — რკინა-ბეტონის, ნაგვით სავსე უბინძურესი ბუნკერების (ჩვენი საუკეთესო ვნებების სკივრი), ეზოში მიმოფანტული გაუჭრელი პურების (გადაყრილი პური დააქცევს ქვეყნიერებას), ვირთხების, კატების, პოეტების ცრემლებს. თვითგვემის, შურის, ერთმანეთის უბედურებაში სულის მოთქმის, სიმდიდრის, სიღარიბის, სიბილწის, მხეცობის, ობივატელობის, სნობიზმის, ატირებული გულების, შეყრის, გაყრის, თითო სულების ნელინელ შერყვნის, შეცხადების, ყალბი ღიმლის (რამდენ ჭურღმულს უნდა გამოაღწიოს ღიმლმა და კეთილის სურვილმა), გამჭვირვალე და გაუმჭვირვალე აჭხებისგან შედგება.

მარიამს ყურებზე ჰქონდა ხელები აფარებული და ისე იდგა.

— მაპატიე, — ვახემ ხელები ჩაშალა და ხელზე აკოცა.

ვახეს პატარა ბინა ჰქონდა. ამ ბინაში ეცხოვრათ და წასულიყვენ სამუდამო გზით. საგნები, ნივთები უცნაური განწირულებით იშვიათებოდნენ.

კედლები სავსე იყო ფოტოსურათებით. ვახემ ახლოს მიიყვანა კედელთან და უთხრა:

— გაიცანი, ეს არის დედაჩემი.

შავი, ღრმად გულამოჭრილი, მოკლესახელოებიანი კაბა ეცვა ახალგაზრდა ქალს, შუაზე გაყოფილი თმა მოკლედ, ყურისძირებთან ჰქონდა შეჭრილი. ორივე ხელით მრგვალი მაგიდის დაწულ ზედაპირს დაყრდნობოდა და გადაშლილი წიგნისთვის მიეპყრო თვალი.

— ესეც დედაა. ეს სურათი ეთერის ბაღშია გადაღებული. ნახე უკან წარწერა აქვს, — „ვინ იცის, ბედმა რა მიყოს, სად დამიგოს უცბად მახე, ამისათვის იქონიეთ სამახსოვროდ ჩემი სახე“, — მაღალი, გამხდარი ქალი უზარმაზარ ლოდზე მიწოლილი, თავქვემ ხელამოდებული იყურებოდა სურათიდან.

— როდის იყავი შენ ასეთი, როდის! აი, შენი სურათები, არც ერთი შენ არა ხარ! — დღის სურათებს ეკითხებოდა კედელზე ცალხელმიბჯენილი ვახე: — ნუთუ შენ შეგეძლო ასე დგომა, ასეთი სიცილი, ხელების ასე არტისტულად ერთმანეთზე გადაკიდება?..

— მე ასეთი მახსოვს, — ვახემ მარიამი ფეხმოკცეულ ღვინისფერ სავარძელში ჩასვა, თვითონ იატაკზე მოიკეცა. ძალიან უყვარდა იატაკზე ჯდომა. — მე ასეთი მახსოვს. გადმოიღებდა საწოლიდან გარვალტყავებულ, სიბერისა და ტანჭვისაგან დამახინჩებულ ფეხებს. გამოართვ, გამოართვო, აკივლდებოდა, — ვერ იტანდა, როცა რადიოში საქმიანი ლაპარაკი მიდიოდა.

დღეს რაღაც განსაკუთრებულად მტკივა ყელი, სხვა დროსაც მტკივბია, მაგრამ დღეს არაჩვეულებრივად მტკივაო, გამოაცხადებდა. „რა-

სა ბრძანებთ, ჭაღბატონო, რას! — ვლრიალებდი ნერვებმოშლილი და გავრბოდი სახლიდან, ვიღრე დასალევს ვნახავდი. მახრჩობდა — „დღეს არაჩვეულებრივად მტკივა ყელი“.

გაწეწილი თმით დადიოდა ხშირად, თითქოს ფიქრისგან გაწეწილი, დაუდევრად ჩაქმულ-დახურული. ვეღარ, ვეღარ უძლებდა ცხოვრებას, — ჩვენ არა გვაქვს უფლება ცუდები ვიყოთ, ვერა-ვინ იტყვობთავს ჩვენს ქცევა-ყოფას, ვერც პროფესორი ბაბუა, ვერც ფულიანი მამა, ვერც ბასრბრჭყალებიანი დედა, ჩვენ არა გვაქვს უფლება, ცუდები ვიყოთ და განა ეს კარგი არ არის? მეფერებოდა, გულში მიკრავდა, მაგრამ ამ მოფერების დროს უფრო უმწეონი ვხდებოდი. ვხვდებოდი, ამ უმწეობისაგან ბრახი ერეოდა და დგებოდა ჩემი ბავშვობის ყველაზე მძიმე წუთები.

მოულოდნელად იცოდა გამოჩენა. მოდიოდა მალალი, დაღლილი, გაწეწილი, ტბორივით სავსე, ჩუმი ხმით იცოდა დაძახება. გამოვევარდებოდი ჩხიკორა, წყლისფერთვალემა (მერე ჩამიდგავთვალეში ფერი, როცა ვადავწყვიტე ყველაფერი), რახიტიანი ბიჭი, მოვრბოდი გარდიგარდმო წვრილი მობრეცილი ფეხებით, ვაკოცებდი სველა დრუნჩით. მან ისევ არ იცოდა, რა უნდა ებასუხა ამ უმწეო სველი კოცნისათვის. აიტანდა სიბრალულისაგან მოგვრილი ბრახი და უკვე გულსგარეთ ჩამხურჩულედა ათასგვარ საალერსო სიტყვებს და ძლივს მიძრობოდა თბილ სხეულში ტკიპასავეთ ჩაკრულს.

სანუკვარი რაღაცების მოტანა იცოდა.

ერთხელ საიდანღაც ფეხმომტკრეული, მაგრამ ძალიან შინაარსიანი თოჯინა მომიტანა, — ეს შენი დაა და უბატრონეო. ისეთი სინაზით ვივსებოდი ამ თოჯინის მავურებელი, კარგა ხანს ვერ ვუყურებდი თვალეში. ჩემი ინვალიდი დაიკო საოცრად მიყვარდა და წლების განმავლობაში ვოცნებობდი მის გამრთელებულ ფეხზე.

კარტოფილის საფუტქველი ეყიდა

სადღაც; მაშინვე, საგარეო ტანსაცმელში გამოწყობილმა გაფუტქვენი კარტოფილი და შემეწევა. მე ბედნიერი დავრბოდი კარგ გუნებაზე მყოფი დედაჩემის გარშემო... მრგვალფეხიანი საკე, წაღმა-უკულმა რომ ტრიალებდა პლასტმასის წითელ რკალში ჩასმული. ცალ მხარეს გამადიდებელი ჰქონდა დატანებული. ჩაიხედეთ! — გამადიდებელის მხრიდან ჩამახედა: ძალიან უყვარდა ჩემი გაოცებული თვალეები. სკოლის სახელოსნოში ბავშვების გამოჩორკნით, კისფრად შეღებული სკამი ერთქებინათ, ერთმანეთს ვასწრებდით იმ სკამზე დაჯდომას. რა კარგი ვქენი, რა კარგი ვქენი, რო წამოვიღეთ, ხალისობდა, მაგრამ მზის კებნას ჰგავდა დედაჩემის კარგი გუნება. არასოდეს დამავეწყებდა, სოფელში წყალში წნორის გადგმული ფესვები დამანახა — მოდი, მოდი, ნახე რამდენი წითელი გველიაო.

როცა კარგ გუნებაზე იყო და მეფერებოდა, დროს ვიხელოებდი და ევხვეწებოდი, ხომ დამპირდი, აღარ დაგწყევლიო, ნუ მიყვირი და ნუ მწყევლი-მეთქი. მიშველე, მიშველეო, — მუხლებში ჩამიდებდა გაწამებულ თავს, — აღარ დაგწყევლი, აი, ნახავ, აღარ გიყვირებო...

ხალხი დაეპატივით-მეთქი ჩემს დაბადების დღეზე, — ვეხვეწებოდი, — ზუსტად ასე ვეუბნებოდი, ხალხი-მეთქი. დედი, დედი! მოდი, სახლებს ვუყურით-მეთქი. ახლაც ვვიცდები სახლებს ყურებაზე, განსაკუთრებით ღამღამობით.

მერე, როცა უკვე გავიზარდე, სადმე მიმავალს დამიძახებდა ხოლმე, მოვიხედავდი, არაფერი, წადიო — მეტყობა.

— დე, უკეთესი გინდოდა ვყოფილიყავი, არა? — ჩავიკრავდი გულში. გაღლეული იყო, რბილი, თმადათოვლილი, ცარიელი სული.

— არა, ვახე, კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ გაგიპირდება ძალიან, ვიცი. მეშინია, როცა უჩემოდ დარჩები, ვინ აგარიდებს ბოროტსა და ავს. ზომ სასაცილოა და ასე მგონია, ჩემი არსებობით გშველი

რადიკას. მშიშარა ხომ არა ხარ, ხომ არ გეშინია?..

მე უკვე იმ ასაკისა ვიყავი, როცა იცი, რომ პასუხი მხოლოდ შენ მოგეთხოვება ყველაფერზე, მხოლოდ შენ, ველარაფერს გიშველის დედა, და ძალიან მიჭირდა ცხოვრება.

— ეს დედაჩემის და მამაჩემის სურათია ახალგაზრდობაში, ხევში მასწავლებლობდნენ. „მოკვეთილი“ დაუდგამთ და მთავარი როლები თვითონ შეუსრულებიათ. ჩოხიან კაცს ორსადგურის ხორბლის ბოლო საფეხურზე შეუდგამს ცალი ფეხი, ხელი ხანჯალზე უდევს, მაღლიდან კიბეზე გადმომდგარი, გრძელ კაბაში გამოწყობილი ქალი დაჰღიმი.

მამა რომ წაუყვანიათ, დედაჩემისთვის დაუბარებიათ, — არ შეშინდე, როგორცა ქუხს, ისე არა წვიმსო.

ისე სადა ქუხდა, როგორცა წვიმდა, წავიდა და წავიდა.

მამა წყნარი, მშვიდი კაცი იყო. მაგიდასთან ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილზე ჯდებოდა, უხმოდ შეექცეოდა. მე უკან რბილ ადგილზე მიჩქმეტდა და ეს იყო მისი მოფერება.

იშვიათად სვამდა. ნასკეში ენად გაიკრიფებოდა და ბილწიტყვაობის კორიანტელს აყენებდა. დედა ყველაფერს უთმობდა და ცდილობდა ლოგინთან მიეტყუებინა. ჩაწეებოდა ლოგინში და მაშინვე ძილი წაიღებდა.

— ასწავლე ბიჭს, როგორ მოუაროს თავის გრძნობებს, კარგი აღზრდა სხვა არა არის რა, თუ არა გრძნობების კარგად შენახვისა და მოვლის ხელოვნება. მეჯავრება ქათმის საკენკივით გაბნეული ადამიანი, რამდენჯერაც ახლოს ჩაუვლი, იმდენჯერ რომ შეგიძლია ჩაუნისკარტო, — სთხოვდა ხოლმე დედაჩემს.

თვითონ არასოდეს ღებულობდა მონაწილეობას ჩემს აღზრდაში. მკაცრი, გაურკვეველი ფერის, სიღრმეში ჩამჭდარი თვალებით მაკვირდებოდა და ცდილობდა ჩემ გამოცნობას.

მე ყოველთვის დედა უფრო მიყვარდა.

სკოლაში ცუდად ვსწავლობდი. ჩემი მათემატიკის მასწავლებელი დამადგებოდა თავზე და ცარცს ისე მაგრაღ მიჭერდა, ზედ მეფშვნებოდა და მერე უცარცოდ დარჩენილი მევე მაგზავნიდა ცარცის მოსატანად. ვერც ლექსებს ვსწავლობდი, არ ვიცი, რატომ. დიბარეს დედაჩემი. აბა, გუშინ გაკვეთილად რა გეჭონდაო, მკითხა ჩემი ქართულის მასწავლებელმა.

დედაჩემი ბოლო მერხზე იჯდა.

ახლაც არ ვიცი, რა მოხდა. ავდექი და ყველასათვის მოულოდნელად დავცხე: „ამ მშვენიერ ფართო ქუჩას, მზე რომ აფენს უხვად ნათელს, იცით, იგი რად ატარებს ლესელიძის უკვდავ სახელს? ლესელიძე გმირი იყო, ხალხს ძალ-ღონე მოახმარა, სამშობლოში, ჩვენს მიწაზე მან მტერი არ გაახარა. გმირ არმიას მიუძღოდა, სწამდა ხალხის მომავალი, პირსისხლიან მტრების ურდოს მუსრს ავლებდა ცეცხლის ალით!“ აი, დღემდე მახსოვს.

— გენაცვალე, შენ დედაშენთან ერთად უნდა იარო აბა სკოლაში, — გაიცინასავით ჩემმა მასწავლებელმა.

დედაჩემმა ჩუმად მაკოცა და დაიმედებული წავიდა სახლში.

მაშინ ოროსნებს დაბადების დღეზე არ პატიებდნენ. ამას ასე ხსნიდნენ, — ოროსნის გვერდით შენც ოროსანი გახდებო.

ზოგიერთი ოთხიანის მიღებაზე ტირიდა. მე საჩვენებელ კუთხისავით ვყავდი ჩვენს მასწავლებელს. ეს ორიანზე არა ტირის და შენ ოთხიანზე რა გატირებს, ჩემო კარგო ბიჭოო, — ეფერებოდა ხოლმე ატირებულ ხუთოსანს.

მე ფიქრი მიყვარდა მაშინაც. ფიქრი და ოცნება არ უყვარს გაკვეთილს. გაკვეთილზე უურადლებით უნდა იჯდე.

ვინ იცის, ერთხელ რომ შემოსულ იყო ჩვენი მასწავლებელი, გაკვეთილი წალმა დაეწყო და უკულმა დამთავრებინა, უკეთესად წასულიყო ჩემი ცხოვრება, მაგრამ რას ნიშნავს უკეთესად

წასული ცხოვრება. ცხოვრება ყოველთვის ისე მიდის, როგორც საჭიროა და ჩვენ ყველაზე დიდ შეცდომებს იქ ვუშვებთ, სადაც შემოვუბრუნდებით ხოლმე.

— ასე, ჩემო კარგო, უნდა შეეგუო იმას, რომ ამჟვეყნად ამდენი ფიზიკური და მოწესრიგებული ხალხი დადის და მინცდამინც შენ გადაეყარე ლოთსა და მამაძალს.

მარიამი იჭდა და ერთგული ძალღივით აყოლებდა თვალს ქადაგად დაცემულ ვახეს.

— დე, შევირთო ეს სოფლედი, ჩემსაივით უპატრონო ვოგო? — ხელეზე წამოწეული ვახე უცნაური სიამაყით შეპყურებდა დედის სურათს.

მარიამს მოეჩვენა, რომ ქალი აღმაცერად უღიმოდა.

აი, ხომ ვაგაცანი ჩემი მშობლებიო, — ვახე სამზარეულოში გავიდა, გამოიტანა ნახევარი ბოთლი ღვინო, ყველი და პური და მარიამის წინ დაბალ მაგიდაზე დააწყო. ღვინო ორივესთვის დაასხა.

— შენ ქსოვა იცი? — ახლა ოთახის ერთ კუთხეში ვახე იჭდა, მოშორებით სავარძელში — მარიამი. — ვგებდები, როცა ქსოვენ. განსაყოფრებით ბაწრის გორგალზე ვგებდები. დაცურავს, დაძრწის და საოცარ სიმშვიდეს ჰტენს ოთახს. მოვალ ხოლმე სახლში, აი, ასე. ცხოვრებას გამკლავებელი, მთვრალი. მართლა, „ბორის“ ვაგეთება იცი? დამახვედრებ ცხელ „ბორს“, ვიდრე მე „ბორს“ დავხერებავ, შენ იჭდები და მოქსოვ. იჩაუნებს საოცრება — ბაწრის გორგალი, საიდან წამოსული, ვის ხელში გამოვლილი სისავსე და სიმშვიდე. მერე მოვიყვავ შენს ფეხებთან და ბაწრის გორგალთან. ბენიერება ყველაფერშია და არასოდეს ცოტა არ არის, მარიამ! საამისოდ აღამიანის სულის და გონების მომზადებაა საჭირო. სულის ბერვა შენი აღამიანობისადმი არის უდიდესი პოეზია ამჟვეყნად. ჩვენ ბაწრის გორგალი ძალიან დაგვეზმარება ამ საქმეში. ხომ დაგვეზმარება, ხომ და-

გვეზმარება, მარიამ. მე და შენ ერთი უბრალო ბაწრის გორგალი ვართ. მარიამის პატარა თავი ვახეს გულის კოვხთან ჰქონდა ჩაკრული და ბენიერი მარიამი ვერ ხედავდა, როგორ გაურბინა ვახეს გრილმა ქარმა ნაღვლიან თვალეში.

გარეთ საშინელი თოვლია, ბარდნის, სული მებუთება. ჩემს ჭინაზეა ასეთი ზამთარი. მალე მიინც გაზაფხულდესო. — ნატრობდა მარიამი.

თოვს, ხეები საყვარლად დაპატარავდნენ. მოემალათ ძირები, ტრაპა-ტრუჭით დადიან დადებულ თოვლზე. „სად იყო ამდენი თოვლი. მოდის, მოპფიფქავს, ყოველი ფიფქი სისქესა მატებს მიწაზე დადებულ თოვლს. ვედარ მშველის თოვლი, ვედარ მიშუქებს სულს...“

მოწყენილი იყურება მარიამი ფანჯრიდან. „ღმერთო, თოვლი მოიყვანე, ღვთისმშობელო დედაო, რომ დაპფაროს ეს ცოდვები, რასაც აქა ვხედავო“, — გაახსენდა მშვენიერი ქართული ლექსი და ტირილი მოუნდა. (კარადაში ნახევარლიტრიანით არაყი ეგულემა). გათენდება, აანთებს ცეცხლს, უგემურად — ნაცარსაც არ გამოიღებს, ისე, და ისევ შეძვრება ლოგინში. ლოგინში იცვამს ტანსაცმელს.

მალე გაზაფხულდეს, ღმერთო, აღარც შეშა, აღარც სინათლე, მთელი კვირა ბნელში არიან. ბიქს ძლივს არჩევს ლოგინში.

კარადაში ხო ნახევარლიტრიანით არაყი ეგულემა. გამოლო კარადა. სიბნელიდან ნელ-ნელა გამოიყვითა ტურქული, ჭამები, ჭიქები. აიღო ვერცხლის გვერდშექეცილი ლამაზი ჭიქა, პაპის დანატოვარი, დაისხა არაყი, კარგა ხანს ექირა ხელში, მერე ერთბაშად დალია. გაუთბა ფეხის თითები, წამოვიდა თბილი ჟრუანტელი, დაჭდა გამოცილილი ჭიქით ხელში, ღამის პერანგის ამარა, გაჩეჩილი თმით და წამოუშვა ცრემლები. მოწყენილს უცხად გაუნდა საქმე. ტიროდა და ცდილობდა, ხელიდან არ გასხლტომოდა ტუბილი წამები.

ფეხის ხმა გაიგონა. კიბეზე ვილაყ ამოდიოდა. ხალათი გადაიცვა.

ირაკლი მოვიდა. ის არ მოვა და არ წავა, შემოირბენს და გავარდება. ახლა რალაყ უცნაურად დგას კიბეზე, თოვლიან ფეხებს იბერტყავს, მიღლა იყურება თავისი მკაცრი სახით, თითქოს ფიქვით ამოვსებულ ცას შეპლიმის, იბერტყავს ფეხებს და უჩვეულოდ მშვიდად ამოდის.

წამალი მოიტანა. მარიამს ძალიან გაუხარდა. ირაკლიმ ბიჭს დახედა. უყვარს — ყოველთვის დახედავს, თუნდაც ეძინოს.

უკანასკნელი ჩურჩხელით დაასაჩუქრა მარიამმა.

— ვფიქრობდი, თუ ბედი მაქვს, სახლში დამხვდება-მეთქი. როდის გაიკრიჭე თმა?

მარიამმა პასუხად გაუღიმა.

უხერხული სიჩუმე იდგა.

ირას ბავშვობიდან უყვარდა მარიამი. იდგა ხოლმე მარიამის სახლის წინ ხან მარტო, ხან ბიჭებთან ერთად. რა არის სიყვარული ეს ოხერიო, — ამოიარა ერთხელ მეზობლის ჯან-ლონით სავსე დედაკაცმა და წუპაკი მზერით შეათვალიერა დიდ თოვლში თოვლით დაფარული ირაკლი, ხან ერთ ფეხზე რომ იდგა და ხან მეორეზე, თან მარიამის სახლს თვალს არიდებდა.

მერე ჯარში წასვლის წინ მოვიდა ბიჭებთან ერთად. გადახორტილ თავზე კეპი ჰქონდა ჩამოფხატული. კაკლის ფესვებზე ისხდნენ და ვიტარას აკვნესებდნენ.

„ჩემო კარგო ლამაზო,

გამოიხედე,

ვდგავარ შენს ფანჯარასთან,  
დავილაღე.

ვდგავარ შენს ფანჯარასთან,

შენ კი სად ხარ,

ჩქარა გამოიხედე, ჩქარა“.

მუსიკაც და ლექსიც ირას ეკუთვნოდა.

— არ გაიხედო, ვითომ არ გესმის, ვითომ შინ არცა ხარ, — არიგებდა ციციკო ბაბო მარიამს.

ჩამოდიოდა მერე ირა მარიამთან. რალაყ უმწეო იერი ჰქონდა. ხოლმე ქალაქში. ჩამოუტანდა ციციკოს გამოგზავნილ ჩანთას.

— რატო არ სთხოვდები, მარიამო, — დადგებოდა ფანჯარასთან, მარიამისგან ზურგშებრუნებით და ისე კითხულობდა:

არავინ არა მთხოულობსო, — პასუხობდა მარიამი.

— ეგ არი მიზეზი? — ისევ ზურგშექცევით იდგა ირაკლი.

— სხვა რა არის ახალი ჩვენს უბანში, — ბანზე უდგებდა კითხვას მარიამი და ვის ამბავს არ ეკითხებოდა.

— მოგცლია რა შენც! შენთან გამოსაგზავნი ერთი კვირის წინ დაწერილი წერილი ჯიბით ვატარე. ათჯერ შევამოწმე, ზოგი წავშალე და ბოლოს ჩემი ხელით ჩამოგიტანე მაინც. მე რომ წავალ, მერე წაიკითხე გულდასმით. წავედი, მეჩქარებოთ, — კარს გაიხურავედა და წავიდოდა.

გაპყვეს ჩემს შვილს, ჰყავდეს ქალაქში, მარტო შემოდგომობით გამოუშვას მოსავლის აღების დროსო, — იხვეწებოდა ირას დედა.

იჯდა ირა ახლა დარდიანი, სერიოზული სახით.

მარიამმა „დუხოვკიდან“ გოგრის ნაჭერი ამოიღო. ერთი ერთი მხრიდან მოუჯდა იმ გოგრას, მეორე — მეორე მხრიდან. ერთი ერთი მხრიდან ჰამდა, მეორე — მეორე მხრიდან. ირას თითებში პაპიროსისგან გაყვითლდებოდა. მარიამი გოგრისკენ რომ დაიხრებოდა, პაპიროსის მკრთალი სუნი სცემდა და საოცარი სითბოთი ევსებოდა გული.

— კეთილი ვარ, ხო იცი, რა კეთილი ვარ, მაგრამ არ გამოდის. ამ ბოლო დროს სულ ვიფურთხები. რა ვიციოდი, რო სიკეთე და გულჩვილობა ეგეთი დამლუბველი იქნებოდა.

— რა კარგია, რომ მოხვედი, — პასუხად თქვა მარიამმა.

— ბავშვობიდან უბედური ვული მქონდა, — ბანზე აავდო სიტყვა ირამ. — უცხად შემეცოდებოდა ადამიანი,



წარმოვიდგენდი ათას სისულელეს და ცრემლით მევესებოდა გულ-მუცელი. ჩემზე მდიდრებიც მეცოდებოდნენ, ჩემზე უკეთესებიც, ჩემზე მადლრებიც. დავადგამდი ვილაცას თვალს უფრო მაშინ, დანდობილად რომ იცინოდა ან ილუქმებოდა, რა ცოდოა, რა ცოდოა ეხლა ეს კაცი-მეთქი ავტუდებოდი ჩემთვის და ტირილი მინდოდა, მერე გავიზარდე და გავძალდო...

რაღაცის თქმა უნდოდა მარიამსაც, მაგრამ ვერაფერს ამბობდა. თავს ვერ უყრიდა სათქმელს, როგორც ჩემად გატეხილი ჭურჭლიდან, ისე გაპარულიყო სათქმელიც და შვების ცრემლიც. იჭდა თავისთვის წაშლილი, გაფერმკრთალებული პირისახით და ხედავდა: პაპანაქება სიცხეა, დამწრალი რუები, რუების პირას აყოტებული ჭინჭარი და ბალახბულახი უკვე დიდი ხანია ერთმანეთს ველარ ცნობენ მტვერში და ბუღში სამარცხვინოდ დამალულები.

ცხელა, ცხელა საშინლად. დამწრებილია ცხოვრების ნიშატი. ბული დამურმურებს პაერში ცხელა, შეუშინველ რგოლებად.

ჩამოიარა რუმ, ჩამოატარა ვიტრის ნაფცქვენები, ვილაციის ნაკუწებად ქცეული სურათი.

ორნი მოდიან — ბიჭი და გოგო. ბიჭი ასე, თოთხმეტი წლის, გოგო ათი წლის. ბიჭს თქვის თეთრი ქუდი ჰხურავს, ჩეჭმები აცვია ამ პაპანაქებაში. ხელში მეტყვარის ნამდვილი შოლტი უჭირავს და წარამარა იქნევს ჭინჭრებისკენ. გოგოს უხერხულად მიაქვს გაფშეილი ტანი, — მკლავებგაუნძრევლად, დაგრილებენ სატვირთო მანქანები. გოგო ფეხშიშველია და მტერიან შარაზე მკაფიოდ იხატება მისი დიდრონი ტერფები და სულმოუთქმელად ამბობს დიდი ხნის ნაშხალებს სათქმელს:

— აგე, ცხენები!

გზიდან გადაუხვიეს, გადასახვევთან დამპალი კუნძიდან ფრთხილად გამოძვრა დიდი, ყვითელმუცელა გველი. ბიჭმა გოგოს ხელი სტაცა და შეაჩერა. იდგნენ, ელოდებოდნენ, როდის გამო-

ათრევდა გველი შვებოთ. გათიმევებულ ტანს და გადაიტანდა მკლავებზე. რაღაც გადაულაპარაკეს ერთმანეთს და წავიდნენ. უკვე კარგად ჩანდნენ შოკოლადისფერი, პრიალა ცხენები.

გოგოს ახლა უხაროდა სიცოცხლე. სულმოუთქმელად მიიწევდნენ ცხენებისაკენ. არაფერი იყო საშიში, ასეთი ღონიერი დიდი ბიჭი მიჰყვებოდა გვერდით. დამწრალი რუ შემოხვედა. გოგო თავისუფლად ქადაველო ზედ. ბიჭმა რუს გადააბიჯა, გოგოს კისერში აყოცა და უთხრა: — კარგი გოგო ხარ!

აი, ცხენებიც. მეურნეობის ნამყენი შავი თუთები. ბიჭი უკრეფდა და მუქით უწვდიდა.

— არ მინდა, არ მინდა, — იძახდა გოგო და მართლა არ უნდოდა.

სიგარტით გაყვითლებული თითებით ჩაის კოვზი უჭირავს „ბიჭს“. შემწვარი გოგრის გამხმარ კანს ურაკუნებს და ლაპარაკობს: — ღამით თითქოს ცეცხლი წაუციდესო, ისე აფრიალები, ფიქრი ისე წამეხვეა. ვერც ერთხელ ვერ შეეძელ ადგომა, თორემ კარგ რამეს დავწერდი. ღამღამობით ისეთ რაღაცებს ვფიქრობ ხოლმე, არ შეიძლება საინტერესო არ იყოს. სხვანაირად ფიქრობს აღმზიანი ღამით, სხვანაირად — დღისით. არ დამცირო. არ გეპატიება შენ დაეცინა.

მარიამს ცრემლიანი თვალები უღიმოდა.

— არ შემეძლო დღეს შენი უნახარობა, მადლობელი ვარ მასპინძლობისათვის, ნაღვლიანი მზერა მოავლო ირაკლიმ ოთახს და წამოვდგა.

— ასე, ჩემო ძვირფასო, — კარში გასვლისას ისე უცნაურად ჩააშტერდა, მარიამმა მზერა აარიდა.

„მე არ შემეძლია უიმისობა, მაგრამ ნუ მიყურებს ეგრე, ნუ მიყურებს ეგრე, ნუ მიყურებს ეგრე...“

— შედი ახლა, არ გაცივდე.

— არ დამივიწყო...

— არა...

ღუმელი გამოჩხრიკა მარიამმა. იმ ღუმელშიც საინტერესო ამბები ხდებოდა, ყველაფერი ერთმანეთს ებმოდა.

ყველაფერი ერთმანეთით იყო. გარედან დღეს მეტი არაფერი იყო მოსალოდნელი. გარეთ ახლა თოვლი იფიქსებოდა საღამოს ყინვით და მეტი არაფერი...

შემოდგომა უკვე ზურგშებრუნებული იდგა. მტერიანი, გაქვავებული ბილიკით გავიდნენ ქალაქიდან. იმ ბილიკის კიდებზე, მიწის გალოკილ ზედაპირზე ფესვებჩაკირული მინდვრის უმნიშვნელო ყვავილები გაწოლილი იყვნენ. მზესუმხირის ყვითელი, ხაოიანი ყანები მოჩანდა. ცივი, კამკამა ჰაერი სუნთქვას აპირებდა.

მიწიერი აღარაფერი შერჩა მარიამს. გადიდებული თვალებით დადიოდა. რაღაც მწველი აღმური უწვავდა ყელს, დამსკდარ ტუნებს. დადიოდა მწიერ-მწყურვალ. გახდა, გასაცოდავდა, მინც მადლობელი იყო ყველაფრის! უყვარდა ყველაფერი: „ღამაში მინდა ვიყო, რა იქნება, ვიყო ღამაში. ხომ ყველაფერში დევს უმაღლესი და აღსასრულბელი. ხომ შეიძლება ისეთი ვიყო, არ შეიძლებოდეს უჩემობა...“

ღაინახავდა თუ არა ვახეს, დატრიალდებოდა უცნაური სხივი, შეამკობდა ის სხივი როგორც შექალო. ასეთ დროს, ვატყუებო. ფიქრობდა. უშენოდ უნდა მნახო, რა საცოდავი და ჩანავლული ვხდებო, — ფიქრობდა მამინაც, როცა ვახე გაკრეკილ თმაზე წაღმა უტარებდა ხელს და ეუბნებოდა: „ჰემინგუეის მარია ხარ, ნამდვილი მარია“.

ახლა ერთად მიდიოდნენ მტერიან ბილიკზე. გვერდიგვერდ. ერთმანეთს მიკრულბებივით.

— შავი კუნელი! — იყვირა უცბად მარიამმა.

— მოდი, იცი, რა ვითხრა? ნუ შევალთ ტყეში, როგორც ცირკში ან ზოოპარკში, კარგი? — გასართობად და გასახალისებლად. ჩვენც ცოდონი ვართ, ტყეც ცოდაა. სტუმრად მივიდეთ, უბრალოდ მივიდეთ და უბრალოდ წამოვიდეთ. კარგი?

— კარგი. — მხრები აიჩეხა მარიამმა. ვახე გზის პირას ჩამოჭდა და სახე მზეს მიუშვირა.

აგროვებდა მარიამი შემოფარებული ფურჩქნის მწიფე ფოთლებს, ზებუნებრივებს. ასტივდა ყფა, დალილობა და სიცოცხლე იგრანო, — მისი არსებობის მთავარი ნიშანი და მიმოფანტა ისევ გრილი გალაქულზედაპირიანი ფოთლები, — უცნაური მორჩილებით რომ ჩაიშალნენ გზის დამრეც ნაპირზე.

შემოხვდათ რუ. — აგროსფერ ფსკერზე გამჭვირვალე რუ გადადიოდა. რონინით მიუყვებოდა ღამაზ კალაპოტს. ერთო ასკილის, კუნელის ღაღაღა ბუჩქები. გამოჩნდა ტყის ნაპირი. ფერადი ზოლები დაუყვებოდა ტყეს, პირჩაღმა მწოლიარე ბრძენაკას. ასდითდა ნათლის სვეტი, შემოდგომის ტყის სუნთქვა, ამ სუნთქვას აყოლებდა ტყე თავის სამოსს და შიშვლდებოდა.

ეს ყველაფერი საკმარისია საკმარისია, საკმარისია ერთი სიცოცხლისათვის, — ფიქრობდა მარიამი და სისავსე აბრჩობდა... ენერგულად ღამარაკობდა, ერთმანეთთან დაუკავშირებულ ამბებზე:

ვახე დროდადრო თმაზე ჰკოცნიდა. მერე ერთი უღამაზესი ლექსიც წაუკითხა, გაგიგონია შენ ასეთი ლექსიო?...

— კარგად კითხულობდა ლექსებს ვახე. — მე ასე ვფიქრობ, ადამიანს, რომელსაც ლექსის გრანობა არა აქვს, ყოველთვის ადგილგამოტოვებით, ძალიან შორიდან უნდა მოუარო. — გამოაცხადა უკებ.

— საიდანა ხარ შენ ასეთი მოულოდნელი? — დასცინა მარიამმა.

— დაბადებიდან. ოღონდ ნუ იქნები ენამოსწრებული, გთხოვ, — თითქმის ზეწწნით თქვა ვახემ.

მარიამმა თანხმობით გაუღიმა და შემოდგომის იმ უსასოო დღეს მამინვე დაქრა სიცოცხლის ფერმა.

— მე დავიბადე მუცელშივე დაწყველილი, წყველაშიც არის რაღაც პოეტური, არა? თქვი! — სასაცილოდ გაპირვეულდა ვახე.

— ჩემს დაბადებაში იმდენი ოცნება, პოეზია, ტანჯვა, სისამაგლე, სულმდაბლობა და მხეცობაა წილდებული, რომ

არამც და არამც არ შეიძლებოდა ჰკვირებოდნენ მეცხოვრა...

— კარგი! — პირზე ხელი ააფარა მარიამმა.

ვახემ საცოდავად დაალო პირი და გაწითლდა.

ჰკოცნიდნენ ერთმანეთს. შუა კოცნაში ირა ვაახსენდა მარიამს. იღვა იმათი სახლის წინ, თავის თავვისფერ პალატოს ჭიბეებში ხელგახაჩობილი, ჩექმიანი ფეხით ჰქვას აწვალუნდა და თვითონაც იმ ჰქვას დაჰყურებდა.

— მარიამ! — რაღაც წამღერებით ამბობდა ვახე ამ სახელს. — შენ მართლა ისეთი კარგი ხარ, როგორც ჩანხარ?

მარიამმა სასაცილოდ აიჩეხა მხრები და კიდევ უფრო სასაცილო სერიოზულობით უპასუხა:

— ხანდახან ვგრძნობ, რომ სულელი ვარ, ხანდახან იმასაც ვგრძნობ, რომ ჰკვირანი ვარ. მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ ხანდახან სულელი ვარ და სისულელე, ხომ იცი, როგორ ისჯება ამჟვეყნად.

— არ შეიძლება შენი დაკარგვა, მარიამ. ხუთი წუთით არ შეიძლება შენი დაკარგვა, — რატომღაც სევდიანად იღიმებოდა ვახე.

ისხდნენ ტყის პირას, და მადიანად ილუქმებოდნენ. მარიამი უცბად დაიხარა და ვახეს პურისკენ გაწვდილ ხელზე აკოცა ერთხელ, ორჯერ, ათჯერ... ვახე ღიმილით დაჰყურებდა ლამის მიწაში ჩაკარგულ მარიამს და რაღაცნაირი, მწარე ღიმილით ესერებოდა სული.

„ეს ყველაფერი საქმარისია, საქმარისია ერთი სიცოცხლისათვის“, — ფიქრობდა მარიამი იქაც, ტყის პირას, გზაშიც, სახლშიც, ყვავილებით და ასკილის ტოტებით მორთული დაღლილი რომ დაბრუნდა. ღამე, ლოგინშიც — თავის მყუდრო სამყოფელში. ხელზე კოცნის ქარიშხლიანი რიტუალი ბუნების სიღრმეში მოპარპალე ალივით კრთოდა და ეგრე კრთომაში ჩაქონა.

„ყინავს. საშინელი ამინდებია. წუხე-

ლაც წამოთოვა. საღაღაც ჰაერშივე დაშთავრდა თოვა, მიწას აწაფურქვესტყობია. აღარ გამოგახაფხულდა. დიდი ზამთარი იყო წელს, თოვლი ისევ დევს. ჰუჰყიან თოვლზე საშინელი შესახედავი არაფერია. ნარჩენი სიქათქათისა და სიხარულისა. ღობის ძირებში მიგრავილი თეთრი ჰუჰყი.

დღეს უცნაური დილა გათენდა. რაღაცნაირად დილასვე დაშთავრებული. ნისლი ჩანს ფანჯარაში. ნისლით არის შემოსაზღვრული ქვეყნიერება და ალბათ ამის გამო ყველაფერთან მისასვლელად მოკლე გზა დევს. ძალიან მენატრები. ბიჭს ოთხი კიჭი აქვს, უკანაც დაუსივდა ღრძილები. ახალი დარდი გამოჩნდა, მარცხენა ფეხი სწორად არ დაქვს. არ ვიცი, რითი ავხსნა ეს. დალასლასებს. ხან სად ჩამტვრევა, ხან სად. მარცხენა ხელი ღუმელისათვის მიუდვია და საცოდავად აქვს დამწვარი. თითები და ხელისგულიც დაწყლულებული აქვს. ყველაფერი ესმის: ენა, თვალი, ცხვირი, თავი, ყურები — ყველაფერს გიჩვენებს. გაჯავრებისას გვაფურთხებს. გარეთ გაყვანას თხოულობს. ყველას სთხოვს გარეთ გაყვანას. განსაკუთრებით თოვლში იწვევს. ერთი უღლეური გოჭი გვაჩუქებს. ოთახში გვეყავს, აწუხებს, თუ ხელში რამე უჭირავს, ართმევს და ატირებს. ხელებზე გვაგვს შენ და სიცილზე. ვწევარ ეხლა, ფეხებზე კატა მაწვევს და კრუტუნებს, ძალიან შეზარება ღუმელის ანთება. ავდებქი, გამოვალე კარი. შემოვარდა საშინელი სიცივე. ხელი გაცეკვი და აივანზე, პირდაპირ კართან მდგარი ნავთიანი ბოთლი ავიღე რვეულის ფურცლით. ავანთე ცეცხლი. ბოთლი ისევ ისე ხელგაყოფილმა დავდგი. მივეფიცე აგუზგუზებულ ღუმელს. გარეთ — თოვლი და ნისლი, შინ — შენ, შენზე ფიქრი, ჩემს ტანსაკმელს საწოლის ბოლოში ვაწყობ. სიცივეა. ზედ კატა მოკალათებულა და კრუტუნებს. წამოვავლე, დავიწყე ჩაცმა: მომკლა ამ ჩაცმა-გახდამ. როდის გაზაფხულდება და გამოიდარებს. მე მგონი, არასდროს, არასდროს...

დღეს მეოთხე კლასში ჭემიანი პური დაეკარგა ბავშვს.

სალამარაკო მიეცა სკოლას. ის კი, ვინც ჭემიანი პური მოიპარა — ფოსტალიონის გაბურძგენილი გოგო, — განადგურებული იდგა კლასის კუთხეში. კაბის კალთას აწვალებდა და ტიროდა. „კილოიანიო გვიდგა სახლში, რათ მინდოდა მაგის პავიდლოო“, — ცრემლი გაშრობოდა და საცოდაოდ სლუკუნებდა. აღამიანაღლა ივარგებს ეს ცოდვის შვილი?!.. შემეცოდა ატირებული გაჩეჩილი გოგო, პატარა დაუნდობელი მხეცების ალყაში რომ იდგა. დავეუცაცხანე ბავშვებს, ქურდბაცაცას თავზე ხელი გადავუსვი და ყურში ჩაქურჩულე, — მე ვიცი, რომ შენ არ მოგვიპარავს-მეთქი. არ მოელოდა და ისევ აღრიალდა. გულმოკლული წამოვედი დღეს სკოლიდან ამის გამო, საყდრის წინ დავებულმორზე ჩამოვჭექი ცოტა ხნით.

საყდარში დაქვეყილი, ბოლისფერი ხატები ყრია უპატრონოდ. აქა-იქ მამლის ფერადი თავებიც ელავენ. ლედვის ხე ამოსულა გუმბათმონგრეულ საყდარზე, გაწოლილა და სივრცეში აგრძელებს ზრდას. თუ ხელს შეახებ შტოზე, ისე დაირწყვეა, შეგაკრთობს ის საოცარი პარმონია, რითაც სავსეა მანძილი მიწასა და ცას შორის. ვიდექი საყდრით წინ მშვიერი. დაღლილი. გაყვარდეს, მშვენიერია ირგვლივ ყველაფერი მაგრამ საღამომდე რომ იქდე, არაფერი მოხდება. არავინ ჩამოვარდება ციდან, არავინ ამოძვრება მიწიდან, არავინ გაიზიარებს შენს ბედს. ისე კი რა ფასი აქვს ცხოვრებას. საყდრიდან ჩამოშლილი ქვიტკირი გაკრთობს. ბინდდება, რაც იმას ნიშნავს, რომ გეპატია ეს დღე. შეგიძლია, ზვალისთვის გადასდო ყველა საზრუნავი, მიიხედ-მოიხედო, გაიხსენო, ინატრო, იზოზინო. შევუძლები ახლა სახლში ამ ბინდს და ჩავყურებდი... ეს საყდარიც, ეს დამრეცი მღვლოც, ეს საღამოსკენ გადახრილი მზეც შენგან მოითხოვენ რაღაცას. შენა ხარ ყველაზე დიდი სასწაული ამქვეყნად, მაგრამ შენ ახლა მშვიერი ხარ. სახლში ჩამჭრა-

ლი დუმელი გელოდება. გასწვრტვებული საწოლები, გასარეცხა სამჭურჭლო და პატარა ლეკვი, რომელსაც მზიარული, ჯან-ლონით სავსე მოსიყვარულე დედა სჭირდება...

შორიდანვე დაინახე, ჩემი სახლის წინ შეშით სავსე ურემი იდგა. საბჭო დამპირდა ერთ ურემ შეშას და გამოუგზავნია.

შეშას ეზოში ყრიდნენ. ორნი იყვნენ — მამა და შვილი. შვილი, ზალიკო, ჩემი მოწაფეა.

დამავიწყდა დაღლილობა. ლორი და კარტოფილი მოვხარშე სასწრაფოდ. არაფიც შექონდა და გულს იმით ვიმშვილებდი.

კარგი კაცია პეტრე, კეთილმიმღიანი. სახლი მოვაწესრიგე, ვიდრე სცლიდნენ.

ცვიოდა ეზოში შეშა. შეშის სასიამოვნო სუნი დადგა. ხავსი სცივია ტოტებს და ეფინება ეზოს ტყის მოკითხვისათვის.

არ შემოდიოდნენ. ძლივს შემოვიყვანე ორივე, — გვერიდებოდა ერთმანეთის მეცა და ჩემს მოწაფესაც.

— პეტრე, როგორ არის შენი ცოლი? — ვკითხე ავადმყოფი ცოლის ამბავი.

— ეჰ! — ხელი ჩაიქნია პეტრემ და არაფე დაასხა.

ვიდექი ფანჯარასთან და აღარ ვიცოდი, სად წამელო ხელები ან რა მეთქვია...

ნოემბერი იდგა. ხომ უცნაური თვეა ეს ნოემბერი, მთელი შემოდგომა უბეჭიბეში აქვს ჩამშვებული და ზამთრის ცრიბიტისთვის თავმშვებული ილევა ყოველდღიურ ნისლსა და ზმანებებში.

საღამო სიბნელისკენ იფურჩქნებოდა. იმ საღამოს იმედი ჰქონდა მარიამს, ის იყო მისი ერთადერთი სამკაული, — საღამო.

ნაბიჯი გაეკრა აღმართს, ჩიტვით მიაფრენდა ის აღმართი. ორივე ხელი პალტოს ჯიბეებში ჰქონდა ჩაწყობილი. არაფერი აღარ ახსოვდა. ბრინჯივით დაებნა იმოდენა სათქმელი. მთავარია, ახლა არ ვიტყრო და ყველაფერი ვუთხრაო. — ფიქრობდა.

აღმართის თავში პატარა ბალია. ბალში შესვლისას ვახეს მზერა დაიჭირა. მუშტრის თვალით ათვლიერებდა. უკვე აღარ ეკუთვნოდა თავის თავს მარიაში. უკვე ყველაფერი სულ ერთი იყო. წვეთი, წვეთი ჰყოფნიდა. ტყემლის ხე ჯერ კიდევ ყვითლად ენთო. ხის გრძელი, წვიმისგან გახუნებული უქმი სკამი იდგა. ვახე შუა სკამზე იჯდა ფეხი ფეხზე გადადებული და მარიაშს ყურადღებით შეჰყურებდა. შავი პალტო ეცვა საყელოწამოწყული, ნიკაბი ფუმფულა კაშნეში ჩაეყო და ისე უხდებოდა ყველაფერი, მარიაშს გული ასტკივდა და რქვე ჩაინავლა. ეს უკვე ცუდის ნიშანი იყო. დაიწყო უაზრო სიცილი — აკვანში დანიშნული ვარ, არა ჯქონდეს ჩემი იმედო. ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ვახე გაებრაზებინა.

ვახე მშვიდად ითმენდა. უცბად ატირდა მარიაში. წამოდგა, მივიდა ხესთან, ზურგიტ მიეყრდნო და ატირდა.

ვახე ისევ ყურადღებით შეჰყურებდა — რა არის ეს ცრემლი? ჩვენი უცვლელ-უბერებელი სამკაული. როგორ გიხდება ტირილი, ეგ ტყემლის ხე, შემოდგომა.

მარიაში დაადო თავი და დაღმართზე დაეშვა. ვახე ადგილიდან არ დაძრულა, იჯდა ეგრე, უკვე ხელებითაც სკამზე ჩამოყრდნობილი და ფიქრობდა, „რა ვუყო ამ გოგოს, რა ვუყო?“ იჯდა მოშვებული, უნიათო. ვინმეს რომ ეთქვა, — ვახე, ვახე, მიდი, ეგე, სკამის ფეხთან რა ქვა გდია, გადააბრუნე და ბედს ეწევიო არ დაიხრებოდა.

მოვიდა ამ დროს შავი, გალუული ლეკვი, ისუნსულა ცოტა ხანს, მერე გამოყო პატარა წითელი ენა და ვახეს ხელი აღერსიანად გაულოკა.

ვახეს შეეძლო სახლში მოეყვანა ქუჩაში ნაპოვნი უპატრონო ძაღლი. ფეხი აერიდებინა შემოდგომაზე ძირს დაცემული ფოთლისათვის, არად ჩაეგდო წუთისოფელი (წუთისოფელიც ხომ არად აგდებდა), მაგრამ ვახეს ყველაზე მეტად შეეძლო დაკარგულიყო. დაკარ-

გულიყო უმისამართოდ დაღვეობით. მოულოდნელად გამოჩნდა დაკარგული ვახეს წერილი:

„აქ, მალალი, თოვლიანი მთების, მზონიანი ჰაერის, ხმაურიანი მდინარეების, უზომოდ ლურჯი ცის ფონზე კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება აგარაკზე მოტრიალე ხალხის უმწეო ყოფა. სიძვირეა. სიძვირითა და ხელმომჭირნეობით დაღდასმული ადამიანებით არის დასახლებული აგარაკი. ცივა დილით, ნისლი ოთახში შემოდის.

აჲ მგონია, ამ ხეებით, ყვავილებით, თოვლითა და წვიმებით, ცის ფერითა და სიმალეებით ნაქსოვი ხალიჩა აფარია-მეთქი ნამდვილ ცხოვრებას. ამ ხალიჩის ერთი კუთხის აწვევაც კი გვიმძიმს და ტყუილად ვიმკობთ გარედან თავს ამ ხეებით, ყვავილებით და სიმალეებით.

უცნობებს შორის გულდაგულ ვცხოვრობ, მაგრამ მაინც მენატრება ის დღე, როცა წამოვალ, დაეტოვებ ხის კოტეჯს. ნესტიან ლოგინს, საერთო ტულეტს და ზედმეტია ლაპარაკი, არამც და არამც არ შეეხარი თოვლიან, მწვანეან, მზიან მთებს, არც მდინარის ათასგვარი ხმები იწვევენ ჩემში რაიმე ნდობის მაგვარს, არც სქელი გაუვალი ნისლით დატბორილი გარეშემო. არც მზის სხივით გაკვალული გზა სასაუზმოსკენ.

ვზივარ ჩემს საფიქრალთან და საწერთან, როგორც ცივი, გაყინული მდინარის პირას. ვერა და ვერ ვბედავ შეტოვას და თანდათან ისევ მშორდება ნაპირი...

ეცხოვრობ და ველოდები წამოსვლას, ეცხოვრობ, გატანჯული ამდენი სიხასხასითა და სიმკვეთრით. ლამის დამაბრჩონ მთებმა. ტრაბახში ნუ ჩამომართმევ და ათიოდე ღერი თეთრი თმა შემძინეს ამ მთებმა. ჩაკიდებული ვარ რალაც მოტბო კვამლით საესე უფესკრულში და ვიტანჯები.

კოტეჯის აღმოსავლეთით მე ეცხოვრობ, დასავლეთით — ვილაკები. ერთმანეთს ვერ ვხედავთ. მე ჩემი შესასვლელი მაქვს, იმათ — თავიანთი. მზე

დილას ჩემს აივანს ახურებს, საღამოს— იმათსას.

კუნაპეტი ღამე იცის. ისეთივე მადლარი შავი, როგორც დღის სიმწვანე და ცის ლურჯი ფერი. ღრიალებს მთელი ღამე ცოფიანი მდინარე. ამ შავ, მაძარღამესთან, ამ ახლებულ მდინარესთან, მწვანითა და თოვლით შემოსილ მთებთან პირისპირ დარჩენილი ვფიქრობ: საღდაც, აქედან ძალიან შორს, ჩვენს დედაქალაქში, ადამიანის ხელით ნაგები ყველა სასწაული ფეხზე დგომაში გვშველის თურმე... როგორც მოწამლული ისარი, ისე მეცემა გულზე მზის პირველი, გამართული სხივი, მერე გრძელდება ხეებზე და ბალახებზე, ეს ხეები და ბალახები ჩემთვის გაუგებარი ნეტარებით ისრუტავენ სითბოს და სინათლეს... და მენატრება ჩემი ჩაქტილი ოთახი, ნაცნობი და ყოველმხრივ გასაგები, საღდაც, აქედან ძალიან შორს, ჩვენს დედაქალაქში, მეზობლებისგან ათვალისწინებული ჩემი კარი, ხაფი ხმით რომ იტყობინება ჩემს წასვლა-წამოსვლას...

დასავლეთით მცხოვრებ მოაგარაკეებს და მე ფიცრის კედელი გვყოფს. კედელი რომ აიღოს ვინმეს უხილავმა ხელმა. ასეთი სურათის მხილველნი გავხდებოდით: ერთმანეთს თავებით მიბჯენილ საწოლებში წვანან მთლად უცნობი ადამიანები, აგარაკის აუფთა პაერს იცოხნებიან და ოცნებობენ წასვლაზე. აქედან მე, იქიდან მამაკაცი, ქალი და ორი ბავშვი; მამაკაცს უჩილობის სენი აქვს შეყრილი. ქალი მიწვება თუ არა, სძინავს, ღრმად, გათენებამდე. კაცი მთელ ღამეს დადის, ოხრავს, დილინებს, სპიდოლას აწვალებს.

ყოველ ღამე ვფიქრობ, გათენდება და აუცილებლად ვეტყვი: „შენ, ჩემო ძმაო!“ დილით ამის თქმა შეუძლებელი ხდება. გამოუძინებელი კაცი გულითადად მესალმება, გამოძინებული ცოლ-შვილით მიდის საუზმის მისაღებად. ბიჭი, გადასარევი, გულღია ბიჭი, კისერზე უხის. გოგონა დედას მიჰყვება.

ვდგები ყოველ დილით თავგასიებუ-

ლი და თვალები მტკიცეა უმძლოობის აქ ერთი ინტელიგენტური გარეგანობის, გაურკვეველი ასაკის ქალი ისვენებს. თვალს ვერ ვარიღებ ამ ქალს, მისი ყოველი მოძრაობა, ცივი, მიუყარებელი იერი, შეხვედრა, განშორება შევლას ითხოვს. ყველაფერი ისე ეზარება, ისე ეზარება, კვდება. ციყვები დახტიან ტოტიდან ტოტზე. იმ ციყვებს უყურებს ზოლმე სახეზე უმწურო ღიმილით. ისე ეზარება ციყვების თვალთვალცი, კვდება. მაინც უყურებს, თითქოს ვიღაცის ჭინაზე.

ერთ დილას, როცა ყველაფერი თავისი გზით მიდიოდა და მოსალოდნელი თითქმის აღარაფერი იყო, ჩვენი კოტეჯის ახლოს გრძელმლაშჩიანი, თავგადაბოტრილი, სრულიად ახალგაზრდა კაცი დავინახე. იდგა გულხელდაკრეფილი, მწვანეთვალედიანი, ღამაში, ვაჟკაციური სახის მაღალი მამაკაცი — პირდაპირ ლიტერატურული გმირი — და ვიღაცას ელოდებოდა.

გამოვიდა ის სიცოცხლემოთავებულები ქალი, გაჩერდა, უყურა, უყურა, მერე ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა და დაეშვა თავდაღმართზე, მიდიოდნენ ერთმანეთის შორიახლო, ქალი ხმამაღლა იცინოდა და რაღაცას ყვებოდა გატაცებით.

რა უცნაური იღუმალეებით მოსავს ადამიანს მარტოობა. აი, თურმე როგორ სიცილი სცოდნია ამ ქალს, როგორ უხდება პატარა ფოსოები ლოყებზე, რა ღამაზად ეკრიბება საფეთქლებთან თმა. თვალები უციმციმებს და ალბათ ყველაფერი ციმციმებს და შინაარსს იძენს მის გარშემო.

წავიდნენ, ჩაიარეს... აღარ გამიდევენებია, არც ფიქრი, არც თვალი.

სული გასძვრაო, გამიგია, მაგრამ სხეული გასძვრაო, — არა. მე სხეული გამივრა მგონია და უსხეულო სული როგორღა მტანჯავს და მაწვალებს, მიკვირს, სხეული გამძვრა ნაღდად, აღარა მყოფნის, სუნთქვას აღარ მოსდევს, განზე მრჩება ეს ვერანა სხეული და რას უნდა ნიშნავდეს ეს ნეტავ...

დიდილილობით თბილ, ახლად მოწველილ რძეს ვსვამ. ხომ საინტერესოა, როგორ მოთავსდება ჩემს მოწამლულ სხეულში თბილი რძე.

მე ჭერ კიდევ ვერ გადავწყვიტე, სანდო აღამიანი ვარ თუ არა. რატომ მაკლია ასე სითამამე. თუ ვინმე მძულს — ეჭვით, თუ ვინმე მიყვარს — ეჭვით.

მიპქრის სანატრელი სიცოცხლე. მე კვლავ სირცხვილის არცოდნისა და ქენჯნის წინაშე ვდგავარ. როგორ დავწრიტო შხამი, რომელიც უნაყოფოდ არ გროვდება და რომელიც არნახულ, წარმოუდგენელ ცხოველს ზრდის ჩემში, არაფრის მაქნისს და დასტურია მხოლოდ წამების. ფარღალალა სხვენს მიგავს ყოფა, ცივი ქარი რომ დასისინებს შიგ და დაწყვეტილ აბლაბუდებს აქანავებს და ერთადერთი ღირსება გჰმაჩნია — ნდობა, სიყვარული, დანდობა მჭირდება...

სასაცილოა და, ყოველთვის მთლად უცნობი აღამიანის არსებობაში ვეძებ ნუგეშს, ასეთ ღროს თანხმობით რომ მილიმის ხოლმე საიდანღაც.

ალარაფერი აღარ მიტაცებს. აი, ჩემი არყოფნის მიზეზი. ბუნების ფერის ცვალებადობასაც კი ველარ ვგრძნობ. შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული. არათუ ვერ ვხედავ და ვგრძნობ, თუ თვალი შევასწარი, მაშინვე ვარიდებ. როცა ჭერ კიდევ არ ვიყავი მიღწეული შუაწელამდე, მეგონა, ყოველთვის გადამარჩენდა შემოდგომის ალერსიანი მზე, ასკილის მსხმოიარე ტოტი, მეგობრის თვალებში გადნობა. მეტი არაფრის მიღება არ შემიძლია ღმერთო!

ამ სტრიქონებს ვწერ მთლად ხელჩაქნეული და უილაჯო. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი დამთავრდა. როცა ყველაფერი დამთავრებულია, სადღა წავიდე, და გადავწყვიტე წერას შევეუდგე. რასაც ფიქრებ შენთვის, შენს მარტობაში, რაც გაწუხებს და გათრევიანებს ცხოვრების ტვირთს, შეიძლება საინტერესო არ იყოს? თუმცა შეძავობას არაფრით ჩამოუვარდება

შენი ყველაზე უნაკლო ბუნებრივი ლობა.

ახლა სძინავს აგარაკს. თვლემენტკვილები, დარდები. მიმედ გროვდება სიცოცხლის ეინი ნაგვემ სხეულებში. როგორ მინდა პატიება, ვის ვთხოვო, ვინ მამატიებს ჩემს უაზრო სიცოცხლეს. შენ, გეხვეწები, მამატიე ყველაფერი!...

ვახე იჭდა, ერთმანეთზე ჩაბლაუქებული ხელები მუხლებშორის ეჭირა და თავჩალუნული დაბლიდან შეპყურებდა მარიამს.

მარიამმა უჭრიდან დიდ ჩანთაში ჩააწყო ყველაფერი, ჩანთა სანახევროდ არ აესებულა. მზითვები, მზითვები ნახეო, — იცინოდა ვახე.

ავტობუსში ბოლო სკამზე დასდნენ. მარიამი მხრით ეკვროდა და თებოდა. თუმცა ცოტა რამეს არჩევდა. იდგა გულის არევაზედ სავსე წამები, საოცარი, დიდი ხნის ნანატრი წამები, — ცოლად მიჰყვებოდა. უკვე აღარ იყო მარტო. დამთავრდა მტანჯველი მარტობა. ვახე დროდადრო მალღიდან გადმოხედავდა და თბილად უღიმოდა.

ჩამოვიდნენ ავტობუსიდან. ვახემ თავის სახლთან ახლოს ჟასტრონომში შეიყვანა, — შამპანურს ვიყიდო. იდგა თავისი მზითვებით მარიამი ვასტრონომის კუთხეში. ვასტრონომში თბილოდა და საბანკეტო დარბაზივით ბზინავდა. ვახე რალაცას ედავებოდა, ელლიცინებოდა მოლარეს. მოლარე ქალი იცინოდა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა იმ სიცილიდან. შემოტრიალდა უცბად ვახე, მარიამს შუაზე გახეული ათმანეთიანი დაანახვა, — არ იღებენო. მარიამმა მოიჩხრიკა საფულე, ამოიღო თავისი კაბიკები და ცარიელი საფულე დაანახვა.

— კარგად დაიწყო ყველაფერი, — მხარზე ხელი მოხვია და თავისკენ მიიზინა ვახემ.

მერე სულ ამ ამბავს ჰყვებოდნენ სტუმრებთან.

მიუხალოვდნენ სახლს. უკვე აღარა-

ფერს გრძნობდა მარიამი, მტანჯველი სიციარიელის მეტს. ყველაფერი ისევ ისე იყო, ოღონდ დაზარდილოყენენ თოთო ხეები. მესერი შემოევლოთ იმ ხეებისათვის. დაყრავებულ ტირიფს ქარი ცალ მხარეს მიერეკებოდა.

ქარი გარედან შავ მტვერს დაეფარა. სახელური ცალ ლურსმანზე კონწილობდა და მოზრდილი ნახერტიდან თავისუფლად შეგვიძლო შეგვხედა ოთახში.

— აი, — გადაკეტა თუ არა ქარი, გამოაცხადა ვახემ. — აი, თითქმის შენი ფეხით მოხვედი. დარდი, ბოღმა, სტუმრები არ მოგაკლდება. დანარჩენი არაფერი მომთხოვო, იცოდე...

წინა ღამის ნამთვრალევეს დაღვეა უნდოდა და, ტუჩებგალურჯებული, ფეხზე ძლივს იდგა.

მაგიდაზე ბოთლები და ნამუსრევი ეყარა. გამოწიწილი შებოლილი თევზი იღო ღვინით დალაქვებულ სუფრაზე.

ღიმი ხნის ოცნება თავისი ნამღვილი სახით ეჩვენა მარიამს. უკვე სძულდა ეს წყვეული ოცნება და მაგიდის ალაგება ერჩია. ყველაზე მეტად ჭერს გრძნობდა, ჭერიდან იწყებოდა ცხოვრება.

დარეცხა ჭურჭელი, დაალაგა სახლი. ოთახი გაყენთილი იყო თამბაქოს სუნით. უკან დაჰყვებოდა ვახე და აჩვენებდა, სად რა იყო.

აივანი სავსე იყო არყის, ღვინის ბოთლებით, კონსერვის გახსნილი თუ გაუხსნელი ჭილებით.

საწერ მაგიდაზე მიყრილ-მოყრილ ქალღმერთებზე ერთგან ეწერა: „გ. რ. საღმი. არც მერამდენე წლის მერე დაგინახე შენი იტალიური ნაბიჯებით და ფეხქვეშ გამლხავალი თოვლის ფანტელით და სამყაროს ვერშეცნობით შეძრული გულით. რად ითხოვეს ქარით დაწვეული ხე ჩვენგან პასუხს, ან ცივი, მიუყარებელი ღამის ზეცა, ან თოვლის ფრთვიანა ან თვალბმბილულული ჩვენნი წარსული?..“

გარდერობში საცოდავად კონწილობდა ვახეს ორი თუ სამი ჭკელი ტანსაცმელი. ვიდაცას, ეტყობა, თანასუფრელს, დაუხატავს პროფილში და ზედ წაუწერია: „სასხოვრად ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ეს სიფათი!“ მაიკვიარში კიტრის მარინადი იდგა ქილით. ორად ორი ცალი კიტრი დაცურავდა თავისსავე წვენიში. ძეხვის გაყინული ნაჭერი იღო კიდევე.

— ხან ეგეც არა მაქვს, — თქვა მთლად წამხდარმა ვახემ. — ხომ არ შემოძულებ სიღარიბისთვის...

ალარაფრის თქმას აზრი ალარა ჰქონდა. ყველაფერი თავისით ხდებოდა. ჩამდგარი ქარაშოტით იყო ამოვსებული კუთხე-კუნჭული.

მერე დასხდნენ ერთმანეთის პირდაპირ. მგლებივით უყურებდნენ ერთმანეთს, მგლებივით მიიწვედნენ ერთმანეთისაკენ და დამშლელი ჭეყანაზე ალარავენ იყო.

ვახე კოცნიდა მარიამს და გონდაფანტული ჩასჩურჩულებდა:

— იცოდე, მეტი არაფერი, ცხოვრება. ეს ერთადერთი ბედნიერებაა, რომელიც პირდაპირ შენზე გაივლის, გაგიტანს, წაგიღებს, ალარ დაგტოვებს, მარიამ, მარიამ, მარიამ, — საოცარ თრთოლვას იძენდნენ ეს სიტყვები და კამარაგამოკრულები დაქროდნენ ოთახში კუთხიდან კუთხემდე.

მარიამს უჭირდა ხოლმე ცხოვრებაზე სამღურავის თქმა, რაკი იყო ის სიზმარივით ცხოვრება, — ღრუბლებისკენ გაკურებული თეთრი, ბოლომოქნეული მანდილი.

ვახემ მარიამის ბავშვობის სურათიც დაკიდა კედელზე. ათიოდე წლის მარიამს ბამბის წინდები მუხლისთავებთან უთავდებოდა იმ სურათში. ზედ მუხლისთავებთან ჰქონდა წვრილი რეზინი შემოჭვრილი, ტანწვრილ ხესთან იდგა, ხელები ზურგსუკან ეწყო და კბილებგამოტოვებული პირით გულიანად ილიმებოდა.

ვახე ტახტზე იწვა. გამხდარს, დარ-



დიანი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე და მარჯამს ეძახდა:

— მარიამ, მომიყვები, რა, ერთხელ კლდე „იორდანე დანე“.

შემოვიდა მარიამი, ისიც გამზადარი, ისიც დარღმებარული, ჩამოჭდა ვახესთან სულ ახლო და დაიწყო:

— ამოვთხრიდით ორმოს.

— მერე? — ვახე პატარა ბავშვით, სიამოვნებისგან კრუტუნებდა და მოსასმენად ემზადებოდა.

— რა მერე? — იცინოდა მარიამი.

— ამოვთხრიდით ორმოს, პატარას, ერთი მეჭის ბელოს, ჩაფენდით შიგ თხილის ფოთლებს, ჩავეყრიდით მკვებ ტყეშალს, დაეყრიდით მარილს, ისევ წავაფენდით თხილის ფოთოლს, დაეყრიდით მიწას და ვჩეჩქვავდით ქვით: „იორდანე დანე, ქალი მოყვანე, შეხტი მღლა, ითამაშე, ისევ წაიყვანე“. ვიმეორებდით გაუთავებლად „იორდანე დანეს“.

— მერე?

— რა მერე? სასობით გადავხდიდით ჯერ მიწას, მერე ფოთოლს და მიწაშეყოლებულ ტყეშალს ზიარებასაგით ვინაწილებდით. დაიწყოთბდით ორ-ორ ცალს თხილის ფოთოლზე და ვნეტარებდით.

— იმიტომა ხარ შენ ეგეთი კარგი გოგო, მიწაშეყოლებულ ტყეშალს რომ ჭამდი გაზაფხულობით, — დაცინოდა ვახე.

დამთავრდა თებერვლის თვე, ხან შუბა, ხან თოვს!

დავამთავრე შალის ქსოვა, ახლა წინდებს ვქსოვ.

მოდის გაზაფხული. მოვიდეს, რა ეჭნა წელს შეგნებული და მომზადებული ვხედები, ამოიდ მიწაწაგვს ბუწუწს გაზაფხულის ცივი ქარი, მეტისმეტად მომზადებული ვარ, ვზივარ აივანზე, მთელი ეზო ალანძულია საგაზაფხულოდ. ვენაცვალე ჩვენს ნიორა ყვავილებს, რა მშვენიერები არიან!

წუხელ სიზმარი ვნახე. შენს სახლში ვიყავი. გვერდიგვერდ ვისხედით შე

და დედაშენი. შენ იქ არ იყავი! მე ჩუქნ შორის მომხდარ რაღაც საშინელებას ვხედავდი და ვებგეწებოდი, გაერჩია მტყუანი და მართალი.

სიტყვის ჩაგდებას ცდილობდა საიდანაც იქ გაჩენილი შეილმკვდარი დედა. ე. ნ. გულზე ხელს ვაბჯენდი და ვებგეწებოდი, დამაცადე, ჯერ მე ვიტყვი, ჯერ მე ვიტყვი-მეთქი (ის თავის საწუხარს წუხდა).

გილო კარი და სიბნელიდან შენ შემოხვედი, მალალი, ბეჭბრტყელი, მეტისმეტად ჯანსაღი შესახედაობის. კარში ავციდი, შეუმჩნეველად და გავვარდი, არ შემეძლო შენთვის შემეხედა. ვერ მოვასწარი სახლიდან გასვლა, რომ გითხრეს, — მარიამი შენზე ძალიან ნაწყენიაო. დამეწია შენი ხმა, მეძახდი სასოწარკვეთილი, ხმამალა — „მარიამ, მარიამ“ — და მეძახდი.

მე დავბოდი შენს სახლში ზევით-ქვევით. ვიმალებოდი, კედლის კუთხეებს ვეკვროდი. რომელ სამალავშიც შევძვერი, ვერაფერმა დამიფარა. მაინც ვჩანდი, მაგრამ შენ ვერა მხედავდი და სასოწარკვეთილი მეძახდი: „მარიამ, მარიამ!“

რას შეიძლება ასე დაემალო?

მე მზარავდა ვანა მარტო ძახილი, შენი ლანდიც, რომელიც მეძახდა, მეძახდა, რომ გებოვე, ალბათ ეს იქნებოდა ჩემი ბოლო.

გამოფინენენ ვიღაცები ჩემ დასაკერად. იღვა დედაშენი ოდნავ გაბეცებული და თვალცრემლიანი.

შვილმკვდარი დედა განზე გამდგარიყო სიტყვაგამშრალი.

„მარიამ! მარიამ!“ — შემზარავად მექვინებოდა სისხლი ამ ძახილით.

უცხად ვილაც უცნობმა ქალმა მტაცა ხელი, თან ცალი ხელით პირთან მიტანილი შავი ყურძნის მტევანი ეჭირა. გავიწიე და სულ იოლად გამიშვა. გავვარდი, აჩხრიალებული რუების გასწვრივ მივბრბოდი და რაღაცას მშველოდნენ იმ რუის თეთარი შხეფები.

შენ კიბის თავში იდექი მარტოსული და ეული და მეძახდი. ბოლოს, უკვე

სამშვიდობოს გასულს, შენი ხმა მომესმა, — რა დაღლილი მოვედი, დასვენება მინდოდა და ახლა რაღა დამასვენებსო. მე გავრბოდი. საზარლად შევტინებოდა სისხლი ძახილით, — „მარიამ! მარიამ! მარიამ!“

ხშირად დამისიზმრებია, აბოზოქრებული მღვრიე წყლის ტალღები მოგორავს ყოველი მხრიდან (გახსენებაც კი შიშის კრუნაბტელს მგვრის). შუაში ვყოფილვარ მოტანებული, ის-ის არის, უნდა წამლეკოს, რომ დაოსებულს გამღვიძებია და მადლობა მითქვამს ღმერთისთვის, რომ სიზმარი იყო.

ასეთ საშინელ ტალღებში ვარ მოქცეული და გამოსავალი არსაიდან ჩანს. ვზივარ ჩვენს აივანზე, ჩალის სკამზე, ფიჭვის იატაკს წმენდა არ ეტყობა. ვზივარ ფეხებგადაწული, როგორც ვიცოდი, სათვალთ, ქაღარით და წინდასა ვქსოვ. ფიჭვი, ფიჭვიც კი დამელაღა. ძლივსა დალოდავს ჩემი ფიჭვი... ბედნიერების შუქი ჩაქანდება ხანდახან გულში არაფრის გამო. ბედნიერება გულის სიხალავათეა ალბათ. დამივლის ისევ ის ერთი სხივი, შენთან შეხვედრისას რომ მდენდა ნათელს და გავხედავ გზას. დავილაღე ცარიელ-ტარიელი გზის ყურებით. ავიხედავ და ვგრძნობ, მზერა დამიბერდა. ყველაზე უწინ თურმე მზერა უბერდება აღამიანს. ირაც დაიკარგა, აღარც მეველი მაინცდამაინც. მივეჩვიე მარტობას.

მარტობა უფსკრულში გადაშვებას ნიშნავს თურმე და კიდევ იმას, რომ აღარასოდეს გადაეშვები უფსკრულში“.

თაფლობისთვე იწურებოდა.

— რაზე ფიქრობ? — შეშფოთებულნი ეკითხებოდა მარიამი გარინდებულ ვახეს.

„ჩვენ არ ვიყავით ერთ უღელში შესამბელი ხალხი, უფრო სწორად, მე არ ვიყავი უღელში შესამბელი კაცი, რა ვუყო ახლა ამ ქალს, რა ვუბასუხო?“

— იცი, გუშინ ჩემმა მეზობელმა

რა მკითხა? რა გემრიელი ჭეუნები ღეროდის თქვენი სამზარეულოდან, მისი დაური ქალი მოიყვანე, რა ქალია ასეთიო... ამ მეზობელს დღეგამოშვებით ურტყამენ ხან ცოლი, ხან სიდედრი და მერე ნატკენ გულს სიამარის ნაყიდი პერანგითა და გერმანული საცელებით უამებენ...

— მარიამი რაღაც საშინელ სიზმრებს ნახულობდა ღამიღამობით. გამოღვიძებული და შიშით აჯანყლებული ვახესთან მიძვრებოდა. რა მწარე ყოფილა ეს თაფლობისთვე, თუ თაფლობისთვეც ჩემი გამწარდაო, — ფიქრობდა ავი წინათგრძნობით შეპყრობილი.

ყოველთვის ნასვამი ვახე შემოვიღოდა თუ არა, იტყობდა:

— მარიამ, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ შენი გულისთვის ძველ უბანს და ძველ ძმაცაცებს ვერ დავკარგავ. როცა არავინ, არავინ არ იყო ჩემს გვერდით, ეგენი იყვნენ ჩემი პატრონები. ვერ დავკარგავ, — უნამუსო ვარ, დავკარგო?...

გამოფხიზლდებოდა თუ არა, „საქმეს იწყებდა“.

საღაღაც ბნელ კუნჭულში ჰქონდა გადაშალული თავისი პირველი და ერთადერთი წიგნი. თავის წამალივით უფრთხობდა იმ წიგნს. ხვალღიდან საქმეს ვიწყებო, — გამოაცხადებდა ნამთვრალევი.

მარიამმა კარგად იცოდა, რასაც ნიშნავდა საქმის დაწყება. „საქმის დაწყების“ წინ ვახე დილაადრიან დგებოდა და წინაღამის ნამთვრალევი სამზარეულოში დაფრატუნობდა. ქვების სახურავს ახმაურებდა.

მარიამს ესმოდა ჭამის ხმა. ზიზლით სახე მოქცეული იწვა, მეტი აღარ შეეძლო.

არეული ვახე არახრახებდა ყველაფერს; სულ არ ვებრალებიო, — ტირილის თავი აღარა. ჰქონდა მარიამს.

მიუტდებოდა საწერ მაგიდას ვახე.

— გამორთე, ჩააქრე! ნუ დადიხარ! ნუ სუნთქავ! — ღრიალებდა წერაატანილივით.

იმეშავებდა ცოტა ხანს, მერე გარბოდა სახლიდან. მარიამს იმ მაგილისაკენ გახედვაც კი ზარავდა.

წავიდოდა ვახე ცოტა ხნით, დაბრუნდებოდა ისევ დაღლილი, მოყამული, ყველაფერი აღიზიანებდა, ყველაფერზე ყვიროდა. ატირებული მარიამის დანახვაზე გიჟდებოდა.

— გაგითავდა ოცნება? გაპულოდი, გენაცვალე, ირას. თავის დროზე წავიდოდა და თავის დროზე დაბრუნდებოდა. შინ მობრუნებული მოგიყვანდა დედალ-მამალ ხოხობს. შებათ-კვირას წახვიდოდით თელავის ბაზარზე. გახვებდით მანქანას, გაჩენდით ხუთ შვილს — ჯანმრთელებს, ლამაზებს, არ გინდოდა?! ახლა მივდივარ. — სახეშეშლილი ვახე საზარელი სანახავი იყო. — ვიდრე შოვალ, არ დამხვდე, წადი! წადი! — ღრიალებდა და ისროდა ყველაფერს. როცა გასატეხი აღარაფერი რჩებოდა, გარბოდა.

დაიკარგებოდა ერთი კვირა.

მარტოობით დაღლილი მარიამი სიტუვლით არიდებდა თვალს ვახეს სურათს. იმ სურათში ჯიბეებში ხელეზნაწყობილი ვახე იღგა, ოცდაორი წლის ულამაზესი ვახე და მორცხობის გამო საღაც განზე იყურებოდა.

სახლიდან გამოსული მარიამი თავისუფლად სუნთქავდა. ხარბად უგდებდა ყურს ყველას და უფრო და უფრო თავისუფლად სუნთქავდა. ჩვეულებრივი ხალხი, ჩვეულებრივი ცხოვრება. არც ერთი სიტყვა არ გამოეპარებოდა. ავტობუსში მძღოლი რაღაცას უყვებოდა ნაცნობს. მარიამს სმენას უტკობოდა შოფრის ნათქვამი ყოველი სიტყვა და უყვარდა ის შოფერი. ასეთ დროს მზად იყო შუბლით გაერღვია ყველაფერი, და მერე აუტანელი ფიზიკური ტვიღობით საღაც გაუჩინარებულყო, ოღონდ ყოველდღე, ყოველ წუთს არ მჯდარიყო თავისი სიყვარულის, თავისი ოცნების გამტყნარებულ სარეცელთან.

მძიმე იყო ვახესთან ცხოვრების საზღაური და აუტანელი.

\*\*\*

მთვრალი, თმაგაჩეჩილი უპაპო სახით შემოდოდა ხოლმე დაკარგული ვახე სახლში.

„მე თქვენი ბინა, შემოვალე თუ არა კარებს, დამხვდება, თითქოს ვამარცხებდი საღაცა დევებს. მამხნევებს იგი, მაიმედებს, მკიცხავს, მარიგებს, არავითარ გესლს და სინანულს არ გამაქარებს“. კარგი რამეა გაგლეჯა, მარიამ! პირდაპირ იატაკზე ყრიდა ტანსაცმელს და აბაზანაში შედიოდა.

აღარ შემძლია მეტი, დარდი მერე-ვით, — შესჩიოდა მარიამი.

— ოხ, რა აუტანელი სიამაყეა იმაში, რომ სულ დარდი გერევა და სულ უბედური ხარ! — დასცინოდა ვახე. — რამდენჯერ დასცენია თქვენს სულს უფაქიზესი, ყველაფერზე მშვენიერი, თავის თავში გამხელილი ფიქრი და წვედომა. რამდენჯერ გლომებია დაგინახონ, დაგიჯერონ, გიწამონ და რამდენჯერ გიგრძენია ბედნიერება იმის გამო, რომ არაფერს ისმენს შენს ფიქრსა და გულის პასუხს. არ სჭირდება ამას წამალი? თქვი, თუ არ სჭირდება და არ დაღევე... —

„არ ვუყვარვარ, შევეცოდე და იმიტომ მითხოვა“, — ფიქრობდა მარიამი და ცდილობდა არ ეტირა.

აბაზანაში ვახე თან ბანაობდა და თან ლექსებს კითხულობდა. ისმოდა აბაზანიდან: „თორემ ღამეში გათეთრდები, როგორც თენება“...

მარიამს ბრაზი ახრჩობდა. ეცოდებოდა ლექსის პქარები. მიეარდებოდა აბაზანის კარს და კვილით ეუბნებოდა:

— გაჩუმდი, ვახე! გაჩუმდი! ნუ შემადილე ყველაფერი!

ვახე ხარხარებდა:

— ყოჩაღ, მარიამ, ყოჩაღ, არავის არა პყავს ჩემისთანა ცოლი!...

მერე ჩაიცივამდა ქათქათა პერანგს, დაჯდებოდა მაგიდასთან და კბილით ხსნიდა ბოთლს:

— ასე ვიცით ჩვენ, ლოთებმა, ასეთი საზიზღრები ვართ ჩვენ, ლოთები!

ხომ შეუძლებელია შეგეხარბოს სიხარულით აღტაცებული, ბედნიერი ადამიანისა, როცა შენ დარდის მფლობელი ხარ. ასევე შეუძლებელია გშურდეს ფხიზელი, ჯანმრთელი, დიდი მომავლის მქონე კაცისა რაიმე. მარიამ! მარიამ! ერთ ქალად მარტო სახელი ღირს. რა სახე აქვს ამ შობელძალს! ხომ გეუბნებოდი, დამანებე თავი, მარიამ, დამანებე თავი, თავი დამანებემეთქი. ერთი უუპურეთ, რა სახითა ზის!..

— თუ არ გიყვარვარ, წავალ, ვახე!  
— მარიამი ტახტზე მოკეცილი იჯდა და თავუღებლად ამბობდა, — წავალ!..

— ოხ, შენი უნიჭო დედა ვერავინ ვერსად ვერ მიდის და შენ სად წახვალ, სად წახვალ, ჩემი ბრჭყალი გაქვს გაკრული. ჩემითა ხარ მოწამული, — ქირქილებდა ვახე.

— რატომ ფიქრობ, რომ მარტო შენ არჩევ მტყუანს და მართალს, მარტო შენ გიჭირს სიკვდილისათვის სიცოცხლე, — მარიამი თითქოს არავისთვის ამბობდა, რასაც ამბობდა.

— მე ყველაფერმა წამლეკა, კარგმაც და ცუდმაც. ძალა აღარ შემიწევს, შეველრიხო ჩემს ცხოვრებას, იმიტომ, რომ ახლაც არ ვიცი, როგორ უნდა მეცხოვრა უკეთ, რომც მასწავლოს ვინმემ, თავიდან მაინც ვერაფერს დავიწყებ...

— მოიკალი ბარემ თავი, რატომ არ იკლავ? — ჰკითხა მოულოდნელად მარიამმა დაუნანებლად.

— მე დიდი ხნის მკვლარი ვახლავარ, ჩემო ქალბატონო. რამდენჯერ მიფიქრია, რად გინდათ მეტი საკვირველება, მკვლარი დადის ქალაქში, მკვლარი დადის-მეთქი. თანაც წარმოუდგენელ სისულელედ მიმაჩნია წინ აღვუდგე საკუთარ არსებობას, რადგან მკვლარი დიდხანს მაინც ვერ ივლი ქვეყანაზე. თანაც მე ბედს სულაც არ ვემდურები. აბა, როგორ დავემდურო ბედს, როცა თვით ჯოჯოხეთზე აღვლენილი წუთები მახსოვს. აი, ახლაც: დავბრუნდი

სახლში წასული, გადაკარგულნი შენკენ რომ მოვიწყვედი, ვხვდებოდი, რას ვერ ველოდი ამ წუთისოფელში. ვერა ვერაფერი დამიჭერდა ისე გულმოდგინედ, ისე შწარედ მაგდებს ცხოვრება გზიდან. სული მილიმოდა. აი, რას ვერ ველევი! მე ხშირად მიტირის სული, ხშირად მიტყუნავის, ხშირად მბარდნის, ხშირად მაწვიმს, ხშირად მიყმუის, ხშირად მიკივი და ხშირად შხამით მევსება. ძალიან იშვიათად მილიმის სული. სული მილიმოდა, როცა შენკენ მოვდიოდი. ჩვენი სახლი ეს ის ადგილია, სადაც ყოველთვის შეგიძლია მოხვიდე, შშიერი, ხელეზგაყინული. ვაიხადო სველი ლაბადა, დაჯდე მაგიდასთან, ხელები დააწყო ზედ და გამოიხედო ისე, როგორც შეგიძლია. აი, ასე მოვიწყვედი შენკენ, შენ რა ჰქენ, მოახერხე ჩემგან განწყენდა?

— მე მხოლოდ შენით შემიძლია განწყენდა, — მარიამს თითქოს ახლა გაახსენდაო ვახე, ისე შეხედა.

ვახეს ცრემლები წამოსცივდა, შიშველი ხელებით იწმენდა სახიდან. — ნახე, რა ჭიშმითივით იბნევა ეს ოხერიო, — და ღონიერად იქნევა ცრემლიან ხელს აქეთ-იქით.

— ჩვენ ერთნაირად გვახრჩობს როგორც ცხოვრების მწვირე, ისე სილამაზე. სოლამაზემ იცის ხელუქუღმა სახეში ცემა, მე მკლავს შენი საცოდაობა, მაგიყებს შენი ბავშვობა, მუხლზეთან გათავებული ბაშის წინდები, შენი გაწბილებული სიცოცხლე და ჩემი უმაქნისობა მკლავს კიდევ. მთელი ცხოვრება ვეშალები საწერად. გაელვებულ ფიქრს, სათქმელს იქვე ვეთხოვები იმ ერთ დღემდე, როცა დაეჯდები და დაეწერ. მანამდე კი ჩუმი სიხარულით ვეშალები იმ ერთ დღემდე. გამოთხოვება უფრო ადვილია, ვიდრე შებმა. წერის დროს ყველაფერი შიგნით რჩება, ქალაღზე წყალ-წყალა უნიათო ფიქრი ძლივს გადმოგვაქვს. დანას თუ არ გაიყრი, მზად უნდა გქონდეს მაინც მწერლობა-

ზე შემდგარ კაცს. ჭრილობების, ჭრილობების ფასად ვალწევთ ყველაფერს, მით უფრო, რომ ხევში გადაყრილი კნუტებივით ვიზრდებოდით. ვერ ვიტან უნიჭობას. რატომ არ უნდა გძულდეს უნიჭო ისე, როგორც უნამუსო ადამიანი. განა რა არის ნიჭი ისეთი; ნიჭი ხომ სილამაზის, სიკეთის ტარებისა და გადაცემის უნარია, სადაც სულის, გონების კუნჭულში დამალული, დაფარული გაქანებაა. მტკივნეულია მისი შეგრძნება, მაგრამ, როცა აღარ აწყდები შენივე გონების პიტალოს, როცა გამოდიხარ შენი სხეულიდან, როცა იღვრები, იწრები და შენს უნებურად ქანდაკებები, მაშინ არ შეიძლება იყო უბედური შიმშილის გამო, წყურვილის გამო, მეორე ადამიანის გამო. მაშინ შენ ისეთი ხარ, როგორც გაჩნდი, რომ აღეზარდათ შენში ღმერთი და სასოება.

არ გეზიზნება მაძლარ პოეტთა სასტიკი ჯარი?

სად არიან ისინი, სად? სულის წვიმისაგან მადაწართმეულები, გამხრები, ქლექიანები. წვიმისა და ქარში სიცივით ამოტუხულები, თავიანთი თავის უბედურები, ბაღში ძირნაყარ ფოთლებთან ღამის გამთენებლები? დგანან ახლა ეს მაძლარები, თავიანთი სასახლეების აივნებიდან საღამოს უთვლიან, ხელის აწევით ესალმებიან, ეტოლებიან იმათ — ლოთობით, უსახლკარობით, თვითგვემითა და შიმშილით სულამობდილთ, უბირთა და უმეცართ. ასე მგონია, ღამობობით სხედან და მემუარებს წერენ, რომ როდისმე გასაგები გახდეს, რომელ ჭეშმარიტებას მსახურებდნენ, რა იპოვეს, რას მიიგნეს, რის ფასად ჰყიდნენ ლექსის ფეთქვას და საკუთარ სინდისს...

— ვახე, გაჩუმდი ცოტა ხანს, დავილაღე! — შეეხევეწა მარიამი.

— როგორ ვისუნთქო. განა შეიძლება შენი უბადრუკი ნაზარევის ხარჯზე ისუნთქო? განა რამდენი მნიშვნელოვანი აზრი შეიძლება არსებობდეს სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის? ისინიც, ის გენი-

ალური აზრებიც მკვდარი ბუჩუბივით ცვივან, როცა ცხოვრება დაუნდობელი „მუხამორი“ — შემოჰკრავს. ვერ ვიციწყებ ვერაფერს. სირცხვილი მკლავს ჩემი უბადრუკი ცხოვრების გამო. განა იმიტომ მიყვარხარ ასე, რომ ჩემი შვილი ხარ და მე ვაგაჩინე, ჩემთან ერთად რომ ცხოვრობდი და ჩემსავით იტანჯებოდი, ეს არის ყველაფერი. — მეტყოდა ხოლმე დედაჩემი. ჩვენი ცხოვრების ყველა ფურცელი, თუ ჩვენ ერთად დავსდებოთ და თვალს გადავავლებთ, ჩვენი თანაცხოვრებით იქნება საესე. ჩვენი ცხოვრების ყველა კარიელი დღე სინამდვილეში იყო ერთიანი გმინვა, გმინვა ცხოვრების კირთების ქვეშ. ყოველთვის, როცა ქუჩაზე გადაგიყვანდი, ვიდექი ხოლმე და გიყურებდი მიმავალს. მახსოვს, ერთხელ იდექი, შარვალს ორივე ხელით აქეთ-იქიდან ექაჩებოდი, მაღლა იწვევდი, თან დიდი კაცივით იფურთხებოდი: — ფუჰ, შეშვამა ამ შარვალმა! ვიდექი ქუჩის ერთ მხარეს მე, მეორე მხარეს — შენ. ღმერთო, ვილაცა პატარა ბიჭი, ვილაცა პატარა ბიჭი იკრიჭება უცხოსავით-მეთქი. მეცოდებოდი საშინლად. მეცოდებოდა შენი ფეხის გულები, ღამობობით რომ გიფუქვდებოდა ჩემი არსებობით გამოწვეული ნეტარებით. და ვგდე ხოლმე „საბერე კიტრივით“.

დამტოვებდა მარტოს, ხვეწნით, მუდარით, — არ წახვიდე არსად, არ შეაწუხო არავინო. მომბეზრდებოდა მარტოთა, გაცივდოდი მეზობლის ქალთან. შეიძლება მოვიცადო თქვენთან, დედას აგვიანდებოდა-მეთქი. შემოდი, მაგრამ არაფერი არ აგვიანდებოდა საწყალ დედაშენს, არა გრცხვენია ამხელა ბიჭს, მშობრა რომ ხარო.

მოვიდოდა დედაჩემი, ჩამაფრინებოდა ქორივით და ისტერიულად მივიოდა: „რატომ შეხვედი, რატომ შეხვედი!“ — და შენ ახლა გინდა არ დავლიო და მწყობრად ვიცხოვრო?

ვიზრდებოდი და თანდათან ყველაფერი ხელიდან მეცლებოდა. თანდა-

თან კი არა, ყოველდღე, ყოველდღე მიცარიელდებოდა სული და გაუგებრობის ბურუსით მეცხებოდა.

ერთხელ საჩუქარს მატანდა ერთ პატივეცემულ მანდილოსანთან. მე არ მიყვარდა ის პატივეცემული მანდილოსანი. შენგან უფრო გაუხარდება და უფრო ლამაზად გამოვა ყველაფერიო, — მეხვეწებოდა დედაჩემი იმ მანდილოსნის კიბესთან.

— არ წაველებ, არ წაველებ-მეთქი, — გავყვიროდი.

— დედა, რა ძუნწია ეს ბავშვი! სხვა დროსაც შემინიშნავს, სხვათა შორის; ვის ჰგავხარ ასეთი ძუნწი, ბიჭო? დედაშენი ასე კეთილია და შენ ვის ჰგავხარ, — ქულზე ხელი შეივლო პროფესორმა, თავაზიანად მიესალმა საცოდავ დღეში ჩავარდნილ დედაჩემს და ჩაგვიარა. ძირს დავანარცხე ყველაფერი და ავღრიალდი. დედას გიტირებ, დედას გიტირებ-მეთქი, — ვლნაოდი ტუჩებგალურჯებული და ვინმეს რომ მოეცა ის პროფესორი, მოვკლავდი, დავახრჩობდი... არ მავიწყდება, არაფერი არ მავიწყდება, ღმერთო, და ეს არის ჩემი უბედურება. შიშის გამო, შიშის გამო ეკვრიან ერთმანეთს ადამიანები. შენც უნდა აშინებდე ვინმეს. შენ კი ავღიხარ ნედლი კუნძივით და ხრჩოლავ. ყველაფერს ზედმიწევნით კარგად ხედავ და ხრჩოლავ, ვინ გაპატივებს ამს?! —

— „რა ჰქვია იმას, — ყველა ტკივილში ჩახარხარებას, ყოველი დარტყმა უნდა გადიქცეს სულის სიმღერად; რა ჰქვია ღამეს — განვლილ დღეს; მკვდარ კატას რომ არ გიჭრობს თვალთაგან, როცა გაქვავებული საგნები, ნივთები შენგან ელიან სულის ჩაბერვას, როცა საკუთარ მხრებზე გადაგაქვს ვეება ღამე; რა ჰქვია იმას — ყველამ ტკივილში ჩახარხარებას“, — მარცვალ-მარცვალ წარმოთქვამდა თითოეულ სიტყვას...

იმ დღეს დირექტორის კივილმა შესძრა სკოლა. ობოლაშვილების მთასავით გოგო წიხლის კვრით გამოაგდო

კლასიდან „დეფექტურისა და ტრლანდის“ ძახილით.

გამოცვივდნენ მასწავლებლები, — ზოგი კლასიდან, ზოგი სამასწავლებლოდან, — გათხოვება უნდა, ბატონო, გასათხოვრად აპარპალებს თვალებს, ჩვენ კიდევ ვაძალებთ; გინდა თუ არა, ისწავლეო.

გოგომ კარგად გატკიცინებული ცხვირსახოცი გამოიღო გატიკნული მაჯიდან და მშრალი თვალები მოიწმინდა სირცხვილით აღნაძულმა.

— აი, ბავშვი, — ახლა თვედროაშვილების მსხვილნაწნავიანი, თეთრ ბაბთებში გაფურჩქნელი გოგო გამოიყვანა დირექტორმა. შეხედეს ერთმანეთს, ძლივს შეიკავეს სიცილი, — ამან თუ ისწავლა, შენ რატომ ვერ ისწავლეო. „გამზარდლოს“ რომ მოწაფე არ ისწავლის, ის მოწაფე მოწაფეა? მაგრამ პაპაშენმა არ იცოდა, მამაშენმა და შენ რატომ უნდა იცოდე მაინცა და მაინცო, — და შეიჯახუნა კლასის კარი.

აბუხული იღგა დირექტორის ცოლი — შრომის მასწავლებელი — და ქმრის ყოფაქცევას შეშფოთებით ადევნებდა თვალს.

წაესივნენ მასწავლებლები ობოლაშვილების ჯიშთან გოგოს; იმდენი ქნეს, ბოლოს აატირეს. წაეიდა ტირილ-ტირილით მშობლების მოსაყვანად.

შებრუნდა მარიაში ავივივებულ ბავშვებთან, არ შეეძლო გაყვეთილის ჩატარება.

ფანჯარას ფიფქების კორიანტელი მოაწყდა. ქარი ატრიალებდა თოვლს. ნეტავ ფიფქებს, ნეტავ ქარს, ნეტავ სახურავს, რომელზედაც გადააქვს და გადმოაქვს თოვლს კორიანტელი; ნეტავ აკაციის თოვლისკენ გაძარღულ ფოთლებშერჩინილ ტოტებს; ნეტავ, ნეტავ...

ფეხებშეკოჭილი იები მოუტანეს დღეს მეშვიდეკლასელებმა.

„უყვარვარ ნეტავ ამ ბავშვებს? საკმარისია აილო ჯოხი, დადგე რუკასთან და დაიწყო სულისა და ხორცის გამთიშავი, სიცოცხლესთან ახსო-

ლუტურად დაუკავშირებელი ამბები, იმ წუთში, როგორც ჩრდილდაცემული ლოკოკინები, ისე შეიძურწებიან საკუთარ ნიქარებში“.

იჭა მაგიდასთან და სათითაოდ ათვალიერებდა. თვითონაც უყურებდნენ პირდაღებულ შოშიებივით... არც იმათ უნდოდათ გაკეთილი, არც იმათ იცოდნენ, რა უნდოდათ. არ შეეძლო გაკეთილის ჩატარება.

— შეშას ვინ დამიჭრის? — იკითხა. მგლებივით გამოცვივდნენ ბიჭები მერბებიდან.

— ჩუმად, ჩუმად, ფეხისწვერებზე ჩაღით, დირექტორმა არ დაგინახოთ... ბიჭები გაკვივდნენ.

— რა ვქნათ ახლა ჩვენ? — გოგონებს მიუბრუნდა. — გაკეთილი იცით? ილიმებიან გაუბედავად, იციან, ვაი... „ძალღებო, ძალღებო!“ — მარიამი სიყვარულით უყურებდა უკვე დაქალბულ გოგონებს. — „ძალღებო, მეშველება რამე?“

— მასწავლებელი, დაბატიებული ხარო ესმას ქორწილში? თმას რატომ არ იღებავთ? ბიჭს ვისი სახელი დაარქვით? — რიგ-რიგით და განუწყვეტლივ აძლევდნენ კითხვებს.

— სიყვარული არსებობს? გადმოწვა მერხზე მწითური, ჭორფლიანი გოგო და შემოიღო ყბაზე ხელი. გაინახა მთელი კლასი.

— არსებობს, — თქვა მარიამმა უბრალოდ. — არსებობს. ეს ერთადერთი რამეა, რაც არა მარტო არსებობს, არამედ არსებობაზე ათიათასჯერ მეტია, — იმ ჭორფლიანმა გოგომ ნიშნის მოგებით გადახედა ამხანაგებს.

ქარი თოვლს ისევ ატრიალებდა, მაგრამ სააქაო პირი აღარა ჰქონდა იმ თოვლს...

ვახე ზიზლით უყურებდა თავის სისხლგამშრალ ცხოვრებას (რაც დრო გადიოდა, უფრო უჭირდა).

იქნებ შეიცვალოს რამეო, — იმედით უყურებდა მარიამის გამობერილ მუცელს.

— აი, მე რა მაქვს! — მანდალსაც, პიჯაკის რომელიღაც კუთხულსაც და სორსლილი კოცდახუთმანეთიანი ამოიღო, მარიამს საფულე გამოართვა და შიგ ჩაღო. — საღილი ხომ გვინდა, ბაზარში წავალ დღეს.

საბაზრედ ემზადებოდა, ხელში ცალი ფეხსაცმელი ეჭირა და ისე ლაპარაკობდა:

— ბიჭისთვის მე ვიშოვი ფულს, ყველაფერი ექნება. ბიჭი იქნება, სულ პატარა წამოყინულ ბიჭს ვხედავ ძილშიც და ღვიძილშიც. ბიჭი იქნება და ელზბარს დაეარქმევა, როცა წამოიზრდება და მე აღარ ვიქნები, გკითხავს, ელზბარი რატომ დამარქვიო. შენ უპასუხე, ერთ ძალიან კარგ ბიჭს ერქვა ქართულ ზღაპარში და იმიტომ დაეარქვი, რომ მინდა შენც კარგი და ჭკვიანი გაიზარდო-თქო და იცი, რას გიპასუხებ? შენ არ მეჩხუბო, არ მიყვირო და კარგ ბიჭი გავიზრდებო... დაარქმევე ელზბარს?

მარიამმა თავი დაუქნია.

— მე თუ მიგრძნობს, როცა აღარ ვიქნები? რატომ არ მპასუხობ? მიგრძნობს?

— გიგრძნობს, თუ მოვა და საფლავის მიწას ხელით შეეხება, — რალაცებს საქმობდა მარიამი.

— მიგრძნობს, თუ ყურს დაუგდებს თავისი წარმომავლობის საშინელ სიჩუმეს? — ვახე სულ გამოაცარიელა ამ სიტყვებში. — ვის ვაჩუქო მწარე სევდა ჩემი არყოფნის? — გაფრენის გუნებაზე დადგა უცებ. — შენ? არ მეყოფა გამბედაობა. ჩემს შვილს? ყველაზე მეტად მას დამშვენდება, მაგრამ ვაითუ არ ინდომოს სამკაული ცრემლის და ნატვრის? — ვის ვაჩუქო მწარე სევდა ჩემი არყოფნის, ჩემი სულმოკლე ბედნიერება?!

— მოდი ჩემთან! — დაუძახა ვახემ ოთახში მობოროილე მარიამს.

შემოვიდა მარიამი. დადგა ხელეზამოშვებული, წელში ოდნავ გადაზნექილი.

— მაჩვენე შენი ხელები, — სთხოვა.

მარიამმა ეგრევე ხელებჩამოშვებულმა გამოუჩინა ხელისგულები, ვახემ თვითონაც ხელებჩამოშვებულმა ააფარა თავისი ფართო ხელისგულები მის უმწეო ხელისგულებს:

— ნუ მიმატოვებ! შენ ერთადერთი ვინმე ხარ, ვინც მისხალ-მისხალ მააშკარავეს, დაუსრულებლად, დაუსრულებლად. მე სიცოცხლეშიც და სიცოცხლის მერეც მჭირდება შენი არსებობა. შენ იცი, რას ნიშნავს, როცა ვინმეს სჭირდება, ამიტომ ნუ მიმატოვებ...

ვახეს თავისი ვანუყრელი უსახელო შავი პიჯაკი ეცვა. თეთრი ქათქათა პერანგი, თვალების შუქი ადგა მის ლამაზ, ვაჟკაცურ პირისახეს. ოღონდ ყველაფერს ფერი ჰქონდა გადასული. ოღნავ მტვერწყარლის, დიდი ხნით თვალშიფარებულის იერი ედო.

კიდევ უფრო ფერგადასული იდგა კართან ბაზრის დიდი ჩანთით ხელში და გრძნობდა, არაფერი ჰქონდათ საერთო წელანდელ აღსარებასა და ახლანდელ გზას, — გზას ბაზრისკენ და შუაგულ ცხოვრებისკენ.

გვიან საღამოს ლოდინით დაღლილმა მარიამმა ზარის ხმაზე კარი გააღო, ზღურბლზე თავშეკავებულად მთვრალი ვახე ირწეოდა. ზურგს უკან უბნელები იდგნენ არყის ბოთლებითა და მოლოდინის ღიმილით ყბააცირულები.

მარიამმა ცხვირწინ მიუჯახუნა კარი ყველას, შემობრუნდა და საშინლად ინანა. საკერავს მიუჯდა. ელოდა, როდის შემოვიდოდა ვახე და როდის დატრიალდებოდა უბედურება.

ვახე მარტო შემოვიდა, მარიამისკენ დახარა და ყურში უთხრა:

— ეგეთი რამე კიდევ ვაგვიკეთებია, მოგკლავ! — შეტი არაფერი.

სამზარეულოში ამოჩემებულ სკამზე იჯდა ვახე.

— ეგ რა ჰქენ, მარიამ, ეგ როგორ გა-

აკეთე... — და საბარალოდ ზღირმებოდა.

— სხვა დროს უარესს ვიზამ, თვითონაც არ იცოდა, როგორ თქვა მარიამმა.

— მარიამ! თუ გინდა, წადი! ალბათ, ვერ გაუძლებ ასე ცხოვრებას, გათენდება და წადი! შენთვის ძნელია ასეთი ცხოვრება, შენ მშვიდი, ადამიანების შემოღებულნი წესებით ცხოვრება შეგეფერება. წადი, ვიდრე შეგატოლებია ყველაფერი...

— ხვალ წავალ, შეიძლება? — მარიამს შიში ალაპარაკებდა.

— როცა გინდოდეთ, ქალბატონო მარიამ, როცა გინდოდეთ,—თქვა მწუხარედ ვახემ.

— ბავშვი? — ულონოდ იკითხა მარიამმა.

— ბავშვიც! ორივენი წადით, შენცა და ბავშვიც. გარშემო ყველაფერი შეიცავს შეგულების და ატანის ათასზე მეტ ნიუანსს, ოღონდ უნდა შეძლო და განუღგე კეთილდღეობაზე ფიქრს. ერთ ქალს უთქვამს, ისე მძულდა ჩემი ქმარი, სოფელში თოფი რომ გავარდებოდა, გული სიხარულით შემიხტებოდა ხოლმე, იქნებ იმას მოხედაო. მეორეს, სხვა ქალს, სხვა მხარისას, — ისე მიყვარდა ჩემი ქმარი, საჭმელს რომ ეუმზადებდი, მინდოდა, იმ საჭმლისთვის მეკოცნაო. რანაირი სიძულვილი და რანაირი სიყვარული იციან ქალებმა, — გააყრუოლა ვახეს... „ნუთუ საზიზღარი ადამიანი ვარ, ვაიმე, თუ საზიზღარი ადამიანი ვარ? რა ეშველება ამ საქმეს? — იკუნტებოდა ამის გაფიქრებაზე: „წავიდეს, წავიდეს, წავიდეს!..“

მაშინ, როცა შეუძლებელი ხდებოდა ცხოვრება, იწყებოდა რაღაც სხვა. უკიდურესობა ხომ ყოველთვის ბადებს სახალეს. სიკვდილ-სიცოცხლის შუაგ ხომ ირწევა უკიდურესობის ლამაზი კიბე.

ვახე ხშირად ფიქრობდა სიკვდილზე, როგორც დედაზე, რომელიც ყოველთვის მზად არის გიშველოს; თუმცა სიკვდილის წინაშე დგომა თავიდან ავსებდა სიცოცხლის წყურვილით, რადგან



თავისუფლდებოდა ყველა წვრილმანი-სა და სისაძაგლისაგან, რომელთაგანაც კიდით კიდემდე შედგებოდა მისი ცხოვრება ეშინოდა სიკვდილის დაუჭერებლად ეჩვენებოდა, რომ მიწაში გამო-მწყვდეული მისი არსება ერთი პირობა მანაც არ აცივლდებოდა. ამ კვილის გა-მო ეშინოდა.

ახლაც სიკვდილზე ფიქრმა იხსნა: „კარგად იყავით ყველანიო!“ — მტკიცედ გადაწყვიტა და გულმა თავისუფლად იწყო ძველა.

თავისუფლება! ეს ნანატრი თავისუფ-ლება! თავის თავში ისევ დასაქმებას თხოვლობდა და ვახეს ცრემლები წა-მოუვიდა. თავისუფლებას გრძნობდა და თავისუფლებას დასტიროდა ქვეყა-ნაზე ზულ მარტო დარჩენილი...

„გაზაფხულდა. გაგიდნენ ატმები. ამ გაგიცებაშიც სევდა ურევია. წავედით ჰინჭარზე ვენახებში. ღობის ძირები გა-დაფურჩქნულია ღურჯი, ნამდვილი იით. ღობის ძირებში იკრიფება ჰინჭა-რიც. ხელზე ძველი ხელთათმანი მქონ-და წამოცმული. თითო-თითოს ვწყვეტ-დი, ვიფერთხავდი და მუქში ვიგროვებ-დი და მერე გამოვსებულ ხელს სიამოვნ-ებით დავყურებდი. ჰინჭრის მადის აღმძვრელი სუნი ახლოს მცემდა.

უკვე გადავიდა შუაღლე, უკვე წვება ბინდი. ეს დღე საესეა ჰინჭრით, იით და სულ უშინიშნელო გაელვებებით უკვე ჩაელო ცხოვრებიდან.

არ მავიწყდება, როგორ ვნატრობდი ჩქარა გაზრდას. და ახლაც არ მჭერა, რომ უკვე გავიზარდე კი არა, გადავი-ზარდე ჰკუდამჯდარ, უინტერესო, ჰინ-ჭარზე მოსიარულე ქალად. არაფერი შენში აღარ შემოდის თავისი ნამდვი-ლი სახით. ყველაფერს ყოფის აუხსნე-ლი ბეჭედი აზის. ჰინჭარი ჰინჭარია და მეტი არაფერი. და რაც უფრო ახლოს მიგაქვს ცხვირი, მით უფრო ჰინჭარია და მეტი არაფერი.

იარა ვილაცის დასაძალნებულმა ვირ-მა. გაზაფხული ღორთქო ფოთლით შე-მოსილ ტოტებს მიირთმევს და დაბალ

მტვერს აყენებს. მისდევს უმეცრეს თავეს ნებაზე გაზრდილი კაცი გულმარტო მუხა-ლით.

ჰინჭრით ვისადილეთ. ძალიან ბი-ბეუის ხელები. ჩავდგი დიდი ტაფით, ვისხედით მე, ქეთო, მეორე ქეთო, გა-მოვიტანე ღვინო კილოიანი ქილით.

იმ ღამეს ამოვარდა საშინელი ქარა-შოტი. ვერ გამოვალბინე ბიჭს ყურები-დან თითი. მეც მეშინოდა. გაელვები-დან გაელვებამდე კანკალი გაუდიოდა გულს. შენ გიხმობ ხოლმე, ისევ შენა გთხოვ შევლას.

დილას ჩარეგვილი დაგვგვდა ყველა-ფერი. ღობის ძირებში ისევ ეყარა კაკ-ლის სისხო სეტყვის მარცვლები. ბავშ-ვებმა ჩამოიარეს უბანზე. ყვავილებს აგროვებდნენ მიცვალებულისათვის, მო-გონილი სერიოზულობით, — მინდორ-ში მწყემსი დაუბრჩვია ქარიშხალს.

— მარიამ მასწავლებლო! — დაიძი-ხა ვილაცამ. გამოვედი.

— გოგოლაშვილების დათო დამბრ-ჩვალა წუხელ ღორებში და იმათებმა, ლექსი დაგვიწეროს მარიამ მასწავლე-ბელმა, სასაფლაოზე წასაკითხავადო...

გავშრი. აღარ ვიცოდი რა მეთქვა...

— წადით თქვენ, მე ამოვალ და მე ვნახავ იმათებს-მეთქი, — შეგებრული სახლში.

„ორშაბათ დილა გათენდა, ჩემთვის უიღბლო“, — გამახსენდა დათვზე სანა-დიროდ წასულ ბიჭზე გავრცელებული ლექსი. დათვმა დატორა ის ბიჭი. გუ-შინდელივით მახსოვს, როგორ ჩამო-ტარეს და დასვენეს ჰვარედინაზე. კარ-გად ჰიდაობდა თურმე ის ბიჭი, დაუტ-რეს საკიდაო და წიკითხეს გრძელი ლექსი. ქვეა კი ტიროდა.

საფაროიანთ კაკალზე ისხდნენ მთე-ლი უბნის ბავშვები. იქიდან უყურებ-დნენ ყველაფერს. პატარა გოგოები ზღუქუნებდნენ — ერთმანეთს არგენ-ბდნენ ცრემლებს...

ჩაიკვი და წავედი გოგოლაშვილებ-თან სამძიმარზე. ლექსი არ დამიწერია.

— ბიჭი! თქვენი ბიჭი იქნება ძალიან

ეშმაკი და ძალიან ლამაზი, — ხელში ეჭირა ექიმს, მაღალ, გამხდარ კაცს აჩხავლებული ბავშვი...

ძალიან დააფრთხო ექიმის თბილმა ღიმილმა მარიამი. „აბა შენ იცი, დაიჯერე, მაშინვე დაიჯერე და გაგიფიქრე“, — შეახსენა თავის თავს რაღაც უცილობელი ჭეშმარიტება და თვითონაც გაიღიმა თავისუფლად, თავისუფლად, უშიშრად...

ფანჯარასთან დააწვინეს. ძილი არ მიჰქარებია, გარეთ თოვდა. რა არის ეს, არ იყო საამისოდ მზად, ხან არაფერი, ხან ყველაფერი ერთად. ეს თოვლი, ცხადია, ასე არ ჩაივლის, მაგრამ თოვლსაც ნუ დაუჯერებ, — ისევ გაიხსენა მარიამმა უცილობელი ჭეშმარიტება, მაგრამ ამჯერად — ამოოდ...

გარეთ თოვდა, ფიფქსა და ფიფქს შორის ერთო ვახეს ცისფერი თვალი. „28 დეკემბერს დაიბადა ელიზბარი და შენ ისევ აქა ხარ, შენ ხომ არასოდეს მოგებურდება ჩვენთვის თვალის დევნება...“ — ფიფქსა და ფიფქს შორის გზავნიდა ფიქრს მარიამი.

ახლაც თოვდა. ახლა უკვე მატარებელში იჯდა და მიდიოდა. მიჰყავდა თავისი ბიჭი, მაგრად გამოკრული, მეთერთმეტე დღისა. მიჰყავდა თავის კერაზე, სიდაც, მისი ფიქრით, კენჭიც კი დაეხმარებოდა ბავშვის გაზრდაში.

იმავე ვაგონით რუსების ოჯახი მგზავრობდა: ქმარი, ცოლი და ბავშვი. დაიძრა თუ არა მატარებელი, ქალმა ამოალაგა სისმელ-საქმელი, სამივენი ჭამდნენ. ქალი „სალას“ მოზრდილ ვარდისფერ ნაჭერს ათლიდა, პურის ნაჭერზე დებდა და მაღიანად ილუქმებოდა. ჩაიდებდა ქონის ნაჭერს პირში, აიღებდა ლიტრიანი ბოთლით რძეს და მიაცოლებდა, „სალას“ კი არა, თითქოს ცხოვრებას ითლიდა...

მარიამმა თვითონაც იგრძნო შიშშილი... და ფანჯარაში გაიხედა...

ქალმა თავისი სანთვაგე აალაგა. ხელის ზურგით ღონივრად მოიწმინდა ტუჩები.

მატარებელი ცოტა ხანს შეჩერდა, მერე ისევ დაიძრა.

ჩანთა, ჩანთა გაიტაცესო, — შემოვარდა გვერდით ვაგონიდან ვიღაც ქალი.

მარიამს გული შეეკუმშა. აღარ იყო მისი ხელჩანთა. ფანჯარას ეცა, ახალგაზრდა, მზრებში მოხრილი ბიჭი მატარებლის ძირ-ძირ ვარბოდა უკან, საწინააღმდეგო მიმართულებით.

ხელჩანთაში მარიამს პასპორტი, ბავშვის დაბადების მოწმობა, ოცი მანეთი და ქორწინების ბუკედი ედო. თითქოს გულმა უგრძნოთ, ატირდა ბიჭიც. მერე მთელი გზა ვილაცის თანაგრძნობით მიციებულ თვალს გრძნობდა და ერთი სული ჰქონდა, როდის დამთავრდებოდა ყველაფერი.

ჩამოვარდა როგორც იქნა, მატარებელი. არაფერი ჩანდა. სოფლამდე სამი კილომეტრი ფეხით უნდა ევლო. დაადგა გზას, გაკვალულ თოვლს მიუყვებოდა. ბიჭი ისევ ტიროდა. მშვიერი არ იყო, სველი იქნებოდა, — იფიქრა მარიამმა. თოვლში გაშალა, გამოუცვალა. ისევ შეკრა და აიყვანა. თოვლს საყვარლად დააჩნდა ბიჭის ნაწოლი.

ქვევიდან მანქანა გამოჩნდა. დაჰყვრილმა გოგამ გააჩერა და ჩამოხტა.

მარიამი დადგა. ადგილიდან ვეღარ დაიძრა და ატირდა. ატირდა მწარედ, გულამოსკვნით. გოგამ ჩემოდანი იღო. და დიდი კაცივით უთხრა, — აბა, სატირალი რა არი აქ...

ჩასხდნენ მანქანაში.

— ხო არ დამცინებ, გოგი? — ჰკითხა მარიამმა და გამომცდელად შეხედა.

— რაზე უნდა დავცინო. დასაციანი რა გაქვს? — მარიამის საცოდაობისაგან სულ პირდაპირ იყურება გოგია.

— რო ავტირდი, დავდექი ამხელა ქალი და ავტირდი...

— ტირილი სირცხვილია, რო... არა, ეხლა ზოგიერთი იტირებს... რა ჰქვია ეგ მავას?

— ელიზბარი...

— აბა, ეგ გაიზრდება თარსი!..

მარიამი იცინოდა და უკვირდა, რამ გამოითელა გულიო.

გადიარეს ალაზნის არხი. აქ, ამ ადგილას, ჩემს ბავშვობაში ბიჭი დაიბრჩოო, — უნდოდა თქმა მარიამს, მაგრამ გოგია ისევ პირდაპირ იყურებოდა. „მასხოვს მისი სურათი. ფეხეოს ტანსაცმელი ეცვა. შებრუნებული ჩალის სკამის საზურგეზე ხელდადებული იდგა. ისეთი უცნაური, გაშტერებული ღიმილით ვიყურებოდა, როგორც ეს იმ წლებს ადამიანებს შეეძლოთ. მათ ღიმილში ძალიან დიდი რწმენა ნათელი მომავლისადმი და ადამიანის ყოვლისშემძლეობა იკითხებოდა.

„ყოველთვის, როცა ამ არხზე გადავდივარ, ის სრულიად უცნობი ბიჭი მაწევს ხმას. ასე მგონია, მისი გადახვეწილი სული შემომეკედლა და გახსენებას მთხოვს-მეთქი. ამიტომ დიდხანს დიდხანს ვიცილებ ხოლმე მის გაცრეცილ ლანდს არხის ნაპირებზე (აღმა მოუყვება არხს) მანამდე, ვიდრე არ მიეფარება თვალს იჭაურება“.

დათოვლილ სასაფლაოს გაუარეს. არ შეუჩერებია. არც თვალი, არც ფეხი,

„წუხელ ჭიაკოკონობა იყო. ეს ღამე ყოველთვის ბავშვით მიხაროდა. უნდა წახვიდე ჩალის მოსაგროვებლად. უნდა მოიტანო ასკილის ნედლი ტოტები და კუდიანების დასაშინებლად გაუკეთო ყველა კარსა და ჭუჭრუტანას, უნდა დამალო და ისე ჩამოატარო, თორემ შენ აღარაფერი დაგრჩება. არადა შენც არ გეყოფა. რამდენი კარი და ჭუჭრუტანა აქვს თქვენს სახლს, — ყველგან უნდა გაუკეთო ასკილის ნედლი, ლორთქი ტოტი.

გაზაფხულს თვალი არ უნდა გაუსწორო, თორემ შეგყურება შეუცნობელის მძიმე სენი, გაზაფხულის ავადმყოფობა. უნდა ამოიტანო ხევიდან, კალოებიდან ნამჭა, მერე დიდი ცეცხლი დაანთო. ალი რომ ცას სწედებოდეს. გაჩირალდნდება გარშემო ყველაფერი. ის ადგილები კი, რომელსაც ცეცხლის ალი ვერ გაანათებს, აიხუნძლება ეშმაკებითა და კუდიანებით, ღამურებითა და ბუებით და ის აძლევს ჭიაკოკონობის ღამეს იღუ-

მალებას, სიდიადეს. სადღაც სიბნელეში იჭეჭეჭებიან კუდიანები. შენ ცეცხლის უტურფესი ალი გველება და გიცავს. წუხელ გავედი გზაზე, ჩვენი სახლის წინ მძიმე სიბნელე იდგა, სამარისებური სიჩუმე. მომიჩვენა, კუდიანები, ბუები, ღამურები კრავდნენ წრეს ჩემ გარშემო, შიშით გული გამეყინა. ვინანე. რატომ არ წავედი ჩალის მოსაგროვებლად-მეთქი. სინანული ვეღარ შევლოდა საქმეს. ფეხს ვეღარ ვიცვლიდი, კუდიანები მიახლოვდებოდნენ. შემეშინდა, სახლში არ შემომიცივდნენ და საშუდამოდ არ დაიბუღონ აქ ჩემ სატანჯველად-მეთქი და ცივი ხმით ავიკვლიდი. გამოცივდნენ მუზობლები.

შევიკეტე ოთახში და ფანჯრიდან გავხედე მრუმე ღამეს. ამდამ ღეთისმშობლის ეკლესიაში ღამის თევია. მე ვერ წავედი ეკლესიაში. სანთლები დავანთე. ლიტრაზე შემოვარიგე და შევთხოვე ღმერთს, ჩემი შვილი გამოზარდე ნამდვილი კაცი, აიღვენე და არ გაახელო შენს იქით არსად-მეთქი.

უღვაჯარ ახლა ფანჯარასთან, კაცყურებ ღამეს. ღამე მოდის სულიერივით. გრილი, სუფთა სუნთქვა სახეზე მცემს და მერე გრძელდება ჩემ იქით.

ბნელში ჩვენი ბალი სიზმარსა ჰგავს. იღუმალება ჰკეცავს ყველა ჩქამზე ფრთებს. ჰკეცავს და შლის. იღუმალეზასავით მიახლოვდება შენი ლანდი. შენც სიზმარი ხარ, შენც არასოდეს არა ყოფილხარ. არაფერს ატყვია შენი კვალი, არც მიწას, რომელზეც დაიარებოდი: არც ცას, რომლისკენ ახედოსთვისაც ეშმაკებოდი მთელი სიცოცხლე: არც მე. ვისთვისაც ათასჯერ გადავიკრავს შენი არსებობის ცხელი მათრახი. ახლა მხოლოდ ბალი მიახლოვდება სიზმარივით, და გრძელდება სადღაც ჩემ იქით.

იყვებიან ძაღლები და დაუეჭვებელ ხმებს გამოსცემენ ცხოვრების გაგრძელებაზე“.

სადღესასწაულოდ საქონელს კლავენ სოფელში. ყარაულობენ, არ გამოკვე-

პაროს, როდის დაიკვლება და ისე არ დაერჩეთო.

შენც უნდა იშვოვო, უნდა დაკლა, უნდა გაპუტო, გამოაცხო, ცოტა ხანს თავი უნდა ანებო ფიქრს, სადარდელს, უნდა იქეიფო, გაიხარო, აბა, მაშ როგორ!..

ასეთ დროს ვერ დაჯდები ფანჯარასთან და ვერ დაუწყებ დარაიას ჭარგვის, ვერც „სურამის ციხეს“ წაიკითხავ.. ასეთ დროს შენც უნდა ირბინო ხორცი-სთვის, ყველისთვის, ტკბილისთვის, მწარისთვის...

სადამოს ღორი დაიკლა ზევით უბანში. წავიდნენ, გაჰყვა მარიამიც, სწყველიდა დღესასწაულის მომგონებელს. მოვლენ ხვალ ნათესავეები, მოუღელავენ ცხოვრებას. ჩაყოფენ ყველაფერში თავიანთ გაუგებარ დრუნჩს, შეგვიტებენ საკმელს, გადღეგვრძელებენ, დააკვირდებიან შენი ცხოვრების წესს. მისხალ-მისხალ დაგიმხსოვრებენ მოჰავალ დღესასწაულამდე.

ზევით უბანში წავიდა. ხორცი უნდა შეენახათ. სხვებივით ვერ ვარბოდა. ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა და სიცოცხლე აღარ უნდოდა.

დაკლულ ღორთან ჩაცუცქულიყო და კარგ ნაჭერს ირჩევდა ირაკლი. სასწორი მომორებით იღგა, იქ უნდა მიეტანა არჩეული ნაჭერი.

გაბურძმვნილი, დასაბან-დასარეცხა არხეინად შეჰყურებდა არჩეულ ნაჭერს დაბლიდან მაღლა და ხელში სწონდა. გაიხედა და დაინახა მარიამი. დგომაზე იცნო. გადაუქანდა გული, დაიძრა სისხლი, მიაწყდა ყველაფერს, აუცახცახდა ხელები. ბინდი იღგა, არაფერი ჩანდა. კიდევ კარგი, არაფერი ჩანდა. თურმე უძლებს უიმისობას, საღაღაც შორს დარჩენილი ეგონა ყველაფერი — სიყვარულიც, სიხარულიც, სიმწარეც, ამ სიყვარულისაგან მოგვრილი... ისე შორს, რომ გამოხზობა აღარ უცდია.

— მოდი, ბიჭო, მოიტა ეგ ხორცი, — გამოსძახეს სასწორთან მომლოდინებებმა. ვერა, ვერაფრით აიღო წელი, გამოიხედა მარიამმა.

— მთვრალი ხარ? — ჰკითხეს მისი გაიოლდა საქმე, რაკი ასეა უჩინოდ გამოვლამბარაკა.

— მთვრალი კი არა, მშვიერი ვარ, — ძლივს მოეგო გონს. მძიმედ წამოდგა და არჩეული ნაჭერი სასწორთან მიიტანა.

— ჯერ მასწავლებელს აეუწონოთ, რამდენი კილო გინდა, მასწავლებელი, ხვალ რამდენ სტუმარს ელოდები? — ჰკითხა მარიამს ლიმილით.

მარიამი „გაფაციცებით“ არჩევდა ხორცს. ერთხელაც აღარ გაუხედავს მისკენ. იყიდა ხორცი, გულითაღი მადლობა გადაუხადა. წამოვიდა. უნდოდა, გადაეგდო საღაღაც ეს ხორცი, გაბრუნებულყო უკან, რომ კარგა ხნით დაემახსოვრებინა მისი ერთგულებითა და სიყვარულით სავსე გამოხედვა, რომ ოდნავ მაინც ასატანი გამხდარიყო ცხოვრება.

მთხლიშინობდა, ოთხი კილო ხორცი მიჰქონდა ხვალინდელი სტუმრებისათვის და ირაკლის ცხოვრებაში კერკეტი კაკალივით გამოვარდნილ ცოლზე ფიქრობდა, ტუჩის კუთხე მარცხენა მხარეს სიმწრით ჩაღრმავებოდა.

მივიდა სახლში. რკინის ჯამში ჩაიყარა პური, ზედ ჩაი დაისხა და ყველის პატარა ნატეხი დაადო. ეს არის ჩემი საკმელიო, — გაიფიქრა, დაჭდა და ხარბად, უღამაზოდ დაიწყო ჭამა. თვალები უაზროდ გაემტერებინა მაგიდის კუთხისათვის. ჭამდა, ღროდადრო ხელისგულით იწმენდა პირს, წინსაფრით ცხვირს და ისე ჭამდა.

გადახედა მიიხარე ბიჭს, — მადლობა ღმერთს, რაკი შენ მაძლარი მეგულები და კარგადო. რაღაცას გაუცინა ჭამის დროს, გაიტანა თავისი ჯამი, წყალი მოავლო და გადაასხა, შემოიტანა მერე და დააბიჭქვაევა.

მერე დასასვენებლად მიწვა... თავსაფარი გადმოიწია თვალზე: ხვალის გეგმები მაქვს დასაწერი, რა დაწერს ამდენ ტყუილ-მართალსო, არ ვუყვარვარ ჩვენს დირექტორს, რაღაცით მარჩევს სხვებისაგან, რით — თვითონაც არ იცის... და არ ვუყვარვარო...



საქართველოს  
წიგნების კავშირი  
საბჭოთა კავშირის  
წევრი

პაატა ოთარაშვილი

• • •

დამთავრდა წლები თავდავიწყების,  
ყვითლად შეაჭკნა გვირილა მინდვრებს...  
გულს უნდა, მაგრამ იმ გაფიცებით,  
აბობოქრებულ ქალებს .ვერ მივდეგ...  
ციცკენ აწეულ თეთრი ცურებით,  
ჩაივლის გოგო, როგორც მირონი...  
შენ კი ტალღები მიგაცურებენ,  
ნაპირებს რჩებათ „გზა საგმირონი“...

მოვალეობის გულისთვის ხედავ  
სიზმრებს, რომლებიც აჩენენ უფრო,  
აღრე დაკარგულ ანგელოზ მხედარს  
და ყომრალისფრად გაწყობილ სუფრას...  
და ახლა უკვე გულსაც უწყრები,  
გადაქცეული აღრე ღიმილად...  
დამთავრდა წლები თავდავიწყების,  
ყვითლად შეაჭკნა მინდვრებს გვირილა...

### შენი დაბადების დღე

ჩემი ცხოვრების ძველი დღიური,  
ჩრდილში შერჩენილ თოვლზე გვიანი:  
ბროლში გიზგიზებს შამპანიური,  
„მრავალყამიერს“ გააჭვს გრიალი...  
მხრებზე მსუბუქად გეწყო ხელები,  
თრთოდა ზამთარი სუნთქვაშეკრული...  
ამოგანგლულნი თოვლში ცხენები  
იდგნენ ჭინებით ხელში შეკლულნი...

დღეს გაზაფხული ტყემლისფრად  
ბოლავს,  
გამოპარული თოვლს და იანვარს...  
ისევ იწყება გიჟური სრბოლა,  
მაგრამ მხედარი უკვე მე არ ვარ...  
როდესაც თავთან მარტონი ვრჩებოთ,  
წარსულშიც ვცოცხლობთ მგონია ისევ...  
ზეცაში ბევრი ვარსკვლავი ქრება,  
მაგრამ ახლებით ივსება მყისვე...

### ნარილი

...შენ ერთხელ წვიმამ ისე გაგლუმპა  
რომ ჩამოგაღნა ყელზე საყურე...  
იქნებ ნაპირიც ნიშნავს დალუპვას,  
ნატვრის კენჭების ბოლო საყუდელს...  
მე ძველებურად წარსულზე ვდარდობ,  
ფიქრში გინიშნავ პაემანს ისევ...

ხშირად ჩორდელთან მივდივარ მარტო  
და თითო-თითო „ასიანს“ ვივსებთ...  
ჩაინაცრება წრფელი ვნებები  
და არ დარჩება კვალი არაფრის...  
წვიმას ქუჩები ისე ნებდებდა  
რომ ვერ გებულობს ზოგჯერ ქალაქი...

ახლა დღეები თითქოს შედედდა  
და გათანგული აგვისტო იწვის...  
უბრალო ლექსიც ფიქრში შედეგრად,  
რომ მოჩანს, ყველა პოეტმა იცის...

აპა, დარეკეს ცისკრის ზარებმა...  
ჩამოიცვარა რძისფრად ყოველი...  
გაფიქრება კი ნუ დაგზარდება,  
მე მოუთმენლად პასუხს მოველი...

• • •

გურამ რჩელიშვილის ხსოვნას

თოლია — ზღვათა თეთრი ხალები,  
წყალს შეწირულთა წმინდა სულები...  
ტალღები დგანან, როგორც ხარები,  
ქედით უჭირავთ აღსასრულები...  
მზე გაღმა გადის დასაძინებლად,  
წყალზე იწყებენ ლანდნი ბორიას...  
ზღვაში ჩაყრილი თოვლის მძივები,  
ზვირთებს ჩაპყვება თეთრი თოლია...  
მკლავები ტალღებს გადაშოლტავენ  
და მოუხმობენ სხივებს საშველად...  
ვით ნაპირიდან პორიზონტამდე,  
მზეს დარჩა ერთი ხელის გამვერა...

• • •

მე გუშინ მივხვდი, ო, გვიან მივხვდი,  
რომ უშენობას ჰქვია კენტობა...  
ცხელი ზაფხული პირბადეს იხდის  
და კაკლის ჩრდილში ნარდით ერთობა...  
სალამო შეენის ციცინათელებს,  
(ჩამოუხუნძლავთ მაყვლის ბარდები),

გატეხილ გულებს ველარ ამთელებს,  
მოდარდისფერო გაშლა ვარდების...  
ნამლევა მთვარე ცაზე ჩაივლის  
და დაეშვება გორაკთან თავქვე...  
წარსული რჩება სულში ყვავილად,  
რომელსაც მერე სუფრებზე ვაჭებთ...



მეგობრებო

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ბიბლიოთეკის განყოფილება  
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 109  
ტელ. 52 52 52 52

## უნგრელი პოეტები

აქ წარმოდგენილ ავტორთა შორის შევხვდებით, როგორც ძველი, ისე ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთ. ძულა იეში, იანოშ პილინსკი, ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ ისინი თანამედროვე უნგრული ლიტერატურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, ვინაიდან მათ შეუღლებელი მხატვრული ნიჭუებით შეავსეს და გაამდიდრეს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის უნგრული პოეზია თუ პროზა. ჩვენში ნაკლებად ცნობილი პოეტი ძულა იეში უკვე უნგრულ კლასიკოსთა რიგს განეკუთვნება და შანდორ ვეროშს, რომელიც ძულა იეშისა და იშტვან ვაშის თაობის ლირიკული და ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია, უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქართული ერის წინაშე იმით, რომ სწორედ მას ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის“ მეორე პოეტური თარგმანი უნგრულ ენაზე. ამას გარდა, შანდორ ვეროშმა ქართული პოეზიის მრავალი სხვა ნიმუშიც გააცნო თავის ხალხს, მეუღლესთან, ცნობილ პოეტთან კაროი ამსთან ერთად, რომელიც აქვე წარსდგება ჩვენი მკითხველის წინაშე.

ქულა იეში

### შეგომღოვა

მოქანცული ქარის მსგავსად წელიწადი ფრთების შენელებული ტყლაშუნიტ  
ეშვება სიმაღლიდან და ჩვენი ხეები მძიმე ზარით იხრებიან წელში.  
უკიდებანო ივლისო! ვიღას ახსოვხარ, ჩვენი გამომშრალი თვლები მიწას  
ჩასჩერებიან,  
უკანამობრუნებული წელიწადი სისხლისკონვით მიედინება ლოხსა და ქლალ  
დაბლობზე.  
მაგრამ მალე შეჩერდება, ერთ ქარბუქიან ღამეს: შეჭირბლული ქარბორბალა  
შეაჩერებს,  
ზარებად აწკრილებულ პაერში მოთქმით დაიშლება და მას მიჰყვება ჩვენი  
უღდეური სიჭაბუკეც.  
